

~~908~~
2

ՀԱՆՐԱՊԵՏԱՆԻ ԳՆԱԿԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ



ԳՐԱԿ 1

9 (44922) (100) /
[Handwritten signature]

ქართლის ცხოვრება

დასაბამითგან მეთესხრამეცუ საუკუნემდის


I ტომი

მეორე გამოცემა

ზ. ჭიჭინაძის-მიერ



შინ არ გავიწევა



ტფილისი,

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკ. ქ. № 21.

1897

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Марта 1896 г.

შ ე ს ა ვ ა ლ ი .



შკითხველთა-თჳს სიტყუჳ, ვითარმედ რადსა-თჳს არს შრამა ესე.

იტყვის ბრძენი პლინი სტოიკი რამეთუ ყოველი ჟამი-იგი წარწყმდეს, რომელნიცა სწავლასა ზედა არა საკმარ ვიყოთ ქეშმარიტ არს სიტყვა ესე, ვინათ-გან ჟამი მლტოვარე არს, არ-ვის ძალ-უცს მოქცევად და წარწყმდეს ჩუჴნ-გან, უკეთუმ-ცა არა მოვილოთ ნაყოფი მისი ჟამსა მისსა: და არა-თუ ჟამისა, წამისა, და წუთისა, არამედ თთჳსა და წელიწდისაცა არღარა შემძლებელ ვართ ველ-ყოფად: ხოლო არს ჟამი ჟამიცა, კვალად დაისახების დღეცა ჟამად, თაჳვე, წელიწადი, და საუკუნოცა. განა თუმცა მოიქცევის ესენი, არამედ არა იგინივე რომელნი წარხდენ ჩვენ-გან, და არა ძალ-გვცს მის წინანდელთა ებრ ყოფად მათ შინა რა-ოდენცა წადიერ ვიყუნეთ: და ესე ვინაჲთ-გან ქეშმარიტ არს, ამის-თჳს არა ჯერ არს რათა უქმ ვყოთ ჟამი და განუტეოთ ჩვენ-გან, და დავშთეთ ურგებნი მის მიერ: არამედ რაჲ მოგუტყემს ნაყოფსა მისსა. თუ შევიკრიბოთ საუნჯე დიდ-ძალი, წარვალს და არა დაადგრების ერთისაცა საუკუნო-სად. ხოლო უკეთუ ¹⁾ ვყოთ სახელნი, და დავიპყრათ ქვეყა-ნანი, ვითარცა მაკედონელ-მან და სხუათა, არცა ესე დაადგ-გრეს, არამედ წარწყმდეს მასვე წინათ-თქმულთაჲვე დროსა. უკეთუ აღვაშენოთ სახლნი და ვპყოთ ქვეყნის-მოქმედებანი, და განვაშენოთ სავარდითა, და წალკოტითა, და წყლითა აღმა აღმცენარითა, და წყაროებითა, წარწყმდეს იგინიცა მასვე ხა-ნებთა შინა. უკეთუ განვისვენოთ და განვსცხრეთ შვებითა, ნადირობითა, ნადიმობითა, მეოსნითა და მწყობრითა, და სა-

¹⁾ L'auteur écrit toujours უკბთუ, par désir d'archaïsme, car dans les plus vieux manuscrits on lit უკუბთუ; mais de ces deux formes, la seconde est entièrement tombée en désuétude, et l'autre n'a jamais été suivie par personne.

ხიობითა, მამანი დედათა-თანა, და დედანი მამათა-თანა, წარვიდეს ესეცა უადრევეს თთჳსა, დღისა და ჟამისა. ხოლო უკეთუ მივივლტოდეთ მეცნიერებისა მიმართ, და ესე არს ნაყოფი კეთილი, არამედ წარვალს ესეცა, და არა ვითარცა წინათ-თქმულნი იგინი. რამეთუ სწავლა განაბრძობს, თავის-უფალ ჰყოფს, აცნობებს ღმერთსა, და შიშსა მისსა დანერგავს, აღაცურვებს ზღუასა-მას შინა სრულიადსა, აღაფრენს და წინადაუდებს ყოველსა ქმნულებასა ცისა და ქვეყანისასა, შეკრებულად თჳალთა შინა აჩვენებს ბუნებასა და ნიშატსა ვარსკულაფთა, ცხოველთა და ნერგთა. განსდევნის ბოროტსა, შეაყუარებს მოყუასსა, შემოიყუანს კეთილსა, მატებს ქვეყანასა, აღაშენებს და დაამშვიდებს, სულგრძელ ჰყოფს, მეფეთა და დიდებულთა პატივს-ცემს, და ერთა მოურნე ექმნების მტერთა დაამდაბლებს და მშიშრეულ ჰყოფს, თჳსთა აღამაღლებს და აკადნიერებს: არამედ რაჲსაგანმე არს ეს-ოდენი კეთილი, გარნა არს არა-თუ ხსოვნისა-გან, არამედ ხსოვნაცა ესე წარწყმდეს სამისა, ანუ ოთხისა, და უფროჲს ხუთისადმდე ნათესავისა, და ამის-თჳს ვიხილავთ უმჯობესად წერილთა, რომელი გუასწავებს სიბრძნეთა წინა-თქმულთა, და მოგუახსენებს დასაბამითგანთა წამთა, ჟამთა, თთვეთა და წელიწადთა, და საუკუნოთა, კვლად უმეტესთაცა, და არა წარწყმდების, არამედ ჰგიეს უკუნისამდე, ვითარცა ვიხილავთ: რამეთუ აღწერა მოსემ-ღმერთის-მხილველმან შესაქმე, შემდგომად ხუთისა კსოვნისა, სულითა წმიდითა, ვინად-გან არღა-რა შესაძლებელ იყო შემდგომად კსოვნად, და გვეუწყების დასაბამითგანი, სრულიად: ღმერთთუ არამით, წარწყმდა ყოველი ქმნულებანი, ვითარცა წარწყმდენ მრავალნი დიდ-შემძლენი: ხოლო წერილნი ესე მოგუცემენ ნაყოფსა ჟამისასა, და არა-თუ ხოლო ჟამისასა, არამედ სრულიადსა მოხსენებასა, რომელი აღაფრენს გონებასა ღმერთისა მიმართ, და მოგუანიტებს ყოველთა წინა-თქმულთა ცნობასა, კელოვნებასა და გამოცდილებასა, ვითარცა იტყვის იგივე პლინი სტოიკი: „არა არს არცა ერთი ეგრეთი წიგნი, რომლისა რაჲმე მის-გან

ნაწილი სარგებლისა არა მოვილოთ“. და უკეთუ ესრეთ, და რა-ოდენმე სამღრთონი წერილნი, რომელნი მოგუფენენ მადლსა ზეცისასა, და მოგუმაღლებენ სოფლისა კეთილობასა, და შემდგომად აღგვიტაცებს წინაშე ქრისტეს ღმრთისა ჩვენისა:

ხოლო კვალად წიგნნი ფილასოფოსთა მიერ ქმნულნი, აღგუთავებენ სიბრძნითა, კელოვნებითა და სიტყვიერებითა. გუთავებენ თავსა, და გუთავებენ ვითარცა ჯერ არს ცხოვრებად, და მიღტოლვილ გუყოვს ღმრთისა მიმართ: კვალად მატთანე მოგუთახსენებს ქმნულებასა და ყოფათა მეფეთა, მთავართა და დიდებულთა, ვიდრე მცირედმდე, ვითარებათა მათთა, განგუთავებენ ბოროტსა, და შეგუთავებს კეთილსა: ხოლო წიგნი დედაბერებული ზღაპართა, განათუ არა არს მონახსენებელ, არამედ იგიცა აღხინებს ოდესმე, და გონიერი მოისთლობს მის-განცა ნაყოფსა: ვითარცა იტყვის დამასკელი იოანე, წიგნსა და თავსა იპ. „ამის-თვის ჯერ არს რათა ვიკითხვიდეთ წიგნთა, რამეთუ მის მიერ მოვისთლობთ სულთა ნაყოფსა: და უკეთუმცა ვერ შევიგნოთ, კვალადცა ჯერ არს კითხუად და არა უგულებელს ყოფად. რამეთუ ვსცნობთ მის მიერვე, და არა-თუ საღთოთა, არამედ გარეშენიცა არა არიან განსაგდებელნი. რათა უმჯობესნი მისნიცა შევიკრიბოთ, ხოლო უჯერონი ძალთა მიუბჰრათ:“

ზანა თუცა არს ეს-ოდენ კეთილობანი მის მიერ, არამედ უგულებელს იქმნებიან და საგმობელ ვიეთთა-განმე. ზანა ესრეთთა არა ჯერ არს რიცხუად, არამედ მეცნიერთა-განცა დატევებულ იქმნებიან, მიზეზითა უცალოებისათა. და არა-თუ უცალოებითა, არამედ უტრფიალობითა წერილისათა, და კნინლა საპოვნელ ძნად არს ტრფიალი ათ-ასთა-შინანი ერთ: რომლისა-თვის მკითხველთა მიუგებდა სოკრატ ბრძენი, ოდეს ჰკითხვიდენ. „რასა-თვის არა რაჲმე სიბრძნისა წარსწერე“. მიუგო სოკრატ. „ამის-თვის ვინად-გან ვხედავ რამეთუ ქალაღდი უძვირეს არს ვიდრე-ღა წერილი:“ ხოლო უკეთუ ქალაღდი უძვირეს არს, აწცა რადლა სახმარ არს შრომა და წერა, ვინათ-გან ჩანს მის-გამო რამეთუ არს წიგნი უბატო.

არამედ ჩვენ ვისმინოთ დამასკელისა თქმული, და პლინი-
სტოიკის სიტყუა, ვინათ-გან არა განსაგდებელ არს გარეშენი-
ცა წიგნნი, და ვითარისა უჯეროსა-განცა მოვიგებთ სარგებელ-
სა. რავდენით უმჯობეს არს რომელნიცა წარმოვსთქვით მათ-
ნი კითხუანი, და რა-ოდენ სასარგებლო და შესაწყნარებელ
არს წიგნი მათიანეთა: რომლისა-თჳს იტყჳს ბრძენი ციცერონ:
„უკეთუმცა ყოველი ღუთის-მეტყველება, ფილასოფია, ფიზიკა
და რიტორებანი შევიკრძალოთ, და არა მათიანენი ბუნებისა-
ნი, ნერგთა და ცხოველთა, ვერა რაჲმე შევიგრძნათ:“ რამეთუ
მატიანე მოგუახსენებს დასაბამითგანსა ჟამსა, წელსა და საუკუ-
ნოსა, მათიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა. მათიანე აღა-
მალლებს კეთილის ქმნულებასა, და ჰგმობს უკეთურთ ქმნულე-
ბასა. მათიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა, და არა სცბის და მოწ-
მობს სხუათა და სხუათა. მათიანე განამკნობს კაცსა, და ერთ-
გულ ჰყოფს ქვეყანისად. მათიანე აცნობებს ნათესავთ შთამო-
მავლობასა, და დასდებს თავსა სარწმუნოებისა-თჳს, და მოყლა-
რულ ჰყოფს მოყუასსა მოყუისსა მიმართ.

არამედ ესე მათიანე განიყოფების ოთხ წილად. ადგილის
აღწერად, ნათესავთ მეტყველებად, წლის მრიცხველობად და
მოქმედებისა აღწერად: და ესეცა განიყოფების ორად. საეკლესი-
ოად, და სამოქალაქოდ: საეკლესიო არს წმიდათა ცხოვრება,
და ქმნულებანი. ხოლო სამოქალაქო, ქმნულება სოფელსა-
შინათა¹⁾, დიდთა და მცირეთა. არამედ ვინათ-გან ესენი კეთი-
ლობანი მას შინა მოიპოებიან, არა არს განსაგდებელი, არა-
თუ უმეცართა მიერ, გარნა სურვილით შეტკობა: ხოლო
უკეთუ ჩვენ ქართველთა მათიანე შემოიპყრობს სამსა-მას წილსა
მატიანისასა, არამედ წლის მრიცხველობასა და ნათესავ-მეტყვე-
ლებასა მცირეთ, ხოლო მოქმედების აღწერასა განავრცელებს.
განა ამასაც ეკლესიის მათიანეს შეამოკლებს, და სამოქალა-
ქოსა მოგვითხრობს შესხმით და ვრცლად ადგილით-ადგილად,
და ოდესმე შემოკლებით, ნოედამ ვიდრე ბრწყინვალის მეფის

¹⁾ L'auteur écrit შინანი.

გიორგისამდე. ხოლო შრომა ჩვენი ამის-თვის არს, ვინათ-გან
ორნი წილნი ივინი გამოუჩენელ არიან, რათა გამოვაცხადოთ,
და მესამისა განვრცელებული შევამოკლოთ, რათა მკითხველთა
არა საწყინოდ და აღრე საცნობელი იყოს.

ხოლო მოქმედი ვევედრებით, უკეთუ ვისმე სთნდეს კით-
ხუად, რათა არა შემოვიდეს მრისხანებით და შურიტა. რამეთუ
მრისხანება განსდევნიქ სასჯელსა; და შური დაუტევებს კეთი-
ლობასა. არამედ აღიმალლოს გონებისა თუთალი სიწრფოებით,
ვითარცა ორბმან, რომელი ტრფიალებით აღვალს, რათა განი-
ხილოს სრულიადი ქვეყნის შვენიერება, და ესოდენ სიმაღლესა
ზედა, რომელ ყოველსა სოფელსა გუგათა შინა შემოიკრეფს,
არამედ ამისი მოქმედი და უგონებელი განახლდების, და კვა-
ლად განჭაბუკდებისცა. ეგრეთვე უზაკველი მკითხველი ჰსცნობს
შრომასა ჩვენსა და არა საგმობელ ჰყოფს, და მიიღებს მიზნსა
წადიერებისასა: ესე ვითარცა ვამცნებთ მოქმედნი, რათა გონი-
ერად ისმინოს თქმული ჩვენი. რამეთუ ვინათ-გან დავსახენით
ქარტა ანუ რუკანი საქართველოსა ანუ ივერიისანი, რომელსა
ხაზვიდნენ მცირედ და არა ჯეროვნად, და ჩვენ სრულიადი
წინა-დავდევიტ: განა ამისდა ჯერ იყო სამჭირნოთ რათა აქუნ-
დეს ღეოღრაფიის აღწერისაცა დადება, რომელ არს ქვეყნისა
მხაზველობა, რომელი იგიცა ვქმენით: და კვალად მისდაცა
ჯერ იყო მოკლე მატთანე, რათა მკითხველთა სცნან ვისგან
ქმნულ არიან ქმნულებანი, და მეფენი და მთავარნი, და მათ-
შინანი კეთილნი და ბოროტნი, არა-თუ დატევებულ იქმნას
მატიანე-იგი. არამედ იგივე უმჯობეს სივრცელე, და ამის გან-
მართლებისა-თვს. ხოლო ესე სიმოკლისა და რომლისად აღვსწე-
რეთ სახმარად მისდა.

გარნა უწყება ჯერ არს, უკეთუ ცხოვრებისა ჩვენისა
ქორონიკონნი არიან იშვით. არამედ ნოეღამ მირიანისამდე
რა-ოდენნი მოიპოვებინ, უმეტეს მოწმობენ რომაულოსა, ხოლო
მირიანიღამ ბაგრატოვანამდე, ბერძნულსა. და მას ქვეითნი,
თამარ მეფისამდე, არიან ხუთასიანნი, რომელსა ჩვენ უწოდებთ

ქართულსა, და ჩვენცა ეგრეთვე შემოწმებულ ჩვენთა ცხოვრებათა ზედა ვქმენით. ხოლო თამართ-გან ბრწყინვალის გიორგისამდე კჳალად უჩინო: არამედ ვინათ-გან მცირედად და უჩინო არს, ზეთი და ქვეითი ქორონიკონნი, ჩვენ ვითარ ვპოვეთ წარმოვაჩინოთ, ამათთა ურწმუნოთა-თვს: რამეთუ ნოდამ ნებროთის გამეფებამდე საჩინო არს დაბადებისა-გან. ხოლო ნებროთ რაოდენი წელი იმეფა და მოკჳდა, იხილვების სხჳათა მატინეთა-გან, რომელნი მოწმობენ ჩვენთა მატინეთა: ხოლო მას ქვეითნი, კერპთა-თაყვანის-ცემა და მოსეს ზღვის გამოსლვა, დაბადებისა-განვე. სხჳანი, სპარსთა მეფეთა, და ნაბუქოდორნოსესა, და ალექსანდრე მაკედონელისათი ვპოვეთ: ხოლო ვინათ-გან ალექსანდრეს მოსვლა ქართლსა შინა მოვიპოვეთ, ამით აღვიღ გვექმნა გამეფება თარნაოზ პირველისა მეფისა, ვინათ-გან მოსლვასა ალექსანდრესასა, რაოდენის წლისა იყო, და რა-ოდენისა გამეფდა, და რა-ოდენ წელ იმეფა მუნვე წერილ არს: და მის შემდგომად მეფენი, ასურულთა მეფეთა მოწმობითა, ვითარცა მოიხსენებს მუნავე სახელებთა, ვიდრე ადრეკის მეფობადმდე: ხოლო ადრეკის მეფობა იქმნა პირველსა წელსა შობისა ქრისტესსა, და მეფობაცა მისი ცხად არს. არამედ მას ქვეითნი მეფენი, მირიანისამდე, კეისართა, სპარსთა და სომეხთა მეფეთა-გან მოწმობითა დაეხსენით: ხოლო მირიანის მეფობისა პირველი ქრისტეს მიერ მოქცევისა, და შემდგომად მოქცევის წელნი, ვინათ-გან წერილ არს მის-თვს დღე მოქცევისა, კ ივლისის დღე, შაბათი, ეხ ვპოვეთ, რომელი არს ერთი ქრისტესით ტვ. ქართული ნს. მეორე, ქრისტესით ტიზ. ქართული ჟთ, და მესამე, ტკდ. ქართული ოვ. რომელნი შეეტყვებიან მას: არამედ პირველი-იგი არა არს დღე-იგი მოქცევისა. რამეთუ კოსტანტინე დიდი ჯერეთ არა იყო მოქცეულ ქრისტეს მიმართ, და არცა დაეპყრა რომი და სრულიად მეფობა: რამეთუ წერილ არს მირიან ეზრახა ოთხთა წარჩინებულთა თვსთა კერპთ მსახურებისა თვს. „უკეთუ არა დაუტეოს ნანა დედოფალ-მანცა სჯული რომთა, ვსტანჯო იგიცა“. რამეთუ, უკე-

თუ მოუქცევდნენ იყო კოსტანტინე, არა ახსენებდა სჯულსა რომთასა. ვინათ-გან სჯული რომთა კერპივე იყო, და ნინო ქრისტეს ჰქადაგებდა: კვალად მესამეცა არა არს, რამეთუ ერთის წლის შემდგომად იყო კრება ნიკიური პირველი. არამედ ნიკიის კრებისა-გან უწინარეს იყო მიქცევა მირიანისა, ვითარცა ვიხილავთ ცხოვრებასა შინა საჩინოთ: ხოლო მეორე-იგი ჰეშმარიტებს, ამის-თვს რამეთუ კოსტანტინეს ხუთის წლის წინარე დაეპყრა რომი და სრულიადი მეფობა, და ქრისტიანეცა ქმნულ იყო. ვინათ-გან მირიან რომისავე ¹⁾ მეფობასა შინა მიუვლინა მთხოველი ეპისკოპოსისა და მღჳდლისა: რამეთუ არა დაწყებულ იყო ბიზანტია აღსაშენებლად, ვითარცა ვიხილავთ წერილებთა შინა ჩვენთა, და მას ჟამსა სილივისტროცა სცოცხლებდა, რომელ-მან მოავლინა დიაკონი თვისი.

ხოლო ნინოს სიკჳდილის ქორონიკონი არა არს ურთიერთის მომწმობილი, ვითარცა თამარ მეფისა, რომელი წარმოვაჩინოთ თვისსა ადგილსა. რამეთუ უკეთუმცა ქრისტეს-აქათი ქორონიკონი ქრისტეს ჯუარ-ცმიდამ იყო ტლს, ჯერ იყო დასაბამითგანი ყოფილ იყო ჰყდ. და უკეთუ დასაბამითგანი იყო ჰყლს, ჯერ იყო ქრისტეს-აქათი ჯუარ-ცმიდამ ყოფილ იყო ტლ. არამედ არცაღა ჟამსა ამას კოსტანტინე სცოცხლებდა, არამედ შეცთომილ არს მწერალთა-გან: ხოლო ჩვენ ვინათგან ვპოვეთ მირიანის მოქცევისა იგი დღე, აღმოჩენითა-მათ, ამას ზედა აღვრიცხვეთ მოსლვა ნინასა მცხეთას, რომელ-მან დაჰყო წელი იდ, ამის-გან სამი წელი უწინარეს მოქცევისა იყო მცხეთას ქალაქსა შინა. რომლისა-გან დაშთების ია წელი: ეს მირიანის მოქცევის წელს დავადევით, რომელი იქმნების ქორონიკონი ჩვენ მიერ აღწერილი: არამედ ნაკლულევიანებს მუნ წე-

¹⁾ წელთა ქრისტესსა 306, მოკჳდა კოსტა, მამა კოსტანტინესი, და იქმნა კოსტანტინე კეისარი. 307, მოკჳდა მაქსიმიან-ღერკული, იქმნა კოსტანტინე ავგუსტი. 311, მოკჳდა მაქსიმიან-ღალერიცა, და 312, რომს მიმავალსა კოსტანტინეს გამოუჩნდა ჯვარი ცაში, და იქმნა ქრისტეანე, სძლო და მოჰკლა მაქსენტი, დაიპყრა ჰრომი და სრულიად კეისრობა ვითარცა ჰსწერს ბარონია.

რილისა-გან ესე დასაბამითგანსა ორის წლითა. ხოლო ქრისტეს აქათსა, ი წლითა, და სხუანი მირიანის მეფობის წელნი მითვე რიცხვეულ ვყვენით და აღვსწერენით.

ხოლო ბაქარიდამ ვარზა-ბაქარისამდე, ეგრეთვე კეისართა და სომეხთა მეფეთა შემოწმებით ვყვენით: არამედ ვარზა-ბაქარ მცირე თეოდოსის ჟამსა არა არს, რამეთუ ვარზა-ბაქარ დიდის თეოდოსის ჟამს იყო, და ძე მისი მირვანოს მცირე თეოდოსის ჟამსა: ესე იცნობის ესრეთ. ვინათ-გან ყრმა წარიყვანეს მურვანოს, და მუნ აღიზარდა მოღუაწებით. და შემდგომად განივლტო და მონაზონ იქმნა: კვალად უკეთუმცა ესრეთ არ იყოს, წელნი მირიანიდამ მეორეს ფარსმანისამდე წერილი არა მისწუდების, და არცა ვახტანგ ლეონ კეისრის ჟამსა იქმნების. ესრეთ უსწორო არს: ხოლო ესე განასწორებს და რიგოვან ჰყოფს რიცხუსა წელთასა მოწმობულებითა.

კვალად ვახტანგისამდე მეფენი რომელნი მუნ წერილ არიან, რამეთუ ვახტანგისამდე მირიანიდამ გარდახდნენო წელნი რნზ. ესე არა მდე ¹⁾ არს, არამედ სიკუდილმდე ვახტანგისა, და ამა-ზედ შევასწორეთ. რამეთუ დაღაცათუ გარდაცულებამდე არა იყოს, ყოველნი სხუანი უსწორო იქმნებიან, და არცა იგი წელი მეორეს ფარსმანისამდე სწორე იქმნების, ვინათ-გან ვახტანგის შემდგომთა მეფეთა მეფობის წელნი წერილ არიან: არამედ ჩვენის რიცხვთ, რათა ჭეშმარიტი იყოს ს წელი, მირიანიდამ ვახტანგის გარდაცულებამდე, წელნი იგივე არიან, რნზ: ესრეთ ჭეშმარიტ სხუათა მემატთანეთა მოწმობითა და მუნ წერილითა რიცხვითა, და მეფენიცა ამას ზედა განვასწორენით, კეისართა და სპარსთა მეფეთა შეთანასწორებითა ვახტანგისამდე.

არამედ ლეონ კეისრისას ვინამენი მემატთანენი სწერენ, მ წელს მეფობასა მისსა, და ჩვენიცა მათ ემოწმების. რომლისა-

¹⁾ მდე n'est pas un mot géorgien, mais une finale inséparable, signifiant jusqu'à; je le laisse pourtant, parce qu'on devine l'intention de l'auteur, qui a bien pu faire exprès ce barbarisme pour plus de brièveté.

თვს ჩვენცა ეგრეთვე ვყვენით და შეთანავასწორეთ ვახტანგის და ლეონის მეფობა: ხოლო სხტანი ათ-შვიდ-მეტსა წელსა ამტკიცებენ ლეონის მეფობასა, რომელი არცა ესე არს წინა-აღმდგომ მისსა: დაღაცათუ არა იყო ლეონ დიდი, არამედ მეორე ლეონცა იგივე აღწერა ჩვენ-მან ცხოვრებამან, და ზენონცა იგივე. და—შემდგომად სპარსთა მეფისა ბრძოლასა ზედა ზენონად წარმოაჩინა სიყუარულისა-თვს: გარნა სხტას ქართლის ცხოვრებაში უსახელოდ კეისარი სწერია. ამითი იქმნება ანასტასი კეისარი, ვითარცა ვჟუწყებთ: ხოლო ვახტანგის შემდგომნი მეფენი რა-ოდენთა წელთა მეფობდენ ცხად არიან ვიდრე მეორის ფარსმანისამდე, და ქმნული ესე ჩვენი ჭეშმარიტ არს, ს წელნი შესრულებულნი მინრიანიდამ ფარსმანისამდე.

კვალად ბაკურ მეფიდამ, გურამ კურატპალატისამდე საჩინო არს კეისრის მავრიკისა-გან, და სპარსთ მეფის ურმუზისა, და ძისა მისისა კოსროსა-გან: ხოლო დავით წინასწარმეტყველის ნათესავის გურამის მოსვლა, ცხოვრება და გამეფება მათი აღვსწერეთ თვსს ადგილს, მით იუწყების: ხოლო სტეფანოზის გურამ კურატპალატის ძისა, ერეკლეოს კეისრისა გამო, და აღარნასე კოსროვიანისა ეგრეთვე: განა ვინათ-გან ჟამსა აღარნასესასა და ერეკლეოს კეისრისასა გამოჩნდა მაჰმად, მოძღუარი სარკინოზთა, ჩვენ იგი მაჰმადის ქორონიკონი ვპოვეთ, რაოდენი ქრისტეს-აქათი ყოფილ არს. ამის მიერ და წლის მრიცხველობით ვიდრე მოწამის არჩილ მეფის სიკუდილისამდე, და ძეთა მისთა იოანეს და ჯუანშერის სიკუდილისამდე, და ვიდრე აშოტ კურატპალატისა ძისა ბაგრატი-სამდე, რომლის გამეფება წერილ არს. რამეთუ მაჰმადის გამოჩინებიდამ ბაგრატი-ს გამეფებამდე, გარდასრულ იყუენენ წელნი სით. ამას ზედა შევასწორენით აღარნასედამ ბაგრატი-სამდე გარდამხდარნი წელნი სით.

ხოლო აშოტ კურატპალატიდამ ვიდრე თამარის მეფობამდე, წერილ არს ყოველთა ქართულნი ქორონიკონნი, და ამით

გამოვრიცხვით ქრისტეს აქეთნიცა: არამედ დავით აღმაშენებლისა წერილ არს, ივ წლისა მეფე იქმნა, და ლვ წელი იმეფა, რომელი იქმნების ნბ წელი. განა მუნავე წერილ არს ივ წლისა გამეფდა და ნზ-სა მოკჳდა. ამ რიცხვით იქმნების მეფობისა მისისა წელი მა. და ჩვენც ესევე აღვწერეთ, ვინათ-გან სხვათა მეფეთა ქორონიკონნი ამას უმეტეს მოწმობენ: და სიკჳდილის დღე შაბათი, იანვარი კდ, ეს ქორონიკონი იქმნების რომელი დავსდევით.

კვალად თამარის გამეფების ქორონიკონი არა არს შეთქმული, რამეთუ წერილ არს, დასაბამითგან იყო ხქვ. ქრისტესი ჩრნვ: ხოლო უკეთუ დასაბამითგანი იგი იყო, ჯერ იყო რათა ქრისტესი ყოფილიმცა იყო ჩროს. დჳ თუცა ქრისტესი ჩრნვ იყო, დასაბამითგანი ჯერ იყო ყოფად ხქმდ. ესრეთ არა ქეშმარიტებს: ხოლო ჩვენ აღექსი ანგაარისა, და ფრანგთა-გან კოსთანტინეპოლის აღების ქორონიკონი ვპოვეთ, მით მათ ზეითი და მას ქვეითი მუნვე წერილის წლის რიცხვეულებით ვყვენით, რომელსა სწერს ის წელს ლაშას გამეფებას, და თამარის კდ წლის მეფობის აღმავალობას, და მისი სიკჳდილის ქორონიკონსა ზედა, რომელი ვპოვეთ, ვყავთ.

ხოლო ძისა თამარის ლაშას სიკჳდილი იქმნა იანვარს ის, ღღესა ოთხ-შაბათსა, ესე ვპოვეთ, რომელია. პირველი, ქრისტეს აქათ, ჩსია. ქართული, ულა. მეორე ქრისტესი ჩსივ, ქართული, ულვ: არამედ ვინათ-გან ჩინგის-ყეენ-მან დაიპყრა სრულიად დიდი თათარი ქორონიკონსა ქრისტესით ჩსბ, და ამ ეამებთა შინა წარმოავლინა სპანი განმსტრობად, და დავით მკირე ყრმა დაშთა ლაშას, და რუსუდანის მეფობის წელი მუნავე წერილითა აღვრიცხეთ. ამის-თვს პირველი უმეტეს მოწმობილი არს, და არცა შემჭირნებულ ჰყოფს მას ქვეითა მეფეთა წელსა, ჩვენცა იგივე აღვსწერეთ, განმართლებისათვს წერილთასა.

კვალად ლაშადამ, დიმიტრი თავ-დადებულისამდე, აღრიცხვითა წელთა და მეფეთა კეისართა მუნ წერილთათა, გვიქმნიეს:

ხოლო დიმიტრი თავ-დადებულისა დაღათუ არა წერილ-არს-
წელი, არამედ წერილ არს თთვის რიცხვი, და დღე შაბათი,
მარხვისა მესამე, ამით ვპოვეთ წელიცა იგი, რომელი ყოფილ
არს ქრისტესი ჩსპთ, ქართული ფთ: ხოლო მეორე, ქრისტესი
ჩტ, ქართული ფკ. და თვინიერ ამისსა, არა არს სხუა: არამედ
ჩვენ ვპოვეთ ბრწყინვალე გიორგისა და ძის ძისა მისისა ბაგრა-
ტის ქორონიკონი ძველთა ქორონიკებთა შინა, და ამით გულ-
დებულ ვიქმენით ლანქთემურის და კონთქრებთა-გან, და რიც-
ხვეულ ვყავით ვახტანგისა და დავითისა, ვახტანგისა და გიორ-
გის, დავითის ძის, მეფობანი. ამის-თვის იგივე პირველი გვე-
ქეშმარიტა და დავსდევით: ხოლო მეორე ესე ფრიად შეამჭირ-
ვებს მათ მეფეთა წელსა და არა სწორ-რიცხვეულ ჰყოფს: ხო-
ლო კვალად ვახტანგ, ნარინ-დავითის ძისა, დავით მეფისა, და
ვახტანგ, ძმისა მისისა, წელნი აღვრიცხვენით მათთა მეფობათათა
და მით წარმოვაჩინენით: არამედ ვახტანგის აღსასრული დაღა-
ცათუ არა საჩინო არს, გარნა იცნობის ესრეთ, რომელნი
აღგვიწერია.

ხოლო გიორგისა და ბრწყინვალე გიორგი, რომელიცა
წარმოვაჩინეთ სცნობს გონიერი მუნ წერილისა ზედა-ქვეთა,
რამეთუ ესრეთ არიან. ვინათ-გან სწერს, დაუტევა დავით მეფე-
მან ძე თვისი გიორგი, წლისა ორისა მეფე ქმნული: და მცირე
გიორგის, რომელსა მოიხსენებს, თუცა პირველ მეფობასა მცირე
იყო, არამედ აწ არღა-რა, წელთა რიცხვისა წარმოჩენითა. ამის
გამო გიორგი დავითის ძე სხვა არს, და დიმიტრის ძე სხუა:
არამედ სიგრძე წელიწადებთა ოლჯათ-ყეენის გამო, რამეთუ
მან ოლჯათ-ყაენ-მან იგ წელი ყეენა, და ამ წელთა აღრიცხ-
ვითა იქმნებიან ესე ორნი გიორგი ესრეთ; ხოლო შემდგომად
ბრწყინვალე გიორგისა მოვიხსენოთ თვისსა ადგილსა ჯეროვნად.

განა სცნობს შემომსლველნი ამას შინა კითხვისად უზაკვე-
ლობით, რამეთუ არა რაჲმე თნებისა, ანუ თუალთ-ღებით წარ-
გვიწერიეს, არამედ შეძლება ჩვენთ ეს ოდენ იყო, და ესრეთ
მიწოდომილ ვიქმენით: ხოლო უკეთუ უმჯობესი ვისმე ძალ-

გიცსთ, ჩვენი ესე თქმული არა დამაყენებელ არიან, ვინათ-გან დედანი იგი მატიანისა შეურყეველად ჰგის, არა ერთი, არამედ მრავალი: განა შრომა ჩვენი არა მცირე იყო, რომელსა ზედა ვიშრომეთ კნინლა წელნი სამნი, მარადის წერიტა, გამოძიებითა მატიანებთა, და ცხოვრებათა ძიებითა. რამეთუ არა დაუტევეთ ხონოლოფნი ბერძნისა, არა თუ ერთისა ვირწმუნებით, არამედ სხუათა და სხუათა შემოწმებითა: ეგრეთვე განყრილობისა შემდგომად, რომაულთა კესართაგან, მეფეთა ევროპიელთა, აწინდელთა სულტნებთა სტამბოლისათა, სპარსთა მეფეთა შიხთათა გამოვიპოვეთ, შემოწმებულად ვქმენით, რომელნი მოწმობენ ჩვენთა მატიანეთა და ქორონიკონებთა. ამისთვს სარწმუნო ვართ, რომელ-მან იხილოს შრომანი ჩვენნი არა საგმობელ გუყოს, არამედ მადრიელ იქმნეს, და მისცეს ლოცუა მიზდისა მოქმედსა დაღათუ არა იქმნას ესე, ჩვენ სურვიელ ვართ აღსრულებად წმიდისა დამასკელის თქმულისა და პლინი სტოიკის სიტყვისა, რათა არა განვლოთ ჟამი უქმობით, რომელ არღა მოვილოთ ნაყოფნი სარგონი მისმიერნი, და თქვენდაცა წინამდებარედ გვიქმნიეს. უკეთუ ვის გინდესთ მიიღოთ. უკეთუ არა, არა არს ძალი, არამედ უმჯობესისა ჩვენება, და რომელმანცა აღირჩიოს იგი ჰყოს, მადლითა და კაცთ-მოყუარებითა ღმერთისათა, მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისათა. ამინ.

ხალო სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს აქეთსა ქორონიკონსა წლისასა ჩემუ, ქართულისა უღგ, ოკდომბერსა კ, მეფის შვილის ვახუშტის მიერ, სამეუფოსა ქალაქის მსკოფვის ზრესნას.



ქართლის ცხოვრება.

ზატოისანო და დიდებულხო ქართველხო, უამთა ვითარებისა-
გან ქართლის ცხოვრება გარყვნილ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ
და რომელიმე უამთა ვითარებისა-გან, არდა-რა წერებულ იყო: ხო-
ლო მეხუთე-მან ვახტანგ, ძემან ლეონისა-მან და ძმის წულ-მან სახე-
ლოფნის გიორგისა-მან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიკვნა,
საც რამ ქართლის ცხოვრებაები ჰოვნა, და კუადად გუჯარნი მცხეთი-
სანი, გელათისანი და მნავალთა ეკკლესიათა და დიდებულთანი, და
შეამოწმეს, და რომელი განყვნილ იყო განმართეს, და სხუვაცა
წერილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისა-
გან გამოხუნეს, და ესრეთ აღაწერინეს. ¹⁾



ზირველად ვაკენხოთ ესრეთ, რამეთუ სომეხთა და ქართულელ-
თა, რანთა და მოვაკნელთა, ჭერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავ-
კასიანთა, ამთა უოველთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს ²⁾: ესე
თარგამოს იყო ძე თარშისა, ძისა ავანანისა ³⁾, ძისა იაფეთისა, ძისა
ნოესა: და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი: და შემდგომად განუოფისა
ენათასა, ოდეს აღაშენა ⁴⁾ ნებროთ ბაბილონს გოდოლი ღ განეუქნეს მუნ

¹⁾ Cette espèce d'introduction se trouve dans toutes les copies que j'ai vues, et même dans le M-it du Tsarévitch Théimouraz, qui servira de base à notre texte; mais ici tout le premier feuillet est d'une autre main que le reste, ce qui permet d'en nier l'antiquité.—Les notes géorgiennes que l'on verra au bas du texte font également partie du M—it; quand j'en insérerai d'autres, j'en ferai connaître l'origine.

²⁾ ადამს აქეთ, ჩხმ წელს უკან, იშუა ნოე, და შემდგომად ქ წელსა იყო წყლით-რღუნა. „Noé naquit 1240 ans après Adam; 600 ans après eut lieu le déluge.“

³⁾ Autres M—its, ავანისა.

⁴⁾ ადამს აქეთ ჩღუტ წელიწადს უკან იყო ნებროთ. „Nebroth parut 1798 ans après Adam.“

ენანი, და განიბნიეს მუნით უოველსა ქქსწყანსა. წარვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით, და დაემკვიდრა ორთა-მათ მათა შორის კაცთა შეუღსა, არარატსა ¹⁾ მასისსა ²⁾, და იუღ ნათესავი მისი დიდი და ურიცხვი, რამეთუ ესხნეს ცოლ-მრავალ, ძენი და ასულები, შვილები და შვილის-შვილები ძეთა და ასულთა მისთანი. რამეთუ ცხონდა იგი ექქს-ას წელი და ვერდა-რა იტევდა ქქსწყანს ³⁾ არარატისა და მასისისა: ქქსწყანს-იგი რომელი წილით ხდომიდა ესე არს საზღუდარი ქქსწყანისა მისისა. აღმოსავლით, ზღუდა გურგანისა, რომელსა აწ გილანის ზღუად სახელ-სდებენ. დასავლით, ზღუდა ჰონტოსა, რომელსა აწ შავ-ზღუად სახელ-სდებენ. სამკრით, მთა ორეთისა, რომელსა არს ქურთთა ქქსწყანსა, ჰირის-ჰირ მიდიისა ⁴⁾ ჩრდილოთ, მთა კავკასია, რომელსა სპარსნი იაღბუზს უწოდებენ.

ხოლო შვილთაგან თარგამოსისთა, გამოჩნდეს კაცნი რჩენი, გმირნი ძლიერნი, და სახელგაყვანი, რომელთა სახელები ესე არს: ჰირქსლსა ერქუა ჭაოს. მეორესა, ქართლსა. მესამესა, ბარდოსა. მეოთხესა, მრავაკან. მეხუთესა, ლეკოს. მეექვსესა, სეროს. მეშვიდესა, კავკას. მერვესა, ეგროს. ესე რჩენი იუჩნეს გმირნი, ხოლო ჭაოს უმეტესი გმირი იუღ უოველთასა. რამეთუ ებე ვითარი არა-ოდეს უოფილ იუღ არცა წელიწადის წინათ, არცა შემდგომად, ტანითა, ძალითა და სიმკნითა: ხოლო ვერდა-რა იტევდა ქქსწყანს არარატისა და მასისისა. განუყო თარგამოს ქქსწყანს და ნათესავი თვისი რჩათა ამათ გმირთა. ნახევარი ნათესავისა მისისა ⁵⁾, და ნახევარი და უმჯობესი ქქსწყანისა მისისა, მისცა ჭაოსს. ხოლო შვილთა ამათ მისცა ხვედრი მათი, არანგებესებრ მათისა, წარმოიუქანნა შვიდნი იგი ჩრდილოთ

¹⁾ არარატი ალგოზია. „l' Ararat est l' Alagöz.“

²⁾ Le M—it T porte მასისასა, au génitif, comme venant du nominatif მასი Masi; mais la grammaire demande le datif, venant de მასიბი, Masis.

³⁾ ქქსწყანსა.

⁴⁾ მიდია თავრები არს.—კავკასია, ელბუზია. „la Médie est Tauréz, ou Tauriz; le Caucase est l' Elbrouz.“

⁵⁾ Les autres M—its portent habituellement, dans les phrases de ce genre, le possessif თვისი, qui est plus régulier.

კერძო და განუუჩნნა ქუჭუანანი ღირსებისაებრ მათისა: მისცა ქართ-
ლასს, და უჩინა საზღვარი. აღმოსავლით, ჭერეთი და მდინარე
ბერდუჯისა¹⁾. დასავლით, ზღუა ჰონტოსი. სამხრით, მთა რომელი
მიჭუეების ბერდუჯის მდინარის თავს, და მთა რომელი მიჭუეების
დასავლით კერძო, რომლისა წყალი კარდმოდის ჩრდილოთ კერძო,
და მიერთვის მტკუარსა, რომელი მიჭუეების მთა შორის კლარჯეთსა,
და ტაოს, ვიდრე ზღვამდის, და ჩრდილოთ საზღვარი დაღო-მთა²⁾,
რომელსა აწ ქუეიან ღიხი. და ამათ საზღვართა საშუალ მისცა
ყოველი ქართლასს: ხოლო ბარდასს მისცა მტკუარს სამხრით,
ბერდუჯის მდინარით-გან ვიდრე სადა შეკრებობან მტკუარი და რაკსი³⁾.
ამან ბარდას ადაშენა ქალაქი ბარდავი, და ეშენა მუნ.

და მოვაკანს⁴⁾ მისცა მტკუარისა ჩრდილო, მცირის ალაზნის
შესართავით-გან ვიდრე ზღვამდე. და ამან ადაშენა ქალაქი მოვაკ-
ნეთი, და დაემკვიდრა მუნ.

ხოლო ჭეროსს მისცა ქუჭუანა მტკუარისა ჩრდილო, მცირისა
ალაზნის შესართავით-გან ვიდრე ტუე-ტბამდე, რომელს აწ ქუეიან
გულგულა. და ამან ჭეროს ადაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა
შორის ორთავე ალაზნისა, და უწოდა სახელი თვისი ჭერეთი⁵⁾,
და მის გამო ქუეიან ჭერეთი, და აწ მის ადგილს ქუეიან ხორანთა.

1) ბერდუჯისა მდინარე ღებელაა. „la riviere Berdoudj est la
Débéda.“

2) ჩრდილო საზღვარი დაღო; ici mes manuscrits ajoutent
რომელი გამოვლის შტოდ კავკასისა-გან, და მოჰკიდავს წვერ-დასასრულსა
დაღო, phrase bizarre, traduite dans la note du texte français.

3) რაკსი—არაზია „le Rakhs, est l' Araz ou Araxe“.

4) მოვაკანი—არს მცირის ალაზნის შესაყარს ქვეით ვიდრე ზღვამდე.
მცირე ალაზანი იორია; „le Mowacan est le pays depuis la jonction
du petit Alazan jusqu'à la mer; le petit Alazan est l' lor“.

5) ჭერეთი არს მცირის ალაზნით ამოღმართ ვიდრე გულ-გულამდე,
ცივს აქეთ და ვიდრე აზანბურამდე და მტკუარამდე. „Le Hereth est le
pays situé sur le haut du petit Alazan, jusqu'à Goulgoula, en—deçà
du mont Tizw, jusqu'à Azanbour et au Mtcouar“. Azanbop n' est pas
connu, dans la géographie moderne de ces contrées. je remarque

ეგრძეს მისცა ქუჭყანა ზღვს უურისა და უჩინა სსზღუარი. აღმოსავლით, მთა მცირე რომეულსა აწ ქუჭვიან ლინი. დასავლით, ზღუეს მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სდა წარსწუთების წვერი კავკასისა. ხოლო ამან ეგრძეს აღაშენა ქალაქი და უწოდა სსხელი თვისი ეგრძისი, აწ მას ადგილსა ქუჭვიან ბედა: ხოლო კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხვედრი თარგამოსისა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიათა ჩრდილოთ ¹⁾, და უმკვდრო იყო ქუჭყანა-იგი კავკასიით-გან ვიდრე მდინარედმდე დიდად, რომელი შესდის ზღვასა დარუბანდისას. ამისთვის მოიუწუნნა მრავალთა გმირთა-გან ორნი გმირნი, ლეკან და კავკასი, და მისცა ლეკანს ზღვით-გან დარუბანდისათა, ვიდრე მდინარედმდე ლომეკისა. ჩრდილოთ, ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთისად ²⁾. და მისცა კავკასის, ლომეკის მდინარით-გან ვიდრე დასსრულადმდე კავკასისა, დასავალით.

ხოლო ჭიას დაემკვდრა საყოფელთა მამისა თვისისა თარგამოსისათა, და დაიპყრა ქუჭყანა ჩრდილოთა, ვითა დაგვიწერია, სსმხრით, მითთ ორეთისით-გან. აღმოსავლით, ვიდრე ზღუადმდე გურგანისა, და დასავალით ვიდრე ზღუადმდე ჰონტოსა, და ამათ შვიდთავე გმირთა ზედან იყო გამგებელ და უფალ ჭიას, და ესე ყოველნი იუწუნეს მორჩილ ჭიასისა ³⁾. და ესე რვანივე ერთობით ჭიანებდეს ნებროთ გმირსა, რომელი იყო პირველი მეფე ყოველისა ქუჭყანისა.

que les noms ჰეროს, ჰერეთი, sont écrits archaïquement ჰროს, ჰრეთი, parceque la lettre U est à elle seule un e aspiré; mais ce genre d'orthographe n'est plus suivi; et même notre M-it porte souvent, dans la suite, ჰერეთი.

Fin du 1-er f.o. du M-it T' qui a été recopié par une main moderne.

¹⁾ Quoique tous les M-its portent კავკასიანთა „au № des Caucasiens“, je propose de lire, et je lis et traduis კავკასიათა „des Caucases, ou plutôt du Caucase.

²⁾ T ხაზარეთისათა.

³⁾ Ici les M-ss ajoutent: და ამათ ყოველთა იყო ერთი ენა, სომხურბ; U. v la traduction française, p. 19, note, et cf p. 9.

შემოდგომად ამის მტკრედთა წელიწადთა, მოუწოდა ჰაოს შვიდ-
თა-მათ გმირთა, შემოკრიბნა და ჰკრქჳ მათ. „მოგვცა ღმერთ-მან
მალა-მან ძალი და სიმრავლე ნათესავის ჩუჭნისა. აწ შეწევნითა
ღმრთისა და მზადებელისათა ვიუენეთ არა-ვისა მონა და არა-ვის ვმსა-
ხურათ, თვინიერ ღმრთისა და მზადებელისათა:“ ეწამნეს შვიდნი-იგი
გმირნი, და დაუმტკიცეს განზრახვა-იგი, და განუდგეს ნებროთს, და
არდა-რა მისცეს ხარკი და ეზრახნეს სხუათა ვიეთმე ნათესავთა, და
დაურგუელდეს სხუანიცა ნათესავნი: მაშინ გაუწერა ნებროთ და შე-
მოკრიბნა გმირნი მისნი, და უფელნი რამელნი ერჩდეს სჳანი მისნი
და მომართა თარგამოსიანთა: ხალა ჰაოს მოუწოდა შუდთავე გმირ-
თა და ნათესავს თარგამოსისა, და შეეწინეს სხვანიცა ვინმე ნა-
თესავნი დასავლეთისანი: შეკრიბნა ჰაოს ესე უფელნი და დადგა
ძირს მასისისსა: და ვითარ მოადგა ნებროთ ქუჭყანასა ადარბადა-
განისსა ¹⁾ და დადგა მუნ, წარავლინა გმირნი სამეცნი, და მათ-
თანა სჳანი ძლიერნი ²⁾ წუობად თარგამოსიანთა: ხალა ვითარცა
მოწინეს სჳანი ნებროთისანი, მაშინ მიეგებნეს შვიდნი-იგი გმირნი
ჰაოსისანი, სჳითა ძლიერთა: ხალა ჰაოს სჳითა უძლიერესითა დაუდგა
უკანით, ზურგით: აქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რამელი
ემსგავსებოდა სასტიკებსა ჰაერისსა. რამეთუ მტვერი ფერკისა მათისა
ვითარცა ღრუბელი სქელი, ელვა აბჯრის მათისა ვითარცა ელვა
ცისა, კმა ზირისა მათისა ვითარცა კმა ქუხილისა, სიმრავლე ისართა
და ტუორცნა ქვისა მათისა ვითარცა სეტუვა კშირი, და დათხევა სისხ-
ლისა მათისა ვითარცა ღვარი სეტუვათა: განგრძელდა ბრძოლა მათ
შორის, და მოსწყდეს ორგნითვე ურიცხვი.

ხალა ჰაოს უდგა ზურგად გმირთა მისთა, ძალ-სცემდა, ნუ-
გეშინის-ცემად, კმითა საზარელითა, რამელი მსგავსი იყო მესის-
ტისისა. მაშინ სძლეს თარგამოსიანთა და მოსწეს სამეცნი-იგი
გმირნი ნებროთისნი და სჳანი მათნი: ხალა შვიდნი ეს გმირნი თარ-

¹⁾ „ადარბადგანი, აღირბეჳანი არს, თავრიზის მიწა: „l' Adarba-
dagan ou Adrlbéjan, qui est lepays de Tauriz“ note des M-ss.

²⁾ M-ss. ურიცხვნი.

გამოსიანნი. ქართლს, ბარდს, მოვკან, ჭერს, ლეკან, კავკასან¹⁾ კერს, ესენი დარჩეს ცოცხლებით, თვინიერ წულულები, და ძლევა-შემოსილნი მადლობდეს ღმერთსა: ხოლო ვითარცა ესმა ნებროთს, განწყურა და წარმოემართა მათ კერძო, უოფლოთა ძალითა მისითა: ხოლო ჭაქს არა ჭევეს სხანი ნებროთის სხათა ოდენი: გამაგრდა იგი ღირდალთა²⁾ შინა მასისისთა. მიუღვა ქუჭქუე კერძო ნებროთ, და იყო იგი ჭურვილი რკინითა და რვალითა, ტერფით-გან ვიდრე თხემამდე: აკდა ერთსა გორსა ზედა ზრხვად ჭაქსისა, და ეტყოდა დამორჩილებასავე მისსა, რათა მიქცევა სთნდეს მისდავე³⁾: ხოლო ჭაქს ჭრქუა ძმათა მისთა, განმომავრეთ ზურგით კერძი ჩემი, და მივეახლოთ ნებროთს.*

და წავიდა და მივიდა⁴⁾ ზირის-ზირ მახლობელად ნებროთისა, სტეოვრცა ისარი და ჭკრა მკერდსა ნებროთისსა, ფიცარსა ზედა, რვალისსა, და განავლო ზურგით: მაშინ დაეცა ნებროთ, და იოტა ბანაკი მისი, და ჭაქს ჭეო თავი თვისი მეფედ ძმათა თჳსთა ზედა და სხუათაცა ნათესავთა ზედა მახლობელთა საზღურათა მისთასა: ხოლო შვიდნივე ესე ძმანი წარვიდეს თჳს თჳსად ქუჭყანად, და იუენეს მორჩილ ჭაქსისა: ხოლო აქამომდის დავწერეთ ჭამბავი ესე რვათავე ძმათა.

ხოლო აქათ-გან ვიწყოთ და წარმოვთქუათ ჭამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა, და ცხოვრება მათი ვიდრე დღეთა ჩუჭნთამდე: და ვითარ-იგი განუყო ქუჭყანა თარგამოს ნათესავსა მისდა, რუათავე შუღთა მისთა, და მისცა ქუჭყანა ქართლსს, რომელი ზემო ადგწერეთ: და ესე ქართლს მთვიდა ზირველად ადგილსა-მას სადა შეერთვის არაგვი. მტკუარსა, და განვიდა მთასა ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი და ზირველად შექმნა სიმავრენი მასზედა და იშენა მუნ ზედა სახლი⁵⁾, და უწოდა მთასა-მას სახელი თავისა თჳსისა

¹⁾ Je laisse cette forme insolite, Caucasian, qui se trouve dans trois M-ss, mais qui devrait être remplacée par კავკასი ou კავკასიან.

²⁾ T. ღირდათა.

³⁾ T. მისი.

⁴⁾ T. წარვიდე მივიდე, „Jepartirai, j'irai près de Nèbroth.“

⁵⁾ Ce petit membre de phrase est rejeté un peu plus loin dans les autres M-ss.

ქართლი, და ვიდრე აღმართებადმდე მუნ ზედა კერპი არმაზისი ერ-
ქუა მთას-მას ქართლი. და მის გამო ეწოდა უოველსა ქართლსა
ქართლი, ხუნანი-გან ვიდრე ზღუადმდე სპერისა: შემდგომად ამისა
ამხვე ქართლსა აღაშენა ციხე რბისა, რომელსა აწ ჰქვიან სამშ-
ვილდე. და კვლად აღაშენა მტკვრის-ციხე, რომელსა აწ ჰქვიან ხუ-
ნანი ¹⁾): ცხონდა იგი მრავალთა წელთა და გამბრავლად ნათესავი
მისი: ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი,
რომელთა სახელები ესე არს: ზირველსა, მცხეთოს. მეორესა, გარდა-
ბოზ. მესამესა, კახოს. მეოთხესა, კუხოს. მეხუთესა, გაჩიოს: ესე
ხუთნივე იუწუნეს გმირნი, არამედ მცხეთოს უგმირე ²⁾ იუო სხვა-
თა-მათ ³⁾): მოკუდა ქართლს, და დაუღეს იგი თავსა ზედა ქართ-
ლისსა, რომელსა აწ ეწოდების არმაზი: და შემდგომად ამისა ცოლ-
მან მისმან აღაშენა დედა-ციხე, და მხვე აღაშენა ბოსტან-ქალაქი,
რომელსა აწ ჰქვიან რუს-თავი: და განუენა ცოლ-მან ქართლსისა-
მან ხუთნივე იგი გმირნი, შვილნი მისნი: მისცა გარდაბოსს ⁴⁾ ხუ-
ნანი, და უჩინა საზღუარი, აღმოსავლით, მდინარე ბერდუჯისი. და-
სავლით ქალაქი გაჩიანი, და სამხრით მთა ზირუჭლ-კსენებუღი, და
ჩრდილოთ მტკუარი.

1) ხუნანი—გატეხილი კილის ციხეა, „Khounan est la citadelle du Pont-Brisé“ aujourd’hui, le Pont-Rouge, sur la Khram, ou Ktzia, non loin de son confluent dans le Kour. Le M-it T porte, ainsi que le mien, მტუერის-ციხე. „Le fort de la Poussiére.“ Pourtant cette même variante se retrouve dans mes trois M-ss, p. 6, 10. J’ignore quelle en est la valeur, d’autant plus que Wakho-ucht, Descript. de la Gé. p. 169, a adopté la lecture Mtcwris-Tzikhé. je suivrai donc l’orthographe du savant prince géorgien.

2) Pour უგმირესი.

3) M-ss. ხუთთავე-მათ.

4) გარდაბანი—ჭაპალის ქვეით ნაკიდურსა ღ ტაგნავეთის ქვეით ვიდრე მტკვრამდე ეწოდების; „On appelle Cardaban le pays aubessous de Dchapala, de Nakhidour et de Tagnagétha, jusqu’au Mtcouar.“ N. des M-ss.

ხელთ გაჩიოს მისცა ორბის-ციხე, და სკვირეთისა ¹⁾ მდინარით-გან თავადმდე აბოცისა და ამან გაჩიოს აღაშენა ქალაქი გაჩიანი, რომელსა მაშინ ერქვა სანადირო-ქალაქი.

ხელთ კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ქქვიან რუს-თავი: მისცა არაგვით-გან ვიდრე ჭერეთამდე, თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკვარს შუა.

ხელთ კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვით-გან ვიდრე ტყე-ტბად-მე, რომელთა არს საზღაწერი ჭერეთისა. და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი და, კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რამეთუ დედა-ციხე კახოსის ხედი იყო, და მისცა კახოს შეწვენისა-თვის და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქვა, ჰირველ შენებულსა კახეთისასა ²⁾: ხელთ მცხეთოს, რომელი უგვირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლელისათა, რომელსა აწ ქქვიან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკვარისა და არაგვისასა, და უწოდა სახელი თჳსი. მცხეთა, და დაიპყრა ქუჭყანა, ტფილისით-გან და არაგვით-გან, დასავლით ვიდრე ზღვამდე სპერისა: და ესე იყო განგმე და უფალ მათ ოთხთავე ძმათა ზედა, და ესე ოთხნივე იუწეს მორჩილ მისსა: ესე არიან განყოფიანი ქართლელის ძეთანი და რომელნი განუუწესა დედამან მათ-მან შემდგომად სიკუდილისა ქართლელისა: ხელთ მრავალთა წელთა და მრავალთა ჟამთა ცხონდა ქე ქართლელისი და განმრავლდა ნათესავი მისი, და მათ ყოველთაგან-მრავლდა ნათესავი მათი.

1) სკვირეთის მდინარე მაშავერია; „La rivière de Scwireth est la Machawer.“ M-ss.

2) კახეთი არს თურღოს კვეს ზეით თიანეთი, ვიდრე კვესურეთამდე; კუხეთი არს ნინო-წმინდის ზეით სამგორი, და იმის ზეით ერწოს მთამდის და არაგვამდის; „Le Cakheth est le Thianneth, au-dessus de la vallee de Thourdo, jusqu'au Khewsoureth; le Coukheth est Sam-Gor, au-dessus de Nino-Tsminda, et plus haut que le Sam-Gor jusqu'à la montagne d'Ertso et à l'Aragwi;“ N. de mon M-it.

ხელთ შჯლთა შორის მცხეთოსისათა გამიხნდეს სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს. შირქსლსა, უფლას, მეორესა, ოძრკოს. მესამესა, ჯავახოს: განუფო მათ ქქსლსა და ნათესავი მათი, უოველი: ოძრკოსს მისცა ტასის-კართ-გან ვიდრე ზღქამდე სპერისა, ქვეყანა კლდოვანი. ამან ოძრკოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი, ოძრკე და თუხარისი: ხელთ ჯავახოსს მისცა ფანავრით-გან ვიდრე თავადმდე მტკურისა. და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქვა ქაჯთა-ქალაქი, ხელთ აწ ქქვიან ჭური: ხელთ უფლას დარჩა საუოფელთა მამისა მათისა მცხეთოსისა, მცხეთას, დაიპურა ქქსლსა არაკვიდ-გან ვიდრე ტასის-კარამდე, და ფანავარამდენ. და ამან აღაშენა უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი. არაკვიით-გან და არმაზით-გან ვიდრე ტასის-კართამდე უწოდა ამას ქქსლსანს ზენას-სოფლისა¹⁾, რომელსა აწ ქქვიან შიდა-ქართლი²⁾:

ხელთ ვიდრე სიკუდილამდე მცხეთოსისა, ესე უოველნი ნათესავნი თარგამოსისნი იუუნეს სიუუარულსა ზედა ერთმან-ერთისასა, და შიში აქუნდათ ნებროთიანთა, და ჭკონებდენ იგინი ნებროთიანთაგან ძებნასა სისხლისა ნებროთისასა, და ისწრაფდეს იგინი მაგრებასა³⁾ ციხე-ქალაქთასა შიშისა-თჳს ნებროთიანთასა. ხელთ ვითარცა მცხეთოს მოკუდა, ძე ქართლოსისი, შთავარდა შური შორის შჯლთა ქართლოსისთა. იწუეს ბრძოლათ და კდომად ურთიერთარს⁴⁾. რამეთუ უფლასს, ძესა მცხეთოსისა, არა ერჩიდეს, არცა ხადოდეს

1) M-ss, ზედა-სოფელი; ces deux formes se retrouvent dans les livres postérieurs.

2) შიდა-ქართლი არს ტასის-კარს ქვეითი; ზემო-ქართლი არს ტასის-კარს ზემო. სამცხე და კლარჯეთი. „Le Chida-Karthli est le pays au-dessus de Tasis-Car; le Zémo—Karthli est le Samtzkhé et le Clardjeth, au-dessus de Tasis-Car.“ N. de mon M-it.

3) მატებასა, M-ss,

4) jusqu'à la fin du §, on lit ce qui suit, dans le mit R. და არღარა მორჩილებდეს უფლოვსა, არამედ თვითოეულ-მან კერძო მან სრულიად საქართველოსა შინა აღირჩინეს თავადნი კაცნი მათ შორის და უწოდეს მამასახლისად ე. ი. მამა სახლთა (ანუ მამად მოსახლეთა) და მართევდენ მათ

უფლად, რომელი დატეკებულ იყო სყუდართა¹⁾ ქართლსისათა, მამისა²⁾ მისისა-გან მიცემულ³⁾ იყო უფლობა ქართლსისათა: იწყეს ბრძოლად და კდომად ურთიერთარს, და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა, რომელ უამსამე⁴⁾ აღდგიან ამათგანნი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა და სხუანი შეეწყოდიან რომელნიმე მას. და რომელნიმე კვალად სხუანი აღდგიან ერთმან-ერთსა ზედა, და სხუანი შეეწყოდიან. რომელსამე უამსა იქმნის მშვიდობა მათ შორის, და შეიშაღნიან და ებრძოდინ: და განაგრძელდა მათ შორის ესე-ვითარი საქმე, და არა-გინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილითი-ადგილად თავადნი იჩინიან: ხოლო რომელიცა იუგუნის მცხეთას რეცა თავადთ იგი იუგუნის უკველთა-მათ სხუათა ზედა, და არცა სახელ-ედებოდათ შეუედ, არცა ერის-თავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ, და იგი იუგუნის მამავებულ და ბჭე სხუათა ქართლსისათა, რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს უკველთასა, და უწოდდეს დედა-ქალაქად: და მას უამსა დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა, და ვარსკლავთა ხუთთა, და მტკიცე და უფეროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლსისა.

მამასახლისნი: და შემდგომად განაგრძელდა-რა მათ შორის მმართველობა მამასახლისთა, დამშვდდენ კვალად ქართლსისანი, და აქუნდათ ურთიერთისადმი მშვდობა და ერთობა, და მამასახლისნი განაგებდეს მათ: მას უამსა შინა ქალაქი მცხეთა უმეტეს განდიდნა და ხალხი უმრავლეს იქმნა: და შემდგომად დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თვისი და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა, და ვარსკლავთა ხუთთა და ჰფიცევდენ იგინი საფლავსა ქართლსისასა.

¹⁾ M-ss ajoutent ici ზედა.

²⁾ M-ss ajoutent რამეთუ, avant ce mot.

³⁾ M-ss სრულ.

⁴⁾ M-ss უამსამდე.

1. კ ს მ ო ს ლ ვ ა ხ ა ზ ა რ თ ა ¹⁾

მას ჟამსა შინა განძლიერდეს ხაზარნი და დაუწიეს ბრძოლას ხათესავსა ლეკისთა და კავკასიოსთა ²⁾; ესე თარგამოსიანნი უოველნი მას ჟამსა იუენეს მშვიდობით, სიუარულსა ერთმანეთისასა, ხოლო შვილთა ზედა კავკასიოსთა იყო უფალ ღურძუკ, ძე ტირეთისი; ეზარხნეს ესე ექუსთავე ხათესავთა თარგამოსიანთა და ითხოვეს შველას ხაზართა ზედა. ხოლო შეკრბეს უოველნი ხათესავნი თარგამოსიანნი, და გარდავიეს მთა კავკასიაჲ და მოსტყუწნეს უოველნი სარღჯარნი ხაზარეთისანი, და აღაშენეს ³⁾ ქალაქნი შირსა ხაზარეთისასა, და წარმოვიდეს: ამისსა შემდგომად, ხაზართა იჩინეს მეფე და დაემორჩილნეს უოველნი ხაზარნი მეფესა-მას ჩინებულსა მათსა, და წარმოიძღუნეს იგი ⁴⁾, და გამოვიეს ზღვის-კარი, რომელსა აწ ქვიან დარუბანდი: ვერ წინა-აღუდგეს თარგამოსიანნი, რამეთუ იყო სიმრავლე ურიცხვი ხაზართა: წარტყვიეს ქუზყანანი თარგამოსიანთანი და შეჭმურნეს უოველნი ქალაქნი არარატისანი და მასისისანი, და ჩრდილოეთისანი. ხოლო დაურჩეს ციხე-ქალაქნი თუხარისისა, სამშვილდე და მტკვრის-ციხე, რომელ არს ხუნანი, შიდა-ქართლი და ეგრისი: და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღვის-კარი, დარუბანდი, და არაგვს ⁵⁾ კარი, რომელ არს დარიალა ⁶⁾. და განამრავლეს ხაზართა გამოსლუა და ტყვეენვა მათი და

1) ხაზარი—რუსეთია, „Khazar, c'est la Russie;“ n. de mon M-it.

2) Précédément, p. 1, ce personnage est nommé simplement Caucas, et non Caucasio; mais je laisse subsister cette variante, parce que les M-ss donnent ici celle, plus défectueuse encore კავკასიოსთა, qui va se retrouver plus bas.

3) M-ss დაიპყრნეს „ils prirent les uilles“.

4) იგინი.

5) M R. და მეორე გზა დარიელასი, რომელი გარდამოვლის კავკასიასა, არაგვის გზით, „et la seconde. celle de Dariéla, qui franchit le Caucase en suivant l'Aragwi.“ Mes M-ss portent ici არაბის-კარი, la porte de l'Arabe.“

6) Le M-it porte très lisiblement la leçon Darqhala. et les autres დარიელა, Dariéla, or si, dans les M-ss khoutzouri en lettres

ვერდა-რს წინა-აღუდგეს, და მიერთ-გან იქმნეს უფველნი თარგამო-
სიანნი მხარეკე ხაზართა: ხოლო ოდეს ზირველ გამოვიდა ხაზართა
მეფე და მოსტუევენსა ქუჭყანსანი რომელნი ზემოთ დაგვიწერია,
და გარდავლო მთა კავკასია, და იყო ძე მისი სახელით უობოს, და
მისცა ძესა მისსა ტუევე სომხითისა და ქართლისა. და მისცა ქუჭ-
ყანა, კავკასიის ნაწილი: ლომეკის მდინარისა და დასავლით, დასავ-
ლეთადმდე მთისა, და დაეშენა: უობოს და მათნი ნათესავნი არიან
ოსენი, და იგი არს ოვსეთი, რომელ ნაწილი იყო კავკასიისა: და
დურძუკ, რომელი უწარხინებულეს იყო შვილთა შორის კავკასიისთა,
მივიდა და დაჯდა ნაზრალსა შინა მთისსა, უწოდა სახელი თჳსი დურ-
ძუკეთი. და მისცემდა ხარკსა მეფესა ხაზართსა.

ხოლო მასვე გზოდსა მისცა მამის ძმის-წუელსა მისსა ხაზარ-
თა მეფე-მან ნაწილი ლეკანისა, აღმოსავლით, ზღვით-გან დარუბან-
დისით, მდინარემდე ლომეკისა და მისცა ტუევე რანისა და მთ-
ვანისა, და ეშენა იგი მუნ რომელ ნაწილი იყო ლეკანისი:
ხოზანის¹⁾, რომელი უწარხინებულეს იყო ნათესავთა შორის ლეკან-
ისთა. მივიდა და დაჯდა ნაზრალსა შინა მთისსა, ადაშენა ქალა-
ქი და უწოდა სახელი თჳსი ხოზანისეთი²⁾: და გარდახდეს მას

minuscules, le **ⴓ** i et le **ⴓ** qh s' écrivent de même et peuvent se confondre, et si, dans notre M-it T, le **ⴓ** est souvent écrit comme **ⴓ**, il n'en est pas de même dans ceux en lettres capitales, comme j'en ai vu un au Comptoir synodal de Tiflis, que je crois être du IX ou du Xe siècle. Là ce mot se lit clairement, dans la Vie de S. Abo, **ՄՆԺԻՆԻՆԻ**, Darialani, et non **ՄՆԺԻՆԻՆԻ** Darqhalani, d'où je suis très porté à conclure que le vrai nom est le premier des deux ici indiqués, Darialani, d'où s'est formé Darial, Dariéla, Dariel.

¹⁾ Il est impossible de lire autrement ce nom, dont Wakhoucht, dans sa Géogr. de la Gé., p. 227, fait K h o z o n i s; M-it R; ხოზონის- cf. Chron. arm.

²⁾ Quoiqu'il le M-it porte ხოზანეთი, je n'hésite pas à ajouter le premier, qui me paraît nécessaire pour la régularité de la dérivation. Corrigez dans ce sens la n. p. 223, Wakhoucht, Géogr. de la Géorgie.

შინა უამნი მრავალნი ¹⁾), და ესე უოველნი ნათესავნი იუენეს მოხარკე ხაზართა.

მიერით-გან განძლიერდეს სზარსნი, მიზის აღმოსავლით-გან, ნათესავნი ნებროთისნი და გამოუზნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი ერთი გმირი, აფრიდონ. „რომელ-მან შეკრა ჯაჭვითა ბევრასთუ, გველთა უფალით, და დააბა მთასა ზედა რომელ არს კაცთ-შეუალით ²⁾“ ესე-გითარი წერილ არს ცხოვრებასა სზარსთასა: აფრიდონ ეუფლა უოველსა ქრესტანასა სზარსთასა, ხოლო რომელთამე ქვეყანათა შეგზავნნა ერისთავნი, კელადნი მისნი, და რომელიმე ქრესტანა მოხარკე ეყო: ამან წარმოგზავნა ერის-თავი თვისი, სზითა დიდითა, რომელსა ერქუა არდამ, შვილი ნებროთის ³⁾ ნათესავთა. მოვიდა ქართლად და შემუსრნა უოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი, და მოსრნა უოველნი რა-ოდენნი ხაზარნი ზოვნნა ქართლსა შინა: ამან არდამ ერისთავ-მან აღაშენა ქალაქი ზღვის-კარს, და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმნების „დაკმა კარი.“ და მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვით-კირითა. და აქამომდე არა იყო ქართლს შინა საქმე ქვით-კირისა. ამის გამო დანსწავლეს ქვით-კირი: ამანვე არდამ ⁴⁾ მოჰკიდა კირით ზღუდე ციხესა არმაზისასა, და აქათ მტკვრამდის და წარმოზღუდა ცხვირი არმაზისი, ვიდრე მტკვრამდე: და ერისთავობდა აგადონ მრავალთა წუღთა. ხოლო ოდეს განუყო აფრიდონ უოველი ქრესტანა სამთა ძეთა მისთა, მაშინ რომელსაცა ძეს მისცა სახლად სზარსეთი, მასვე ხვდა წილად ქართლი, რომელსა სახელად ერქვა იარკედ: ხოლო შემდგომად აღარმა ⁵⁾ ერის-თავისა გარდა-იცვალნეს დ ერის-თავნი, მიერით-გან უცალო იქმნეს ძენი აფრი-

1) Dans le M. R. on lit aulien de ce qui suit, jusqu'à მიერით-გან, და იბრძოდეს მარადის ხაზარნი და ქართლოსიანნი ჭრთიერთარს; „et les Khazars et les Karthlosides étaient perpétuellement en guerre.“

2) Les α qui terminent plusieurs mots de cette phrase indiquent que c'est une citation.

3) T ნებროთისი.

4) T. აღარ, v. infra აღარმა, et Chron. arm.

5) Lis. არდამ, comme plus haut.

დონისნი, რამეთუ იწიეს ბრძოლად ურთიერთაჲს, და მოკლეს ერთა ძმათა იარქედ, ძმა მათი. მაშინ ჰოვეს უამი მარჯვე ქართლსიანთა ¹⁾)... ბერძენთასა. ხოლო ეგრის-წყლის ქვემოთ დაჩხა ბერძენთა. რამეთუ მკვდრთა მის ადგილისათა ეზრახნეს ოვსთა, გარდმოიუვანეს ოვსნი და ჰხოვეს ერის-თავი სპარსთა ველსა გარე, და კნისობად, და მოკლეს იგი. და რამელ ჰხოვეს სპარსი, ყოველი მოსწყვიდეს ოვსთა და ქართულთა, და განთავისუფლეს ქართულნი ხოლო რანი და ჭერეთი დაჩხა სპარსთა: და შემდგომად ამისა, მრავალთა წელაწადთა, კვა-

¹⁾ Il est évident qu'après ce mot, il manque quelque chose, qui servait de transition au suivant, et á la phrase où il est encore question des Grecs. D'ailleurs, après le mot ბერძენთასა, on lit dans le M-it T: აქ ამბავი აკლდა დედნებს, „ici les originaux avaient une lacune dans l'histoire.“ Cette même lacune existait dans le M-it dont Klaproth a fait usage, et est indiquée dans le commencement de traduction russe des Annales, existant au Musée asiatique; v. S.-Martin, Mém. t. II. p. 190. Faut-il conclure de-là que la mention des Grecs, venue-là si subitement, soit exacte? on pourrait le croire, en voyant comment le M-it R remplit cette lacune: და შეეწიეს ბერძენნიცა, და მოვლეს ერის თავი სპარსთა, და ყოველი მხედრობა მათი გარდაწყვიტეს და განთავისუფლდა სპარსთა-გან საქართველო, და აქვნდათ მმართველად-მამასახლისნი თვისნი, და რყოფოდეს შეერთებით ყოველსა განზრახვასა და საქმესა შინა: ამჟს შინა, განვლეს რა-ოდენთამე ეამთა, და გადინდა... Suiv, p. 8. „Les Grecs les ayant secourus, ayant tué l'eristhaw perse et massacré son armée, la Géorgie fut affranchie des Perses. Sous le gouvernement de leurs mamasaklis, ils furent d'accord dans tous leurs projets et actions. Cependant, quand il se fut écoulé de la sorte bien des années un roi de Perse, nommé Kécapous, devint puissant...“ Ici nulle mention des Osses ni des possessions des Grecs dans les pays géorgiens. J'ajoute que, dans le M-it T, il y avait réellement un vide commençant ici au milieu d'un verso, et se prolongeant durant deux pages et demie jusqu' à l'endroit indiqué plus bas, vide qui a été comblé par un autre écrivain, et dont le contenu est entièrement semblable á celui de mon M-it L, abrégé de la Chron. arm. et celui de Wakhoucht sont rédigés dans le même sens.

ლად განძლიერდეს სპსნი, და ¹⁾ განდიდნა მეფე სპსსთა, რომელსა ერქვა ქეკაზოს: იყო კაცი ვინმე მას უამსა ლეკეთს, მკრძნობელი, ნათესავი ზანინისი ²⁾, და მან გრძნებითა თვისითა დააბრმო ქეკაზოს მეფე და სპა მისი, და ვერ შევიდა ლეკეთს: უკ-მოიქცა, და მაშინლა განუნათლდათ თვალები. ამან ქეკაზოს მეფე-მ კვალად მოხარკე უნა ქართულნი და წარვიდა.

შემდგომად ამისსა რა-ოდენტამე წელიწადთა, მოვიდა ჰამბავი ვითარმედ მოსე განავლო ჩღვა ისრაელთა, და იზრდებიან იგნი უდაბნოსა მანანათა. განკვირდეს უოველნი და მათ უოველთა წარმართთა აქეს ღმერთი ისრაელთა.

და შემდგომად ამისსა რა-ოდენტამე წელიწადთა, უცალო იქმნა ქეკაზოს მეფე სპსსთა, რამეთუ იყო ბრძოლა თურქთა. ზოეს უამი მარჯულ სომეხთა და ქართულთა და განუდგეს სპსსთა, და განამარცხეს ციხენი და ქალაქნი მათნი, და შეიერთნეს უოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი: შემდგომად ამისსა რა-ოდენტამე წელიწადთა, გამოგზავნა ქეკაზოს, სპსსთა მეფე მან, ძე მისი რომელსა ერქვა ფარშოროტ, სპითა დიდითა, სომეხთა და ქართულთა და უოველთა თარგამოსიანთა ზედა: ხოლო შეკრბეს ესე უოველნი თარგამოსიანნი, მიეკებნეს და ეწეუნეს არდაბადაგანს. სძლეს, და იოტეს ფარშოროტ, და მოსპეს სპა მისი: შემდგომად ამისსა მცირედთა წელიწადთა, კვალად მოგზავნა ამანვე ქეკაზოს ძის-წულ მისი, ძე შიომ ბედნიერისა, რომელი მოიკლა თურქეთს, ვითარცა წერილ არს წიგნთა სპსსთა ცხოვრებისსა, არა უოველი მართალი, არამედ უმრავლესი ტყუელი: წარემართა ესე ძე შიომისი, სახელით ქაიხოსრო: ვერ წინა-ადუდგეს მას სომეხნი და ქართულნი, რამეთუ დიდი იყო ძალი მისი: მოვლო უოველი სომხითი და ქართლი, მოტყუენა უოველივე და იავარ უნა უოველნი ციხენი და ქალაქნი, და დაუტყენა ერის-თავნი, და აღაშენა ადრბადაგანს სახლი საღვთავი სჯულისა მათისა, და წარვიდა.

1) Ici finit la variante, du M-it R.

2) Il faudrait, je crois, lire ici ხანინისი, i. e. le nom du personnage nommé déjà de diverses manières, p. 7.

და შემდგომად ამისა რა-ოდენთამე წელიწადთა, უცალო იქმნა ქაიხოსრო, და იწყო ბრძოლად თურქთა, ეძებდა სისხლსა მამისა მათისასა. და იზოეს ყამი სომეხთა და ქართულთა. განუდგეს სპარსთა, და მოსრნეს ერის-თავნი სპარსთანი და განთავისუფლდენ: მასვე ყამისა მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსა-გან. გამოვიდეს ზღუა გურგანისი, აღმოვიდეს მტკვარსა და მოვიდეს მცხეთას, სახლი ოცდა რვა¹⁾: და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქმულს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამა-სახლის-მან მცხეთელ-მან აუწყა ყოველთა ქართულთა. ინებეს დამეგობრება მათრ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შემწეობისა-თვის დაიმეგობრნეს თურქნი-იგი გამოსხმულნი, და განიყვანეს ყოველსა²⁾ ქალაქთა შინა.

ხოლო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და ზოეს ადგილი ერთი, მცხეთას დასავალით კერძო, კლდეთა შორის გამოკვეთილი, ღრმა. და მოითხოეს ადგილი-იგი მცხეთელის მამასახლისისა-გან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე: და იუწინეს ესე თურქნი და ქართულნი ნების შეუფელ ერთმან-ერთისა, მოელოდეს მოსლვასა სპარსთასა, და ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა: მას ყამისა შინა სადაც ვინ მოვიდის, ოტებულნი საბერძნეთით, გინა ასურეთით, გინა ხაზარეთით, ყოველივე დაიმეგობრიან ქართულთა, შემწეობისთჳს სპარსთა ზედა: და გამოვიდეს ამას შინა ყამნი მრავალნი.

მაშინ ნახუქოდონოსორ მეფე-მან წარმოსტევენა იელუსალიმი, და მუნით ოტებულნი ჰურიანი მოვიდეს ქართლს, მოითხოეს მცხეთელ მამასახლისისა-გან ქვეყანა ხარკითა. ხოლო მცხეთელ-მან მამასახლის-მან მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა რომე ქვან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა აწ ქვან ხერკ, ხარკისა-მის-თჳს.

აქამოდის ქართლოსიანთა ენა სომხური³⁾ იყო, რომელსა ზრახვდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხჳნი ნათესავნი ქართლ-

1) M. R. ოც და რვა ათასი, „28,000 familles.“

2) Au lieu de ყოველთა, dans les divers M-ss.

3) M-ss მხოლოდ ქართული იყო; „leur langue était uniquement la géorgienne.“

სა შინა, მაშინ ქართულთადაც დაუტევეს ენა სომხური, და ამათ ყოველთა ნათესავთა-გან შეიქმნა ენა ქართული¹⁾: დაიზურეს სჯულის უბოროტესი ყოველთა ნათესავთას. რამეთუ ცოლ-ქმრობის-თვს არ უზნდათ ნათესაობა და ყოველსა სულიერსა ჭამდეს. საფლავი არა იყო, მკურდარსა შესჭამდეს.

შემდგომად ამისსა რა-ოდენთამე წელიწადთა, აღმოვიდა ძე სპარსთა მეფის ვაშტაშაბისა, სახელით სპანდიატ-რვალი, გოლიათი და სახელოვანი: ხოლო ვერ წინა-აღუდგეს სომეხნი და ქართულნი, არამედ განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი და მოკლდნენ მოსვლასა მისსა: ხოლო მოვიდა-რა იგი აღარბადაგანს, ეწია ამბავი ვითარმედ შევიდეს თურქნი სპარსეთად და მოკლეს მამის მამაჲ მისი. მაშინ დაუტევეს სპანდიატ ბრძოლა სომეხთა და ქართულთა, შეიქცა თურქთ-ზედა, ძებნად სისხლისა მამის მამისა მისისა, და განთავისუფლდეს²⁾ სომეხნი და ქართულნი.

შემდგომად ამისსა რა-ოდენთამე წელიწადთა, მეფე იქმნა სპარსეთს ძე სპანდიატ-რვალისა, რომელსა ერქვა სახელად ბაჰმან, რომელი იცნობების არდაშირობით: ესე განდიდნა უფროს ყოველთა მეფეთა სპარსთასა; ამაჲნი დაიზურა ბაბილოვანი და ასურეთი, მოხარკე ყუნა ბერძენნი და ჰრომნი, და მაშინ ქართულნი მოხარკე იუვნეს მისდავე: და იუვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე³⁾ ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექნეს ენა. სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრეული და ბერძნული. ესე ენანი იუვნეს და იცოდეს ყოველთა ქართველთა⁴⁾, მამათა და დედათა.

1) M-ss გარყვნეს ენა თვისი, და ამათ ყოველთა ნათესავთა-გან შეიქმნა ენა მრავალი; „Les Géorgiens aussi ayant altéré leur langue, il y eut chez toutes ces races une grande diversité d'idiomes.“

2) T. განთავისუფლნა, „il affranchit les Arméniens.“

3) T. ესრეთ.

4) M-ss ყოველთა მეფეთა ქართლისათა; „tous les rois de Géorgie.“

შემოსვლა ალექსანდრე მაკედონელისა.

ესე ალექსანდრე გამოხდა ქუჭუნასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა-მას რომელსა ჰქვიათ მაკედონია, ძე ფილიპესი კაცობისა ¹⁾ მეგვიზტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა: ამან ალექსანდრე-მ დაიბურსა უოველნი კიდენი ქუჭუნისანი: ესე გამოვიდა დასავლით, და შევიდა სამხრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდმოვლო კავკასნი და მოვიდა ქართლად: და ჰპოვნა უოველნი ქართველნი უბოროტეს უოველთა ნათესავთა, სჯულითა. რამეთუ ცოლ-ქრმობისა და სიძვისა-თჳს არა უხნდათ ნათესაობა, უოველსა სულსა ჭამდეს, მკუდასსა შესჭამდეს ²⁾: იხილა-რად ესე ნათესავნი, სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩვენ ბუნთურქად და ეიფიყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკურისასა მიხვევით, და-უკურდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არა-რომელნი ნათესავნი იქმოდეს ამას.

და პოვნა ციხე-ქალაქნი ძლიერნი შუა-ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკურისა. ოძრკე, მოვიდებული კლდესა დადოსსა. თუხარისი, მდინარესა ზედა სპერისსა, რომელსა ქვიან ჭოროხი. ურბნისი, კასპი ჭ უფლის-ციხე. ქალაქი დიდი მცხეთა, ჭ უბანნი მისნი: საკინე, ციხე-დიდი, და ზანავი, უბანი ურიათა და რუს-თავი, და დედა-ციხე. სამ-შულდე ³⁾ და მტკურის-ციხე, რომელ არს ხუნანი, და კახეთის ქალაქნი. ამათ უოველთა ციხეთა და ქალაქთა შინა პოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი, და განუყო ლაშქარი მისი, და უოველთა ამათ ციხე-ქალაქთა გარე მოადგინნა: და თჳთ დადგა მცხეთას, და დაუდგინნა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოთ და ქუჭუმოთ, და თჳთ დადგა ქსანს ზედა, ადგილსა რომელსა ქვიან ნასტაკისი: მტკურის-ციხესა ⁴⁾ და

¹⁾ M-ss. ძენი კაცობისი.

²⁾ M-ss. ვითარცა მკეცნი და პირ-უტყენი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უკმ არს; v. la traduction de ceci, en note du texte français.

³⁾ Ici finit l'addition signalée plus haut dans le M-it T.

⁴⁾ Ici, comme p. 4, 6, le M-it T porte მტკურის-ციხე, fort de la poussière, bien qu'on lise plus haut მტკურის-ციხე, dont le sens n'est pas clair, et qui paraît être une faute de copiste.

თუხარისსა არა ბრძოდა, რამეთუ ვერ შეუძლებდა დაპყრობად, ხოლო სხუნისი ესე ციხენი და ქალაქნი დაიპყრნა ექუს თთქს; ხოლო სარკინელთა ბუნთურქთაგანთა ავინეს მეფესა. განუწერა ალექსანდრე და არდა-რა ინება ზავი, და ვედრება მათი არა შეიწყინარა, და რქვა მათ. „ავინათ-გან მაგინეთ მე, ესე არს ნაწილი თქუნი, რათა დაგკოცნე ყოველნი:“ და მოიცვა ქალაქი სარკინე, და ვერა-სადით განეკრთიდა კაცი. ხოლო სარკინელთა შესჭიდა, რამეთუ ბრძოლას თერთმეტ თთქს. იწუეს ფარულად კლდეს კათა, და განკურთეს კლდე იგი, რომელი რბილ იყო და აღვლად საკურეტელი, და განკრბეს კურელსა-მას სარკინელი, დამე, და შეივლტოდეს კავკასად, და დაუტევეს ცალიერადი ქალაქი, დაიპყრნა ალექსანდრემ ყოველი ქართლი: და ამა ალექსანდრე-მ მოსრნა ყოველნი-იგი ნათესავნი აღრეულნი, ქართლს მეოფნი, და უცხონი-იგი ნათესავნი აღრეულნი, ქართლს მეოფნი, და უცხონი-იგი ნათესავნი მოსრნა, და დატუევნა, და დედანი და ერმანი უცებნი, თხუთმეტის წლისა უმცირესნი, და დაუტევნა ნათესავნი ქართლსიანნი, და დაუტევა მათ ზედა ჰატრიკად, სახელით აზონ, ძე იარედოსისი, ნათესავი მისი, ქუჭყანით მაკედონით. და მისცა ასი ათასი კაცი ქუჭყანით რომით, რომელსა ჰქვიან ფროტათოს: ესე ფროტათოსელი იუჟნეს კაცი ძლიერნი და მკენი, ეკირთებოდეს ქუჭყანსა რომისსა, და მოიუვანნა ქართლად, მისცა აზონს ჰატრიკსა, და დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ ჰატრიკსა, და ამისთანა სპანი-იგი მპყრობლად ქართლისა.

და უბრძანა ალექსანდრე-მ აზონს, რათა ჰატრიკ-სცემდენ მზესა და მთავარესა, და ვარსკუთავთა ხუთთა, და მსახურებდენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა. რამეთუ მას უამსა არა იყო წინასწარმეტყველი ღმობღვარი სჯულისა ჭეშმარიტისა, რომელმანცა ასწავა და ამხილა, არამედ მოიგონა სჯული ესე ალექსანდრე, მეფობასა შინა მისსა, ყოველსა ქუჭყანსა-სჯული ესე დაუდვა. და წარვიდა ალექსანდრე.

ხოლო ამან აზონმან მოარღვივნა ზღუდენი ქალაქისა მცხეთას, საფუძველითურთ, და დაუტევნა ოთხნი-იგი ციხენი, რომლნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისსა. თავადი ციხე რომელ არს არმაზი, და ერთი ციხე დასასრულსა არმაზის ცხვირისსა, და ერთი თავსა ზედა

მცხეთისას. მეოთხე ციხე, დასავლით, მცხეთა მტკვარსა ზედა. და ესენი მომტკიცნა და განავსნა იგინი ლაშქრითა, და ყოველთა ქართლისა ქალაქთა ¹⁾ მოარღვივნა ზღუდენი, და დაიბურნა ყოველნი საზღუარნი ქართლისანი, ბერდუჯის მდინარით-გან, ვიდრე ზღუამდე სპერისა. დაიბურნა ქართლსა ზედა ეგრისიცა, და მოხარკე უქნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი.

და ვითარ წარვიდა ალექსანდრე ეგვიპტედ, და ვითარ აღაშენა ქალაქი ალექსანდრია, და თორმეტ წლამდის მოვლო ყოველი ქვეყანა, თორმეტს წელსა შინა დაეპურნეს ყოველი კიდენი ქრესტიანისანი, და მეთორმეტსა ²⁾ წელსა შინა ალექსანდრიას შინა მოკუდა იგი უსწორად დიდი კელმწიფე: და ვითარ მოკუდებოდა იგი, მისსავე სიცოცხლესა შინა განუტეგნა მთავარნი იგი, რომელნი შეპურბილ და დამონებულ იუქნენ მის-გან. და იგინი წარვიდეს თჳს თჳსად ქალაქად, ვითარცა ბრძანებულ იყო: მერმე მასშინ მოიყვანნა ოთხნი კაცნი, ტომნი მისნი, რომელნი იუქნეს სახელით ანტიოქოზ, რომოს, ბიზინტოს და ზლატონ. და მისცა ანტიოქოზს ასურჯანტანი და სომხითი, და კერძო აღმოსავლეთისა უჩინა მას, და მან აღაშენა ქალაქი ანტიოქია. ხოლო ჰრომოსს მისცა თრიმიკოზი, და უჩინა კერძო დასავლეთისა, და მან ³⁾ აღაშენა ქალაქი ჰრომი: და ბიზინტოსს მისცა საბერძნეთი და ქართლი, და უჩინა კერძო ჩრდილოსა: და მოუწერა წიგნი ანდერძი აზონ ზატრიკსა, ერის-თავსა ქართლისასა, რათა მსახურებდეს იგი ბიზინტოსს ⁴⁾. და მან აღაშენა ბიზინტია, რომელსა აწ ჰქვიან კონსტანტიზოლა: ხოლო ზლატონ დაუტევა ალექსანდრიას, და მოკუდა ალექსანდრე: ამან აზონ დაუტევა სჯული ალექ-

1) Il y a ici la conjonction და, que je crois devoir effacer, comme inutile; de même, plus bas, avant le mot ბერდუჯის.

2) T. მეოთხმეტსა, „dans la 14-e année.“

3) T. აღამს აქეთ სამი ათ-ას ორ-ას ოც-და ცამეტს წელიწადს უკან; „en l'année 3233 depuis Adam.“ Le M-it T. insère ceci dans le texte même, après le mot მან. Je n'ai pas besoin d'insister sur la fausseté de cette date qui se trouve en marge dans mes M-ss.

4) Ici, plus haut et plus bas, les trois M-ss portent ბიზინტოსს; il faudrait du moins ბიზინტიოსს.

სანდრეს მოცემული, იწყო კერძო-მისხურებად, და შექმნნა ორნი კერძნი ვეცხლისანი, გაცი, და გაიმი. და მონებდა იგი ბიზინტოსს, შეფესა საბერძნეთისას: იყო კაცი ძნელი და მრისხანე: ესე დააწერა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ „ყოველთა ქართველთაგან-მან რომელ-მან ჰოვოს საჭურველი, მოკალთ იგი:“ და უფოდეს ჰრომნი იგი ესრეთ, ქართველთა ზედა. და ვინცა-ვინ გამჩნდის ქართველთაგანი ქმნილ კეთილ ჰსაკრფანთ, მოკლიან იგი: და იყო ჭირი დიდი ქართველთა ზედა: და ესე აზონ მათ ჰრომთაცა ზედა იყო შესისხლე, და მოესრეს მრავალნი მათგანნი.

ა. ცხოვრება ფარნავაზისი, რომელი იყო პირველი მეფე ქართლისა.

მას უამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქვა ფარნავაზ: ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართველი, ნათესავი უფლასი, მცხეთოსის ძისა, და დედულად სპარსი ასპანელი: და იყო იგი ძმის-წული სამარსი, რომელი მოსლვასა-მას აღექსანდრესსა, მცხეთელ მამასხლისი უფილ იყო: ესე სამარ¹⁾ და ძმა მისი, მამა ფარნავაზისი, მოკლულ იყო აღექსანდრეს-გან: ხოლო დედასა ფარნავაზისსა წარეუჭანა ფარნავაზ, სამისა წლისა ერმა, და შელტოღვილ იყო კავკასიად, და მუნ აღზრდილ იყო: და მოსრულ იყო მცხეთას, მამულსა თვესსა: ხოლო ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მკედარი და შემართებელი, და მონადირე კელოვანი: და იმაღვიდა იგი სიკეთესა თვისსა, აზონის შიშისა-გან: ხოლო მონადირეობითა მისითა იქმნა მეცნიერ აზონისსა, და შეიუჭარა იგი აზონ-მან მონადირეობისა-თვის: ეგედრებოდა ფარნავაზს დედა მისი: „შვილო ჩემო, ეგრძაღუ აზონს, და ნურა-რას იჩინებ სიკეთესა თავისა შენისსა, ნუ-უკუჭ მოგკლან შენ“. და იყო ძრწოლა მათ ზედა: და ვითარ განმრავლდა შიში აზონისი მათ ზედა, ჰქცვა ფარნავაზს. „შვილო ჩემო, დაუტევე საუფიელი მამათა შენთა, და წარმიუვანე მამულსა ჩემსა, ასპანს, ძმათა ჩემთა თანა, და განეკრე შენ ცოცხალი

¹⁾ Plus bas, p. 13, on trouvera, სამარა Samara.

კელის-გან აზონისა:“ და დაამტკიცეს განზრახუა ესე, წარსლვას-
ჰანისა: ჭირ-უხნდა ფარნავაზს დატეკება საუოფლისა მამათა მისთა-
სა, არამედ შიშის-გან დედისა დაამტკიცა წარსლვა: მაშინ იხილა
სიზმარი ფარნავაზ, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა და ეგულ-
ვებოდა განსლვა, და ვერ განვიდა: მაშინ გამოვიდა საკრემელსა მი-
ისსა შუქი მზისა და მოკრტუა წელთა მისთა, და განიზიდნა, და
განიუვანა საკრემელსა-მას: და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე
ქმლმდებარედ, მიჰყო კელი მისი, მოკრცა ცვარი ჰირისა მისისა,
და იცხო ჰირსა მისსა: განიღვიძა ფარნავაზ და განუვირდა სიზმა-
რი იგი. „ესე არს, მე წარვალ ასპანს და მუნ სიკეთესა მივეტევი“.

ხოლო მას დღესა შინა განვიდა და ნადირობდა მარტო, და
დევნა უყო ირემთა, ველსა დიდომისსა: და იულტოდეს ირემნი
ღრიღალთა შინა ტფილისისათა: მისდევდა ფარნავაზ, სტუოტრცა ისა-
რი და ჰკრა ირემსა, და მტირედ წარვლო ირემ-მან, და დაეცა ძირ-
სა კლდისსა: მივიდა ფარნავაზ ირემსა ზედა, და დღე-იგი მწუხრი,
გარდაკდა და დაჯდა ირემსა-მას¹⁾ თანა, რათამცა დაყო მუნ დამე
იგი, დილეულამცა წარვიდა: ხოლო კლდისა-მის ძირსა იყო ქვაბი,
რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქვითა ძველად, და სიძველითა შექქმ-
ნოდა დარღუტვა შენებულსა-მას: მაშინ დაასხა²⁾ წუმა მძაფრი: ხო-
ლო ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლუგი და გამოარღვია კარი ქვაბისა-
მის, რათამცა მუნ შიგა დაიმშრალა წუმისა-მისაგან: და შევიდა ქვაბ-
სა-მას და იხილა მუნ შინა განძი მიუწდომელი, ოქრო და ვერცხ-
ლი და სამსახურებელი ოქროსა და ვერცხლისა მიუწდომელი: მაშინ
ფარნავაზ განკვრდა და ადივსო სიხარულითა, და მოკრანა სიზმარი-
იგი, და დაკრძალა კარი ქვაბისა ეგრეთვე: მსწრაფლ წარმოვიდა და
უთხრა დედასა თჳსსა და ორთა დათა მისთა: მასვე დამესა წარმოვიდეს
სამნივე-იგი: საკედრებითა და ჭურჭლებითა და იწიეს გამოდებად
განძის-მის და დაფლვად სიმარჯვესა თჳსსა: ვითარ განთენდებოდის,
გვალად ეგრეთვე აღმოქმნიან კარი ქვაბისა-მის, და ეგრეთ გამოკრი-
ბეს იგი ხუთ დამე, და დაიგუელეს სიმარჯვესა მათსა.

¹⁾ Mes trois M-ss portent მის, ce qui prouve qu'ils ont une
origine commune.

²⁾ T. დასსა.

მასშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა თჳსი ქუჯის-თანა და ჭრქვა:
„მე ვარ ნათესავი უფლქსისი, მცხეთქსისი¹⁾ ძისა, და ძმის-წული
სამარა²⁾ მამასხლისისა, და არს ჩემ-თანა ხუასტაკი დიდ-ძალი: აწ
ინებო რათა მით ხვასტაკითა მოვიდე შენ-თანა და ვიუწნეთ ჩუწნ
ძმა, და ვიკმაროთ ჩუწნ ხვასტაკი-იგი ერთავე: გამოუწნდეთ ჩუწნ
მტერად აზონ ერის-თვისა, და სუწმან ჩვენმან გვცეს ჩუწნ ძლევა
კეთილი:— მასშინ განიხარა ქუჯი სინარულითა დიდითა, და ჭრქვა:
„აღდეგ და მოვიდ ჩემ-თანა, და ნუ შერობ ხვასტაკსა შენსა, და
ხვასტაკებითა შენითა განგიმრავლენ სჳანი შენნი, ვიდრე გამოვწნ-
დეთ მტერად აზონისა: მასშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა, აწ-
უწნდილთა მისკან, და მიწუწდეულთა, და ვგონებ რომელ ჭრომთა-
მათგანნიცა გამოგვეკრთენ, რამეთუ ურიცხვნი აწუწნდილ არიან მათ-
განნიცა აზონის-გან:“ მასშინ ფარნავაზ ფარულად წარვიდა, სინარუ-
ლით, და რომელი შესძლებულ იყო განძისა-მის-გან წარიტანა თანა,
დედა და დანი მისნი მის-თანა: და მივიდა ქუჯის თანა, და ჭრქვა
მას ქუჯი, „შენ ხან შუჯლი თავთა მათთა ქართლისთა და შენ გმარ-
თებს უფლობა ჩუწნი: აწ ნუ შერობ ხვასტაკსა შენსა, რათა გან-
ვამრავლნეთ სჳანი. და უკეთუ მოგუწცეს ძლევა, შენ ხან უფალი
ჩუწნი, და მე ვარ მონა შენი:“

მასშინ შეიერთნეს და ეზრახნეს ოვსთა და ლეკთა: ხოლო მათ
განიხარეს, რამეთუ არა სთნდა ხარკისა მიცემა აზონისა, და მოუწნს
ოვსნი და ლეკნი, და განიმრავლეს სჳანი: ეგრისით შეკრბეს ური-
ცხენი სჳანი, და მომართეს აზონსა: ხოლო აზონ-მან მოუწოდა
სჳათა თჳსთა და შემოჭკრიბნა მასშინ ათ-ასი მკედარი რჩეული ჭრომ-
თა-მათგანი, რომელთა ბოროტი წაჭკიდებოდა აზონის-გან, განუდგეს
აზონს, და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა: მასშინ ყოველნი ქართ-
უწნნი განუდგეს აზონს: ხოლო სჳანი რომელ დარჩომილ იუწნეს
ვერდა-რა მიენდო მათ, რამეთუ ბოროტის მოქმედ იყო: წარვიდა
აზონ და მოვიდა კლარჯეთს, და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა

1) Dans les trois M-ss უფლობ, მცხეთობ.

2) Tous les M-ss portent cette leçon, cf. p. 12.

კლარჯეთისათა: ხოლო მოვიდა ფარნავაზ მცხეთას და დაიპყრნათხნი-იგი ციხენი მცხეთისანი, და მასვე წელიწადსა შინა დაიპყრა უოველი ქართლი, თვნიერ კლარჯეთისა: ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაჲ მეფისა ანტიოქოს ასუქასტანისა, და წარსცადღუწნი დიდ-ძალი, და აღუთქვა მას მსახურებაჲ, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა: ხოლო ანტიოქოს შეიწუნარა ძღუწნი მისი, და უწოდა უკლად თვსად, და წარმოსცა გვრგვნი, და უბრძანა ერის-თავთა სომხითისათა, რათა შეეწეოდენ ფარნავაზს.

ხოლო წელსა მეორესა აზონ მოირონა სპანი საბერძნეთით, განძლიერდა ფრიად და მომართა ფარნავაზს: ხოლო ფარნავაზს განემარავლნეს ბეკდარნი ქართლისანი: მოუწოდა მათ და უკმო ქუჯის და ოვსთა, და შეკრბეს ესე უოველნი, და მოერთნეს ერის-თავნბ ანტიოქოზისნი, სომხითით: და ესე უოველნი შეკრიბნა ფარნავაზ, და მიეგებნა ნაქალაქევსა თანა არტანისსა, რომელსა ერქვა მასინ ქაჯთა-ქალაქი, რომელ არს ჰურრი, და ეწუტნეს მუნ: და იქმნა ბრძოლა დიდ-ძალი, და მოსწუჯდეს ორგნითვე ურიცხუნი: ხოლო იძლივნეს, ბერძენნი ფარნავაზის-გან: ივლტოდა ბანაკი მათი, და მოკლეს აზონ, და ურიცხუნი სპანი მათნი მოსრნეს და ტუტუტ ქმნეს: და წარვიდა ფარნავაზ, და მოტუტუნნა საზღუარნი საბერძნეთისა, ანძანძორისა. და ეკლევით შემოიქცა, მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი, და წარმოვიდა მცხეთად, სიხარულითა დიდითა: ხოლო სიმდიდრესა მისსა ზედა დაერთო ხვასტაკი აზონისადა, და იქმნა სიმდიდრე კარდარეული.

ხოლო ეგრისის წყალს ქუტუმოთ დარჩა ბერძენთა: რამეთუ მკვდრთა მის ადგილისათა არა ინებეს კარდგომა ბერძენთა: მასინ ფარნავაზ მისცა დაჲ თვსი ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე დაჲ თვსი მისცა ქუჯის ცოლად, და მისცა ქუჯის ეგრისის წყალსა და რიონს შუა, ზღვდ-გან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სვანეთი, და დაამტკიცა იგი ერის-თავად მუნ, და მუნ ქუჯი-მადამუნა ციხე-გოჯი: მასინ ფარნავაზ უშიშ-იქმნა უოველთა მტერთა თვსთა-გან, და მეფე იქმნა უოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა: და

განამრავლნა უოგუენი მკედარნი ქართლისიანი, განაწესნა ერის-
თავნი რვანი და სხასხუტი.

ერთი გაგზავნა მარგვს ერის-თავად, და მისცა მცირით მთით-
გან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუამდე, რიონს ზემოთ. და ამანვე
ფარნავაზ აღუშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიშნა.

და გაგზავნა მეორე კახეთისა ერის-თავად, და მისცა არაგვთ-
გან ვიდრე ჭერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი.

მესამე გაგზავნა ხუნანის ერის-თავად, და მისცა ბერდუჯის მდინა-
რით-გან ვიდრე ტფილისამდე და განიანამდის, რომელ არს გარდაბანი.

მეოთხე გაგზავნეს სამშჯლდეს ერის-თავად, და მისცა სკვრე-
თისა მდინარით-გან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი.

მეხუთე გაგზავნა წუნდას ერის-თავად, და მისცა ფანავარითგან
ვიდრე თავადმდე მტკვრისა, რომელი არს ჯავახეთი, კოლა და არტანი.

მექექვსე გაგზავნა ოძრხეს ერის-თავად, და მისცა ტასისკარიდგან
ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავიდგან ზღვამდის, რომელ არს
სამცხე და აჭარა.

მეშჯდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანიდ-
გან ვიდრე ზღვამდე და ქუჩი იყო ერისთავი.

მერვე დაადგინა სხასხუტათ და მისცა ტფილისიდგან და არაგვთ-
გან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავარამდე, რომელ არს შიდა-ქართ-
ლი: და ესე სხასხუტი უოგუადავე წინაშე მეფისა მთავრობდის, განაკებ-
დის უოგუელთა ერის-თავთა ზედა: ხოლო ამათ ერის-თავთა ქუჩაშე, ად-
გილთა და ადგილთა განაჩინნა სხასხუტარნი და ათ-ასის თავნი, და მათ
უოგუელთა-გან მოვიდა ხარკი სამეფო და საერისთავო: ესრეთ განაწესა
ესე უოგუელი ფარნავაზ, მიმსგავსებულად სამეფოსა სხარსთასა.

და მოიყუანა ცოლი დურძუკელთა, ნათესავი კავკასისი: ამან
ფარნავაზ მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ, და უოგუენი ქალაქ-
ნი და ციხენი ქართლისანი, მოცხრებულნი აღექსანდრეს-გან: და ამან
აღაშენა იგინი, და ვერდა-რა იძიეს შური ბერძენთა ფარნავაზსა
ზედა, რამეთუ უცალო იყუნეს იგინი უფლისა-გან ჭრომთასა: და
ამანვე ფარნავაზ შექმნა კერზი დიდი, სახელსა ზედა თვსსა. ესევე
არს არმაზი; და ფარნავაზს სხარსულად არმაზ ერქვა: ამართა კერზი-

იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისსა, რომელსა მიერიტ-გან ეწო-
და არმაზი, კერპისა-მის-თჳს: და ქმნა სატფურება დიდი კერპისა-
მისთჳს აღმართებულისა: ოც-და-შჯდის წლისა მეფე იქმნა, და
სამეოც და ხუთს წელს მეფობდა ნებიერად, და მსახურებდა იგი
ანტიოქასს, მეფეს ასურასტანისსა: და უოველნი დღენი მისნი,
რამ დადჳა, მშვიდობით დაუტნა. და აღაშენა და განავსო ქაროლი:
ხოლო თჳსნი გაზაფხულისანი და სთჳლისა არისანი დაუტნის მცხე-
თას, სამეოფსა და თჳსნი ზამთრისანი დაუტნის გაჩინათა. ხოლო
თვენი ზაფხულისანი წუნდას: და ჟამითი-ჟამად მივიდის ეგრისს და
კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი, და განავსო უოვე-
ლი საქმე დაშლილი: ხოლო რომნი-იგი ათ-ასნი მკედარნი, რომელნი
აზონის-გან მოერთნეს ფარნავაზს, რომელი ზემო ვახსენეთ, იგინი
განჴუტნა ხევთა და ქვეყანათა შინა, იზურნა იგინი კეთილად, რამეთუ
ბრძოლასა-მას აზონისა მკნედ იუტნეს, და უწოდა მათ სახელად აზნაურნი.

რად-გან წარვიდა ალექსანდრე, არდა-რა სჭამდეს კაცსა, თხნი-
ერ რომელ შესწირიან კერპსა მსხტტრზლად: იყო განსვენება და
სიზარული უოველსა ქართლსა ზედა, მეფობისა-თჳს ფარნავაზისა, და
იტყოდეს უოველნი. „ვმადლობთ სტტსა ჩტტნსა, რამეთუ მრგტტტა
ჩტტნ მეფე ნათესავის-გან: მამათა ჩვენთასა, და აღგტტტნადა ხარკი
და ჭირი უცხოთა ნათესავთა-გან: და ესე უოველი აღასრულა ფარ-
ნავაზ, სიბრძნითა და სიქტტლთა, სიმკნითა და სიმდიდრითა.“ ესტა
ტე და უწოდა სახელი საურმაგ: და ესე ფარნავაზ იყო პირველი
მეფე ქართლსა შინა, ქართლელისა ნათესავთაგანი: ამან განავრცო
ენა ქართული, და არდა-რა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა
თხნიერ ქართულისა: ამანვე შექმნა მწიგნობრობა ქართული: და
მოკტტდა ფარნავაზ, და დაფლეს იგი წინაშე კერპისა არმაზისა.

ბ. მეორე მეფე, საურმაგ.

და ¹⁾ ამის-წილ მეფე იქმნა ტე მისი საურმაგ: მას ჟამსა შინა
ზრახტა უტტს ერის-თავთა ქართლისათა და ოქტტს: „არა კეთილ

¹⁾ Ce commencement prouve que le texte était autrefois sans division.

აწს ჩქსნდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავს ჩქსნს. აწამედ ვიყოთ ერთად, და მოგვკლათ ჩქსნ საურმაგ, და ვიუქნეთ ჩქსნ თავის-უფალ, ვითარცა ვიუქსნით ჰირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცა-ვინ გამოსჩნდეს მძლე. რამეთუ ესრეთ უოფითა უფროს გან-ვისვენებთ: “ განამტკიცეს განზრახვა ესე¹⁾ და მოკუღა საურმაგი-სი: ხოლო იგობნა საურმაგ, წარვიდა ფარულად და იფლტოდა, წარიტანა თანა დედა თჳსი, მივიდა ქქსუანასა²⁾ დურძუკთასა, დედის ძმათა მისთა: მაშინ რომთა-იგი აზნაურნი წარვიდეს და მივი-დეს დურძუკეთსავე, და რქუქს საურმაგს. „დიდი კეთილი დგას ჩქსნ-ზედა მამისა შენისა. ამის-თჳს ვართ ჩქსნ მტკიცე ერთგუ-ლობასა შენსა:“ მაშინ საურმაგ ესრახნა ოფსთა მეფესა, მამის დის წუღსა თჳსსა, და ითხოვა შეწევნა: ხოლო იგი სიხარულით წარვი-და, შევლად მისსა: და საურმაგ შეიკრიბა დურძუკეთიცა, და წარ-მოემართა ქართველთა ზედა, და ვერ-ვინ წინა-ადუღვა მას: და და-იზურა ქართლი, და მოსრნა განდგომილნი თჳსნი, და რომელთამე შეუნდო, ხოლო დაამდაბლა ქართლისიანნი, და წარჩინებულ უქნა აზნაურნი, და განამრავლნა დურძუკნი, ნათესავნი კავკასისნი, რომელ-ნიცა ტუქსნვასა-მას ხაზართასა უოველნივე მშვიდობით დარჩომილ-იუქნეს, სიმაგრისა-გან ქქსუანისა, და ვერდა-რა იტევდა დურძუკეთი.

მაშინ ამან საურმაგ წარმოიუქანნა უოველთა კავკასიისა ნათე-სავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ უქნა, და სხვანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთით-გან ვიდრე ეგრისამდე, რომელ აწს სვანეთი: და ესენი დაიზურნა მისანდობელად თჳსად დე-დულნი: და დასჯდა საურმაგ მცხეთას მეფედ: და უმატა უოველთა სიმაგრეთა მცხეთისათა და ქართლისათა: და მან შექმნა ორნი კერძ-ნი, აინინა და დანანა, და ამართნა გზასა ზედა მცხეთისასა: და ჳმსახურებდა იგი მეფესა ასურასტანისასა, და მოიუქნა ცოლი სპარ-სი, ასული ბარდაველის ერის-თვისა, და ესხნეს მის-თანა ორნი ასულნი, და არა ესვა ძე: მაშინ მოიუქნა სპარსეთით შვილი ნებ-როთისი, ნათესავისა-გან ცოლისა მამისა, დედის დის წული, და

1) Ce mot manque, T.

2) Ce mot manque, T.

დაიჭირა იგი შვილად, რომელსა სახელი ერქვა მირვან: და მისცა ასული თჳსი ცოლად, ქალაქი გაჩიანნი, და სურისთვითა მისმშვილდისა: და ერთი ასული მისცა ძესა ქუჯისსა, მამის დის წულსა მისსა: მეუობდა საურმაგ ბედნიერად, მრავალთა წელათ: და მოკვდა საურმაგ, და მეფე იქმნა მის-წილ შვილობილი მისი მირვან.

გ. მესამე მეფე, მირვანოს, ნებროთიანი.

ეს მირვან იყო ტანითა სრული, შუბნიერი, ძლიერი; მკნე და ქეჭლი: ამისა მეუობასა დურძუკთა დაივიწყეს სიუწარული ფარნავაზისი და საურმაგისი, და კარდმოვიდეს დურძუკეთს მეოფნი, და გაერთნეს თანა ჭართალეთსა მსხდომნი კავკასიანნი, მოჭსტუქსნეს კახეთი და ბაზალეთი. მაშინ მირვან მეფე-მან მოუწოდა უფელთა ერის-თავთ ქართლისათა, და შემოკრიბნა უფელნი სპანი, მკედარი და ქვეითი და უფელნი კავკასიანნი იუჳნეს საწმუნოდ მოჩილეობასა ზედა მირვანისას, რომელნი კარდმოვლინებულ იუჳნეს საურმაგ მეუფისკან, თჳნიერ ჭართალთას: შემოკრიბნა ესე უფელნი, წარუმართა დურძუკეთს. შეკრბენ დურძუკნიცა¹⁾, და დაუდგეს სიმაგრეთა ზედა კარდასავალთა გზასა: მაშინ მირვან კარდახდა ცხენისა-გან, მივიდა ქეჭვითთა თანა თჳსთა, და წარუძღჳ წინა²⁾. ზურგით შემოადგინნა მკედარი, და მოვიდა კართა-მათ შინა, ვითარცა ჯიქი სიფიცხითა, ვითარცა ვეფხი სიძვნითა, ვითარცა ლომი ზახილითა: იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი. ხოლო მირვანს ვერ კეჭთდა მახვილი დურძუკთა, ვითარცა კლდეს სიძსა. დადგა უძრავად, ვითარცა კოშკი მტკიცე: და განგრძელდა მათ შორის ბრძოლა, და მოსწედა ორგნითვე ურცხვ. ხოლო უკანასკნელ იძლივნეს დურძუკნი, და იფლტოდეს: მიუდგეს უკან ქართუელნი, მოსრნეს და ტუქს ქეჭმეს. და შევიდა მირვან დურძუკეთს, და მოაოხრა დურძუკეთი და ჭართალი. და შეაბნა კარნი.

¹⁾ დურძუკნი, T.

²⁾ T. წინა ქვევითთა.

ქვით-კირითა, და უწოდა სახელად დარუბალ: და დაჯდა მირვან მცხეთას, მეფობდა ნებიერად, უშიშრად.

იყო კაცი უხვად მიმნიჭებელი კეთილისა. შეიყვარეს იგი ყოველთა მკვდრთა ქართლისათა, და მსახურებდა იგი მეფესა ასურას-ტანელთას: ამის-ზე მიიცვალა ანტიოქიის მეფობა ბაბილონს: და მას უამს შინა მეფე იქმნა სომხითს, რომელსა ერქვა არშაკ. ეზრახა მირვან არშაკს, და მისცა ასული თჳსი ძესა არშაკისსა, არშაკს: და მოკუდა მირვან, და მეფე იქმნა მის-წილ ძე მისი ფარანჯომ.

დ. მეოთხე მეფე, ფარანჯომი, ნებროთიანი.

ამან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენებაჲ, და ამან აღაშენა ციხე ზადენი, და შექმნა კერძი სახელით ზადენ, და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი: ამისა შემდგომად შეიყუარა სჯული სზარსთა, ცეცხლისა მსახურება, მოიყვანნა სზარსეთით ცეცხლისა მსახურნი და მოგუნი, და დასხნეს იგინი მცხეთას, ადგილსა-მას რომელსა აწ ჰქვიან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერზთა. ამისთვის მოიძულეს იგი მხედართა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქვნდა კერზთა მიმართ: მაშინ შეითქმნეს ერის-თავნი ქართლისანი უმრავლესნი, და წარავლინეს მოციქულ წინაშე სომეხთა მეფისა, და რქეს: „მეფე ჩუენი გარდახდა სჯულსა მამათა ჩუენთასა, არღარა ვმსახურებს ღმერთთა მზერობელთა ქართლისათა. შემოიღო ¹⁾ სჯული მამული და დაუტევა სჯული დედული: აწ არღარა დიკს არს იგი მეფედ ჩუენად: მოგუენც ძე შენი არშაკ, რომელსა უზის ²⁾ ცოლად ნათესავი ფარანჯოანთა შეუეთა ჩუენთა, გვაშეველე ძალი შენი, და ვაოტოთ ფარანჯომ, შემომღებელი ახლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ჩუენდა ძე შენი არშაკ, და დედოფლად ჩუენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩუენთა.“

მაშინ სთნდა სომეხთა მეფესა განზრახვა ესე. გაგზავნა მოციქული მათი ზასუხითა კეთილითა, და ჰქრქა მათა. „უკეთუ ჰქმ-

1) T. შემოიღეს.

2) M-ss. უვის.

მარიტად, უბიწოდთა გულისთა, გნებავსთ მეფედ თქქსნდა ძე ჩემი, თქქსნ უოველთა ერის-თავთა მომეცით მე მიქვალდი, და მოგცე ძე ჩემი მეფედ თქქსნდა, და უოველითავე ნიჭითა ადგავსნე:“ მასინ ერის-თავთა ქართლისათა უმრავლესთა მისცეს მიქველბი, განაცხადეს განდგომა ფარანჯომისი: მასინ სომეხთა მეფე, უოველითა ძალითა მისითა, წარმოემართა ქართლს, ხოლო ფარანჯომ მეფე-მან მოუწოდა სპარსთა, და მოიუჟანნა სპარსნი ¹⁾ ძლიერნი, და რამელნიმე დარჩომოდეს. შემოკრიბნა ქართლნიცა: ხოლო ერის-თავნი ქართლისანი განდგომილნი მიეკებნეს სომეხთა მეფესა. ტაშირს, და მუნ შეკრბა სიმრავლე სომეხთა და ქართველთა: ხოლო ფარანჯომ მოეგება მუნვე, ტაშირს. იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი; მოსწუდა ორგნითვე ურიცხვი: ხოლო ²⁾ იძლია ფარანჯომ, სომეხთა და ქართველთა-გან, და მოიკლა ფარანჯომ ³⁾, და მოსრნეს ⁴⁾ სპა მისი: ხოლო ძე ფარანჯომისი მირვან, წელიწადისა ⁵⁾ ერთისა ერმაღ, წარიუჟანა მამა-მძუძე-მან მის-მან, და ივლტოდა სპარსეთს. ხოლო სომეხთა მეფე-მან მოსცა ძე თჳსი არშაკ.

ე. მესუთე მეფე, არშაკ, არშაკუნიანი. ⁶⁾

და ⁷⁾ დაიბურა უოველი ქართლი, და შეფობდა ნებიერად, და უმატა უოველთა სიმარგრეთა ქართლისათა, და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ჯავახეთს, ქალაქსა წუნდას: მოკრდა არშაკ, და მეფე იქმნა ძე მისი არტაკ.

1) M-ss ივინი.

2) T. რამეთუ.

3) M-ss იგი.

4) M-ss მოსრნა:

5) M-ss წლისა.

6) M-ss ძე სომეხთა მეფისა.

7) M-ss ამან.

ვ. მეექვსე მეფე, არტაგ, არშაკუნიანი.

და რწ-წელ ოდენ მეფობდა, და მეორეს წელსა მეფობისა მისისას მფიდეეს ერის-თაფნი სზარსთან, სზითა დიდითა, ძიებად სისხლსა ფარნჯომისა და სზის-მის სზარსთასა, რამეღნი აღწეულ-დილ იუენეს ფარნჯომის თანა: ვერ წინა-ადუდგა მათ არტაგ, მეფე ქართველთა, რამეთუ დიდი ძალი იყო სზარსთა, არამედ განამაგრნა ციხენი და ქალაქნი: და მოფლეს სზარსთა უფუელი ქართლი. და მოა-რხრნეს ვეღნი, არამედ ციხე-ქალაქნი ვერა-რამელი წარიდეს, და წარვიდეს: მოკრდა არტაგ, და დაჯდა მის-წილ ძე მისი ბარტომ.

ზ. მეშვიდე მეფე, ბარტონ, არშაკუნიანი.

ამან უმატა ზღუდე მცხეთისა და უფუელთა სიმაგრეთა ქართ-ლისათა: ხელთ აღზარდეს სზარსთა ძე ფარნჯომისი, მირვან, რამეღი სიკრდილსა-მას ფარნჯომისსა წარიუვანა მამა-მძუძესა მისსა, რამეღი ¹⁾ ვახსენეთ პირველ: ესე მირვან იყო კაცი ქრისტი, მკნე, მკედარი. და მრავალ-გზის გამოცდილი ბრძოლასა თურქთასა: და არაბთასა: ამან შეკრიბნა სზანი ძლიერნი სზარსეთს, მოუგზავნა მოციქული ერის-თაფთა ქართლისათა, და ჭრქუა მათ: „მოხსენეთ სიუქარული მამისა-მის ჩემისა მირვანისი, და კეთილი მისი თქრსნ-და მომართ: დადაცათუ მამა-მან ჩემ-მან შემოიღო სჯული უცხო თქვენ შორის, სამართლად მოიკლა მამა ჩემი, რამეთუ ვერ კეთილად იპურა ჭსჯული მამათა თქრსნთა, რამლისა-გან გაქრსთ კეთილი: აწ ნუ არს შიში და საურავი გულსა თქრსნსა, სიკრდილსა-თვს მამისა ჩემისა. რამეთუ სჯულისა დატეგებისა-თვს მოკლვენ მამანი შვილ-თა და ძმანი ძმათა. არა იძიების სისხლი სჯულისა დატეგებისა-თვს მოკლულთა: მე ვარ შვილი მეფეთა თქრსნთა ფარნჯავანიანი, დადაცა-

¹⁾ M-ის ვითარცა.

თუ აღზრდილ ვარ სპარსთა თანა, არამედ ვარ მე სჯულსა ზედა მამათა თქუტხთასა, და ვესავ მე ღმერთთა მამათა თქუტხთასა: სსრუბითა მათითა მოვალ ძიებდ მამულისა ჩემისა. აწ მიიღეთ ჩემ-გან დიდება და კეთილი.“

ხოლო ერის-თავთა ქართლისათა არა შეიწუნარეს ბრძანებული მირვანისი, არამედ უოველნი მივიდეს წინაშე ბარტომ¹⁾ მეფისა. ხოლო მცირედნი ვინმე ქართველნი, არა წარჩინებულთაგანნი, წარვიდეს და მიერთნეს მირვანს: ხოლო მეფე-მან ბარტომ შემოკრიბნა უოველნი სპანი ქართლისანი, მოირთო ძალი სომხითით, და მიეგება იგი ხუნანს. იზურა ზურგად ქალაქი ხუნანი: მოვიდა მირვან და დადგა მდინარესა ზედა ბერდუჯისსა, და იწყეს ბრძოლად, და გამოჩნდეს ორთაგანვე²⁾ შორის ბუმბერაზნი. იუტნეს თუტსა ერთსა, უოველსა დღესა, ბუმბერაზთა ბრძოლანი. ოდეს მათ სძლიან, და ოდესმე ამათ სძლიან: ხოლო ამა თუტსა ერთსა შინა ამან მირვან თავის-თავითა მოკლა ცამეტი ბუმბერაზი ქართველთა და სომეხთაგანი³⁾, და არა-ვინ გამოჩნდა ქართველთა და სომეხთა შორის მძლე მირვანისი, და ვერცა თვთ მეფე ბარტომ ჰბრძოდა მას⁴⁾, რამეთუ არა იყო მის თანა⁵⁾ ძალი გოლიათობისა: მასშინ ბარტომ მეფე-მან განაწყუნა სპანი მისნი⁶⁾ და მომართა უოველითა სპითა, და მუნით მირვან მიეგება სპითა უოვლითა, და იქმნა ბრძოლა ძლიერი, მათ შორის, მოსწყდა ორთაგანვე⁷⁾ ურიცხვ. იძლივნეს სომეხნი და ქართველნი სპარსთა-გან, და მოჰკლეს ბარტომ მეფე ქართველთა, ხოლო ამას ბარტომ მეფეს არა ესტა ძე, არამედ⁸⁾ ასული ერთი, და სიცოცხლესავე მისსა მოეუვანა ეგრისით ძის-წული ქუჯისი, სს-

1) M-ss ბარტონ.

2) M-ss ორგნითვე.

3) M-ss ქართველთა-გან და სომეხთა.

4) M-ss მათ.

5) M-ss შორის.

6) M-ss თვისნი.

7) M-ss ორგნითვე.

8) Ce mot manque, T.

ხელით ქართამ, რომელსა შესდგმიდა ფარნავაზიანობა, ფარნავაზის დის ქუჯის ცოლისა-გან და დედისა მისისა საურმაგის ასულისა ქუჯის ძის ცოლისა-გან: და ამის ქართამისდა ეგრისით მიეცა ასული ცოლად ბარტამ მეფესა, და აღელა ესე შვილად. ქართველთა სწთნობისა-თჳს ექმნა ფარნავაზიანთ მიმართ: რამეთუ არა უნდა ქართველთა სხვისა ნათესავისა მეფობა, რომელსამცა არა შესდგმიდა ფარნავაზიანობა: ესე ქართამ, ძე შვილობილი ბარტამ მეფისა, მასვე წუობასა შინა მოაკლა, ბარტამის თანა: ხალხ ცოლი მისი, ასული ბარტამისი, უძლები დაჩხა. ივლტოდა და წარვიდა სომხითს: მუნ ¹⁾ ჭეშყა ერმა, უწოდეს სახელი ადერკი, და იზრდებოდა იგი მუნ.

ვითარცა ²⁾ მოკლა იგი ბარტამ, შემოვიდა მირვან ქართლად, დაიბურა ქართლი ³⁾, და რომელნი დაშთომილ იუწენეს ერის-თავნი ქართლისანი ციხეთა და სიმაგრეთა შინა, მისცა მათ ფიცი და აღთქმა, და გამოიუწნა უოველნი, და მძლავრებით გამოიუწნა ცოლი ბარტამისი სამშჯღდით, და შეირთო ცოლად, რომელი შჯლი იყო არშაკუნიანთავე. დაჯდა მცხეთას.

გ. მერვე მეფე. მირვან.

და ⁴⁾ ნებიურად ჭმეფობდა ⁵⁾ მცირედ-ყამ, და მოკუნდა ⁶⁾.

¹⁾ M-ss სადაცა.

²⁾ M-ss ajoutent ხოლო, avant ce mot.

³⁾ M-ss aj. ყოველი, avant ce mot.

⁴⁾ M-ss aj. იგი დაჯდა მცხეთას, და...

⁵⁾ T. ნეფობდა.

⁶⁾ M-ss aj. და მეფე იქმნა მის-წილ ძე მისი არშაკ.

თ. მეცხრე მეფე, მეორე ¹⁾ არშაკ, მე მირვანისი, ნებ-
როთიანი.

ესე არშაკ მეფე იყო დედით არშაკუნიანი და მამით ნებრო-
თიანი, ფარნავაზიანი. ამან განაშენებდა ნენქარ ქალაქი კახეთისა,
რომელ არს ნეკრესი, და ჭმატა სიმაგრესა უფლის-ცინისასა, და
იყო ესე ძლიერი ძალითა, დიდი გოლიათი: ხოლო ესე ადერკი, მე
ქართამ, ძისა საურმაგისა, ასულის წული ბარტომ მეფისა, რომელი
ვასსენეთ ზემო, აღზარდეს სამხითს: იყო კაცი ჭსაკითა შენნიერი,
ტანითა დიდი და გოლიათი: მრავალ-გზის გამოცდილ იყო იგი
ბრძოლათა შორის სამეხთს და ასურთასა, და ამას მოეკლა მრავალი
ბუმბერაზნი, და სახელფან ქმნილ იყო: ამან მოითხოვნა სპანი სო-
მეხთა მეფისა-გან, მოსცა მან ²⁾ და წარმოემართა არშაკს, ქართველ-
თა მეფესა ზედა, დედის ძმისა მისსა: ხოლო არშაკ შემოკრიბნა
უფლები ერის-თავნი ქართლისანი, მობრთო ძალი სპარსეთით და
მიეკება წინა: შეკრებს ორნივე სპანი თრიალეთსა, და დაიბანაყეს
მხლობლად ერთმან-ერთისა: სთხოვა თავის-თავ არშაკ ადერკის-
ხოლო ადერკი სიხარულით აღიჭურა საჭურველთა შენნიერთა,
აღჯდა ტაიჭსა და ჭრქვა სპათა მისთა. „განმიმაგრეთ ზურგით
კერძი ჩემი, და ნუ შესძრუწუნდებით.“ და განვიდა ეგრეთვე არშაკ,
აღიჭურა და განვიდა განწყობილთა შორის.

აღიზახნეს ორთავე ხმითა სასტიკითა, და მიეტყვნეს ურთი-
ერთსა ³⁾, და იწიეს ორთავე გუჩემად ორდლითა, და ვერ ჭკუბდეს
საჭურველთა ერთმან-ერთისა; და ბრძოლისა სიკრძქესა შინა გაუტუ-
დთა ორდლები. აღმოიდეს ჩუგლუგები, და იწიეს ბრძოლა ჩუგ-
ლუგებითა: ოდეს უხეთქიან ჩუგლუგი-იგი საჭურველსა მათსა ზედა
მზგავს იყვს ხმისა ურდისასა, რომელ იცემის მჭედლისა-გან გუჩ-
დემლსა ზედა, და ხმა ზახილისა მათისა მზგავს ⁴⁾ იყო ქუხილისა:

¹⁾ Omis dans les M-ss

²⁾ M-ss რომელიცა მიიღო მის-გან.

³⁾ M-ss ურთიერთარს.

⁴⁾ La forme მზგავსი dans les M-ss est plus régulière, mais les autres sont plus usitées.

მაშინ ვერა სძლეს ერთმან-ერთსა, დაშერეს და უკედგეს აშიერ და იმიერ. შელამდა დღე-იგი და განისუტნეს ორთავე, და დილუელ კვალად გამოვიდეს, აღიღეს მშუღდები, იწიეს რბევად და სისრად ერთმან-ერთისა: ჰკრა ისარი ადერკი მკერდსა არშაკისსა, და ვერა უთარა სიმაგრე-მან საჭურველისა-მან. განვლთ ზურგით, და ჩამოვარდა არშაკ ცხენისა-გან: შეიქცა ადერკი მსწრაფლ, მივიდა სზათა თანა სომხითისათა, და ჰრქჳ მათ. „გათუცებთ დმურთთა თქუტნთა, ნუ განმარტებთ მახლთა თქუტნთა ქართველთა ზედა, რამეთუ მამულნია ჩუტნნი, ¹⁾ და აწ მე ვარ მეფე მათი, ძალითა და შეწევნითა თქუტნითა:“ ისმინეს სომეხთა ვედრება მისი და დადგრეს ადგილსა ზედა: შემოიქცა და მოვიდა მახლობელად ქართველთა სზისა, და ხმა ყო ხმითა მადლითა. „მე ვარ შჯლი მეფეთა თქუტნთა, და სუტსა ჩემსა მოუცემია მეფობა ჩემდა. აწ მიიღეთ ჩემ-გან კეთილი და სიხარული: აჰა ესე-რა სზანი სომხითისანი არა მოუშვენ თქუტნ ზედა:“ მაშინ მიუგეს ქართველთა. „გამოსჩნიდი უმჯობესი ყოველ-გან ნათესავთა თარნავაზისათა. რაჲთ-გან მოკუდა მეფე ჩუტნნი, შენ ხარ მეფე ჩუტნნი, და ვმადლობთ სვესა ჩუტნსა, რამეთუ მოკუტცა საზღურად მეფისა ჩუტნისა შჯლივე მეფეთა ჩუტნთა, ცოლიათი და სახელფანი:“ გარდახდეს ყოველნი ქართველნი, და სცჯეს ჰიკსა ზედა თჯსა, და თაუჳანის-ცეს ადერკის, და მშუღდობით შეკრბეს ერთად სომეხნი, და ქართველნი, და სზარსნი რანისანი, და მოიღეს ქართველთა გჯრჯზნი არშაკისი, და დაადგეს ადერკის, და წარმოიუჳანეს.

ი. მეათე მეფე, ადერკი, მე ბარტომისი, არშაკუნიანი ²⁾).

და ამან ადერკიმ დაიპურა ყოველი ქუტუნა ქართლისა და ეგრისი, და მოსცა სომეხთა მეფე-მან ასული თჯი ცოლად, და დაჯ-

¹⁾ M-ss მამულნი არიან, leçon plus correcte.

²⁾ Ce mot est habituellement écrit არშაკონიანი, dans le M-it T. du reste il faut lire ქართლონიანი, ici et dans les rubriques suivantes.

და მცხეთას, და მეფობდა კეთილად. ოც და ათისა წლისა მეფე იქმნა, და ორმეოც და ათ-შვიდ შეტ წელ მეფობდა: ხოლო ჰირველ-სა წელსა მეფობისა მისისასა იშტა უფალი ჩუქნი იესო ქრისტე, ბეთ-ლემს ჭურაასტანისასა: მოვიდეს მისსა მოგუნი, ძღუნისა შეწირვად და მოგუთა შესღვისა მოვიდა ჭამბავი მცხეთას, ვითარმედ „სპარს-თა იელუსალიმი წარტუქსნესო.“ და ჭურაანი, რომელნი მცხეთას იუქნეს, იქმნა მათ შორის გლოვე და ტირილი: და შემდგომად მეორესა წელსა სხვა მოვიდა ჭამბავი, ვითარმედ „სპარსნი არა წარ-ტუქსნვად მოვიდეს იელუსალიმს, არამედ აქუნდათ ძღუქნი ურმისა ვისმე შობილისა-თჳს:“ განიხარეს ურიათა მცხეთულთა: შემდგომად ამისსა, ვითარც გარდახდეს წელნი ოც და ათნი, მოვიდა მოციქუ-ლი ¹⁾ ანნა მღუდლის ჭურათა, იელუსალიმით, ჭურათა თანა მცხე-თულთა, ვითარმედ „რომლისა-თჳს იგი მოვიდეს მოგუნი და შეწი-რეს ძღუქნი, აღზრდილ არს იგი და იტუჯს თავსთჳსსა ძედ ღმერთ-სა, და სხუასა რასმე ახალსა სჯულსა გჳქადაგებს. და აწ წარმოგუ-ჯენია მოციქულნი უოველთა თან ჭურათა, რათა მოვიდენ მეცნი-ერნი სჯულისანი. მოვედით უკვე უოველნივე მოსეს სჯულისა თანა მდებნი ²⁾, ³⁾ და განვაბჭოთ მას ზედა. ⁴⁾ აწ თქვენ განნიცა წარმო-ვიდენ მეცნიერნი სჯულისანი მანდეთ რათა სჯული მათა ჩვენთა შეუცვალებელ ვუოთ და დავამტკიცოთ, და მცნებდ მოსესი აღვას-რულოთ, რათა ახლითა-მით სჯულითა, რომელ რასმე გჳქადაგებს, არა შეატუნეს უმარტივესნი ვინმე სჯულისა ჩუქნისანი, ხოლო სი-კუდილითაცა მისითა შური ვიძიოთ ⁵⁾.

მაშინ უკვე წარვიდა ელიოზ კაცი მოხუცებული: ხოლო ესტა მას დედა ტომისა-გან ელი მღუდლისა, და კვალად ერთი დაჲ: ხო-ლო წარმავალსა-მას ევედრებოდა დედა ძესა თჳსსა, ვითარმედ. „წარ-ვიდ უკუქ, შვილო საუუარელო, წოდებასა-მას მეუფისსა და წესსა

¹⁾ T. მოციქულნი.

²⁾ Omis dans R. depuis მოდით, jusqu'ici.

³⁾ M-ss aj. და განვიკითხათ.

⁴⁾ Après ce mot, M-ss aj. depuis აწ jusqu'à მანდეთ.

⁵⁾ Manque à R. depuis რათა სჯული, jusqu'ici.

სჯულისსა, კარნა ესე ხოლო რომელსა გამცნებ შენ დაიმარხენ, ნუ უკუტუ შეერთუნ ცნობა შენი განზრახვისა-მას მათსა ბოროტსა და ნუცა ვიდრემე ეზიარები დათხევას სისხლისა-მის მისისსა. ნუ შჯლო ჩემო, გვედრები, ნუ. რამეთუ უეჭველად უწოდე, ვითარმედ იგი არს სიტუტა წინასწარმეტუტუტლთა, რომელსა ზირველით-განვე მოეს-წავებოდეს: “ და ვითარცა წარვიდა ¹⁾ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსელი, და მუნ დახუდეს ჯუარ-ცმას უფლისსა: ხოლო რა-ჟამს-იგი იელუსალიმს დამსტუაფვიდეს უფალსა, ცემას-მას კუტრისსა სამსტუალოთა ზედა, მუის მებრ მასვე ჟამსა მცხეთას ხმა ესმა დედასა ელიოზისსა: ხოლო მან საშინელითა კრხნიალებითა დაიზახნა, და თქვა. „მშვიდობით, მეუობაო ისრაელთაო, რამეთუ უკუნუ-რებით მოკალთ, უბადრუკო და წარწყმედიდნო, უფალი და მაცხო-ვარი უოველთა, და იქმენით ბოროტად მკვლეელ შემკმედისა თქუტრისსა: ვაჲ თქვენდა, უბადრუკო. ვინმცა უკვე იზოვა ეკე-ვითარი გლო-ვა, რომელსა თქვენ ღიხს ხარო. ხოლო უფრადსა ვაჲ ჩემდა, რა-მელ ზირვეელ სიკუდილისა ჩუმისა მსმენელ იქმენს ერუნი ჩემნა ყო-ვლისა მწუნარებისა სსმენელსა:“ და მუის, ამას სიტუტასა ზედა, მე-უტსეულად უკვე შეისვენა დედა-კაც-მან მან მწუნარებასა და გლოვა-სა შინა ფრიადსა და მიუთხრობელსა: ხოლო ოდეს ²⁾ კუართსა-მას ზედა უფლისსა წილა-იგდეს უღმრთოთა ურიათა ჯუარ-ცმასა-მას, განკებულება-მან ღმერთისა-მან მიახუტდრა მცხეთელთა ურიათა. და წარმოვიდა იელუსალიმით ელიოზ და ლონგინოზ, და წარმოიდო კუართი-იგი წმიდაჲ: ვითარცა მოიდო ელიოზ მცხეთას, მუის წინა უკუტუ მიეკება დაჲ-იგი მისი, გოდებითა და ტირილითა საშინელი-თა, ცრემლითა შესტარული, და მოეხვია ეელსა სსურველისა-მის ძმისა. ხოლო ვითარცა იხილა უსასურველეს-იგი უოველთა სსურ-ველთა კუართი მხსნელისა ჩუტრისა, მუის წადიერებით უკვე და სურ-ვილით შეიტკობო მკერდსა თხსსა და მეუტსეულად სუტნი წარხდეს ნეტარსა-მას დედა-კაცსა, სამ-სახეთა მიზეზთა-თხს. ზირვეელ უკუტუ-უფლისა სიკუდილისა და ვნებისა მისისა-თვინ. მეორედ, რამეთუ ეზიარ-

1) M-ss წარვიდეს.

2) T. omet ce mot.

რა ძმა მისი სისხლს უფლისსა. ხოლო მესამე, ვინათ-გან მოესხე-
ნა დედისცა თვისა იგი მწუნარებით სიკუდილი: ვინათ-გან უკუწ
ყოველივე მწუნარება ერთბამად შემოუკრება, ამის-თვცნა ძლეულ იქმ-
ნა ბუნებისა-გან კაცობრივის, და სიკუდილი დაესჯა, ღმობილსა
მწუნარებათ-გან ფრიადათ: მაშინ უკუწ საკვრველი საქმე-იგი დიდი
განისმა ¹⁾ ყოვლისა-მას ქალაქსა შინა ²⁾. და ვითარცა საცანაურ იქმნა.
შეუესცა და ყოველთა მთავართა, და ყოველსა ერსა, და ყოველთა
ერთბამად, დაუკვრდა საქმე იგი საშინელი: ხოლო ვითარცა ბხილა
ადრკი მეფე-მან წმიდა ³⁾ კუართი-იგი, სთნდა უკუწ ფრიად, შუწ-
ნიერებისა-მის-თვნ მისისა, და ენება შემოსა მისი შეგინებულსა-მას
გუამსა თვისსა ⁴⁾. ხოლო საკვრველებისა-მის-თვნ, და მის მიზეზისა-
თვნ რამელ-იგი იქმნა, არდა-რა უკუწ ინება გამოდებად მკერდისა-
გან მკუდრისა-მის: ხოლო ელიოზ დამარხა დაჲ-იგი მისი სასატრე-
ლითა დამარხთა. რამეთუ ერთბამად ⁵⁾, ვითარცა აქუნდა მკერდსა
თვისსა ზედა კვართი-იგი ⁶⁾, ეგრეთვე დამარხნა ხოლო წმიდა-იგი
კუართი წმიდადვე უკუწ დაშთა, და წმიდადვე გიეს, ვითარცა პირველი-
ვე წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევისა ქართლისსა.

და ⁷⁾ შემოკამად ამადლებისა უფლისა, რა-ყამს წილ-იგდეს
მოციქულთა, მაშინ ყოვლად-წმიდასა ღმერთის-მშობელსა წილად ხუ-
და მოქცევად ქუწუნა საქართველოსა, და ეჩუწნა მას ძე მისი უფა-
ლა ჩუწნი, და ჭრქუა. „ჰ, დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერთ
იგი საზებურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეხებითა შენითა მათ-
თვს. ხოლო შენ წარავლინე პირველ-წოდებული ანდრია ნაწილსა-
მას შენდა ხვედრებულსა, და თანა წარატანე ხატი შენი, ვითარცა
პირსა შენსა დადებითა გამოისახოს, და შენ-წილ ხატი-იგი შენი

1) T. აჲ ესე, omet იგი précédemment.

2) M-ss მცხეთას.

3) Manque à T.

4) T. შემოსა სამოსელ-იგი.

5) T. M-ss ერთბამად წმიდათა მით კვართითა.

6) M-ss au lieu de ces quatre mots: და ვითარცა თვთ მოელა.

7) Ce qui suit, jusqu' à fin du §, manque à R et à T.

მკვდრობდეს მცუჭლად მათდა უკუნისმდე ყამთა.“ მასინ ჰრქჳა
ყოფლად-წმიდა-მან მოციქულს ანდრიას. „შჯლო ანდრია, დიდად უჩნს
სულს ჩემს, რომელ ქუჭყანას მას ნაწილს ჩემს ანა ქადაგებულ
ანს სახელი ძის ჩემის. ოდეს წარვემართე ქადაგებად ძის ჩემის
ქუჭყანას-მას წილად ჩემდა ხვედრებულს, მასინ გამოემცხნადა სა-
ხიერი ძე ჩემი და ღმერთი, და მიბრძანა, რათა შენ წარხვდე და წა-
რასვენო სახე ჩემი და სახიერის ძის ჩემის ჩემდა წილ-ხდომილ-
სა, რათა მე ვიყო გამკებულ ცხოვრების მათისა, ხელი აღუხურა და
შევეწიო მათ.“ და ჰრქჳა მას მოციქულ-მან. ყოფლად-წმიდაო, ნება
სახიერის ძის შენის და შენი იყავნე ყოველსა ყამს:“ მასინ
ყოფლად წმიდა-მან მოითხოვა ფიცარი, დაიბანა პირი, და დაიდუა
პირსა ზედა თვსსა, და გამოისხს ხატე ესე-ვითარე, რომელ წიად-
თა თვსთა ეტვრთა განკორციელებული ჩხული, ყოფლად სახიერი სიტ-
უჳა ღვთისა, რომელ აწ ყოველთა მიერ სახილველ ანს ხატე ყოფ-
ლად-წმიდისა, წოდებული აწუჭტრისა ღვთის-მშობლისა, და მისცა
იგი მოციქულს ანდრიას და ჰრქჳა: „მადლი და შევეგნა ჩემ-გან
შობილისა უფლისა თანა-შემწე გეყავნ შენ, სადაცა ხვდოდე, და მე-
ცა თანა-შემწე ვარ ქადაგებასა მაგას, და დიდად შევეწიო მონაწი-
ლეს-მას ჩემდა ხვედრებულს:“ მასინ დავარდა მოციქული ქუჭუნად,
და მადლი შესწირა ცრემლითა ყოფლად-წმიდასა, და გამოვიდა მიერ
სინარულით, და წარვემართა ქადაგებად სახარებისა.

ამან ადერკი ¹⁾ უმატა სიმაგრეთა ქართლისათა, ქალაქთა და
ციხეთა, და უმეტეს მომტკიცნა ზღუდენი ქალაქის მცხეთისანი,
წყალს ამიერ და იმიერ: ამისვე ადერკის მეფობსა შინა მოვიდა
ათ-ორ-მეტთა წმიდათა მოციქულთაგანი ანდრია ქალაქად ტრაპიზო-
ნად ²⁾, რომელ ანს სოფელი მეგრელთა, სადა-იგი დაყო ყამი მცი-

¹⁾ M-ss aj. მეფეჲან.

²⁾ Ce qui suit manque á R, jusqu'à სახარებისა, p. 28; dans T, on trouve ce texte jusqu'à ქართლისასა, deux lignes plus bas. Mais aussi, après le nom ანდრია, le M-it R ajoute: სიმონ კანანე-
ლითურთ აფხაზეთს და ეგრის, და მუნ აღესრულა წმიდაჲ სვმონ კანანე-
ლი, ქალაქსა ნიკოფსისასა, საზღვარსა ბერძენთასა, ხოლო ანდრია მრავ-

რედი, და იხილა უგუნურებაჲ ზირუტუეჭბრივი მკვდრთა შორის მის ქალაქისათა, განვიდა მიერ და შევიდა ქუჭყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სანარებისა: ხოლო მუნ კაცნი ზირ-უტუეტა უგუნურეს იუტნეს, რამეთუ არა იცნობდეს შემოქმედსა დემეტოსსა, და ყოველსა საძაგელსა, და არა წმინდასა წესსა აღასრულებდეს, რომელი სათქმელადცა უჯერო არს: და მრავალნი ჭირნი, და განსცდელნი დაითმინნა ურწმუნოთა-გან, და შეწევნითა ღვთისათა და წმიდისა-მის ხატისათა ყოველნივე მადლობით მოითმინნა, ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა, და მოიუტნნა სარწმუნოებად: რამეთუ აღვილსა რომელსა დაასვენა ხატი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა აღმოცენა წყარო ფრიად შუბნიერი და დიდი, რომელი-იგი ვიდრე დღესცა დაუწყევდელად აღმოზდის: და შემოკრებს ყოველნივე ყოვლით კერძო მკვდრნი მის ქუჭყანისანი, და ნათელ-სცა ყოველთა სახელითა მამისათა, და ძისათა, და სული-სა-წმიდისათა და დაადგინნა მღვდელნი და დიაკონნი, და დაუდვა წესი, და სამზღუარი სარწმუნოებისა: და ადაშენა ეკკლესია შუბნიერი, სახელსა ზედა ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისასა. და ვითარცა ენება წმიდასა მოციქულსა მიერ წარსლუა, ევედრებოდეს, და არა უტეგებდეს წარსლუად არამედ ეტყოდეს. „უკეთუ შენ წარსლულ, ხატი-ეგე ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისა აქა დაგვსვენე, სასოდა და მცუტლად ჩუტნდა:“ ხოლო წმიდა-მან მოციქულ-მან ანდრია შექმნა ფიცარი მსგავსი ზომისა, და დასდუა ხატსა-მას ზედა, და შეუტსეულად გამოისახა სახე უცუტლად-გული ხატისა-მის და მისცა იგი მათ: ხოლო მათ სიხარულით შეიწუნარეს და დასვენეს ეკკლესიასა შინა თვისსა ზატოვით, რომელი-იგი დღეს აქამომდე გიეს. ხოლო წმიდასა მოციქულსა მისცეს მშვიდობა და მოწლედ მოიკითხეს, ამბობს უევეს და წარმოგზავნეს.

ხოლო იგი წარმოემართა, გარდამოვლო მთა, რომელსა ეწოდების რკინის-ჯუარი, და თქმულ არს, ვითარმედ ჯვარი-იგი თვით ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართებულ არს: ხოლო ვითარცა შთავლად

ციენა მეგრულნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა. Suivez p. 28: ხოლო ვითარცა ესა... Le reste manque, jusqu'à სკვითედ, p. 29.

ხევი ოძრხისა, და მოვიდა სამზღჳართა სამცხისათა, დაივანა სოფელსა რომელსა ეწოდების ზადენ-გორა: მიხედნა მოციქულ მან და იხილა, რამეთუ კაცნი მის ადგილისანი უზოროდეს კერზთა ყრუთა, და ილოცა წმიდისა-მის ხატის მიმართ, და უოგუენი-იგი კერზნი და დაემხუნეს და შეხმუსრნეს: ხოლო წმიდა მოციქული წარმოემართა და მოიწია აწუგერს, რომელსა ჰირველად ეწოდებოდა სოსანგეთი, და ზირის-ზირ საქრისა, და დაივანა ადგილსა ერთსა, სადა-იგი იყო ტაძარი საკერზო, რომელსა აწ ძველ-ეკკლისია ეწოდების, და მას შინა იმსახურებოდეს კერზნი მათნი: ხოლო მთავრობდა მათინ დედა კაცო ვინმე ქერივი, სამძივანი, რომელსა ერთი ოდენ ძე ესგა და უოგუენი სასოება მისი მისსა მიმართ მოძრაობდა, და მას ოდენ ჟამსა მომკჳდარ იყო, და იყო ვაებაჲ ტირილისა, და შოფთი ფრიად მრავალი. და ღამესა-მას იხილეს ციხით-გან ნათელი დიდი, სადა ესგუნა ხატი უოგლად-წმიდისა, განკვირდეს ფრიად ვინაობასა მათსა. და რა განთენდა, მსწრაფელ წარმოგზავნეს კაცნი, რათამცა იხილონ, თუ ვინ არიან, ანუ რაღას: და ვითარცა იხილეს კაცთა-მათ წმიდა მოციქული და ხატი უოგლად-წმიდისა, მსწრაფელ წარვიდეს და აუწუეს ქერივისა-მას დედა-კაცსა, ვითარმედ „უცხონი ვინმე კაცნი არიან, და უცხოსა ღმერთსა ქადაგებენ შემოქმედად და დამბადებულად, და სიცოცხლესა კაცთასა მომნიჭებულად, და მკჳდართა აღმადგინებულად, და ჰყავს მათ ხატი შუწნიერი, და მას ზატოვისა-სცემენ“.

ვითარცა ესმის სიტყუა ესე მკჳდართა აღდგომისა დედა-კაცსა-მას, განკვრდა და მცირედ რამე ნუგეშინის-ეცა გულისა მისსა. წარავლინნა მონანი თჳსნი მოწოდებად მოციქულისა, რომელი ვითარცა მოვიდა, ჰქაჳს დედა-კაც-მან. „ვინ ხართ, ანუ სადა მოხჳლთ, ანუ რა არს უცხო ეგე მოძღურება თქუწნი, რომელსა იტუვთ, რამეთუ არ-სადა სმენილ არს ეგე-ვითარი თხრობა:“ მიუგო წმიდა-მან მოციქულ მან, და ჰქაჳს. „მოგალე წმიდით ქალაქით იელუსალიმით, სადა დასდგეს ფერკნი უფლისანი, გოლგოთას და ბეთლემს, ცათა მობაძავთა, და მონა ვარ უფლისა ჩუწნისა იესო ქრისტესი, რომელი წამის-ყოფით აღადგენს მკჳდართა, და მას ვჰქადაგებ ღმერთად ჩუწნისა იესო ქრისტესი, რომელი წამის-ყოფით აღადგენს მკჳდართა,

და მას ვჭქდაგებ ღმერთად და უფლად, და მპურობულად დაბადებულ-
თა ყოველთა, და რომელსა ჭრწმენეს იგი და ნათელს-იდოს სახე-
ლთა მამისათა, და ძისათა, და სულისა-წმიდისათა, ყოველი რა-
ოდენი ითხოვოს სარწმუნოებით მიეცემის, და ყოველთა სენთა-გან
განიკურნების: „ხოლო ვითარცა ესმა ესე დედა-კაცსა, დავარდა ქრწ-
უნად, და ჭრქვა ცრემლით მოციქულსა. „შეიწყო სიჭრვივე ესე
ჩრწნი და უბადრუკებაჲ, ვინათ-გან მონაჲ ხარ მკუდართა აღმადგი-
ნებულისა. ილოცე ღმერთისა შენისა მიმართ, და მიანიჭე შეიღსა
მეფეთაჲ, სახელით ფეროზ. მან მოიტანა თანა ¹⁾ სპაჲ დიდი. და ამას ფეროზს მისცა მირიან ასული თჳსი ცოლად, და ქვეყანა ხუნანით-გან ბარდავამდე, მტეჳასსა ორივე კერძი, და დაადგინა იგი მუნ ერის-თავად. და სხჳაცა ძალი მოირთო სპარსეთით, უწყო ბრძოლად თრდატს: ხოლო ოდეს მოირთის ძალი თრდატ საბერძნეთით და მომართის მირიანს, და მას ვერ ძალ-ედვის წინა-დადგომად, განამაგრნის ციხენი და ქალაქნი, და მოფლის თრდატ ქვეყანაჲ მისი. და ოდესმე განძლიერდის მირიან სპარსეთით, ვერ წინა-ადუდგის თრდატ, მოფლის სომხითი: ესრეთ დაუცხრომელად იყვის შოთი მათ შორის წყლთა მრავალთა, და არაფინ იპოვა ოდეს სპარსთა შორის მარტოდ მბრძოლი თრდატისი. და სახელოვან იქმნა იგი უოველსა ქჳსჳანასა, და სძლო უოველადგე მბრძოლთა მისთა, ვითარცა წერილ არს ჳამბავი მისი ცხოვრებასა სომეხთასა.

შემდგომად ამისსა მეფე იქმნა სპარსეთს ძმის-წული მირიანისი, ძე ბარტამისი. ²⁾ მოუვლინა მირიანს მცციქული და ჳრქჳა, ,,რათა შევკრბეთ და გარდავლოთ სომხითი, და შევიდეთ საბერძნეთად:“ მაშინ გამოვიდა სპარსთა მეფე, და მიეგება მირიან, და შეკრბა სიმრავლე ურიცხჳ, ვითარცა თივანი ველთანი და ფურცელნი ხეთანი სიმრავლითა: გარდავლეს სომხითი. ვერ წინაადუდგა თრდატ, არამედ განამაგრნა ციხე-ქალაქნი და წარტუჳსნეს სომხითი, და შევიდეს საბერძნეთად, და ვერ წინა-ადუდგა მათ ბერძენთა მეფე კოსტანტინე, შთავარდა მწუხრებასა დიდსა. იწუეს ტუჳსნვად საბერძნეთისა: მაშინ არწმუნეს მეფესა კოსტანტინეს კაცთა დუთის-მსახურთა, და ჳრქჳს. ,,ინილე საკრველება ქრისტესი და ძლევაჲ მტერთაჲ მოსავთა მისთა-გან, ვითარ უოველნი მოსავნი ქრისტესნი, წარძღჳანებითა ჳჳარისთა, სძლევენ მტერთა მათთა:“ ხოლო კოსტანტინე მეფე-მან იწმუნა მათ, ვითარცა წერილ არს ესე განცხადებულად ცხოვრებასა ბერძენთასა, ნათელს-ილო კოსტანტინე და წარმოიძღჳანა სახე ჳჳარისა, და ეწო მტერთა სპარსთა-მათ ურიცხჳთა, სპითა

¹⁾ M-ss თჳს-თანა.

²⁾ M-ss აჲ. რომელ-მან.

მტერთა, და ძალითა ქრისტესითა აოტა ბანაკი მათი, და მოსრას სიმრავლე მათი: იულტოდეს ორნი-იგი ძმანი, მტირკედითადა მკედრითა, და მიუდგა უკან კოსტანტინე, და შევიდა საზღუართა მათთა: სზარსთა მეფე შევიდა სზარსეთად, მეოტი. ხოლო მირიან დადგა ქართლად და განამაგრეს ციხე-ქალაქნი. უღონო იქმნა მირიან და შეეშინა შემდგომად ოტუბისა ქართლით, რამეთუ აღწეულად იუჩენეს წუობასა შინა ყოველნი წარჩინებულნი მისნი, სზარსნი და ქართულნი: წარგზავნნა მცირეკუნი წინაშე კოსტანტინე მეფისა და ითხოვა მის-გან მშვიდობა, და აღუთქუა მას მისხურებაჲ და მწეულდაჲ სზარსთა: სთნდა კოსტანტინეს, რამეთუ შიში აქუნდა კვალად სზარსთა მეფისა-გან, და შემწეობისა-თჳს დაეზავა მირიანს. აღიღო შჯლი მირიანისა მძევლად, რომელსა ერქუა ბაქარ, და დაამოყურნა თრდატ და მირიან, და ამზახუნა. მოსცა თრდატ ასული მისი, რომელსა ერქუა რევ: უჩინა საზღუარი ესრეთ. რომელთა ქუჩუნათა მდინარენი დიან სამხრით, მიერთვიან რახსსა, ესე ქუჩუნანნი თრდატის კერძად დაყარნა, და რომლისა ქვეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან, და მიერთვიან მტკუარსსა, მირიანის კერძად დაყარნა, და შუა-მდგომელ იქმნა მათ და წარვიდა: მეფობდა მირიან ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს, და აქუნდა ეგრისიცა, ეგრის წყლამდე, და მისცა ძეს მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასვა იგი უჯარმოს, რევ და ცოლი მისი სალომე, ასული თრდატისი, და ცხონდებოდეს უჯარმოს: ხოლო ფეროზს, სიძეს მირიანისსა, აქუნდა ქუჩუნა რომელი ზემოთ ვახსენეთ მიცემულად მირიანის-გან, და იყო მუნ ერის-თავად: მას ჟამსა შინა მოსრულ იყო წმიდაჲ და ნეტარი დედა და ემბაზი ჩვენი ნინო, და დაეყო მცხეთას შინა სამი წელი, და განაცხადა ქადაგება ქრისტეს სჯულისა, და იქმნა კურნებასა თზნიერ წამლისა, და ხმაჲ-მალლად იწყო ქადაგებად ქრისტეს სჯულისა, ჭეშმარიტისა, ქრისტეს ღმერთისა ჩვენიასა: (ოდეს ქართლი მიაქცია წმიდა-მან ნინო ქრისტეს ამაღლებით-გან გარდასრულ-იუჩენ წელი სამ ას ოც და ათ-ერთ-მეტნი. ¹⁾)

¹⁾ M. R. თვრამეტნი.

მოქცევაჲ შირიან მეფისაჲ და ყოვლისა ქართლისაჲ,
წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუქნიისა ნინო მოცი-
ქულისა მიერ.

§ 2.

პირველად ვახსენით ცხოვრებაჲ წმიდისა და ნეტარისა დედი-
სა ჩუქნიისა და ყოვლისა ქართლისა განმანათლებელისა ნინო მოცი-
ქულისაჲ, რომლისა-თჳს მანვე ნეტარ-მან მოგვითხრა, ჟამსა აღსრუ-
ლებისა მისისასა. რომელი აღწერა მორწმუნე-მან დედოფალ-მან სა-
ლომე, უჯარმელ-მან ¹⁾, ძის ცოლ-მან შირიან-მეფისა-მან, ასულ-
მან თრდატ სომეხთ მეფისა-მან.

და იუჲ მათ ჟამთა შინა ოდეს წმიდა გიორგი კაბადუკელი
იწამა ქრისტეს-თჳს, იუჲ კაბადუკიათ ქალაქით კაცი ვინმე მთავა-
რი, შესაბამი მონა ღმრთისა, სახელით ზაბილონ და ესე წარვიდა
ჭრამედ წინაშე მეფისა მაქსიმიანესა, მსახურებად და ნიჭისა მო-
ღებად მის-გან: და მათვე დღეთა შინა კაცი ვინმე იუჲ კალასტრას
შინა, და ესხნეს მას ორ შვილ, ძე და ასული. და სახელი ძის
მისისა იობენალი, ხოლო ასულისა-მის სასანა ²⁾: აღსრულნეს ქმა-
რი და ცოლი-იგი, და დარჩეს ³⁾ და-ძმანი ობლად: აღდგენ და წარ-
ვიდეს ქალაქად წმიდად იერუსალიმად. იმედ ჭეუჭეს იმედი-იგი ყო-
ველთა ქრისტეანეთა წმიდაჲ აღდგომაჲ ⁴⁾, და მიეგედრნეს მუნ: ესე
ძმაჲ იობენალი მიემთხვია დევტალარობასა, ხოლო დაჲ-იგი მისი
სასანა ჭმსახურება ნიაფორსა სარა ბეთლემელსა.

ხოლო ესე ჭაბუკი კაბადუკელი, სახელით ზაბულონ, რომელი
ვახსენეთ, მიიწია ჭრამედ, წინაშე მეფისა, და აღდგომილ იუჳნეს

¹⁾ T უჯარმელ-მან; mais comme ce M-it porte plusieurs fois
უჯარმო, la leçon que j'adopte est plus régulière.

²⁾ M-ss მისისა სოსანა.

³⁾ M-ss დაჰმთეს.

⁴⁾ M-ss, ce mot et le précédent manquent.

მას უამსა ბრანჯნი ბრძოლად ჰბრძოთა, ველსა ზედა ჰატალანისსა.
მისცა უფალ-მან ძალი ზაბილონს, ჭაბუკსა-მას კაბადუკელსა, და
ქმნა წინა-აღდგომამა მტერთამათ უზომომ, და იოტნა ბრანჯნი
და შეიპურა მეფე ბრანჯთამ, და უფველნი-იგი მთავარნი მათნი, და
მიიუჭნა იგინი წინაშე მეფისა. ხოლო მეფე-მან განაწესა სიკუდი-
ლი მათი: მამინ იწყეს ტირილად ბრანჯთამათ, და ეგვიპტობდეს
ზაბილონს. „მოგვეც პირველად სჯული შენი, და შეგვიუჭნენ ტა-
ძარსა ღვთისა თქუნიისსა, მამინ იყავნ სიკუდილი ჩვენი, რამეთუ
შენ-მიერ შეპურობილ ვართ და შენვე ჰყავ ესე ჩვენ-ზედა, და უბრა-
ლო იქმენ სისხლისა ჩვენისა-გან, ახფანო:“ ხოლო ზაბილონს ვი-
თარცა ესმა ესე, მწრთელ მივიდა იღუმალ ჰატრიაქისა, ფარულად
მეფისა, აუწყა უფელი: ხოლო ჰატრიაქ-მან მისცა ნათელი ხელსა
ქუჩაშე ზაბილონისსა, და შეიუჭნეს ტაძარსა ღვთისსა, აზიარნეს
საიდუმლოსა კორცსა და სისხლსა ქრისტესისა და უჩუნიეს დიდ-
ბანი-იგი მცტიქელთანი, და დილეულ ზდრე აღდგეს ბრანჯნი-იგი და
შეიმოსეს სამოსელი სამკუდრო, განვიდეს ადგილსა-მას კაცის საგ-
ლავსა სასისხლესა, ლოცვდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა, ნათლის-
ღებისა-თჳს, და იტყოდეს, „ჩვენ სიკუდილსა შინა უკუდავნი ვართ.
რამეთუ დიკს გვეუჭნა ღმერთ-მან ესე-ვითარსა დიდებასა, მიღებად
საგზალსა-მას დაუღვენელსა, კორცსა და სისხლსა ქრისტეს ძისა
ღვთისა უკუდავისსა, რომელ უმადლეს არს უფველთა მათთა, და
უქვესკნელეს უფველთა უფსკრულთა, რომელ-იგი არს ვურთხეულ
უკუნისამდე¹⁾): ხოლო ვა (ვაჲ?) მშობელთა ჩვენთა, ნაყოფთა სამ-
წარისათა და მკვიდრთა ბნელისათა:“ და ხმობდენ. „მოვედინ მე-
ხრმლე და აღხუწნ თავნნი ჩვენნი ჩვენ-გან.“

ამას-რამ იტყოდენ იგინი, ხედვიდა ზაბილონ, აღიძრა კონკ-
ბითა და სტიროდა მწარედ, რამეთუ ვითარცა ცხვარათა თავნი მათ-
ნი კუჩლად წარიპურეს, და ვითარცა კრავთა შჯლთა მათთა სწყა-
ლობდეს: მამინ მოწყალე ქმნული ზაბილონ მათ-ზედა შევიდა მე-
ფისა და გამოითხოვნა მეფისა-გან სამკუდროდ შეკაზმულნი,

1) T უკუტ.

და 1) მიმადლნა მეფე-მან და ჭრქჳა. „მიმინიჭებია იგინი შენდა, და რადცა გნებავს უყავ მათ.“ მაშინ ზაბილონ კანუტეგნა. ხოლო იგინი ევედრებოდეს ზაბილონს, რათა წარუჭს ქვეყანას მათსა, და მისცეს სჯული ქრისტესი: ნათლის-ღება წელითა, ყოველსა ერსა მათსა: ხოლო მან ისმინა ვედრება მათი, და მოითხოვა მღჳდელი ჰატრიაქისა-გან: და ბრძანება მიიღო 2), სხუთა მიზეზითა, რომლი-თამე, მეფისა-გან, და წარვიდა მათ-თანა: და ვითარ მიეახლნეს დღისა ერთისა სავალსა, მოვიდა წინა ჭამბავი, ვითარმედ მეფე ცოცხალი მოვალს, და ყოველნი მთავარნი მის-თანა: შეიძრნეს ათნი სკერისთონი. ხოზამო, ხოზა, კანლაჯა 3), ხონებაგა, ხინგი-რაგა 4). ზაჯა, ზაკა, ზარდა, ზამრა და თმონი, და სემე-ფო: მიეკებოდეს ესე ყოველნი მდინარესა ზედა დიდსა და დრმა-სა დაყენა მეფე-მან ერი-იგი წყალსა იმიერ და ამიერ და ამიერ და აკურთხეს წყალი-იგი, და შთახდა ყოველი-იგი ერი, და განიბანნეს, და აღმობდეს აღმოსავალსა ერთსა, და დასდებდა მღჳდელი ყოველ-სა-მას ერსა კელსა და იყო მუნ ათ დღე, და აზიარნა საიდუმლოსა ქრისტესსა ერი ყოველი, დაუტეგნა მღჳდელი, კანუწესა წესი ყო-ველი: და ამისსა შემდგომად მისცა მშვიდობა ყოველთა და წარვი-და, ნიჭითა დიდითა, ჭრომედ, და განიზრახა გონებასა თჯსა. „წარვიდე იერუსალიმად, და ვმსახურო ნიჭი ესე ჩემი 5) ადგილთა ღვთისათა:“ წარვიდა ზაბულონ, და კანუერ ყოველი-იგი მონაგები გლახაკთა: და ზირველ ხსენებული-იგი დევტალარი ჰატრიაქ ქმნულ იყო, და ფრიად დაიმეგობრნეს ურთი-ერთსა 6) ზაბილონ და ჰატ-რიაქი ჭრქჳა სარა ნიაფორ-მან ჰატრიაქსა 7). „ესე ზაბილონ მ-

1) M-ss რომელნიცა.

2) T მოიღეს.

3) Mon M-it გარდაჯაი.

4) Ibid. ხანიჭრაგაი.

5) M-ss ნიჭითა ამით, qui est plus correct.

6) M-ss ურთიერთს; T écrit habituellement ურთიერთსა, qui vaut mieux; je laisse l'autre leçon, comme marquant la transition entre les deux.

7) Mes M-ss écrivent toujours ჰატრიაქი.

მაჲ და ემბაზი ¹⁾ ბრანჯთაჲ, კაცი სრული ღვთის-მომშობითა და სიბრძნითა, მიეც უგუჭ დაჲ შენი სოსანა ცოლად მისსა:“ და სთნდა წმიდასა ჰატრიაქსა, და მისცა სოსანა ცოლად, და წარვიდა თვსად ქალაქად კოლასტრად ესე წმიდაჲ ნინო, მოძღვარი ქართლისა, მათგან იშუა ოდენ მხოლოდ, თვნიერ სხვსა შვილისა, და აღზარდა დედა-მან მისმან სოსანა მსახურებასა შინა გლახაკთასა: და ვითარ იქმნა ნინო ათ-ოც-მეტისა წლისა, მოხბულთა მისთა განვიდეს ყოველი მონაკები მათი, და წარვიდეს იერუსალიმად.

მაშინ ზაბილონ დაიწყო ჯუარი ჰატრიაქისა-გან და იჯმნა ცოლისა-გან მისისა, შეიტკობ მკერდსა თვსსა ასული წმიდაჲ ნინო, და დაღვანა ვითარცა წყარონი ცრემლნი თუაღთაგან ჰირსა მისსა ²⁾: და ჰქრქა. „შენ მხოლო ასული ჩემო, ესე-რა დაგიტეობ ობლად ჩემ-გან, და მივითქვალავ შენ მამასა ზე-ცათასა, ყოველთა მზრდელსა ღმერთსა, რამეთუ იგი არს მამაჲ ობოლთაჲ და მსაჯული ქრეივთაჲ. და ნუ-გეშინიან შენ, შჯლო ჩემო: შენ ხოლო მარამ მაგდალინელისა შური აღიდე. ქრისტეს სიუწარულისა-თვს, და დათა-მათ ღაზარესთა. და თუ ეგრეთ შეიუწარო იგი, ვითარცა მათ, მან ეგრეთვე მოგცეს შენ ყოველივე რაჲცა სთხოვო.“ დაუტევა ამბოკის ყოფაჲ საუკუნოჲ და წარვიდა წიად იორდანესა, კაცთა-მათ-თანა ველურთა, სადა ყოფაჲ მისი უწყის ყოვლისა დაშობებულ-მან ღმერთ-მან: ხოლო დედა მისი მისცა ჰატრიაქ-მან მსახურებად გლახაკთა დედათა: და წმიდაჲ ნინო მსახურება ნიათოვრსა. სომეხსა დვინელსა, ორ წელ, და ჰკითხვდა ყოვლად ვნებათა-მათ ქრისტესთა, ჯუარ-ცმისა, დათვლსა და აღდგომისა ძალსა, და სამოსლისა მისისა, ტილოთა და სუდარისასა, მიწეებით ყოველსა: რამეთუ არა-ვინ ყოფილ იყო, და არაც იყო შოკის იელუსალიმსა სწორ მისსა მეცნიერებითა სჯულისა, ძველსა და ახალსა ყოველსავე ზედა-მიწეონითა. ხოლო იწყო მან ³⁾ უწყებად მისსა და ჰქრქა: „ვბე-

¹⁾ T ენება, qui est tout-à-fait inadmissible et insignifiant.

²⁾ T ჰირისა მისისა.

³⁾ T omet ce mot.

დავ, შვილო ჩემო, ძალსა ღომისა ძუისასა, რომელი იზახებნ ¹⁾ უოველთა-ზედა ოთხ-ფერხთა, გინა ვითარცა არწივი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჭერთასა უფროს მამლისა, და უოველი ხმელეთი გუგასა თჳაღისა მისისასა, მცირისა მარგალიტისა სწორად შეიყენის, განიხილის და განიცადის საჭმელი მისი ცეცხლებრ, და რაჲ იზახის, მიუტევენის ფრთენი და მიეტევის მას-ზედა. ეგრეთ იუოს ცხოვრება შენი: აწ ვიწყო და გითხრა უოველივე: ოდეს იხილეს ღმერთი იგი უკჳდავი კაცთა მოკჳდავთა ქვეყანასა ზედა, რომელი მოსრულ იყო მოწოდებად წარმართთა, ვითარცა თვთ ინება ხსნაჲ სოფლისაჲ, იწყო კეთილის უოფად ჭურიათა, მკჳდართა აღდგინებად, ბრმათა აღნიღვად, სნეულთა განკურნებად: ესე შეიშურვეს და შეიზრახნეს, და წარავლინეს სტრატიოტნი უოველსა ქქსყანასა, სწრაფით მოსლჳად ჭურიათა, და ჭკჳმსს, რამეთუ „ესე-რა წარვსწემდებით. მოვედით და შემოავკრბეთ უოველნი,“ მოიწივნეს უოველით ქქსყანით კაცნი მრავალ ²⁾ რიცხენი, სწავწუღნი სჯულსა მოსესსა, რომელნი-იგი ანტაკრად ³⁾ წინა-აღუდგეს სულსა წმიდასა ანტაკრად, რაჲ-იგი ჯერ-იყო უოფად ქქსყანასა, მათ აღასრულეს, ჯჳარსა აცვეს და სამოსელსა ზედა მისსა წილ-იგდეს, და ხჳდა წილითა ჩრდილოელთა მცხეთელთა მოქალაქეთა კჳართი-იგი უკერავი: ხოლო დათელეს ⁴⁾ იესო და დაჭკრძალეს საფლავი მისი, არამედ იგი აღდგა, ვითარცა სთქჳა ზირველად, და ტილონი-იგი ჭზოვნეს საფლავსა შინა და შემდგომად რაოდენთამე ჟამთა, მივიდეს ხელთა ღუკა მახარებლისათა, და დახსნა იგინი სადაცა თვთ იცის: ხოლო სულარი არა იზოვა, არამედ სთქჳს ვიეთმე ზეტრეს-თვს ვითარმედ, „ხელ-ეწიფა აღხმადო და აქჳს მასო“, არამედ განცხადებულად არა კვთხრნეს: ხოლო ჯჳარნი ამასვე ქალაქსა შინა დამარხულ არიან,

¹⁾ T იზახებენ.

²⁾ T omet ce mot.

³⁾ C'est le grec ἀνταρως, directement, à l'opposite. Soukhhan-Saba explique ce mot par l'arménien ხსტაკარანოც. *խոտապարանոց*, qui en est l'équivalent imparfait.

⁴⁾ M-ss aj. რა.

აკამედ ადგილი მათი არა-ვინ იცის: თდეს ინებოს ღმერთამან, გამჩნდეს იგინიცა:“ ვითარცა ესმა ესე უოველი წმიდასა ნინოს ნიათოურის-გან, მისცა კურთხევაჲ და მადლი ღმერთსა, და კვალად ჰკითხს: „სადა არს ჩრდილოსა-იგი ქუჩუანა, სადა არს სამოსელი-იგი უფლისა ჩვენისა:“ ჰრქჳს ნიათოურ მან, „ქალაქი მცხეთა, ქუჩუანაჲ ქართლისაჲ, სომხითისა, მთიულეთი, არს სსწარმართოჲ, რამეთუ ჟამსა ამას უჟიკთა სახელმწიფოთ შუქმნილ არს იგი.“

ხოლო მათ დღეთა შინა მოვიდა დედა-კაცი ვინმე ეფესოთ¹⁾, თაჟუანის-ცემად წმიდისა ადღკომისა და ჰკითხვდა დედა-კაცსამას ნიათოური ვითარმედ „ელენე დედოფალი ჯერეთცა ეკე-ვითარსა ცთომისა და ბნელსა შინა არს:“ ხოლო მან ჰრქჳს ესრეთ, ვითარმედ „ვარ მხევალი მათი, და მახლობელი განზრახუასა მათსა უოველსა, ცხადსა და დაფარულსა, და უწი²⁾ მე მისი, რამეთუ აქჳს მას დიდი წადიერებაჲ ქრისტეს სჯულისა და ნათლის-ღებისა-თჳს:“ ხოლო ესმა-რა ესე დედა-კაცისა მის-გან წმიდასა ნინოს, ჰრქჳს ნიათოურსა ესრეთ, ვითარმედ „წარმოგზავნე მე და მივიდე დედოფლისა ელენესსა, ნუ-უკუჩქ მიგვასლო სიტუჯს-გებად ქრისტეს-თჳს წინაშე მისსა:“ ხოლო ნიათოურ-მან აუწია ჰატრიაქსა წადიერებაჲ ესე და საქმე ნინოსი. მასინ ჰატრიაქ-მან, დედის ძმა-მან მის-მან³⁾, მოუწოდა წმიდასა ამას ნინოს, დის-წულსა თჳსსა, და დაადგინა იგი ადსავალსა წმიდისა საკურთხეველისსა, და დახსნა კელნი მისნი წმიდანი მხართა ზედა მისთა, სულთ-ითქუნა: ცად მიმართ, სიღრმით გულისა მისისათა, და ჰსთქუა: „უთალო, ღმერთო საუკუნეთაო, კელთა შენთა შევეკრდებ თბოლსა ამას შჯლსა დისა ჩემისსა, და წარვაგლინებ ქადაგებად ღმთაებისა შენისა, რათა ახაროს ადღკამაჲ შენი: სადაცა სათნო იუოს სრბაჲ მისი, ექმნენ, ქრისტე ღმერთო, ამას თანა-მოგზაურ, ნაფთ-სადგურ, მოძღუარ, ენა-მეცნიერ, ვითარცა უწინარეს ამისა მოშიშთა სახელისა შენისათა.“

1) T ეფესოდ.

2) M-ss ვუწი.

3) T ხოლო დედის ძმა მან.

და უკმნა დედისა-გან თვისის ამბოხის-ყოფითა განშორების-
თათა, და გამოსახა ¹⁾ მას-ზედა სასწაული ჯუჭარისა და ესრეთ ღო-
ცთა ღვთისა მიმართ და კურთხევიითა განუტევა: და წარემართა
წმიდაჲ ნინო დედა-კაცისა-მის-თანა ეფესოთ მოსრულესა, და ვითარ
მიიწივნეს სამეფოსა ჰერემს სახიდ დედა-კაცისა, რომელსა-იგი თანა-
მოგზაურ ექმნა, იხილეს მუნ დედოფალი ვინმე და ტომი მეფეთა,
სახელით რიფსიმი, და დედა-მძუძე მისი გაიანე, რომელნი-ესე იყო-
ფოდეს მონასტერსა შინა ქალ-წულთასა, და ჰსუროდათ ²⁾ ქრისტეს-
თვს, და მომლოდე იუჟნეს იელუსალიმით ნათლის-ღებასა: მასინ
დედა-კაც-მან მან წარუდგინა წმიდაჲ ნინო, და აუწყო საქმე მისი
დედოფალსა რიფსიმეს, რომელი-იგი იხილა-რამე ქრისტეს მოყუ-
რე-მან რიფსიმე, სიხარულით შეიტკობო, და შეიწინა რა სახიდ თვსად,
წინაშე მისსა, წმიდაჲ ნინო კელთა-გან მის დედა-კაცისა თანა-მო-
გზაურისა: და ესრეთ იყოფოდა-რა მის-თანა წმიდაჲ ნინო, მასვე
შინა წელიწადსა ნათელ-იყო რიფსიმე, რომლისა-თვს იგი სურვილ
იყო, მის-თანა გაიანეცა დედა-მძუძე-მან და სხუთა-მათ სახლეულთა
მისთა, რიცხვთა ორ-მეოც და ათთა სულთა, ხელთა შინა წმიდისა
ნინოსსა, და იყოფოდეს მონასტერსა შინა თვსსა, და მათ-თანა წმი-
დაჲ ნინოჲ ორ წელ.

მათ დღეთა შინა წარავლინნა კეისარ-მან ძიებად ქალისა ქმნულ-
კეთილისა და შუჭნიერისა, რათამცა უზოვეს ღირსი ცოლად მისსა.
და ვითარ მოიწივნეს მეძიებულნი-იგი მონასტერსა ქალ-წულთასა და
იხილეს, და განიცადნეს რიფსიმე, და გამოიკითხეს გუჯარი მისი,
და სცნეს მეფეთა ნათესაობაჲ მისი, რომელსა სახე ფრიად სთნდა
შუენიერებაჲ მისი, რომელსა ვერ-სადა იხილვა მსგავსი ხილვითა და
შუენიერებითა. და გამოსახეს სახე შუჭნიერებისა და ხატისა მისი-
სა, ფიცარსა ზედა, და წარჰგზავნეს წინაშე კეისრისა, რომელი
იხილა-რა კეისარ-მან ფრიად სთნდა და სიხარულით აღიფსო, და გა-
ნაწიესა აღსრულებაჲ ქოწილისა მრავლითა სიხარულითა, რომლისა-

1) T გამოახხა.

2) ჰსუროდა.

თვსტა მსწრათუღ წარავლინნა მცციქულნი და განმგებულნი უოველთა შინა საბრძანებულთა მისთა, რათა უოველნი დიდითა სინარულითა მთვიდენ ბრძანებითა ამასდა ¹⁾ ქორწილსა სამეუფოსა: ხოლო იხილეს-რამ უოვლად-წმიდათა-მათ დათარული-იგი მანქანებაჲ მტრისა, და ისარნი მისნი განხურვებულნი, რომლითა-იგი ისწრათუღა სისრად წმიდათა ქრისტესთა, იურვოდეს, რამეთუ ჭური რისხვსა იხვავა მეფე, ვითარცა გველი სამოთხესა შინა მზრახველ ექმნა, ეგრეთვე აქა მსგავსად მისსა უსჯულთა ესე, რომელსა აქუნდა შეგინებულთა თაყნანის-ცემად ბილწითა და შეგინებულთა კერზთა.

ხოლო იხილეს-რამ ნეტარ-მან რიფსიმე, გაიანე და სხუათა-მათ წმიდათა დედათა განსაცდელი ესე მათ ზედა მოწევნულად, მაშინ მოახსენეს მათ უბიწო იგი აღთქმად და დირსი ქებისა მარტოებითი ცხოვრებაჲ, რომელსა-იგი იუჟნეს განსწავლულ, და გოდებით ტიროდეს გამცხატვით შესწავებისა-მის-თვს წინაშე მეფისა უსჯულთა მუხტნიერებჳსა წმიდისა რიფსიმესა, რომელი-იგი გამცხატვით და წარგზავნეს. და მისცნეს თავნი თვსნი თვიცხელისა მოღუაწებისა კანონსა, ლოცვთა და ვედრებითა ღვთისათა, დაუცადებულთა, და ერთობით განზრახვთა ურთიერთარს, უოველთავე დაუტევეს ქრესტან-იგი თარულად, ორ-მეოც და ათცამეტ-მან სულ-მან, და მოიწივნეს ლტოლვილნი არეთა და სანახებთა სომხითისათა, ადგილსა რომელსა ჭრქვიან ხალ-ქალაქი, უადრეს შენებულსა, რომელ არს დვინი, საყოფელი სომეხთა მეფისა, და შევიდეს მუნ ტაღავართა-მათ შინა საწნახელთასა, რომელნი-იგი იუჟნეს შენებულ ჩრდილოთ-კერძ, და აღმოსავალით, და იზრდებოდეს მუნ შინა კელი-საქმისა თვსისა განვარდებითა: ხოლო იხილა-რამ კეისარ-მან, რამეთუ განხერხეს კელთა-გან მისთა და ტრფიალებისა-გან მისისა ბორცოტისა წმიდაჲ რიფსიმე და სხუანი-იგი მისთანანი, ადვისო უნუგეშინის-ცემოდთა მწუხარებითა, და წარავლინნა კანნი უოველთა ადგილთა, მოძიებად მათდა.

მაშინ მოიწივნეს მცციქულნი-იგი კეისარისანი წინაშე თრდატ,

¹⁾ M-ss ამას.

სომეხთა მეფისა, და მთავრეს წიგნი კეისრისა, რომელსა წერილ იყო ესრეთ: „თუ-მხურაბელი კეისარი, საუჭარელს ძმასა და მეგობარსა და თანა-მოსაუდრესა ჩემსა თრდატ¹⁾), გიკითხავ: უწებულ იყავნ ძმობად შენი და თანა-შემწეობა, რომლი-სათუ-იგი პირველად გვეგნების შეცთომილისა-მის ქრისტეანეთა ნათესავისა, რომეთუ უფლადვე შეურაცხ იქმნების ჩვენი უფლებად მათისა-გან კრებულისა, და საწუნელ არს ჩვენი კელმწიფებად მათ-გან, რომეთუ იგინი ჭყარცმულსა ვისმე მომკრძარსა ჭმსახურებენ და ძელსა თაყუანის-ცემენ, და თავისა მათისა სიკრძაღლისა უფლისა მათისა-თუ-ს დიდებად შერაცხებენ. და არა ეშინის ჭურთათა-გან და მოკლულისა მისგან, ურათა-გან და ჭყარცმულისა ეშინის და შეცთომილ არიან, მეფეთა აგინებენ, ღმერთთა შეურაცხ-ჭეოფენ, და ძალსადა მზისსა, მთვარისსა და ვარსკვლავთა ნათლისსა არად შეჭრაცხიან, არამედ შექმნულად იტყვიან მათ ჭყარცმულისა-მის მიერ, და ესრეთ მიაქციეს²⁾ ქრესტანად ვიდრემდის მამანი დედათა-გან, და დედანი მამათა-გან ცოცხალჟე განაშორნეს: და-დაცათუ დიდთა ქადაგებითა და ფრადითა სატანჯველითა მოვსწევედენით, არამედ კვლადცა უფროსად განმრავლდეს: ხოლო აწ შემეძინებია მე ჩილჭად ნათესავისა მათისაგანისა, ქალისა ერთისა ჭაბუკისა, და განვიზრახე მოუვანებად მისი ცოლად ჩემდა, ხოლო მას არცაღათუ ვითარცა მეფისა უთქუა გულ-მან სურვილად ჩემად³⁾, არამედ საძულელად და არად-წმიდად შემრაცხეს მე. რომლითაც მეოტ იქმნეს ფარულად ჩემ-გან და კერძოთა ქრესტანისა შენისათა წარმოსრულ არიან: უწებულ-იყავნ შენდა, ძმაო ჩემო, და მოიძიენ იგინი და ჭეოფენ-რად მისთანანი-იგი, სიკრძაღლითა მოაკრძინენ: ხოლო რომელი-იგი მათ შეაცთუნეს, შეჭნიერი-იგი ხატითა და სახელთი კრისიმე, ჩემდაჟე წარმოავლინე: და უკეთუ შენ გთნდეს იგი, თავისა შენისა-თუ-ს იგულე რომეთუ არად იზოვო სხუად მსგავსად მისი იონთა სოფელსა შინა, და ცოცხლებითცა იყოფები შენ მსახურებას შინა ღმერთსა,“⁴⁾

1) T écrit souvent თრდატ.

2) T მიიქცეს.

3) M-ss ჩემდა.

4) T ღვთისა.

ხელთ აღმოვიტინა-რამ თრდატ ბრძანება ესე კეისრისა, მვის იწყო მოსწრაფებით ძიებაჲ მათი, და ჭზონა-რამ სწინახელთა-მათ შინა ზირველ-ხსენებულთა, და იხილა-რამ რიფსიმე, აღვისო ტრფი-ალებითა გულის-თქმისათა და სინარულითა დიდითა, და დამტკიცა-მიუჭანებაჲ მისი ცოლად მისდა: ხელთ ურჩ ექმნა-რამ თრდატს სჯმისა ამის-თჳს წმიდაჲ რიფსიმე, მაშინ იწამა-იგი მის მიერ წამებისა ღუჯწლითა, მის-თანა გაიანცა, დედა-მძუძე-იგი მისი და სხუანი მრავალნი მათთანანი, ვითარცა-იგი წერილ არს წიგნსა-მის წამებისა მათისას, მტკიცეასა შინა სომეხთასა, რამეთუ თრდატ მეფე, განგებითა ღვთისათა, ეშვად შეიტყვალა: ხელთ რომელნიმე მათგანნი წმიდანი დამალნეს და ივლტოდეს, რომელთა-თანავე მაშინ ესე წმიდაჲ ნინო დამალულ იქმნა ეკალთა შორის ვარდისათა, რომელი-იგი ჯერეთ არდა-რა გამომღებულ ქმნილ იყო ვგავილისა უამსა, და ესრეთ დამალულ რამ იქმნა წმიდაჲ ნინო, და იხილა მუნით-გამო, სახითა მთავარ-დიაკუნისათა შთამომავალი ზე-ცით, ნათლისა ოღარითა მოსილი, და მზურობელი სასაკუმეველისა კელთამისთა, რომლისა კუამლისა-სახე სუნნელებაჲ დაჭთარვიდა ცათა. და კვალად იყო მისთანა სიმრავლე ერთა ზე-ცისათა, რამეთუ მას უამსა განეუვოდეს¹⁾ კორცთა-გან სულნი წმიდათა-მათ მოწამეთანი, რომელნი-იგი შეიერთნეს ბრწეინჭაღეთა-მათ ზე-ცისა ძალთა, და ესრეთ ცად მიმართ აღიწოდა: რომელ ესე იხილა-რამ ესრეთ წმიდა-მან ნინო ღაღად-ჭყო ესრეთ, „უფალო! უფალო! რად დამიტევებ მე შორის ასპიტთა და იქედნეთა:“ მაშინ ხმა ესმა ზეგარდამო, რომელი ეტოდა, ვითარმედ „ესრეთვე იყოს შენიცა წარუჭანებაჲ სასუფეველად, წინაშე ღვთისა. უამსა-ეგე ეკალი, რომელ არს გარემოს შენსა, უოველივე იქმნეს ვარდის ფურცელი სურნელი²⁾, არამედ აღჭსდებ და ვიდოდე³⁾ ჩრდილოთ კერძო, სდა-იგი ფრიად არს სამკალი, ხელთ მუშაკ ეოვლად არა.“

¹⁾ M-ss განეუვოდეს.

²⁾ M-ss სუნნელი.

³⁾ T აღდგა და ვიდოდა.

ამისსა შემდგომად წარმოვიდა მუნით წმიდაჲ ნინო, და მო-
წია ორბანთად, საზღუართაჲ სომხითისათა, და მუნ დაიწამთრა
ჭირთა შინა მრავალთა, და თთვეს მეოთხეს მარტით-გან, რომელ-
ას იფნისი, წარმოემართა და მოიწია მათთა ჯავახუთისათა, სადა-იგი
მიემთხვია ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ეწოდების
ფარავანა: ხოლო მიხედნა-რამ მუნით და იხილნა მათნი ჩრდილო-
სანი, დღეთა-მათ ზაფხულისათა სავსენი თოვლითა და ჭკერითა სს-
ტიკისათა, შესძრწუნდა წმიდაჲ ნინო და თქვა. „ფალო, უფალო,
მიიღე სული ჩემი ჩემ-გან:“ და დაეო მუნ ორ დღე, და ითხვა
საზრდელი მეთევზურთა-გან, ტბასა-მას შინა მონადირეთას: და
რამეთუ მწეემსნიცა იუზნეს ადგილსა-მასვე და ხმიჯვიდეს-რამ სს-
მილავსა დამისსა. სამწესოსა ზედა მათსა, ხადოდენ იგინი შემწედ
და მთარველად მათდა ღმერთთა მათთა. არმზს და ზადენს, და
აღუთქმიდეს მათ შესწირავთა, „ოდეს მოვიდეთ წინაშე თქნსსა
მშვიდობით:“ და ამას იტყოდეს იგინი ენითა სომხურითა, რ-
მელ-ესე ესწავლა მცირედ რამე ნინოსცა პირველვე ნიაფორისა-გან,
და ჰზოვა მწეემსთა-მათ შორის მზრახველი სომხურისა ერთი, და
ჰკითხა მას და ჰრქვა ენითა სომხურითა, ვითარმედ „რომლისა ს-
ოფლისანი ხართ:“ ხოლო მან მიუგო და ჰრქვა, ვითარმედ „ვართ
ჩვენ დაბით ელარბინით და საფურცლით, და ქინძარელნი, რაბა-
ტელნი, და დიდისა ჭლასისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერ-
თობენ: და მეფენი მეფობენ“. და ჰკითხა: „სადათ არს მცხეთა?“
ხოლო მან მიუგო და ჰრქვა: ვითარმედ „გარდამდინარე ესე ტბის
თანა-წარვლას ქალაქსა-მას მცხეთასა.“

ხოლო წმიდასა ნინოს შემუძნდა სიკრძე გზისა-მის და სიბრტ-
ეე მათთა-მათ, რომელი იხილა, და ამის-თჳს შეძრწუნებულ-მან
სულთ-ითქნა და დაიდუა ლოდი ერთი სსთუნად¹⁾, და ესრეთ მი-
იძინა გარდასადინელსა-მას ტბისსა: და ვითარ ეძინა იგი²⁾, მოვი-

¹⁾ M-ss T, R: სახთუმალ; mais dans la Gen. c. XXVIII, v. 11, on trouve l' orthographe que j ai suivie.

²⁾ ვითარ-იგი ეძინა.

და კაცი ერთი ჩვენებით, ჰსასაკითა ზომიერ, ხოლო თმითა ნახევარ-
თმოსანი, და მისცა მან წიგნი დაბეჭდილი წმიდასა ნინოს და ჰქრქვა:
„მთართვი ესე მსწრაფლ ქალაქსა შინა მცხეთას, მეფესა-მას წარ-
მართოსა“ ხოლო წმიდა-მან ნინო იწყო ტირილად და ჰქრქვა შას
ვედრებით, ვითარმედ „მე, უფალო, დედა-კაცი ვარ უცხო და უმე-
ცარი, არღა მრავლის-მეტეუქსდ მეცნიერ. ვითარ მივიდე უცხოას
ქრქუნანსა და კაცთა-მათ უცხო-თესლთა:“ მაშინ კაც-მან მან ¹⁾ გა-
ნუსხნა ²⁾ წიგნი-იგი, და იყო წერილი რომაელებრ, რომელსა ზედა
იყო ბეჭედი იესო ქრისტესი, და წერილ იუენეს მათ შინა ათნი
სიტუჟანი, მსგავსადვე ფიტართა მათ ქვსათა, მოსეს-ზე: მისცა კით-
ხუად წმიდასა ნინოს, და განიფრთხო-რს წმიდამან, აქუნდა კელთა
შინა: ხოლო ³⁾ იყო დასაბამი სიტუჟათა მათ ესე.

ა. სადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუნცა ითქმოდის დედა-კაცი
ესე:

ბ. არცა მამა-კაცება არს, არცა დედა-კაცება, არამედ თქუნს
უოველნი ერთ ხართ:

გ. წარვედით და მოიმოწაფებით უოველნი წარმართნი, და ნა-
თელს-ცემდით სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდი-
ლათა:

დ. ხათელი გამობრწუინებდა წარმართთა ზედა, და დიდება ⁴⁾
ერისა შენისა ისრაილისა:

ე. და ⁵⁾ იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა ⁶⁾ უოველსა
სოფელსა.

ვ. რომელ-მან თქვენ შეგიწუნარნეს, მე შემიწუნარა, და რომ-
ელ-მან მე შემიწუნაროს შეიწუნაროს მომავლინებელი ჩემი.

1) Omis, T.

2) განუცხადა, M-ss.

3) Cette parenthèse manque dans T, R.

4) M-ss დიდებად.

5) T სადაცა.

6) T. aj. მუნცა ითქმოდის.

ზ. რამეთუ ფრიად უუჭარდა მარიაჲ უფალსა, რამეთუ მარადის
ისმენდა მისსა სიტუჲსა ჭეშმარიტსა.

ც. ნუ-გეშინიან მათ-გან, რომელთა მოსწუგედნენ გორცნი
თქვენი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოსწუგედად.

თ. ჭრქჳ მარიაჲს მაგდანელსა ¹⁾ იესო. „წარვედ, დედა-კაცო,
და ახარე ძმათა ჩემთა“.

ი. სადაცა ჭქადაგებდეთ, სახელოთა მამისათა, და ძისათა, და
სულისა წმიდისათა.

ვითარცა წარიკითხნა სიტუჲანი ესე წმიდა-მან ნინო, იწუგ-
ვედრებად ღვთისა მიმართ და გულის-ხმა-ჰყო, ვითარმედ ზე-ცით
იყო ჩქნებაჲ ესე, და აღიხილნა თჲსა ზე-ცად და ითხოვა მა-
დალთა შინა დამკვდრებულისა და ყოვლისა გარე-შემტველისა ღვთისა-
გან შეწევნა მისი, და წარმოემართა და მიჰუჲ მდინარესა-მას ტბი-
სა-გან გარდამოდინარესა, რომელი-იგი წარმდინარეობს დასავლით,
მერმე ჭვალად იწუგებს აღმოსავალით დინებასა: მიუდგა გზათა ძნელ-
თა და ფიცხელთა, ნახნა ჭირნი დიდნი გზათა-გან და შიშნი დიდ-
ნი მხეცთა-გან, ვიდრე მიწევნადმდე ადგილსა-მას, რომელსა იწუგებს
წუალი-იგი აღმოსავლით დინებასა, და მიერთ-გან იქმნა ლხინებაჲ
მისი. რამეთუ ჰოვნა მუნ მგზავრნი, რომელთა თანა მიიწია სანა-
ხებსა ქართლისსა, ქალაქსა-მას, რომელსა ეწოდების ურბნისი, სადა-
იგი იხილა ერი უცხო და უცხოთა ღმერთთა მსახურნი, რამეთუ
თაუჲნის-ცემდეს ივინი ღმერთად მათდა ცეცხლსა, ქჳსსა და ძელ-
თა, რომლისა-თხსცა შეეურვა სულსა ამის წმიდისასა, და შევიდა
უბანსა ჭურიათასა, რომელთაცა ზრახვდა მათ-თანა ენის-თხს ებრაუ-
ლისა, რომელსა იგიცა მეცნიერ იყო. და დაუჲნა მუნ თოჯსა ერთი-
სა დღენი, და განიცდიდა საქმესა და ძალსა მის ქვეყნისასა: ხოლო
ადიდრეს დღესა შინა ერთსა ერნი დიდნი სიმრავლითა მით ქალა-
ქით, წარმავალნი დედა-ქალაქად სამეფოდ მცხეთად, მოვაჭრებად სა-
ხმართა რათამე და ზოგვად წინაშე არმაზ ღვთისა მათისა, და წარ-
ჰუჲ მათ წმიდაჲე ნინო: ხოლო ვითარ-იგი მიიწივნეს ქალაქად

¹⁾ M-ss მაგდალენსა; il faut მაგდალინელსა.

მცხეთად, და დაისადგურეს მათ წიად მოგუთასა, ხილსა-მას ზედა, იხილა მუნ მოგობა ცეცხლის-მსახურთა-მათ ერთა და საცთური, და სტიროდა წმიდაჲ ნინო წარწემედასა-მას ზედა მათსა, და იგლოვდა უცხოებასა თვისსა: და აჰა ხუადისა დღე იყო ხმა ზხრვისა და სა-ყვრისა, და ზარი საშინელი, და გამოსლტა ერისა ურიცხვისა, ვითარცა ყვავილთა ველისათა, და ზარი საშინელი გამოვიდოდა, ვიდრე გამოსლტადმდე მეფისა: და ვითარ-იგი მოიწია ყამი, იყო სიგლოტოდა და მიმოდანბნეჲდა ყოვლისა კაცისა, და შიშისა-გან შეივლოტოდეს და დაიმალოვოდეს საფარველსა შინა თვისსა: და აჰა მუის გამოვიდა ნანაჲ დედოფალი, და შემდგომად მისსა გამოვიდა სიმ-რავლე ერისა ნელიად, და შეამკურნეს ყოველნი გზანი-იგი და თოლოცნი, და სამოსელთა მიერ და თუთო-ფურთა ფურცელთა-გან ხეთასა: მერმელა გამოვიდა მეფე მირიან, საზარელითა და თუალ-შეუდგამითა ხილვითა, და იწყო ყოველ-მან ერ-მან ქებად მეფისა: და ჰკითხა წმიდა-მან ნინო დედა-კაცსა ვისმე ჰურისა, ვითარმედ „რამა არს ესე:“ ხოლო მან ჰკრქა. „ღმერთი ღმერთთა არმაზ ¹⁾ უწესს მათ, წინაშე მისსა აღსლტად, რომლისა მსგავს არა არს სხუა კერ-ზი:“ და ეუწუა-რამა წმიდასა ნინოს, აღვიდა ხილვად კერზისა-მის არმაზისა, ერისა-მის-თანა, რომლითა აღივსნეს მთანი-იგი, და გან-სშეენებდეს დროშათა მიერ და სამკაულთა, ვითარცა ყვავილნი ველისანი ²⁾): და შეუსწრო წმიდა-მან ნინო ციხედ არმაზად, და დად-გა იგი მახლობელად კერზისა-მის, ნაზრალსა ზღუდისასა, და ხედ-ვიდა საკვრველებასა მიუწოდებელსა და ენითა გამოუთქმელსა, ვითარ-იგი იყო შიში და ძრწოლად ზარისა აღსახდელი, მეფეთა-მათ და ყოვლისა ერისა, წინაშე კერზთა-მათ წარდგომილთა: რამეთუ იხილა მუნ წმიდა-მან ნინო მდგომარე კაცი ერთი, სვილენძისა, რომელსა ეტუა ტანსა მისსა ჯაჭვი ოქროსა, და თავსა მისსა ჩაფხუტი ოქრო-სა, სამხრენი და თუალნი მისნი იუწუნეს ზურმუხტისა და ბივრიტი-სანი, და ეზურა ხრმალი კელსა მისსა, ელტარე და ბრწყინტადე, რ-

¹⁾ M-ss არმაზს,

²⁾ M-ss ყვავილთა მიერ ველისათა.

მელი-იგი იქცოდა კელს შინა მისსა, და შიშითა მისისა მიმთხუჭ-
ვისა და სიკუდილისა მის-მიერთა, არა-ვინ განუკრძალველად შე-
ემთხუჭოდეს კერხსა-მას, არამედ ესრეთ განიკითხის თავი თჳსი და
თქვის. „ჯი ჩემდა, უკეთუ დასამეგაკლდი დიდებასა დიდისა ამის
ღვთისა არმაზისსა, ანუ შესამეგსცეთ სიტუჳად ებრაელთა თანა, გი-
ნა მოგუთა თანა სმენასა ოდენ დამთხუჭულ იყო მზისა მისხურთა-
სა, და მათსა, რომელნი-იგი იტუჳან უმეტრებით დიდსა ვისმე ღმერთ-
სა და ძესა ღვთისა ზე-ცათასა, და იზოოს ¹⁾ რაჟმე ესე-ვითარი ბი-
წი, დამცეს მე მახული მისი, რომლისა-გან ეშინის ყოველსა ქუჭ-
უანასა:“ და ესრეთ წინასწარვე განიკითხათა თავთა თჳსთათა, შიშითა
და ძრწოლით თაჳსანის-ციან მას.

და კვალად იყო მარჯვენით მისსა სხუაჲ კერზი ოქროსა, სს-
ხითა კაცისათა, მდგომარე, და სხელი მისი გაცი, და მარცხენით
მისსა უდგა კაცი ვეცხლისა, და სხელი მისი გაიმ, რომელნი-იგი
ღმერთად უხნდენ ერთა-მათ ქართლისათა: მაშინ, ვითარ იხილა ნე-
ტარ-მან ნინო, იწყო სულ-თქმით და ცრემლით ტირილად ღუთისა
მიმართ, ცთომილთა-მათ-თჳს ქუჭუანისა ჩრდილსათა, და მიუარვი-
სა-მის-თჳს მათგან ნათლისა, და უთულებისა მათ-ზედა ბნელისა-თჳს:
რამეთუ მიხედნა მეუეთა-მათ დიდ-ძალთა და ყოველთა მთავართა,
რომელნი-იგი ცოცხლივ შთაენთქნეს ჯოჯოხეთს, დაეტევათ დამბა-
დებელი, და ქუათა და ძელთა, სზილენძისა და რვალსა განსკედილსა
ღმერთად თაჳსანის-სცემდენ, და ესენი იცნობებოდეს ყოველისა შე-
მოქმედად: და მოესუნა წმიდასა ნინოს მაშინ სიტუჳაჲ-იგი, რომ-
ელი ამცნო დედის ძმა-მან მისმან იობენაჲ ზატრიაქ-მან, დირს-
მან, წმიდა-მან, ესრეთ, ვითარმედ „მამა-კაცსა სრულსა წარკავლი-
ნებ, და მიწევნად ხარ ქვეყანასა უცხოსა და ნათესავთა დარკველ,
ზეველი, ბარკადულ, რომელ-არს ბრანჯულად, კაცთა ღვთის მბრძოლ-
თა და მხდრმელთა:“ მაშინ აღიხილნა ზე-ცად მიმართ და თქუა.
„უთუალო, მრავლითა ძალითა შენითა გეცრუვნეს მტერნი შენნი, და
მრავლითა სულ-გრძელებითა შენითა იქმენ, რასაცა იქმან, და მოი-

¹⁾ Omis T.

განებენ უფელთა მტვერებრ და ნაცრებრ, განქარვებადნი-ესე ქქწ-
უანასა ზედა, არამედ ნუ უგულებელს-ჭყოფ რომელი შექმნეს კელ-
თა შენთა კაცი ხატად შენდა, და რომლისა-თჳს ერთი სამებისაგანი
განჭკაცენ და აცხოვნე უფელი სოფელი, და მოხედენ წყალობით
ამათცა ზედა ნათესავთა და შეჭრისხენ სულთა ამთ ბოროტთა და
უჩინოთა, სოფლისა მხერობელთა, მთავართა ბნელისათა, და შთახ-
დენ ადგილთა ძნელთა, და მიხვენიე მე, უფალო, ღმერთო, მამისა
და დედისა ჩემისაო, მხევალსა ამას შენსა და ნაშობსა მონათა შენ-
თასა, რომელი იხილონ უფელთა კიდეთა ქქწუანისა მაცხოვარებაჲ
შენი, და რათა ჩრდილო ბღჳარსა თანა იხარებდეს, და უფელ-მან
ერმან მხოლსა ღმერთსა თაუჳანის-გცენ ქრისტეს იესოს მიერ ძი-
სა შენისა, რომელსა შეგნის მადლობაჲ, დიდების მიცემაჲ უკუნი-
სამდე.

და ვითარცა დაასრულა ლოცუჳ ესე წმიდა-მან ნინო, მვის,
წამის-უოფითა საღმერთოთა აღდგეს დასავლით ქარნი, და ჭკარნი
ღრუბელთა თანა, ხილჳთა საშინელითა და ხმითა ზარისა აღსანდე-
ლისა ქუხილისათა, და მოჭებენა ნიაგ-მან მზისა დასავლისა-მან სუ-
ლი ჯერ-კუჳალი, სიმწარისა და სიმურადისა. რომელი-ესე იხილა-რაჲ
სიმრავლე-მან ერისა-მან მათ-ზედა მომავალად, მაშინ იწყეს მსწრაფლ
სირობლად, შეღტოლჳად ქალაქთა და სოფელთა თჳსთა, და რამეთუ
მცირედ დროსცა ღმერ-მან ვიდრე განჩინებადმდე თავთა მათთა და
უოფად ამისსა, რათამცა შეესწრნეს იგინი მომსრველსა-მას საუო-
ფელთა შინა თჳსთა და ვითარ განიბნივნეს იგინი უფელნი, შეუჳ-
სეულად მოიწია: რისხჳსა-იგი ღრუბელი, მწარედ სასტიკი, და მო-
ილო სეტყუჳა სწორი ქვისა, რათა მიერ ხელთა მძლედ ძლით სა-
ტურცებელი, ადგილსა-მას ოდენ ზედა, საუოფელსა კერზთასა, და
შემოსრვით დაწუქდილხა იგინი, და დაარღვივნა ზღუდენი-იგი ქა-
რისა მიერ სასტიკისა, და შთაიბნივნეს იგინი, კლდეთა ნაპრალთა-
მათ შინა. ხოლო წმიდა ნინო ეგო უვნებელად, დაცული ადგილსა-
მასვე, სადა-იგი ჰარველ შესრულ და მდგომარე იყო.

ხოლო დღესა მეორესა გამოვიდა მირიან მეფე და უფელი-იგი
ერი, ძიებად ღმერთთა მათთა, და არა ჭკობდეს, რომლისა-თჳს-იგი

დაეცა მათ შიში და ძრწოლა, და განკვრევა-მან შეიხურნა, და უმ-
რაფლესნი-იგი ერთი იტყოდეს გულ-ფიცხელნი, მოუდრეკელნი ეს-
რეთ, ვითარმედ „ქაღდგეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩვენი ესე
ღმერთი არმაზ უფულადვე ურთიერთარს მტერ არიან. რამეთუ ამან
ოდესმე მათ-ზედა ზღუდა მოაქცია, და აწ მან შური იძია და მოა-
წია ესე ამას-ზედა:“ ხოლო რომელნიმე ესრეთ იტყოდეს, ვითარ-
მედ „რომლისა ღმერთისაჲ ძალითა თრდატ, სომეხთა მეფე, ეშვად
შეიცვალა, და კვალად ეშვისა-გან კაცადვე მოაქცივნა, მან უკუწ
ღმერთ-მან ჰყო და მოაწივნა¹⁾ ესე რისხუდა თვისი²⁾ მათ-ზედა:“
და ამას ესე-ვითარს იტყოდეს: ამისთვის მაშინ, რამეთუ ვინათ-გან
მეფე თრდატ ქრისტეს ძალითა ეშვად გარდაქცეულ იყო და ძლი-
თავე ქრისტესითა კვალად კაცადვე შეცნალებულ იყო, მიერთ-გან,
ქება, დიდებაჲ ქრისტესი არდა-რა ფარულად ითქმოდა ქართლს³⁾
შინა, რამეთუ მადლსა ღმრთისასა ეწყო მიფენაჲ აღმოსავლეთს.

ხოლო მასვე დღესა რისხვსა და კერზთა შემუსრვისას: დას-
ცხრა სეტყვად-იგი და ქარი სასტიკი. მაშინ გამოვიდა წმიდა ნინო
კლდის-მისგან ნაზრალისა და ჰოვა თქალი-იგი ბივრიტი, აღიღო
და წარმოვიდა წინა-კერძო, დასასრულსა-მას კლდის ცხვრისასა, სა-
და-იგი ყოფილ იყო ძველადვე ციხე და ქალაქი, და იხილნა მუნ
მდგომარედ ხენი ერთნი, რომელთა ბრინჯ უწოდებდნენ, მადლნი,
შქსნიერნი და რტო-მრავალნი, სადა-იგი ყოფილ იყო ბარტამ მე-
ფისა საგრილი და განსასვენებელი, და მივიდა ხეს-მას ქუჩაზე,
გამოსახა⁴⁾ სასწაული ქრისტეს ჯვარისა, და აღასრულნა მუნ დღე-
ნი ექვსნი, მადლობით და ვედრებით ღმრთისა მიმართ, წყალობით
მოხედვისათვის და ხსნისა ერისა-მის ეშმაკთა შეცთომილისა: ხოლო
ოდეს იქმნა კერზთა შემუსრვად, იყო თვე მარტით-გან მეექვსე:
აკვსტოსი, და დღე მეექვსე, რომელსა შინა ფერი-იცნულა ქრისტე-
მან, წინაშე თავთა-მათ წინასწარმეტყველთა და მოწაფეთა თვისთასა.

1) T მოიწია.

2) T ღვთისა.

3) M ss მიფენად.

4) T გამოასხა.

და ვითარ-იგი ვთქუ იუოუებოდა-რად წმიდა ნინო საფარველსა-
მას ქუჭუ ხეთასა, მაშინ მოვიდა მისდა სუეე ქალი ერთი, სახე-
ლით შროშანა, და იხილა მუნ წმიდა ნინო ესრეთ მყოფი, განკურ-
და და ჰკითხა მას, სხვისა მიერ ბერძულ-მეტუქლასა დედა-კაცისა,
ვინაობაჲ მისი, სხვისა ყოფლისაგე თანა საქმისა მისისა, რომელი-
იგი აუწყარად ყოველივე ნინო თხნიერ უწყებას მშობელთა თხს-
თასა, და იხემა ტუქლობა თავისა თხსისა, მაშინ შროშანა თანა-
ლმობილი და მოწყალე ქმნილი უცხოებისა-თხს მისისა, ცრემლით
აძქულებდა წმიდასა ნინოს წარსულად მტს-თანა, ჰახიდ სამეუფოდ,
რომელი-ესე არა იხება წმიდა-მან ნინო, არამედ განეშორა და წარ-
ვიდა მის-გან შროშანა¹⁾: და შემდგომად სამთა დღეთა ადღა მუ-
ნით, განვლთ მტკუარი და მიიწია სამოთხესა-მას მეფისასა, სადა-
იგი აწ არს სვეტი იგი დვთივ-ადმართველი და ეკკლესიაჲ საკა-
თალიკოზო, და იხილა მუნ საღხო მცირე, სამოთხისა-მის მცველისა,
და შერავიდა მას შინა იხილა და მოეგება მას დედა-კაცი, ცოლი
სამოთხის მცუქლისა-მის, სახელით ანასტასია²⁾. და მოწყლედ ამბო-
რის-ყოფითა შეიტკობ, ვითარცა მრავალ-ჟამით-გან მეცნიერ-მან და
მეგობარ-მან, დაბანა ფერკნი და განუსვება ცხებითა ზეთისთა,
და დაუგო ზური და დვინო.

³⁾ დაჰქუწნა მის-თანა წმიდა-მან ნინო დღენი და ჟამნი ცხრათა
თვეთანი: ხოლო იუწენეს ესე ანასტასია⁴⁾ და ქმარი მისი უშვილო,
რომლისა-თხს ფრად მწუხარე იუწენეს იგინი: მაშინ იხილა წმიდა-
მან ნინო ჩვენებსა შინა ძილისასა კაცი ნათლით-შემოსილი, რო-
მელი ეტყოდა, ვითარმედ „შევედ სამოთხესა მაგას, და ჰპოო ქვე-
შე-კერძო ნაძქუთასა მცირე ბაბილო შემზადებული გამომდებულად ვვა-
ვილთა სურნელთა, და აღიდე მიწაჲ ადგილისა-მის-გან, და ეც ჭა-
მად მეუღლეთა მაგათ და ესვას შვილი:“ ხოლო წმიდა-მან ნინო

1) T შროშან.

2) T ანასტასიოს.

3) M-ss აჯ. და.

4) T ანასტასო.

ულოცა და სცა ჭამად ცოლ-ქმარათ-მათ, ჩვენებით უწეების-მის-ებრ, და შენეს მათ ძე და ასულები მრავალ, რომლისა-თხსცა ჭრწმენა მათ ქრისტე, ნინოს მიერ, და დაემოწაფნეს მას ფარულად: ხოლო წმიდა-მან ნინო შემდგომად ცხრათა-მათ თვეთასა, რომელნი დააუენეს ¹⁾ სამოთხის მცველთა-მათ-თანა, ჰბოვა კარეგნით ზღუდეთა-მათ ქალაქისათა: ქაჩი ერთი ზრწმელი, სახედ ტალავრისა მცირისა, მავალთა მიერ შემზადებული, განკებითა ღვთისათა, ადგილსა-მას, სადა-იგი აწარს საკურთხეველი ზემოაქს ეკლესიისა სამთავარ-ეზის-კაზოზოაქსა, და ჰყო იგი საუოფელად განსსჩნებულად თხსად, და აღმართა მუნ შინა ჯუარო თვთ მის-მიერ შემზადებული ნასსლეკვთა-გან ვაზთასა, რომლისა წინაშე განათევენ იგი დამესა მარადის მღვიძარებითა, და ეგრეთვე შეადამებნ ღვთა დაუცხრომელად ლოცვითა, მარხვთა და ვედრებითა ღვთისათა, და განკრეგებულნი სიმრავლესა ზედა ამას დუწლთა მისთასა, ჰმსახურებდეს მას მეუღლენი-იგი მცველნი სამოთხისა-მის მეფისანი. და ესრეთ მუნ მეოფი იგი წმიდა ნინო მრავალ-გზის მივალნ უბანსა-მას ურიათასა, ენისა-თხს ებრაულისა ²⁾ და გამოძიებისა-თხს კუართისა-მის უფლისა, რომლისა-თხს იგი ესმინა იელუსალიმს ნიაფორისა-მის-გან, ვითარმედ „წარმოუღაო იგი მცხეთელთა-მათ ჰურიათა,“ რათამცა უოვლით-კერძოვე სცნა, და ეუწეა მას კვართისა-მის ვითარება ³⁾: მაშინ ჰბოვა მან ურია ერთი სახელით აბიათარ, მღუღელი, და ასული მისი სიდონია, და უქადაგა მათ სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელთაცა-იგი ჭრწმენა და დაემოწაფნეს მას, და მათ-თანა სხუანიცა დედანი დაემოწაფნეს ჰურიანი, რიცხვთ ექუსნი, სწავლასა-მას წმიდის ნინოსსა, თხნიერ ნათლის-ღებისა, რამეთუ არაჲ იყო მას უამსა მღუღელი, რათამცა ნათელ-ეცა მათ. და იუენეს იგინი ფარულად მოწაფე მისი: და აღასრულებდა ღმერთი კელითა წმიდისა ნი-

¹⁾ T დაუენეს.

²⁾ T ებრაურელისა.

³⁾ Tous les M-ss, même le M-it T, portent ვერებაჲ. qui ne donne pas de sens.

ნოსათა საკურგელებათა და კურნებათა შრავალთა. რამეთუ რეცა-თუ მიზეზითა წამალთა ხმარებისათა შრავალნი განუკურნებელთა სენთა-გან შეპურობილნი განათავისუფლნა უძლეურებათა-გან მათთა, და ეს-რეთ იქცეოდნა-რად ქალაქსა-მას შინა მცხეთას წმიდა ნინო, ჟამთა სამისა წლისათა, მათ დღეთა შინა იქმნა შესლვა მირიანისი და ძმის-წულისა მისისა, დიდისა სხარსთა მეფისა, საბერძნეთად. რამელნი-ესე კოსტინტინე, მეფე-მან ბერძენთა-მან ალტნა ძალითა ქრისტესითა და ჭყარისა მისისა წინა-მძღვრობითა, უოფლით სხითურთ მათით.

§ 3.

თქმული აბიათარ მღვდლისა, რომელი დაემოწაჳა
წმიდასა და ნეტარსა ნინოსა.

„მე აბიათარ მღვდელი, ვიყავ წილით ხვედრებული მის წელიწდისა, ოდეს წმიდაჲ ესე და ნეტარი ნინო მოიწია მცხეთად, და მასვე უკუტ ქამსა მოწვევრულ იქმნა ჩემდა წიგნი ანტიოქიით ურათა-გან მღვდელთა, რომელსა შინა წერილ-იყო ესრეთ: „ვითარმედ განხეთქა ღმერთ-მან სამ ნაწილად მეუობაჲ ისრაილისა, რამეთუ აჳა ესე-რად წინასწარ-მეტუტლნი ჩვენნი დასცხრეს, და რომელსა სული ღვთისა აწვევდა მათ და თქვეს: აღესრულა უოფელივე, და განვიბნენით ჩვენ უოფელსა ქუჭყანასა, და ჰრომთა დაიპურეს ქუჭყანა ჩვენი: ურიანი ვტიროდით ჩვენ ერთთურთ, დღეს რამეთუ განვარისხეთ შემოქმედი ღმერთი: აწ განიხილნელა შენ წიგნი-იგი მოსესნი და სიტუტ-იგი, რომელი მან დამიწერა ესრეთ, ვითარმედ რომელი იტუოდეს თავსა თვსსა ქუჭყანასა. ზედა ძედ ღვთისად, მოაკუტინა¹⁾: ანუ შეუკავესტეით ნაზარეველისა-მის-თვს იესოს სი-

1) M-ss მოაკუტინეთ tuez-le: bonne leçon.

კუდილისა. რამეთუ ვხედავთ, ოდეს ჰირველ მამათა ჩვენთა შესტო-
დაინ-რამ ღვთისა და ყოვლად დაივიწყიან იგი, მაშინ მისცნის იგი-
ნი კელ-მწიფებასა ქქსშე ძნელსა და ტუტსობასა ბორბტსა. ხალა
მთქციან-რამ და ღაღად-ყვიან ღვთისა მიმართ, სწრაფით განრინ-
ნის იგინი ჭირისა-მის-გან: ესე ესრეთ ყოფადი და აღსრულებადი
შვიდ-გზის უწყით ¹⁾ წერილისა-გან: ხალა აწ ვინათ-გან კელნი
შეასხნეს მამათა-მათ ჩვენთა ძესა მის მწირისა დედა-კაცისასა და
მოკლეს იგი, აღიღო ღმერთ-მან კელი წყალობისა მისისა ჩვენ-ზე-
და და განხეთქა მეუობამ ჩვენი, განგვაშორა ტაძრსა თვისსა წმი-
დასა, და უგულებელს ყო ნათესავი ჩვენი სულიად: და არს მით
ჟამით-გან სამ-ასი წელიწადი და უმეტესცა, რომელ არა ისმინა ვედ-
რებამ ჩვენი, და არცაღა ყო ღხინებამ ჩვენი, რომლისა-თხს საგო-
ნებელ გვიჩნს ჩვენ, ვითარმედ ნუ უკახს ზეცით იყო კაცი იგი. “
და განამრავლეს, მათ ესე ვითარისა ჰირის-თხს მოწერა ჩვენდა.

„ხალა მე ვითარცა მესმა ესე, ვიწყე კითხვად დედა-კაცისა-
მის ნინოს-გან ქრისტეს-თხს, თუ ვინ იყო იგი, ანუ რომლისა მი-
ზეზისა-თხს იქმნა კაცად ძე ღვთისა: მაშინ აღიღო ჰირი თხსი
წმიდა-მან ნინო, ვითარცა-რამ ჯურღმულ-მან ²⁾ აღმომდინარე-მან,
და იწყო სიტყვად დასაბამით-გან, წიგნთა ჩვენთა ზე-პირით წარ-
მთქმად და განმარტებად ძალსა მათსა, რომლითა-იგი ვითარცა
მძინარესა განმადვიებდა მე, და ვითარცა დასულებულსა გონიერ-
მყოფდა მე, და მამათა ჩვენთა შემაწყალებდა, და მარწმუნებდა ცტა-
ლებასა სჯულისასა, ვიდრემდის მრწმენა მე, სიტყითა მისითა, იესო
ქრისტე ძე ღვთისა ვნებულად და აღდგომილად და კვალად მომავა-
ლად დიდებით, და ვითარმედ ჭეშმარიტად იგი არს მოლოდება
წარმართთა: და დიკს ვიქმენით, მე და შვილი ესე ჩვენი სიღონია,
მოხებად საზკურებელსა-მას განსაწმენდელსა ³⁾ ცოდუთაგან, წყალსა
ემბაზისასა, რომელსა ინატრიდა წინასწარ-მეტეველი დავით, და ვერ

¹⁾ M-ss ვუწყით.

²⁾ M-ss ჯურღმულისა-გან.

³⁾ T განსაწმენდელსა.

ეწიფა: „მესმა მე ხმაჲ ახლისა სჯულისა ერთად მგალობელთა, რომელსა-
სა-იგი დაგით ინატრდა, და ღირს ვიქმნეთ ზიარებად ჭეშმარიტ-
სა კორცსა და სისხლსა ქრისტეს, ძისა ღვთისსა, და კრავსა ცო-
დნათა-თჳს სოფლისათა შეწირულსა¹⁾), რომლისა ტკბილ არს გემოს-
ხილნაჲ მისი, და ამას-ზედა სარწმუნოება ჰყავ, უთალო, განსლნაჲ
ჩემი კორცთა-გან ჩემთა: კვალად სხუანიცა მრავალნი სასწაულნი ვი-
ხილენ თვალითა ჩემითა, მცხეთას შინა, ნინოს მიერ აღსრულებუ-
ლი დღეთა ჩემთა.“

§ 4.

მეორე თქმული მისივე აბიათარ მღუდლისაჲ კურ-
თისა-თჳს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა.

„მე აბიათარ მოგიტხრობ თქუენ თხრობასა-მას, რომელი მე-
უწყა და ეურითა ჩემითა ვისმინე, მამის დედისა ჩემისა-გან, და
რომელი წიგნთა-განცა უწეი. რამეთუ მათცა ჰპაჲთა და მშობელთა-
გან თჳსთა მოთხრობით და სმენით უწეოდეს: ოდეს-იგი შეუობდა
ჭეროდე იელუსალიმს, მას უამსა გვესმა ესრეთ, ვითარმედ „იელუ-
სალიმი სპარსთა დაიპყრესო:“ რომლისა-თჳს იქმნა გლოვან და წუ-
ხილი ჰურიათა ზედა ქართველთა, მცხეთელთა მკვდრთა, ბოდელთა
მღუდელთა, კოდის-წყაროელთა მწიგნობართა, და ხობის კანანელთა
თარგმანთა, რომლისა-თჳსცა ესე უფელნი აღიძრეს წარსლნად და
შეწევნად იელუსალიმელთა: ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა
სხნაჲ მოიწია დადადისი ნუგეშინის-ცემისაჲ, ვითარმედ „სპარსნი-
იგი არაჲ დაიპყრბად იელუსალიმისა მოვიდესო, არამედ საჭურველ-
თა-წილ აქვნდა ოქრო სამეუთო და მური მსწრაფლ მკურნალი წელე-
ლებისა, და გუნდრუკი სურნელი, და ეძიებდეს ერმასა ვისმე, შო-
ბილსა თესლისა-გან დაგთისაჲ, რომელ რეცა ჰოვეს მწირო

1) Tous les M-ss შეწირულთა.

ერთი ურმაჲ, მწირისა დედა-კაცისაჲ, შობილი უყამოდ, უადგილსა-
ადგილსა, ვითარცა არს ჩვეულებაჲ გარე-გან დაბისა მდგომარეთა
კაცთა, და ესენი მის ურმისაჲ მფვიდეს, და შესწირეს მისსა ძღუჭ-
ნი-იგი მშვიდობით: “ და იქმნა სიხარული დიდი სმენითა ამის ჭამ-
ბავისათა ურითა ზედა ქართუჭლთა.

ხოლო შემდგომად გარდახდეს-რამე წელნი ოც და ათნი, მა-
შინ მოწერა ანნა მღუდელ-მან, იელუსალიმით, მამისა ჩემისა ელი-
ოზის-თანა ესრეთ: „ვითარმედ იგივე რომლისა-თჳს სპარსნი მეფე-
ნი ძღუნითა მფვიდეს, აღზრდილ არს და ჭსაკსა ზომისსა მოწვე-
ნულ არს იგი, და თავსა თჳსსა ძედ ღვთისად ხადის: აწ მოვედით
უოველნი სიკუდილსა მისსა, რათა აღვასრულეთ მცნება მოსესი:“
და წარვიდა აქათ ელიოზ, მამის მამა ჩემი, კაცი მოხუცებული, და
ესვა მას დედაჲ ტომის-გან ელი მღუდლისა, და ესვა მას დაჲ
ერთი. და ევედრებოდა ელიოზს დედაჲ მისი ესრეთ, „წარვედ, შვი-
ლო, წოდებასა-მას მეფისსა და წესსა სჯულისსა, გარნა რომელსა-
იგი განიზრახვენ, ნუ შეერთვინ ცნობაჲ შენი, შვილო ჩემო, რა-
მეთუ იგი არს სიტუჳა წინასწარ-მეტუველთა, და იგავი ბრძენთა ¹⁾,
და საიდუმლო დათარული ზირველით-გან, და წარმართთა ნათელ,
და ცხოვრებაჲ საუკუნო:“ და წარვიდა ელიოზ მცხეთელი და ლონ-
გინოზ კარსნელი, და მუნ დახუდეს, ჯჳრ-ცმასა უფლისა ქრისტე-
სა: ხოლო რა-ჟამს-იგი დამსჭრალვიდეს უფალსა ჯჳრსა ზედა და
ჭსანიგ-მან კვერითა-მით რკინისათა სცა სამსჭრალთა-მათ-ზედა უფ-
ლისათა იელუსალიმს, მაშინ ესმა ხმა სამსჭრალთა-მათ-გან გამო-
სრული დედასა ელიოზისსა, მეოფსა მცხეთას შინა, და მეუწესეუ-
ლად იკრჩხილნა, და თქჳა, „მშვიდობით, მეფობო ურითაო, რა-
მეთუ მოჭკალით თავისა თქუჭნისა მაცხოვარი და მხსნელი, და იქ-
მნენით ამიერთ-გან მკლუელ და მესისსლე შემოქმედისა: ვაჲ თავ-
სა ჩემსა, რომელ არა მეუფლა უწინარესვე ამისსაჲ სიკუდილი, რა-
თამცა არდა-რა სმენილ იყო უერთა ჩემთა, და არცაჲ შემდგომად
ამისსა ღირს-ვიქმენ მე ხილუად ნათლისაჲ წარმართთა ზედა, და

¹⁾ T ბერძენთა, des Grecs.

მშჯდობაჲ ისრაილსა:“ და შეის შეისვენა, რაჲ სრულ ყო სიტყაჲ ესე.

ხოლო კჭართი-იგი უფლისა ხუდა წილითჲ მცხეთელთა-მათ ურიათა, და მოიღო იგი მცხეთად ელიოზ: და მიეგება დაჲ მისი ცრემლთა მიერ შესვარული, და მოეხვია ეელს ძმას თჯსა ელიოზს, და მოუღო მას სამოსელი-გი იესოსი, შეიტკობო მკერდს თჯსა, და შეის მეუწესეულად სულნი წარხდეს მასვე ჟამსა, სამთა ამათ ტკივილთა სიმწართა. ქრისტეს სიკუდილითა: და დედის თჯსა, და ზიარებისა-თჯს უარის-მოუჟელთა ქრისტესთა ძმის თვისის: მასინ იყო საკვირველი დიდი და შეშოფთება მცხეთას შინა. რამეთუ განკვრდა თჯთ დიდი მეფე ადერკი და უოველი სიმრავლე ერისა და მთავართა. და სთნდა მეფეს ადერკის სამოსელი იგი, გარნა საკვრველებისა-მის-გან ზარ-განხდილ და შეშინებულ იქმნა იგი, და ვერდა-რაჲ იკადრა გამოდებად კელთა-გან მის მკუდრისთა, რომელსა-იგი მაკრად და სურვილითა შემოემკერდა: და ესრეთ კელთავე მქონებელი სამოსლისა უფლისაჲ დამარხა ძმა-მან მისმან ელიოზ. და-იგი თჯსი, ადგილს-მას, რომელი უწესის დმერთ-მან, და არა-გინ სხუამან, თვინიერ ამისა რომელ ესე უწეიან, ვითარმედ არს ადგილი-იგი მახლობელ ნადვისა-მის. ლიბანით წარმოდებულისა, და მცხეთას დანერგულისა და აღორძინებულისა.

და ესეცა მეუწესა მამისა-გან ჩემისა, ვითარმედ არს სხუაცა საღმრთოთა ძალითა შემოსილი, მრჩობლი-იგი ხალენი ელიასი, ამას ქალაქსა შინა და კელთა ჩვენთა, საკურთხეველისა სიმტკიცესა ქრისტე ქგათა, უზოვნელად ვიდრემე ჟამადმდე მისსა: რამეთუ მრავალ-გზის მოიბირა წმიდა-მან ნინო მამისა მიმართ ჩემისა, რათამცა გამოვიწყო მის-გან ადგილი-იგი მხურვალედ სამოსლისა-მის: ხოლო მან ესე ოდენ მრქტა, ვითარმედ „აქა არს ადგილი-იგი სამარხავი მისიო, რომელსა ზედა ენანი კაცთანი არა დადუმენ გალობად ღვთისა მიმართ, და არს ადგილი-იგი ადგილი ვითარცა ¹⁾ იაკობისი, კობედ ხილული და ზე-ცად აღწევნილი:“ და შემდგომად წელ-

¹⁾ M-ss ვითარცა ადგილი.

თა მრავალთაჲსა ძის-წულის ¹⁾ შულმან ადერკი შეფისა-მან ამბავად
ძიება ყო სამოსლისა-მის-თჳს, ჰურიათა თანა, და ვერ უძლო ჰოვ-
ნად და ცნობად მისსა, გარნა მასცა ესრეთ მიეთხრა, რომელთაცან
ესრეთ გამოიკითხვდა, ვითარცა ესე-რს ზემოთ ხაქქა ნაძვისა-მის
მანლობელად ყოფა ადგილსა-მას, რომელსა დამარხულ იქმნა: “ ხო-
ლო დამარხულ იყავნ ესეცა, ვითარმედ სახლი ელიოზისი, რომელ-
მან კჭართი უფლისაჲ მიიღო, და დამარხა მითურთ დაჲ თჳსი იყო
ქალაქსა დასავალით, წიად მოგუთასა, ხიდსა ზედა.

„მათ დღეთა შინა იხილა წმიდა-მან ნინო ძილსა შინა, ჩვე-
ნებით, რომელი-იგი მუხლსა თჳსსა ზედა მიერდნობილ-მან მცირედ
რადმე მიიღულის, რამეთუ ხედვიდა იგი ესრედ, ვითარმედ რეცა-თუ
მოვიდიან მორიხველნი ფრთითა შავნი და შთავიდიან მდინარესა-მას
შინა, და განიბანან, განსპეტაკნან, და ადვიდიან, იგი სამოთხესა-
მას შინა პირველ, ხსენებულსა ბაბილოვანსა, და მუნ შინა მოის-
თქლებდიან ნაყოფსა მისსა და უვავილთა-მათ იხუმევდიან, და ეს-
რეთ მოწყედ ²⁾ და სურვილით წმიდისა ნინოსდა მოიღებდა ³⁾ რეცა
მისი არს სამოთხე-იგი, და გარემოს მისსა მოაკრებიან ⁴⁾ იგი უი-
ვილითა შევნიერად: ხოლო ესე-რად ესრეთ იხილა წმიდა-მან ნინო,
აუწყა მოწათესა თჳსსა სიღონისა, ასულსა აბიათარისსა, რომლისა-
თჳს-იგი მიუგო მან და ჰკრქა წმიდასა ნინოს. „უცხოო და აქა არა
შობილო ტუვეო, სიტუვისა-ებრ შენისა, და ჩვენ ტუვეთა მხსნელო
უწვი, რამეთუ შენ-ზედა მოიწიო ახალი ესე ჟამი, და შენ ჟამით
ისმეს ჭამბავი-იგი ძველი მამათა ჩვენთა ნაქმარი, ზე-ცისა-მის კა-
ცისა უბრალოსა სისხლისა უსამართლოდ დათხევა, რომელთა იქმან ⁵⁾
ურიათა სირცხვლი და კიდეთა ქრესტყანისათა განბნევაჲ, მეფობისა-
გან დაცემჲ, და ტაძრისა-მის წმიდისა მიღებაჲ მათ-გან, ერისა

¹⁾ T ძის-წულ-მან; fils du fils.

²⁾ T მოწყალედ.

³⁾ R ნინოს მიმართ მიიღებდიან; mon M-it ნინოს მიერ მიიღებ-
დიან: ici le verbe est juste.

⁴⁾ M-ss მიჰკრებიან იგინი.

⁵⁾ M-ss რომელი ჰქმნეს.

უცხოსა წოდებაჲ და მიცემაჲ მათდა დიდებოსა მათისა: იელუსალიმ, იელუსალიმ, ვითარ განგიმარტავნ ფრთენი შენნი და შეიკრებ უაველთა ცის-კილითა ნათესავთა ფრთეთა ქვეშე შენთა. რამეთუ აჭა აქაცა მოსრულ არს დედა-კაცი-იგი, რომელ-მანცა შეცუჲლას უოველი წესი ამის ქუჩუანისა:“ და კვალადცა მიექცა წმიდასა ნინოს და ჭრქუა ესრეთ, ვითარმედ „ჩვენებაჲ ეკე შენი მოასწავებს და ცხად-ჭეოფს ადგილსა იმას შენ-მიერ სულიერად სამოთხედ შეცუჲლებას და სადმერთოთა-ნაყოფთა გამომღებარობასა მისსა უკუენისამდე.

„ხოლო ვითარ მოვიდა მირიან მეფე საბერძნეთით, ოტებულად კოსტანტინე მეფისა-გან, და ვიდრე მოსულადმდე მისსა, განცხადა წმიდისა ნინოს-მიერ ქადაგებაჲ ქრისტეს სჯულისა. რამეთუ იტუოდა იგი ხმა-მალად, ვითარმედ „გზოვენ მკვიდრნი-ეკე¹⁾“ ჩრდილო-სანი ცთომასა შინა:“ და გამოეჩინა ჯუარნი-გი ნასხლევისა, და იქ-მოდა მის-მიერ საკვრველებათა დიდთა: რამეთუ განჭკურნის განუკურნებელნი თზიერ წამალთასა, შესებითა-მით ჯუარისათა, და კვალად ჭქადაგებდეს მისთანავე მოწაფენი მისნი, რომელნი ზირველ ფარულად იუწუნეს მოწაფე მისდა, რიცხვთ შვიდნი დედანი, ნათესავნი ჭურიათანი: სიდონია, ასული აბიათარ მღჲდლისა, და სხვანი-იგი ექქისნი, და სამოთხისა მცველნი-იგი ურთიერთარს მეუღლენი, და აბიათარ მღჲდელი, ახალი იგი ზაფლე, რომელი უშიშრად და დაუცხრომელად ჭქადაგებდა ქრისტეს სჯულსა და თრიად მეცნიერ იუო ძველისა სჯულისა, და ახალი ესე სჯული ესწავა მას წმიდისა ნინოსა-გან, და უმეტეს ნინოსსა ამხილებდა უოველსა კაცსა და ასწავებდა სჯულსა ჭეშმარიტსა ქრისტესსა: მაშინ აღიძრნეს ჭურიანი აბიათარს ზედა, რათამცა ქუაჲ დაკრიბეს მას: ხოლო მირიან მეფემან მიაგლინნა მსახურნი, განაჩინა აბიათარ მოკლეისა-გან ჭურიათასა, რამეთუ აქუნდა მირიან მეფესა სურვილი ქრისტეს სჯულისა, ამის-თვს რომელ ასმოდეს მრავალნი სასწაულნი ქრისტეს მიერნი, საბერძნეთით და სომხითით. და არაჲ დააბრკოლებდა ქადაგებად ნინოსა და მოწაფეთა მისთა, არამედ ჭბრძოდა მათ მტერნი-იგი უა-

1) T. იგი.

ველთა მიმართ მორწმუნეთა ეშმაკი, და ვერ დაამტკიცებდა აღსარებასა ქრისტესსა. და ეგრეთვე ხანა დედოფალიცა უმეტეს გულფიცხელ და შეურაცხის-მოფულ იყო ქადაგებასა-მას ქრისტეს სჯულისასა ჭეშმარიტსა: ხოლო წმიდაა ნინო იყო ესრეთ და ილოცვიდა დაუცხრომელად საუდელსა-მას მისსა, მაუჭალთა ქქტშე, და დაკრკვებულ იუწნეს წარმართნი-იგი ღოცრუსა მისსა და მღვდისრებასა. უცხო უხნდა საქმე-იგი: იწუეს გამოკითხვად მისსა, ხოლო იგი აუწუებდა ძველთა და ახლთა წიგნთა, და განაბრძობდა უგულისხმოთა-მათ, და შთაუღებდა გულსა მათსა სიუწარულსა ქრისტესსა.

„და იყო ესრეთ სამ წელ, ვინაჲცა განაცხადა ქადაგებამ და დაიმწაფნა მრავალნი: მაშინ იყო ვინმე ერმამ-წული, უფლისა მძიმისა სენისა¹⁾, და მიმოაქუნდა დედასა მისსა კარით-კარად, რათამცა ვინმე ჭბოვა მეცნიერი კურნებისა, და ჭუმცა სარკებელი მისი. და შეისწავეს იგი უფელთა, და არა-ოდეს ჭბოვეს სარკებელი კურნებისა ერმისა-მის-თვს. და მკურნალთა ჭრქტს დედა-კაცსა-მას, ვითარმედ „არა-რამ სარკებელ ეუვს ერმასა მაგას:“ და დედა-კაცი-იგი იყო გულ-ფიცხელი წარმართი, და მკრადის სძაგებს სჯულსა ქრისტეანეთასა, და აუენებდის²⁾ სხუათაცა კითხვად და მისლჲად ნინოსსა. ხოლო ვითარცა სასო-წარკვეთილ იქმნა მკურნალთა მიერ, მოვიდა და დავარდა წინაშე ნინოსსა, და ევედრებოდა კურნებასა ერმისასა: მაშინ ჭრქტა წმიდა-მან ნინო: „კურნებამ რომელი კაცთა-გან არს, მე არა-რამ ვყო, ხოლო დმერთ-მან ჩვენ-მან, რომელსა მე ვმსახურებ, ქრისტე-მან მისცეს ერმასა ამას კურნებამ, რამეთუ უფელთა-გან განწირულ არს:“ და რომელსა კილიკსა ზედა მკრადის ილოცავნ წმიდაა ნინო³⁾ მას ზედა დადებად უბრძანა მან სწეული-

1) Il faut lire უფალი მ. ს. Mon M-it porte: მწირისა ვისიმე, ღენითა შეპყრობილ. ce qui donne un sens raisonnable; „Il y avait un garçon, fils d'un étranger, atteint d'une maladie“

2) T სძაგებენ... აუენებდეს.

3) T ილოცვენ წმიდასა ნინოს.

იგი, და იწუხ ვედრებად უფლისა, და მასვე ჟამსა განიკურნა ურმა-
იგი. განცუფრებული და მხიარული მისცა დედასა თჳსსა: ხოლო
დედა-მან ურმისა-მან აღიარა ქრისტე და ჳსთქჳ „არა არს სხჳ
დმერთი, თჳნიერ ქრისტესსა, რომელსა ჳქადაგებს ნინო:“ და და-
მწაფა წმიდასა ნინოს, და შეუდგა კჳლსა მისსა, და აღიდებდა
დმერთსა.

„მაშინ დედოფალი ნანა შეგარდა სენსა ფიცხელსა, დიდსა და
მწარესა, რომლისა კურნება ვერა-ვინ შეუძლო. რამეთუ ეოველთა
კლოფანთა მკურნალთა წარმოაცალიერნეს წამალნი მათნი, და ვერაჲ
შეუძლეს კურნება მისი: უღონო იქმნეს და სასო-წარკვეთილ. ხო-
ლო აუწყეს ვიეთმე დედოფალსა, ვითარმედ „დედა-კაცისა-მის ჳრ-
მისა ტუჯსა მიერ, რომელსა ჳრქვიან ნინო, ლოცვთა მისითა შრა-
ვალნი სენნი განიკურნებიან:“ მაშინ უბრძანა მსახურთა თჳსთა, რა-
თა მოიუფანონ ნინო: და მივიდეს მსახურნი დედოფლისანი, და ჳბო-
ვეს ნინო ქარსა-მას ჳვეშე მსუვალთასა, ილოცვდა ¹⁾ ჟამსა მექქესე-
სა, და მიუთხრეს ბრძანებაჲ დედოფლისა: ხოლო წმიდა-მან ნინო
ჳრქჳ. „არა ბრძანებულ არს ჩემდა, სადა ბანაკი ჩვენი არს, არა ²⁾
განვიდეთ მიერ. არამედ დედოფალი აქა მოვიდეს. საყოფელსა ჩემ-
სა ჳეშმარტსა, და განიკურნოს ძალითა ქრისტესითა:“ ხოლო მსა-
ხურთა მიუთხრეს დედოფალსა თქმული-იგი ნინოსი: მაშინ დედო-
ფალი გუფს-მოდგინებდ ეტუოდა მათ. „შემიმზადეთ მე მცხედარი
და მიმიუჩანეთ მისსა:“ მაშინ წარიუჩანეს მცხედრითა მსახურთა-მათ
და ძე მისი რევ, და სიმრავლე ერისა მისთანა: ვითარ მოვიდეს
საყოფელსა-მას წმიდასა ნინოსსა, და დადგეს დედოფალი კილიკსა
მისსა ჴედა. იწუხ წმიდა-მან ნინო ლოცვად და ვედრებად დუთისა
მიმართ მუფარ-ჟამ, და მოილო ჳვარი-იგი, რომელი აქმნდა, და
შეახო თავსა და მკართა, სახედ ჳვარისა, და მეუწსეულად განიკურ-
ნა, და აღდგა განცოცხლებული: ჳრწმენა ქრისტე და თქვა, „არა
არს დმერთი: თჳნიერ ქრისტესსა, რომელსა ჳქადაგებს ტუვე ესე

¹⁾ M-ss aj. რა.

²⁾ M-ss aj. რათა.

დედა-კაცი.“ და მიერთ-გან შექმნა იგი მეგობრად თვსად შინაუ-
რად, და მარადის ჰკითხავს და გამოიწულებს¹⁾ სჯულსა ქრისტეს-
სა, და ასწავებს წმიდა ნინო და აბიათარ, ხსალი ზავლე, და ასული.
მისი სიღონია: და იქმნა დედოფალი შერწმუნე და იცნა ღმერთი
ჴეშმარიტი, და ჰკითხვდა დედოფალსა მეფე, „ვითარ-იგი მეუწესეუ-
ლად განიკურნე.“ და უთხრობდა დედოფალი უოველსა-მას რომელი-
იქმნა მის-ზედა, ვითარ²⁾ თვნიერ წამლისა, ლოცვთა ნინოსითა და
შეხებითა ჟჳარისათა, განიკურნა. და³⁾ სიმრავლე-იგი ერთა რა-
მელთა ეხილვა, დაამტკიცებდეს სიტუჳასა დედოფლისასა.

„მაშინ მირიან მეფე განჰკვრდა და იწყო გამოძიებად სჯულსა
ქრისტესსა, და მარადის ჰკითხავს⁴⁾ ჰურია უოფილსა-მას აბიათარს
ძველთა და ხსალთა წიგნთასა, და იგი აუწუებდა უოველსა: და წიგ-
ნიცა, რომელი აქჳნდა მირიან მეფესა „ნებროთისი“ მასცა⁵⁾ წიგნსა
შინა ზოგა წერილი ესრეთ. აღშენებასა-მას გოდლისასა ხმა იყო ზე-
ცით ნებროთისა მიმართ, რომელი ეტყოდა. „შე ვარ მიქელ, რა-
მელი დადგინებულ ვარ ღვთისა მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავლი-
ლისა: განვიდ ქალაქით მაგით, რამეთუ ღმერთი დაჰტვარავს: ხოლო-
უკანასკნელთა უამთა მოვიდეს მეფე-იგი ცისა, რომლისა შენ გნე-
ბავს ხილვაჲ, შეურაცხი ერსა შეურაცხსა: შიშ-მან მის-მან განაქარ-
ვნეს კემონი სოფლისანი: მეფენი დაუტეობდენ მეუობასა და ეძი-
ებდენ სიგლახაკესა. მან გიხილავს ჴირსა შინა, და გიხსნას შენ:“
მაშინ გულის-ხმა ჰყო მეფემან მირიან, რამეთუ ძველნი წიგნნი და
ხსალნი ემოწმებოდეს, და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა: და შე-
ექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა. არამედ ჰბრძოდა მტერი-იგი
უზინო, და აყენებდა აღსარებასა ქრისტესსა, გულისა შთაუგდებდა სა-
სოკებასა კერზოსასა და ცეცხლისასა: არამედ დედოფალი მარადის ევე-

1) T გამოიწულებენ.

2) Manque à T.

3) Omis.

4) T. ჰკითხვენ.

5) T მისცა.

დრებოდა აღსარებასა ქრისტესსა, და იყო მეფე დედოფლისა მოქცევით-გან წელიწდისა ერთისა ორგულებასა შინა.

„ხოლო ასწავებდა ერსა დაუცხრომელად წმიდაჲ ნინო, და არა-ვის აუწევებდა, თუ ვინ ვარ, ანუ სადათ მოვალი,“ არამედ ტუვედ იტყოდა თავსა თვსსა: შემდგომად ამისსა მოგვ-იგი მთავარი სზარსი, სახელით ხვარასნელი იყო, სულითა უკეთურითა თიტხელად იგვემებოდა, და სიკუდილსა მოახლებულ იყო, და იყო მთავარი-იგი ნათესავისა-გან მირიან მეფისა: მამინ ევედრნეს წმიდასა ნინოს ნანა დედოფალი, და მეფე იხილვიდა საქმესა მისსა მცირედ ორგულებით: ეტყვნ წმიდასა ნინოს. „რომლისა ღვთისა ძალითა იქ კურნებასა ამას: ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენისი, და უცხოებით მოხვედ, და შეურდი, და ზედა-აც მათ წყალბაჲ შენი, და მიგანიჭეს ძალი კურნებათა, რათა მით სტსოვნდებოდი უცხოსა ქვეყანასა, და დიდებულმცა არიან უკუნისამდე: ხოლო შენ წინაშე ჩვენსა იყავ ვითარცა ერთი მამოვნებელი შვლთა ჩვენთაგანი, და ზატოვ-ცემული ქალაქსა ამას შინა. არამედ უცხოსა ამას სიტუქასა ნუ იტყვ. ჭრომთა-მაჲ შეცთომილსა სჯულსა ნუ გნებავს უფულადვე თქმად: რამეთუ აჭა ესე-რა დმერთნი დიდნი, სოფლის მზერობელნი, მზის მომთენებელნი, წვიმის მომუქანებელნი, ქრესტყანით ნაყოფთა აღმომუქანებელნი, გამომზრდელნი ქართლისანი, არმაზ და ზადენ, უფლისა დათარულისა გამომძიებელნი, ძველნი დმერთნი მამათა ჩვენთანი, გაცი და გაიმ, იგინი იუქნენ სარწმუნებელად კაცთა მიმართ, და უკეთუ განჭკურნო შენ მთავარი ესე, განგამდიდრო და გეყო შენ მკვდრ მცხეთას შინა, მსახურად არმაზისი: დადაცათუ ჭყარითა და სეტყვთა მოიწია მას-ზედა შემუსრვა მისი, არამედ ადგილი-იგი უძრავ არს, და ქალდეველთა დმერთი ითრუჯან და ესე ¹⁾ უფულადვე მტერ არიან. ამან ზღუდა შემოადგინა ზედა, და მან ამას ზედა ესე-ვითარნი ურვა მოაწია, ვითარ აქქს ჩრტულებაჲ სოფლის მზერობელთა, და კმაჲ გეყავნ ჩემ-გან ბრძანებაჲ ესე.“

„მიუგო წმიდა-მან ნინო. “შენ მეფე, სახელითა ქრისტესითა,

¹⁾ T omet ce mot et le précédent.

და ვედრებითა დედისა მისისათა, და მისთა ყოველთა წმიდათათა, მოაფლინენ შენ ზედა დმერთ-მან ცისა და ქვეყანისა შემოქმედ-მან, დამბადებელ-მან ყოფლისა დაბადებულისა-მან, დიდისა, დიდებულისა და აურაცხელისა მისისა¹⁾ მრავალ-მოწყალებისა-გან, მოგოფლინენ შენ, ვითარცა სახმილსა-გან ნაბერწყალი ერთი მადლისა მისისასა, რათა სცნა და გულის-ხმა ჰყო სიმაღლე ცისა და ნათელი მზისა, სიღრმე ზღვისა საძირკველისა, და სიფრცე ქვეყანისა²⁾ საფუძველი მისი: და უწყებულ იყავნ, მეფე, ვინ შემოსნის ცანი დრუბლითა და ქუხან ხმითა ჰყარისათა, და იძვრინ ქვეყანა³⁾ სიმძაფრითა, და ჰბრინ მების-ტუხანი, და ყოველსა მთასა ეგზებინ გულის-წყრებითა მათითა: ანუ ოდეს შეიძრას ყოველი ქვეყანა⁴⁾, ვიდრემდის დაირღვიონ მთანი და მუარნი კლდენი, და ქვანი, და მეცნიერ იყავნ შენ ამას ყოველსა მიწევნად. რამეთუ დმერთი ცათა შინა უხილავ არს თავადი-იგი, ყოველთა დაბადებულთა-გან, თუნიერ ძისა მისისა, რომელი მის-გან გამოვიდა, ქვეყანასა ზედა გამოჩნდა ვითარცა კაცი, რომელ-მან აღასრულა ყოველი რომლისა-თუხ მისრულ იყო, და აღვიდა მათვე სიმაღლეთა მამისათა: და იხილე³⁾ რამეთუ დაუსაბამო-იგი მხოლოდ მალაღ არს და მდაბალთა⁴⁾ ხედავს, და მალაღნი იგი შორით იცნის: მეფეო, ახლოს არს მიახლება შენი ღვთისა, მიხედვად, რომელი არს ქალაქსა ამას შინა, სასწაული ერთი, სამოსელი ძისა ღვთისა⁵⁾ აქა არს, და ხალენი მის ელიასი აქავე არს ყოფა⁶⁾, და სასწაულნი არიან, რომელნი დმერთ-მან გამოაჩინნეს. თუ არა მე გჳაღა⁷⁾ მთავარი ესე შენი განვჰკურნო სახელითა ქრისტეს ჩემისათა და ჯვარითა ვნებისა მისისათა, ვითარცა-იგი დედოფალი ნანა განიკურნა სენისა-გან დიდისა: რა⁸⁾ იგი ვაუწყე მას, ჰფოფს იგი, რათა სულიცა თუხი განაბრწყინვოს და ერიცა თუხი მიიხლას დმერთსა:“ და მიჰგჳარეს მას მთავარი-იგი და მოვიდა ნა-

1) Manque à T.

2) Manque à T.

3) T იხილა.

4) T დაბადებულთა.

ნა დედოფალიცა სამთხესა-მას შინა, ნაძეთა-მათ ქრისტე, დაადგი-
ნა იგი აღმოსავალით და ახურობად სცა კელნი, და ჭრქტა მას სამ-
გზის. „ვიჟმნი შენ-გან, ეშმაკო, შეუგრდები ქრისტესა, ქესა
ღვთისასა:“ და სტირდა ნინო სულ-თქმითა თვისითა, და ითხოვ-
და ღვთისა-გან შეწევნასა კაცსა ამას ზედა, და იუჟნეს მოწაჟენი
მისნი მუნვე ერთ დღე და ორ ღამე, და მწრაფელ განვიდა მის-გან
სული-იგი ბოროტი, და დაემოწაფა ნინოს სახლეულით და ერთიურთ
მისით, და ადიდებდეს მამასა, და ქესა, და სულსა წმიდასა.“

§ 5.

თქმული სიდონის დედა-კაცისა: რომელი იყო მოწაჟე
წმიდისა ნინოსი, რომელი ესე იხილა და დანიწერა
მოქცევა სასწაულითა ძირიან მეფისათა, და შეგრდო-
მაღ ნინოსი, აღსარებისა-თჳს ქრისტესისა, ჯუარის
აღმართებისა თჳს, ეკკლესიათა აღმენებისა-თჳს, და მას
შინა სასწაულთა მისთა-თჳს.¹⁾

„და იყო დღეს ერთსა ზათხულისასა, თჳეს ივლისსა ოცსა,
დღეს შაბათსა, განვიდა მეფე მირიან ნადირობად მუნხარით კერ-
ძო, და მოუხდა უჩინო-იგი მტერი ბოროტი, ეშმაკი, და შთაუგდო
გულსა სიუჟარული კერძთა და ცეცხლისა, და იგონებდა ეოველსა

¹⁾ Ici T aj. თავი მეშვიდე, მამო, გვაკურთხენ. „Chapitre VII-e. Notre père. Je vous salue;“ au lieu du dernier mot, qui est en abrégé, გკნ, je lis: გნ, abréviation du premier mot de la Salutation angélique. En tout cas, cet appendice prouve que le récit de Sidonia est extrait d'un ouvrage plus considérable.

მსახურებასა მათსა ¹⁾), მახვილითა მარჯუნიდანა უფველთა ქრისტიანეთასა: და ჭრჭყა მეფე-მან ოთხთა თანა-მზრახველთა მისთა. „ღირს ვარო ჩვენ ღმერთთა-გან ჩვენთა ბოროტის უფასა, რამეთუ უღებვიქმნიეთ მსახურებისა-გან მათისა, და მიუშვით ჩვენ ქრისტიანეთა გრძნეულთა ქადაგებად სჯულსა მათსა ქვეყანასა ჩვენსა, რამეთუ გრძნებითა ჰყოფენ საკრველებათა-მათ: აწ ესე არს განზრახუა ჩემი, რათა ბოროტად მისრნეს ²⁾ უფველნი მოსაზნი ჯჳარ-ცმულისანი, და უმეტესად შევუდგე ³⁾ მსახურებასა ღმერთთასა მათ მპყრობელთა ქართლისათა: ვამხილეთ ნანას, ჩემსა ცოლსა, შენანებაჲ, და დატეობაჲ სჯულსა ჯჳარ-ცმულისასა, და თუ არა მერჩდეს, დავივიწყო სიუჳარული მისი, და სხუთავე თანა წარვჭსწემიდო იგიცა:“ და უმეტესეს განზრახუა მისი თანა-მზრახველთა-მათ, რამეთუ მხურვალედ იუჳნეს იგინი საქმესა ამს, და ანებვიდა ⁴⁾ პირველით-გან, და ვერ იკადრებდეს განცხადებულად: ხოლო მეფე-მან მოვლო უფველი სანახები მუხნარისა, და ადვიდა მათსა ზედა თხოთისასა, მადალსა, რათამცა მოიხილა კასპად და უფლის-ცხიედ: განვიდა თხემსა მთისასა, შუა-სამხრის ოდენ, დაუბნელდა მათ-ზედა მზე და იქმნა დამე ბნელი, უკუნი, და დაიპურა ბნელ-მან არენი და ადგილნი. განიბნივნეს ურთიერთარს ჳირისა-გან და ურვისა: და დაშთა მეფე მარტო, და იარებოდა მათთა მადნართა, შეშინებული და შეძრწუნებული, და დადგა ერთსა ადგილსა, და წარეწირა სასოებაჲ ცხორებისა მისისა: და ვითარცა მოკვო თავისა ცნობასა, და განიზრახვდა ესრეთ გულსა შინა თვისსა. „აჳა ესე-რა ვხადე ღმერთთა ჩემთა, და არა ვზოვე ჩემ-ზედა ლხინებაჲ. აწ რომელსა ქადაგებს ნინო, ჯვარსა და ჯჳარ-ცმულსა, და ჰყოფს კურნებათა მისითა სასოებითა, არამცა ძალ-ედგა ხსნაჲ ჩვენი ჳირისა ამის-გან. რამეთუ ვარ მე ცოცხლივ ჯოჯოხეთსა შინა, ვერა უწეი, თუ უფლისა ქვეყანისა-თჳს იქმნა დაქცევა ესე

¹⁾ M-ss aj. და.

²⁾ M-ss მოისრნენ.

³⁾ T შეუდგეს.

⁴⁾ M-ss ნებაჲდა.

და ნათელი ბნელად გარდაიქცა, და თუ ჩემ-თვს ოდენ: აწ თუ ჩემ-თვს ოდენ არს ჭირი ესე, ღმერთთ ნინოსათ, განმინათლე ღამე ესე და მიჩვენე საყოფელი ჩემი, და ადვიარო სახელი შენი, ადვიართთ ძელი ჯვარისა და თაყუანის-ვსტე მას, და ადვიარო სახელი სალოც-ველად ჩემდა, და ვიყო მოჩინლ ნინოსსა სჯულსა ზედა ჭრამ-თასა. “

„ესე ყოველი რაჲ წარმოსთქვა, განთენა და გამოუბრწეინვა მზე, და გარდამოვიდა მეფე ცხენისა-გან, და დადგა მას ადვილსა, განიზურნა კეღნი აღმოსავალით და თქვა: „შენ ხარ ღმერთი ყო-ველთა ზედა ღმერთთა, და უფალი ყოველთა ზედა უფლებათ, ღმერთი რომელსა ნინო იტყუას, და საქებელ არს სახელი შენი ყოველისა დაბადებულისა-გან, ცასა ქვეშე, და ყოველსა ქვეყანასა ზე-და. რამეთუ შენ მიხსენ მე ჭირისა-გან და განმინათლე ბნელი ჩე-მი: აჴა ესე-რა მიცნობიეს, რამეთუ გინდა ხსნა ჩემი და ღზინებაჲ, და მიახლებაჲ შენდა: უფალო კურთხეულო, ამას ადვილსა ადვიარ-თო ძელი ჯვარისა, რომლითა იდიდებოდეს სახელი შენი, და იხ-სენებოდეს საქმე ესე და სასწაული უკუნისამდე.“ და ისწავა ადვილი-იგი, და წარმომართა, და იხილა ერმან მან ნათელი და გამოერ-თნენ ¹⁾ ერთი განბნეული ²⁾: ხოლო მეფე დადადებდა. „მიეცით ღმერთ-სა ნინოსსა დიდება ყოველ-მან ერმან, რამეთუ იგი არს ღმერთი სა-უკუნეთა, და მას მხოლოსა შეენის დიდებაჲ უკუნისამდე.“

„ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ერთი განვიდეს მიგებე-ბად მეფისა. რამეთუ ესმა ჰირველ წარწემენდა, და კვალად მოსლჴა დიდებით, და მიეგებოდეს ქინძარას და ღართას: ხოლო ნეტარი ნინო დადგრომილ იყო ღოცუასა მწუხრისსა, მყოფანსა-მას ში-ნა, ჩუჭულებისა-ებრ მისისა, უამსა თვსსა, და ჩვენ მის-თანა ორ-მეოც და ათი სული: და იყო ვითარცა შემოვიდა მეფე, ადიძრფო-და ქალაქი, და ხმითა მადლითა დადადებდა მეფე. „სადა არს დე-და-გაცი-იგი უცხო, რომელ არს დედაჲ ჩემი და ღმერთი მისი

¹⁾ M-ss გამოემართნენ.

²⁾ Mon M-it ერთი განბნეულნი.

მხსნელი ჩემი: “ ვითარცა ესმა, თუ „აქა მუჯღოვანსა არს და ილო-
ცავს,“ მოდრკა მეფე და უოველი-იგი ლაშქარი: მოვიდა და გარ-
დაიჭრა სახედრისა გან და ეტუოდა ნინოს. „აწ დირს მუავ სახელის-
დებად სახელისა ღვთისა შენისსა და მხსნელისა ჩემისა:“ ხოლო
წმიდაჲ ნინო აწვაგებდა და აწვევდა მსწრაფლ თაუჭანის-ცემად აღ-
მოსავალით და აღსარებად ქრისტეს ღვთისა: მაშინ იქმნა გურგვინ-
ვა და ტირილი უოველისა კაცისა, ოდეს ხედვიდეს მეფეს და დე-
დოფალსა ცრემლთსანთ: და ხვალისა დღე წარავლინსა მოციქულნი.
საბერძნეთად მირიან მეფე-მან წინაშე კოსტანტინე მეფისა, და წიგ-
ნი ნინოსი, ელენე დედოფლისა წინაშე, და აუწიეს ესე უოველი სა-
სწაული ქრისტესმიერი, რომელი იქმნა მცხეთას შინა, მირიან მე-
ფესა ზედა და ითხოვნეს მოსწრაფებით მღუდელნი, ხათლის-ღებისა-
თჳს: ხოლო წმიდაჲ ნინო და მოწაფენი მისნი ქადაგებდეს ერსა-
მას შინა, დღე და დამე დაუცხრომელად, და უჩიკებდა გზასა ჭეშ-
მარიტსა სასუფეველისსა.“

§ 6.

თქმული მისივე, აღძენებისა-თჳს ეკკლესიათა.

„ოდეს წარემართა მეფე და უოველი ერთ ქრისტეანობასა მო-
სწრაფებით, ვიდრე მღუდელთა მოსლჳადმდე, რქჳა მეფე-მან წმი-
დასა ნინოს. „მესწრაფების მე აღშენებად სახლსა ღვთისსა. სადა
უშენოთ:“ ჭრქჳა ნინო, „სადაცა მთავართა გონებაჲ მტკიცე არს:“
ჭრქჳა მას მეფე-მან, „მიუვარან მე მაუვალნი ესე შენნი, მნებაჳს მე
გონებისა-ებრ ჩემისა, გარნა არა ესე რაჲ¹⁾, არამედ არა ვრიდო
სამოთხესა ამას სამეფოსა და ნაძჳთა ამათ სიმაღლესა, და ბაბილო-
თა ამათ ნაყოფიერებასა, და უჭავილთა სურნელებასა. რამეთუ ჩუგ-

¹⁾ Mon M-it, ესრეთ.

ნებსა, რომელთა იხილე შენ, მფრინველთა მათ ფრთითა უშვერთა
განბანა წელითა და განსხუტაკება ბრწყინვალედ, და დასხდომა ხეთა
მათ-ზედა სამოთხისათა, და ხმობაჲ მათი ხმითა ტკბილითა, ჭეშ-
მარიტად სამოთხე ესე კორციელი და წარმავალი შეგვეცვალეს
ცხოვრებად საუკუნოდ, და მუნ ადვანდებთ სხელი ღვთისა. სალოც-
ველად ჩვენდა, ვიდრე მოსლქადმდე ჩემდა მღვდელთა საბეკძნეთით: “
და შეეჩსეულად მოიღო ძელი¹⁾ და ასწავებდა ხურათა, და მოჰქრებ-
თა ნაძ-იგი, და ნაძვისა-მის-გან შემზადნა შვიდნი სვეტნი ეკკლე-
სიისანი: და ვითარ ადვანდებეს კედელი-იგი ძელითა, და ამართნეს
ექვსნი-იგი სვეტნი თვს-თვსად. ხოლო სვეტი-იგი უდიდესი, რომ-
ელი სავიწროველ იყო ხიჯთა, საშუალ ეკკლესიისა შესადგმელად
გამზადებული, ვერ შეუძლეს აღმართებად მისსა, და აუწყეს მეფესა
სავიწროველი-იგი, ყოვლადვე ვერ ძრვას ადგილითცა სვეტისა-მის:
მასინ მოვიდა მეფე, სიმრავლითა ერისათა, და მოეხუნეს მრავალ-
ღონენი მანქანანი, სიმარჯჯთა და ერისა სიმრავლისა ძალითა, ეცად-
ნეს აღმართებად, და ვერ შეუძლეს.

„და იყო დაკვირვებულ მეფე და სიმრავლე ერისა და იტყო-
დეს. „რამე არს ეს: და ვითარ იყო მწუხრი, წარვიდა მეფე სახ-
ლად თვსად, შეწუხებულნი დიდად: ხოლო წმიდაჲ ნინო და ათ-არ-
მეტნი მოწაფენი მისნი დედანი დაადგრეს სვეტისა-მის-თანა: ხოლო
იგი სანატრელი გოდებითა სვეტსა-მას-ზედა დაადინებდა ცრემლთა:
ვითარცა შუა-დამე ოდენ იყო, წარმოიქცეს ორნივე მათნი არმაზი
და ზადენი, რეცა-თუ ჩამოირღვიეს და დააყენეს წყალნი ორათვე.
და მტკვარმან კარდამოხეთქა და წარჰქონდა ქალაქი. და შეიქმნეს
ხმანი საზარელნი, ტუებისა და გოდებისანი, ეგრეთვე არაგვი კარ-
დამოხდა ციხესა ზედა, და იქმნებოდეს საზარელნი გრგვინანი: შე-
შინდეს დედანი და იფლტოდეს. ხოლო ნეტარი-იგი დადადებდა,
„ნუ გეშინინ, დანო ჩემნო, მათნი მუნვე ჭვიან, და წყალნი მუნვე
დიან, და ერსა ყოველსა სძინავს:“ ხოლო ესე რომელ რეცა მათნი

¹⁾ Tous les M-ss portent ძელი, du bois; mais je crois qu'il faut lire ცელი ou ცული, une hache.

დაირღვიეს სამართლად გეჩუბნების, რამეთუ ურწმუნობების მთანი დაირღვიეს ქართლს შინა, და წყალნი რამელ დაეენეს, სისხლნი-ოგი ურმათა კერძთა მიმართ შეწირვისა დაეეენეს: ხოლო ხმა ესე ტყეებისა არს ეშმაკთა სიმრავლისა. რამეთუ იგლოვენ იგინი თავსა თვსსა, რამელნი არიან მეტრ ამათ ადგილით, ძალითა მადლისათა და ჭრჭრითა ქრისტესითა: მოიქეცით და ილოცვედით ღვთისა მიმართ:“ მეუჩესეულად დასცხრეს ხმანი-ოგი, და იყო არა-რამ.

„და დადგა წმიდაჲ ნინო, განეპურნეს კელნი და ილოცვედა ღვთისა მიმართ, და იტყოდა. „რათა არა დაებრკოლას საქმე ესე რამელსა წარმართებულ არს მეუე:“ და ვიდრე არა ევივლა ქათამისა სამთავე კერძთა ქალაქისათა დაჰსცა ზარსა ლაშქარ-მან ძლიერ-მან, და დაჰლეწნეს კარნი, და აღივსო ქალაქი სხარსითა ლაშქრითა, და შეიქმნა ზარის სახდელი ზრზინვა, და უივილი და კლჶა, და სისხლი დიოდა, და აღივსო უოველი ადგილი, და მოვიდა მათდა სიმრავლე, ზახილითა და მახვილითა, და სხვათა-მათ შიშისა-გან დადნებოდნეს კორცნი და კანილია სული მათი. ტიროდეს ნათესავთა-მათ-თვის: და მსწრათლ ისმოდა ჰხმობდეს-რამ ძლიერად. „მეუე სხარსთა, ხვარამ ჰბრძანებს, და მეუეთა მეუე ხრარან-ხვარსა: უოველი ჰურიაჲ განარინეთ ზირისა-გან მახჯლისა:“ ესე-რამ მესმა და მოვეტე ცნობასა, შეორგულდით¹⁾ მე და ათნი-ოგი ჩემთანანი, და მოახლებულ იუჩნეს მახჯლოსანნი კარემოს ჩვენსა, სცემდეს და კლვიდეს.

„და ისმა კმა ძლიერი, „მირიან მეუეჲ შეიპურნეს:“ გარე მოიხილა მენე-მან მოღვაწე-მან, და თქვა. „ესე რამელი უივის, ვიცი რამელ აწ სადამე დიდად ჰსჭირს, და ჰმადლოდით ღმერთსა, რამელი ესე ნიში მათისა წარწემედისა არს და ქართლის ცხოვრებისა, და ამის ადგილისა დაბისა: და ნუ-გეშინის გუცემდა ვითარცა

¹⁾ Mon M-it შევორგულდით, de même qu'il porte toujours ვუწყოთ, ვეშენოთ, là où T écrit უწყოთ, უშენოთ, La dernière leçon est plus archaïque et se voit toujours, en pareil cas, dans le Nouv. Testam. imprimé. D'ailleurs ვ devant უ peut à-peine se prononcer.

მოდღუარი კელოვანი, ჭეშმარიტად მოძღუარი და მოციქული სანატრული მიექცა ერსა-მას მომსრულსა, და ჭრქქა. „სადა არიან მეფენი სზარსთანი, ხუარა და ხუარან-ხუარაჲ. საბასტანით გუშინ წარმხუჭდით, მალე მოხუჭდით. დიდი სადამე ჯაშქარი ხართ და ძლიერი, რად დაღწევთ ქალაქი ესე, და მახული დაეცით. ქართა და ნიაფთა წარჭგუაღეთ, ბნელით ჩრდილოთ კერძო, მთათა და კედართა. აჰა მოვიდა რამელსა თქვენ ევლტით: და განიძრა კელი ჯუარის სახედ, და მეუჩესუჲად უჩინო იქმნეს ყოველნი-იგი, და იქმნა დაუუღება დიდი, და დედანი-იგი ჭნატრიდეს მას და ადიდებდეს ღმერთსა.

„ხოლო ვითარცა ცის-კარი აეღებოდა მიერულა დედათა-მით, ხოლო მე სიღონია მღვიძარე ვიუაჲ, და იგი დგა კელ-განხურობით, აჰა ესე-რა ზედა მოადგა ჭაბუკი ერთი ნეტარსა-მას, ყოვლად ნათლითა შემკობილი, შებლარდნილი ცეცხლისა ზეწართათ და ჭრქქა რაჲმე სამნი სიტყუანი: ხოლო იგი დაეცა შირსა ზედა, და ჭაბუკ-მან მან მიუღ კელი სულტსა-მას და აღამაღლა, და წარიღო სიმაღლესა შინა, და განკვირვებული მივეახლე მე სიღონია, და ვარქქესრეთ „დედოფალო, რაჲ არს ესე.“ ხოლო მან მრქქა, „მოიდარიკე თავი ქვეყანად“, და ტირილად იწყო ზარისა-მის-გან. და მცირედისა უამისა შემდგომად აღდგა და აღამაღინა, და განვეშორებით მას ადგილსა: ხოლო დედანი ვითარ იუჩნეს კიდე, აჰა იხილეს მათცა სვეტი-იგი, ცეცხლის სახედ ჩამოვიდა ღ მთესლსა ხარისხსა-მას ღ დადგა, აღშორებულად ქვეყანით, ვითარ ათ-არ-მეტ წერთა, და ნელიად-ნელიად ჩამოიცვალებდა ხარისხად თხსად მონაკვეთსა და ძირსა მისვე ნაძვისსა: ვითარცა რიჟრაჟი ოღენ იყო, აღდგა მეფე გულ-გოდებული ურვათა-გან, მიხედნა სამოთხესა დაწებულსა-მას ეკვლესიასა, და იგი მტკიცე იყო გონებითა, იხილა ნათელი ვითარცა ელვა აღწევნული ცად, სამოთხით მისით: იწყო სრბად და მკვრცხლ მოვიდოდა, და ყოველი სიმრავლე სახლისა მისისა და ყოველი ერთი ქალაქისა მივიდა: ვითარცა იხილეს საკვირველი-იგი, ნათლითა ბრწეინჯაღე სვეტი ჩამოვიდოდა ადგილად თხსად, რეცა ვითარცა ზე-ცით, და დადგა ხარისხსა-მას-ზედა, დაემუარა კელით შეუხებუ-

ლად კაცთა-გან: და ნეტარ იყო მას უახსა შინა, რამეთუ რად-იგი-
იქმნებოდა შიშითა და სიხარულითა აღივსო მცხეთა ქალაქი და დი-
ოდეს მდინარეხი ცრემლთანი, მეფეთა და მთავართა, და უოველსა
ერსა. სულ-თქმითა სულისა მათისათა აღიღებდეს ღმერთსა, და
ჰნატრიდეს წმიდასა ნინოს, და იქმნეს სასწაულნი დიდნი მას დღეა-
სა შინა.

„ზირველად მოვიდა ჰურია, ბრმა შობით-გან, მიეახლა სვეტსა-
მას ღვთივ აღმართებულსა, და იქმნა მხედველ მუნ-თქვესვე, და
აღიღებდა ღმერთსა: მეორე, სეფე-წული ვინმე ერმა, ამზასზანი,
იდგა რვისა წლისა მდებარე¹⁾)- მოიღო იგი დედა-მან მის-მან სარ-
წმინტობით, და დასდჳა ცხედრითა წინაშე სვეტსა-მას ნათლისსა,
და ნამდვლვე ნათლისსა, ეკედრებოდა ნინოს. „მოხედენ, დედო-
ფალო, ძესა ამას ჩემსა სიკჳდილად მიახლებულსა, რამეთუ ვიცი,
ღმერთი ღმერთთა არს, რამელსა შენ მსახურებ და ჩვენ გვქადაგებ:
მასინ ნინო შეახო კელი სვეტსა-მას, ჳ დასდჳა ერმასა-მას, ჳ ჰრქჳს.
„გრწამს იესო ქრისტე, ძე ღვთისა. ცხოვრებისა-თჳს უოველისა სო-
ფლისა კოტრითა მოსრულ. ამიერთ-გან განიკურნე ჳ აღიღებდი მას,
ვისმან ძალ-მან განკურნა:“ და მსწრაფლ აღდგა ერმა-იგი, ვითარცა
მრთელი, და დაეცა შიში დიდი მეფესა და უოველსა ერსა. და თჳთო-
სახენი სხეულნი მოვიდოდეს და განიკურნებოდეს ვიდრემდის მეფე-მან
შეუქმნა საბურველი ძელისა გარემოს სჳტსა-მას, და დაუარა ხედვისა-
გან, და ეგრეთვე შეეხებოდეს ერნი, და განიკურნებოდეს: მსწრაფლ
იწყო მეფე-მან და განასრულა ეკელესია სამოთხესა-მას შინა.

„და ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი მირიან მეფისანი წინაშე
კოსტანტინე მეფისა, და მიუთხრეს უოველი რადცა იქმნა, მასინ
აღივსო სიხარულითა მეფე და დედა მისი ელენე დედოფალი, ზირ-
ველად ამის-თჳს, რამეთუ მადლი ღვთისა მიეფინებოდა უოველთა
ადგილთა, და კელსა მათსა ქჳსტზე ნათელ-იღებდა²⁾ უოველი ქართ-
ლი. და შემდგომად ამის-თჳს განმზიარულდეს, რამეთუ დაადსტუ-

1) Omis T.

2) T ნათლის-ღება.

რეს მიზანს შეთვის-გან სრულიად მოწვევდა სხარსთა და შტკიცედ მიღებაჲ სიუჭარულისა მათისა: და ჳმადღობდეს ღმერთსა, და წარმოგზავნეს მღუღელი ჳეშმარიტი, იოანე ებისკოპოსი, და მის-თანა მღუღელნი ორნი და დიაკონნი სამნი, და მიუწერა მეფე-მან კოსტანტინე მიზანს წიგნი ლოცვასა და კურთხევა ღვთისა: „მადღობისა, და წარმოსცა ჳვარი და ხატი მაცხოვრისა, და მის-თანა ნიჭი დიდი. და ელენე დედოფალ-მან მოუწერა წიგნი ქებისა და ნუ-გეშინის ცემისა: მოიწია ებისკოპოსი, მღუღელნი და მცტიქელნი მცხეთად, და აღივსნეს სიხარულითა მეფე და ყოველი ერი მათი, რამეთუ სურვიელ იუჳნეს ყოველნივე ნათლის-ღებისა-თჳს: მაშინ მსწრაფლ გაგზავნა ბრძანება მიზანს მეფე-მან ყოველთა ერის-თავთა თანა, სხასალართა და ყოველთა ზირთა სსამეფოსთა, მოწოდებად წინაშე მისსა, და მსწრაფლ მოიწივნეს ყოველნი ქალაქად.

„მაშინ ნათელს-იღო მეფე-მან კელსა ქუჭშე წმიდისა ნინოსსა, და შემდგომად დედოფალ-მან და შვილთა მათთა, კელთა ქუჭშე მათ მღუღელთასა და დიაკონთასა. და შემდგომად ამისსა აკურთხეს მდინარე შტკუარი, ჳ ებისკოპოს-მან შემზადა ადგილი ერთი, მოწურვითა ხიდისა ¹⁾, კარსა მოგვთისსა, სადა ყოფილ იყო სახლი ელიოზ მღუღელისა, და მუნ ნათელ-სცემდა წარჩინებულთა ერთი-ერთისა, და ეწოდა ადგილსა-მას მთავართა სსანათლავი: ხოლო ქუჭშეთ მისსა, მდინარესავე ზირსა, ორნი-იგი მღუღელნი და დიაკონნი ნათელს-სცემდეს ერსა, და მიატყდებოდა ერი-იგი ურთიერთარს, მოსწრაფებით ეუბნებოდენ მღუღელთა: რათა ზირველად მასვე ნათელ-სცეს: და ესრეთ სურვიელ იყო ერი-გი ნათლის-ღებისა-თჳს, რამეთუ ესმინა ქადაგებაჲ წმიდისა ნინოსი, რომელსა იტყუნ. „ყოველმან რომელმან არა ნათელს-იღოს, არა ზოგოს მან ნათელი საუკუნო:“ და ამის-თჳს მოსწრაფე იუჳნეს ნათლის-ღებად ყოველნი-იგი. და ესრეთ სახედ ნათელს-იღეს ყოველ-მან ერთ-მან და სიმრავლემან ქართლისა-მან. თჳნიერ ხოლო არა ნათელს-იღეს მთეულთა კავკასიანთა, მიფენასა მას ნათლისსა, არამედ დადგეს ბნელსა შინა უამსა-ოდენმე: და ჳურია-

1) T კიდიხ.

თა მცხეთელთა არავე ნათელ-იღეს, გარნა ბარაბიანთა ნათელ-იღეს
ორ-მეოც და ათ-მან სახლ-მან, და იქმნეს ჭეშმარიტ, ამის-თხსცა
დიდ-იქმნეს წინაშე მეუფისა, და მიუბოძა დაბაჲ, რომელსა ჭრქვიან
ციხე-დიდი: არამედ არა ნათელს იღო ფეროზ, სიძე-მან მირიან მე-
ფისა-მან, რომელსა ჭქონდა რანი ბარდავამდის, მირიან მეუფისა-გან:
არცა ერ-მან მის-მან ნათელს-იღეს, არამედ კორციელად ოდენ მორჩი-
ლობდეს მირიან მეუფესა.

„მაშინ წარავლინა მირიან მეუფე-მან ებისკოპოსი იოანე და
მის-თანა წარჩინებული ერთი ¹⁾ წინაშე კოსტანტინე მეუფისა, და
ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელი მას ოდენ ჟამსა გა-
მორჩინა ღვთის მსახურსა და ღვთის მოყუარესა ელენე დედოფალსა:
და ითხოვნა მღჭდელნი მრავალნი, რათა განავლინნეს უოველთაჲ ქა-
ლაქთა და ადგილთა, და ნათელს-სცემდენ ერთა, რათა მსწრაფლ
ნათელ-იღოს უოველ-მან სულ-მან ქართლისა-მან. და ითხოვნა ქვით-
ხუროჲსა მოძღვარნი, აღშენებისა-თხს ეკკლესიასა: ვითარცა მიიწივ-
ნეს წინაშე კოსტანტინე კეისრისა, სიხარულით მიანიჭა ნაწილი ძე-
ლისა ცხოვრებისა, და ფიცარნი-იგი ²⁾, რომელსა ზედა ფერკნი და-
უმსჭრქვალნეს უფალსა, და სამსჭრქვალნი კელთანი. წარმოგზავნეს
მღჭდელნი და ხურონი ფრიად მრავალნი: რამეთუ კოსტანტინე მე-
ფემან მეუბოძასა შინა მისსა აღაშენა ეკკლესიაჲ ტაძარი წმიდაჲ,
და მოსცა განძი დიდ-ძალი ებისკოპოზსა იოანეს. და უბრძანა. „სა-
დაცა ჯერ იუოს ადგილთა ქართლისათა, მუნცა აღაშენენ ეკკლესია-
ნი, სახელსა ზედა ჩემსა. და ნიჭი ესე დიდ-ძალი დამიმკვდრე ³⁾
საზღვრათა ქართლისათა:“ და წარმოვიდა ებისკოპოსი, და მის თანა
მოციქული: და ვითარ მიიწივნეს ადგილსა რომელსა ჭრქვან ერუ-
შეთი, დაუტევნა მუნ ხურონი, საქმედ ეკკლესიისა, დაუტევნა გან-
ძნი და სამსჭრქვალნი უფლისანი და წარმოვიდა, და მოვიდა მანგლისს,
და იწყო ეკკლესიასა, დაუტევნა ფიცარნი-იგი უფლისანი: მაშინ შე-
წუნდა მირიან მეუფე, რამეთუ ზირველ არა სამეფოსა ქალაქსა მოვი-

¹⁾ ერთა T.

²⁾ ფიცარი serait mieux, mais tous les M-ss sont d'accord.

³⁾ T დამიმკვდრე.

დეს, ანამედ სხუათა ქალაქთა და ადგილთა იწუეს შენებად ეკკლესიასა და დაუტევნეს ნაწილნი: ხოლო მოვიდა წმიდაჲ ნინო, და ჰკრქუა: „ნუ სწუხ, მეუფო, რამეთუ ესრეთ ჯერ არს, სადაცა მივიდოდინ და სთესვიდინ სახელსა ღვთისსა, რამეთუ არს ქალაქსა ამას შინა სამოსელი-იგი დიდებული უფლისა.“

„მაშინ მოჲუქანა მეუფე-მან აბიასარ და მის თანა ჰერანნი მრავალნი, და გამოიკითხა მათ-გან კურთის-მის თჳს, და მათ მიუთხრეს უოველი რამელი ზემო წერილ არს: და აღიპყრნა კელნი თჳსნი მირიან მეუფე-მან, და თქუა: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისა ცხოველისაო, რამეთუ შირველითგანვე გინდა ხსნა ჩვენი უშმაკის-გან და ადგილსა-მის-გან ბნელისა. ამის-თჳს სამოსელი-იგი შენი წმიდა წარმოება წმიდით ქალაქით შენით იერუსალიმით ებრაელთა-მათ, ღვთაებისა შენისა-გან უცხო ქმნილთა, და ჩვენ უცხოთა ნათესავთა:“ და წარემართა მეუფე და უოველი ქალაქი ქრისტეანობასა. იწუეს ხურთა შენებად ეკკლესიისა, გარე უბანსა, მუჳაღთა-მათ-ზედა, საუოველთა წმიდისა ნინოსთა, სადა აწ არს ეკკლესია სამთავარ-ებისკობსოდ: მაშინ ჰსთქუა წმიდა-მან ნინო: „კურთხეულ არს უფალი იესო ქრისტე და მამა უფლისა ჩვენისა, რამელ-მან მოავლინა სიტუქა მისი წმიდათათა-გან მალაღთა, თჳთ ძლიერის-გან საუდრის გარდამსრული ქვეყანად, მდაბლად, შობილი უკრეკლად თესლისა-გან დავითისსა, დედა-კაცისა-გან მარტოდ შობილისა, წმიდისა და უბიწოსა, რამელი სათხო ეყო მას მიზეზითა, მიზეზი ცხოვრებისა ჩვენისა. რამელ-მან ცასა ქრსტე უოველივე განანათლა, და მოწმუნენი აცხოვნა. რამელი იშუა ვითარცა კაცი, ნათელი უოველთა, ხატო ღვთისაჲ, და ვითარცა მსახურ-მან ვინმე სჯულისა-მან ნათელს-ილო წულისა-გან და სულისა, ჯვარს-ეტუა, დაეულა და აღდგა მესამეს დღესა, ამადლდა სიმადლესა, მამისა თანა, და კვალად მოვალს დიდებითა. რამელსა ჰშვენის უოველივე დიდებაჲ, თანა მამით და სულით-წმიდითურთ. აწ და მარადის, და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.“

§ 7.

ადმარტებისათვის ჰატოისნიისა ჯვარისა.

ვითარცა ნათელს-იღეს მეფე-მან და დედოფალ-მან, შვილთა მათთა თანა, და უოგელ-მან ერ-მან მათ-მან, მაშინ დგა ხე ერთი ადგილსა ერთსა, კლდესა ზედა შეუვალსა, და იყო ხე იგი შვენიერი, ფრიად სუენელად. ¹⁾ საკვრველებამ იყო ხისა-მის-გან, რომელ ისარ-ცემული ნადირი მივიდის და სჭამის ფურცელი მისი, გინათესლი ჩამოცვივებული, განერის სიკუდილისა-გან, დაღაცათუ საკლავსა ალავსა დიდად წელულ-იფვის: ესე დიდად საკვრველ უჩნდა პირველთა-მათ წარმართთა, და აუწიეს ეპისკოპოსსა იოანეს ხისა-მის-თვს. ხოლო ეპისკოპოზ-მან თქვა: „აჲ ჭეშმარიტად პირველით-განვე დამარხულ არს ქვეყანა ესე ღვთისა-გან მსახურად თვსად, და ღვთისა მიერ აღმოცენებულ არს ხე იგი, და ²⁾ დამარხულ ჟამისა-მის-თვს, და აწდა მიეფინა მადლი ღვთისა ქართლს, და მის ხისა-გან ჯერ არს შექმნა ჯვარი ჰატოისანი, რომელსა თაუჟანის-სცეს უოგელ-მან სიმრავლე-მან ქართლისა-მან:“ და წარვიდა რეგ, ძე მეფისა, და ეპისკოპოსი მის-თანა, და სიმრავლე ერისა, და მოჰკუჭტოეს ხე-იგი, წარმოიღეს რტოთურთ მისით. და მოაქუნდა ათსა ³⁾ ათეულსა კაცსა, ზე-ზე რტოთურთ და ფურცლითურთ შემოაქუნდა ქალაქად, და შემოკობა ერი ხილვად მწუანისა ⁴⁾ ფერობასა-მას და ფურცლიანობასა, ჟამსა ზამთრისასა, ოდეს სხუა უოგელი ხე კმელი იყო, ხოლო ესე ფურცელ-დაუცვანელი, სულ-ამაო და სხილქლად შუქნიერი: და ძირსა ზედა ამართეს ხე იგი, კარსა ზედა ეკკლესიისასა, სამხრით მის ხისათა. და ბერვიდა ნელი ნიაფი. და შლიდა ⁵⁾

¹⁾ M-ss aj. და.

²⁾ Manque, T.

³⁾ Mon M-it ათს, „mille dixaines“.

⁴⁾ Au lieu du génitif, qui se trouve ici dans les trois M-ss, il faudrait le datif, ou le génitif également dans les mots suivants.

⁵⁾ Mon M-it დაჰხობრიდა.

ფურცელთა¹⁾ ძრკითა რტოთა მისთა, და იყო ხილვა მისი შუჭნიერი, ვითარცა სმენით ვიცით ხისა-მის ალვისა: ესე მოჭკუჭტეს მარტსა ოც და ხუთსა, დღესა ჰარასკევისა, დაადგრა ეგრეთ ხე-იგი დღესა ოც და ჩვიდმეტსა, და არა შეცვალა ფერი ფურცელ-მან მის-მან, ვითარცა დგა ძირსავე ზედა თჯსა, თავსა ზედა წყაროსსა, ვიდრემდის უფლებნი ხენი მადნარისანი შეიმოსნეს ფურცლითა, და ხენი ნაყოფის გამომღებელნი შეიმოსნეს უვაგილითა: მაშინ თუჭსა მაისსა ერთსა შექმნნეს ჯუჯარი ესე, და შვიდსა ამის თჯსა ადემართნეს კელის-დადებითა შეფეთა, თანა სინარულითა და წადიერებითა უფლისა ერისა ქართლისათა, და იუუნეს ეკკლესიასა შინა.

იხილა უფელმან ერმან ქართლისა-მან, უფელთა-მათ დღეთა აჭა ჩამოვიდის ჯუჯარი ცეცხლისა ზე-ცით მის-ზედა, გარემოს, მსგავსად გვრგვინთა²⁾ ვარსკულავისათა, და დაადგრის ზედა ეკკლესიასა ვიდრე განთიადმდე, და რიჟურაჟ ოდენ გამოვიდის მის-გან ორნი ვარსკულავნი, ერთი წარვიდის აღმოსავლით და ერთი დასავლით, და იგი თავადი ეგრეთ ბრწეინუალებდ, ნელიად³⁾, განვიდის მიერ კერძო, ახლად წყაროსა-მას ზემო-კერძო არაგვისა. და დადგის ბორცუსა ზედა კლდისსა, რომელი აღმოცენა ცრემლითა წმიდისა ნინოსითა, და მუნით აღიმადლის ზეცად: და ესრეთ მრავალ-გზის იხილა უფელმან ერმან მაცხოვრებელ ღვთისა ჩვენისა: მაშინ იწუეს ვითხუად ნეტარისა ნინოსისა: თუ რაჲ არს, რომელ გამოვალს ბრწეინუალებ ვარსკულავი, და ერთი წარვალს აღმოსავლით, და ერთი დასავლით: „ხოლო მან თქუა: „განავლინებით კაცნი მათა ზედა მადლთა, აღმოსავლით ვიდრე კახეთისა მთამდე და დასავლით ვიდრე სანახებამდე ამის ქალაქისა, და ოდეს გამობრწეინდენ მთიებნი-იგი იხილონ თუ სადა დადგენ, მუნცა ადემართნენ ორნი იგი ჯვარნი ქრისტესნი:“ მაშინ უფ მუფემან ეგრე და შეცვნა თავნი მათათანი მიწეებით, ხოლო დღე ესე იყო ჰარასკევი და შაბათი გან-

1) T, R: ხისა მისთა.

2) T გვრგვინვი.

3) Mon M-it ნათლიად.

თენდებოდა: იყო იგივე სსსწაული, და იქმნა ეგრეთვე ვითარცა პირ-
ველ იქმნის ხუალის დღე მთვიდის დასაფლისანი, რომელნი დგეს
მთათა ზედა ქუბათა-თავისათა, და მიუთხრეს მეფეს: „ვითარცა გა-
მთვიდა ვარსკუტლავი-იგი, ამაღლდა და მიიწია მთასა ზედა თხოთი-
სასა ¹⁾), გარდასავალსა კასპისასა, და დაადგრა ადგილსა ერთსა, და
უოფლად უჩინო იქმნა და ეგრეთვე მთვიდეს მითთ კახეთით და
თქუტს: „ვიხილეთ ვარსკუტლავი აქათ მომავალი, და დადგა დაბასა-
ბოდისასა ²⁾), კუხეთისსა ქუტუანსასა:“ მასინ უბრძანა ნეტარ-მან ნი-
ნო. „წარხუდნით რწნივე ესე ჯუარნი და აღმართენით, ერთი
თხოთს, სდა-იგი დმერთ-მან გამხილათ ძალი მისი, და ერთი მიე-
ცეს სალამეს, მკევალსა ქრისტესსა, აღმართოს უჯარმოს ქალაქსა-
რამეთუ ბუდი ³⁾), დაბაჟ კუხეთისა, არა წინა-ადუდგეს ქალაქსა მე-
ფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მუნ: ბუდისა კუტლა დაბაჟ
თუთ იხილოს სათნო-იგი ადგილი ღვთისაჟ და უქუტს ეგრე ვითარ-
ცა უბრძანა ნინო.

ხოლო ებე სსსწაულითა ზეცისა ჩუტნებით ჯუარი ზატოისანი
მცხეთას იხურეს, კელითა კაცობრივითა, მივიდეს ბორცუტსა-მას ქუტ-
შე, და წყაროსა-მას-ზედა ათიეს დამე, და ილოცეს ღვთისა მიმართ,
და ნეტარი ნინო ცრემლითა შეაზავებდა წყაროსა-მას, და იქმნებო-
დეს კურნებანი და სსსწაულნი დიდნი: ხოლო ხვალისა დღე ადვი-
დეს კლდესა-მას-ზედა, და მივიდა ნეტარი-იგი ბორცუტსა-მას-ზედა,
დავარდა ქუბათა-მთა-ზედა და სტიროდა თუთ იგი, და მის-თანა მე-
ფენი და მთავარნი, და უოველი სიმრავლე ერისა, ვიდრემდის მთა-
ნი ხმა-სცემდეს, და დასდუა კელი ერთსა ქუტსა და ჭრქუა ების-
კობოსსა: „მოვედ, რამეთუ შენდა ჯერ არს, და დასწერე ქუტსა ამას
ჯუარი“. და მან უო ეგრეთ, და მუნ აღემართა ჯუარი-იგი დიდები-
თა, მეფეთა-გან, და მოსდრკა ერი-იგი ურიცხუ, და თაუტანის-ცეს
ჯუარსა, და აღიარეს ჭეშმარიტად ძე ღვთისა ცხოველისა, და ჭრქუ-
ნა საშებით დიდებულნი დმერთი.

¹⁾ Mon M-it თობარისასა.

²⁾ Mon M-it porte ბუდისა, sans le mot précédent.

³⁾ Tous les M-ss portent cette leçon.

ხალხ დიდნი-იგი მთავარნი არა განეშორებოდეს ეკკლესიასა
წმიდასა, და სვეტსა ნათლისასა, და ჭჭარსა-მას ცხოველსა. რამეთუ
ხედვდეს სასწაულთა-მათ უზომოთა, და კურნებათა-მათ მიუთხრო-
ბელთა, და დღესა კურიაკესა ადვსებისა ზატისა უფ შირიან მეფე-
მან და უფველმან მცხეთა-მან, შესაწირავად დღე-იგი განაწესეს,
ჭჭარისა მსახურებად, ადვსებისა ზატისა ¹⁾ უფველ-მან ქართლმან
დღეინდელად დღედმდე: და იუფ რა-ოდენისამე დღისა შემდგომად,
მარტულისა უკანისა, იხილეს სასწაული დიდად საშინელი, დღესა
ოთხ-შაბათსა ²⁾: აჰა ესე-რა სვეტი ერთი ნათლისა, სახედ ჭჭარისა,
დგა ჭჭარსა-მას ზედა, და ათ-ორ-მეტნი ვარსკვლავნი სახედ კვრკვ-
ნისა, გარემოს მისსა: ხალხ ბორცვ-იგი ჭჭარისა კმედა სახედ
სულებელად, და ხედვდეს სასწაულსა ამას უფველნი, და მრავალნი
უღმრთოთაგანნი მოიქცეს და ნათელს-იღეს მას დღესა შინა: ხალხ
ქრისტიანენი უფროს მორწმუნე იქმნებოდეს და აღიდებდეს ღმერთ-
სა: მერმე კვალად იხილეს სხვაჲ სასწაული ჭჭარისაჲ, ვითარცა
ცეცხლი დგა თავსა ზედა მისსა, შვიდ წილად მზისა უბრწყინებ-
ლესი, ზედა დაადგრა მას, ვითარცა სახშილისა ნაბერწყალნი ადვ-
ლენ, ეგრე სახედ ანგელოზნი ღვთისანი ადვიდოდეს და გარდამო-
ვიდოდეს მას-ზედა: ხალხ ბორცვ-იგი ჭჭარისა იძვოდდა ძლიერად,
და ვითარცა სასწაული-იგი დასცხრებოდა: ეგრვთვე ძვრა იგი დას-
ცხრებოდა: ვითარცა იხილეს სასწაული-გი, დაუკვრდა უფველთა უფრო-
სად და უმეტესად აღიდებდეს ღმერთსა: და ვითარცა იქმნებოდეს
სასწაულნი-იგი წლითი-წლად და უფველი-იგი ერი ხედვდეს, შიშით
და ძრწოლით მოვიდოდეს თაუჭანის-ცემად გულის-მოდგინედ.

მას უამსა რვეის ძესა მეფისასა, ესვა ურმა მცირე წული, და
იუფ სნეულ და მიწვეზულ იუფ სიკუდილად, და ³⁾ იგი ოდენ მხო-
ლო ესვა მათ. მიიღო და დადგა იგი წინაშე ჭჭარისა წმიდასა, და

¹⁾ L'étymologie arménienne de ce mot, *գատիկ*, demande un
O, mais souvent on écrit, comme plus haut, par un დ.

²⁾ Mon M-it, ორ-შაბათსა un lundi.

³⁾ T რამეთუ.

ცრემლით ითხოვდა. უკეთუ მომიბოძო ურმა ესე ცოცხალი, აღვა-
შენო კუბო საუედლად შენდა:“ და მუნ-თქვესვე განიკურნა ურმა-
იგი, და განკურნებულა და განცოცხლებული წარიყუანა. მერმე მო-
ვიდა აღთქმის აღსრულებად, და უო მადლის მიცემა დიდითა სი-
ხარულითა, და გუეს-მოდგინებით აღაშენა კუბო ჯუარისა მცხეთისა
რევ, ძე-მან მეფის-მან, და წლითი-წლად მოვიდის და აღსრულის
აღნათქვამი-იგი მსხუჭრზლისა, და მიერთ-გან უფრო მოვიდოდეს
ყოველნი უძღურნი და სნეულნი, განიკურნებოდეს და სიხარულით
ადიდებდეს ჯუარსა წმიდასა ქრისტესსა.

იყო ვინმე მამა-კაცი ჭაბუკი, და ორნივე თუაზნი დასდგომო-
დეს, ჯდა იგი წინაშე ჯვარსა წმიდასა ქრისტესსა, და შემდგომად
შვიდისა დღისა აღვიხილეს თუაზნი, სუდვიდა და ადიდებდა ზატიო-
სანსა ჯუარსა: მერმე დედა-კაცი ერთი იყო, მარადის გვემული სულ-
თა-გან უკეთურთა ეგოდენ, რომელ ძალი და გონებაჲ მისი მიეღო
რვასა წელსა, და სამოსელსა თვისსა ¹⁾ დაიზობდა. ვითარ მოიყუანეს
და ზატიოსანსა ჯუარსა შეამთხვიეს, შემდგომად ათ-ორ-მეტისა
დღისა განიკურნა და თვისთა ფერკითა წარვიდა. ადიდებდა ღმერთ-
სა და თაყუანის ცემდა ზატიოსანსა ჯუარსა: მერმე კვალად იყო
ურმა მცირე და მეუწესეულად დაეცა და მოკუდა: აღიღო იგი დედა-
მან მისმან და დააკლო წინაშე ჯუარისა ურმა-იგი მომკუდარი, დი-
ლეულით-გან მიმწუხრადმდე: ხოლო დედა მისი ტირილითა ილოცვი-
და წინაშე ჯუარისა. სხუანი ეტეოდეს. „წაილე, დედა-კაცი, და და-
მარხე. რამეთუ მომკუდარ არს, და ნუდა-რა აწეინებ:“ ხოლო მან
არა წარიგვეთა სისკება, არამედ უფროს და უმეტეს სწულაობულად
ტიროდა და ილოცვიდა. მწუხრისა ოდენ უამსა სულიერ იქმნა, და
თუაზნი აღვიხილნა, და შემდგომად შვიდისა დღისა განკურნებულა
და განცოცხლებული წარიყუანა ურმა-იგი დედა-მან მის-მან, და ადი-
დებდა ღმერთსა.

ინილეს-რამე სსწაული და კურნებაჲ ყოვლად წმიდისა ჯუარი-
სა მიერ, მრავალნი უშვიდონი მოვიდოდეს და ითხოვდეს შვილიე-

¹⁾ T მისსა, qui est évidemment fautif.

რებას. და შეიღ-მრავალ იქმნებოდეს, და შესაწირავთა და მადლთა ჰყოფდეს. არა-ხალა-თუ რომელნი მოვლენ, მათ ოდენ მიანიჭის კურნებაჲ, არამედ რომელნი შორითცა ითხოვდიან შეწევნსა წმიდისა ჯუარისა მცხეთისა-გან, მუნ-თქვესვე შეწევნითა მისითა შიდა მადლი. მძლე იქმნიან მტერთა და მსწრაფლ მოვიდიან შეწირვად მადლისა: მრავალნი უკვე უღმრთონი, ჭირსა-რა შთასცვივიან, რა-ჟამსა ხადლდიან წმიდასა ჯუარსა, მუნ-თქვესვე განერიან ჭირისა-გან, და მოვიდიან შემთხუზვად ზატოცნისა ჯუარისა. და მრავალთა ნათელს-იღეს, და სიხარულით ადიდებდეს ღმერთსა: მრავალნი უკუზ მრავალთა ჭირთა შთასცვივეს, და ძლითა ზატოცნისა ჯუარისათა განიკურნეს. მრავალნი ზირად ზირადთა-გან სატანჯველთა მოვილტიოდ ვედრებად, მუის განიკურნებიან, მუნით-გან დღეინდელად დღედმდე, და ადიდებდეს მამასა, და ძესა, და წმიდასა სუფსა, რომლისა არს დიდებაჲ აწ და მარადის, და უკუნითა უკუნისამდე. ამინ.

§ 8.

წიგნი რომელი მოუწერა ზატრიაქ-მან ჰრომისა-მან და ბრანჯთა მეფემან ნინოს და მეფესა, და ყოველთა ერთა ქართლისათა.

მათ დღეთა შინა მოიწია წიგნი ჰრომით, წმიდისა ზატრიაქისა, ნინოსა და მეფესა, და ყოველსა ერსა ქართლისასა: და მოუვლინა ბრანჯი დიაკონი, ქებისა შესხმად და კურთხევისა მიცემად, და ამის ნეტარისა ნინოს ლოცვისა წარდებად და მადლისა ზიარებად: აქუნ-და წიგნი ბრანჯ მეფისა ნინოსცა თანა, და რამეთუ მამისა მისისა-გან ნათელს-ელა ბრანჯეთს ყოველსა ერსა, და ყოველი ესე მასმე-ნელ იყო იერუსალიმით და კონსტანტინეპოლით, ვითარმედ ქვეყ-ნასა-მან ქართლისასა მიეფინა მზე სიმატლისა. ამის-თჳს სანატრელად

წიგნი მოეწერა, რათამცა ეუწენეს აქანი იგი სასწაულნი სვეტი-
მის, მაყულოვანისა, და ძალი-იგი კურნებისა, ესე ყოველი იხილა
და მოისმინა სასწაულნი-იგი ყოველნი, რომელნი ქმნილ იუვნეს მცხე-
თას. დიაკონ-მან ბრანჯთა-მან, და განკვირვებული აღიღებდა ღმერთ-
სა და წარიდო წიგნები.

მაშინ მეფე-მან ჰრქჳა წმიდასა ნინოს და ებისკოპოსსა: „მნე
ბავს ესრეთ, რათა იძულებით, მახვილითა მოვაქციენით მთეულნი,
და სიძე ჩემი ფეროზ, და დავამონე ძესა ღვთისა, და ვათაყვანე
ხატოცხანსა ჯჳასსა:“ მაშინ ჰრქჳა მათ: „არა ბრძანებულ არს უფ-
ლისაგან მახჯლისა აღებაჲ, და სახარებითა და ხატოცხნითა ჯჳასითა
უჩვენოთ გზაჲ ჭეშმარიტი, მიმუწანებელი ცხოვრებად საუკუნოდ,
და მადლ-მან ღვთისა-მან განანათლეს ბნელი-იგი გულთა მათთა.“
და წარვიდა წმიდაჲ ნინო, და ებისკოპოსი იოანე, და მათ წარატა-
ნა მეფე-მან ერის-თავი ერთი. და მოვიდეს, და დადგეს წობანსა,
და მოუწოდეს მთიულთა ზირ-უტუვისა სახეთა-მათ კაცთა, ჭართა-
ჯელთა, ფხოელთა, გუდა-მარულთა და უქადაგეს მათ ჯვარი ქრის-
ტიანეთა ჭეშმარიტი, მიმუწანებელი ცხოვრებად საუკუნოდ: ხოლო
მათ არა იხებეს ნათლის-ღებაჲ. მაშინ ერის-თავმან მეფისა-მან მცი-
რედ წარმართა მახვილი მათ-ზედა, და ძლევით შემუსრნა კერხნი
მათნი.

გარდამოვიდეს მუხით და დადგეს ყაღეთსა, და უქადაგეს ერწო-
თიანეულთა, ხოლო მათ შეიწინარეს და ნათელ-იღეს. ხოლო ფხო-
ველთა დაუტოვეს ქვეყანა მათი, და გარდავიდეს თუშეთს, და სხჳა-
ნიცა მთიულელნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ
მეფე-მან ხაკი. ოდეს არა იხებეს ნათლის-ღებაჲ: ამის-თვისცა წა-
კრბეს იგინიცა და შესცდეს, და რომელნიმე უკანასკნელ მოაქცივნა
აბიბოს, ნეკრესელ ებისკოპოს-მან, რომელნიმე მათგანნი დარჩეს
წარმართობასავე დღესამომდე: ხოლო წმიდა-მან ნინო წარემართა
წარსლავად რანს, მოქცევად ფეროზისსა. და ვითარცა მიეახლა კუ-
ხეთს, დაბასა ბუღისსა, დაუვნა მუნ დღენი, და მოვიდოდეს მისსა
კახეთით, ჰკითხვიდეს და აღიღებდეს სწავლასა მისსა, სიმრავლე
ერისსა: მაშინ დასნეულდა მუნ, და ვითარცა ცნა რევ, ძე-მან მეფე-

სა-მან, და სალამე, ცალ-მან მის-მან, რომელი ცხოვრებოდეს უჯარმოს, მოვიდეს ნინოსსა, და აცნობეს მეფესა და დედოფალსა: ხოლო მათ მიაგლინეს ებისკოპოსი იოანე წარყენებად¹⁾, წმიდა ნინო არა ურჩდა: ხოლო წარვიდა თვით მეფე და სიმრავლე ერისა ძლიერისა, და მივიდეს მის-ზედა, და შეკრბა სიმრავლე ერთა, და ხელვიდეს უოველივე იგი ერი ზირსა ნინოსსა ვითარცა ზე-ცისა ან-კელაზისსა, და მოსწვევიდინ თესვისა სამოსლისა მისისსა, მიიღებ-დეს და ემთხვეოდეს სარწმუნოებით, და იძულებით ევედრებოდეს უოველი დედოფალი, კარემს მსხდომნა, რომელთა მოსდიოდეს ცრემლი თქალთა-გან მათთა, განშორებისა-თჳს მოძღვრისა-მის²⁾ და მოღვაწისა, და სნეულთა მკურნალისა კელაზანისა: და ეტეოდეს ხოლო უჯარმელი, ჭეროყ ავრისგელი³⁾ და მათ-თანა ერის-თავნი და მთავარნი, ჰკითხვდეს, თუ ვინაჲ ანუ ვითარ მოხუჭდ ქვეყანა-სა აშას მაცხოვრებად⁴⁾ ჩვენდა, ანუ სადაჲთმე იყო აღზრდაჲ შენი, დედოფალი: მაუწყე ჩვენ საქმე შენი. რასა იტეუჳ ტევეობასა, ტევეთა მსხელო სანატრელო, რამეთუ ესე-რა გვისწავიეს შენ-მიერ, ვითარმედ უოთილ არიან წინასწარმეტეველი ზირველ ძისა ღვთისა, და შემდგომად მოციქული ათ-არ-მეტნი, და სხვანი სამ-ოც და ათ-არ-მეტნი. ჩვენდა არა-ვინ მოავლინა ღმერთ-მან სხუა, გარნა შენ, და შენ ვითარ იტეუჳ, ვითარმედ მე ტეუჭ ვარ, ანუ ვითარ უცხოა: “

ხოლო მაშინ იწყო სიტყუა წმიდა-მან ნინო და თქუა: „ასულ-ნო სარწმუნოებისანო, მახლობელნო დედოფალნო ჩემო, გხედავ თქუჭნ, ვითარცა ზირველთა-მათ დედათა, უოველთა სარწმუნოებასა და სიუწარულსა ქრისტესსა, და გნებაჲს გზათა ჩემთა ცნობაჲ. კლასაკისა მკეველისა, და გაუწოცა. რამეთუ ესე-რა მოსრულ არს სუ-

²⁾ Mon M-it aj. წმიდისა ნინოსსა. ხოლო.

¹⁾ T მისდა.

³⁾ La vraie lecture de ce nom est პეროკავრ სუნელი, pour სიუნელ.

⁴⁾ M-ss მაცხოვრად.

ლი ჩემი კოჩკად ჩემდა, და მეძინებთან მე ძილითა დედისა ჩემი-
სათა, საუკუნოდ. არამედ მოიხვენით საწერელნი და დაწერეთ გლა-
ხაკი და უღები ცხორებაჲ ჩემი, რათა უწყოდიან შვილთაჲცა თქვენ-
თა საწმუნოებაჲ თქვენი და შეწყენაებაჲ ჩემი. და სასწაულნი
ღვთისანი, რომელ გიხილავნ: " მაშინ სწრაფ მოიხენეს საწერელნი
სალომე უჯარმელ-მან და ჰეროჲ აგრისუნელ-მან: იწყო სიტუჲად და
იგინი წერდეს, და წარმოუთხრა ყოველი, რომელი ზემოთ დაწვე-
რეთ, ცხორებაჲ მის წმიდისა და ნეტარისა. და შეგედრა მეფესა ¹⁾
იაკობ მღჲდელი, რათა შემდგომად იოანესსა იგი იუოს ებისკოპოს-
მაშინ იოანე ებისკოპოს-მან შესწირა ყამი ²⁾ და აზიარა წმიდაჲ
ნინო კოცესა და სისხლსა ქრისტესსა. და შეგედრა სული მეუფესა
ცათასა, ქართლად მოსლუჯთან მისით მეთოთხმეტესა წელსა და ქრის-
ტეს ამაღლებიდაცან სამას ოცდა-თვრამეტესა წელს, და დასაბამიდაცან
წელთა ხუთ ათ-ას რვა ას ოც და ათ-რვა-მეტესა: მაშინ შეიძრეს
ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთა და უჯარმო, და ყოველი ქართლი,
მიცუალეპასა მისსა. მივიდეს და დამარხეს ძლევით შემოსილი გუჲამი
მისი ადგილსავე ზედა ჰერეთისა, დაბასა ბუდისასა. რამეთუ მუნ
ითხრავს თვთ დაფლავაჲ მეფისა-გან, შეხედვთა ღვთისათა: და სიმ-
დაბლისა-თჲს ჰქმნას ესე წმიდა-მან, რამეთუ ადგილი-იგი შეურაცხი-
იუო: და მწუხარე იუო მეფე, და ყოველნი წარჩინებულნი მუნ და-
ფლავასა მისსა. არამედ მცნებისა და ანდერძისა მისისა აღსრულები-
სა-თჲს დაფლეს მუნ.

და ვითარ აღსრულას ესე ყოველი ღვთივ-განბრძნობილ-მან მი-
რიან მეფე-მან განამტკიცა ყოველი ქართლი და ჰერეთი საწმუნო-
ებასა ზედა სამებისა ერთ-არსებისა ღვთისასა, დაუსაბამოსა, დამბა-
დებელისა ყოვლისასა, და განამტკიცეს სრულსა საწმუნოებასა ზე-
და: მაშინ კეისარსა კოსტანტინეს რომელ ჰქუჲ მძევალი ძე მირიან-
ისი, რომელსა ერქუჲ ბაქარ, გამოუგზავნა მეფე-მან კოსტანტინე,
ნიჭითა დიდითა, და მოუწერა ესრეთ. „მოგსწერ შენდა ღვთივ-

¹⁾ T ნეფესა.

²⁾ Mon M-it უსისხლო მხვერპლი.

განბრძნობილისა, ჩემ-თანავე ახალ-ნერვისა, მორწმუნისა მეფისა მი-
რიანისსა. იყავნ შენ-თანა მშვიდობაჲ და სიხარული, ვინათ-გან იტან
შენ სამებაჲ ერთ-ასებაჲ, ღმერთი დაუსაბამოჲ, და მბადებელი ყო-
ვლისა. არა-რა მიხმს მე შენ-გან მსკვლი: არამედ კმა არს ჩვენ
შორის შუა-მდგომელად ქრისტე, ძე ღვთისა: პირველ უამთა შობი-
ლი, რომელი განჭკაცნა ხსნისა თჳს ჩვენისა, და ჯვარი მისი ზა-
ტირსანი, რომელი მოცემულ არს ჩვენდა წინა-მძღურად ჩვენდა, გუ-
ლითა მოსავთა მისთა, და შუამდგომელობითა ღვთისა დამბადებუ-
ლისათა ვიუწნეთ ჩვენ სიუწარულსა ზედა ძმებრივისა: შვილი შენი
შენდავე მომინიჭებოეს, იხილე და განიხარე, და ღვთისა-გან მოფ-
ლინებულნი ანგელოზნი მშვიდობისა იყავნ შენ-თანა მარადის. გან-
დევნენ ღმერთ მან დამბადებელ-მან ეშმაკი მაცთური საზღურთა-გან
შენთა“.

მოვიდა ბაქქარ, ძე მეფისა მირიანისა, და მოციქული კოსტან-
ტინე მეფისა კეისრისა მცხეთას. აღივსნეს სიხარულითა მირიან მეფე
და ნანა დედოფალი, და ჭმადლობდეს ღმერთსა ნიჭითა სრულითა
დიდითა მომცემელსა: მაშინ მირიან მეფე-მან განასრულა ეკკლესიაჲ
საიბისკოპოსო, და აღასრულა სატფურებაჲ მისი მრავლითა დიდე-
ბითა: და მოქცევით-გან მირიან მეფისათა ოც და მეხუთესა¹⁾ წელ-
სა მოკუდა ძე მისი რეგ, სიძე თრდატ სამეხთა მეფისა, რომელსა
მეცა მეუობაჲ სიცოცხლესავე თჳსსა. დათლეს აკლდამსვე, რომე-
ლი თჳთ მასვე რეგს ადეშენა: და მასვე წელიწადსა დასნეულდა მი-
რიან მეფე, რომელიცა აღესრულა: და მოიუწნა ძე მისი ბაქარ და
უთხრა²⁾ „აჭა ესე-რა მე წარვალ ვინაცა მოკედ, და ვმადლობ მრავალ-
მოწყალესა ღმერთსა, დამბადებელსა ცათა და ქმსწყანისსა, რომე-
ლ-მან წარტუჩნილი ეშმაკისა-გან მიხსნა მე პირისა-გან ჯოჯო-
ხეთისა, და ღირს მეო მე მარჯვენით მის-თანა: შენ, ნანა, უკეთუ
გეცეს³⁾ მოცალებაჲ, ცხოვრებისა ჩემისა შემდგომად, განჭკავ
სამეფო განძი ჩვენი ორად, და მიიდე სამარხავსა ნინოსა, განმა-

1) Cf. Chron. arm. Mon M-it porte ოც-და-მეთხუთმეტესა.

2) Ce mot et le précédent manquent à T.

) T ეცესლა.

ნათლებელისა ჩვენისა¹⁾, უამთა შეცუალების-თჳს, რათა არა შე-
იკრუოს უკუნისამდე იგი ადგილი, რამეთუ შეუეთა საჯდომი²⁾ არს,
არამედ მწირ არს: ეგრეთვე დავედრა ებისკოპოსნი, რათა აღიღონ
დიდება მის ადგილისა, „რამეთუ ღირს არს პატრიარქისა: ხოლო
ძესა თჳსსა ჰქაჳს: „შჯღაჳს ჩემო, შეიცვალა ბნელი ჩემი ნათლად და
სიკრული ცხოვრებად, შენდა მომიცემია გზგზნი შეუთბისა ჩემისა.
ღმერთ-მან ცისა და ქუჭანისა-მან განგამტკიცეს შენ სრულსა სა-
სრუმონობასა ზედა: იწერთილი უფლადვე მცნებათა ძისა ღვთისათა,
და დაადგერ სულიად მათზედა, და სახელსა ზედა ქრისტესსა სი-
კრული ცხოვრებად გიჩნდენ, რომლითა წარუვალა ცხოვრება მო-
კო. და სადაცა ზოგნი ვნებანი-იგი ცეცხლის-მსახურებისანი და კერ-
ზნი, ცეცხლითა დაწვენ, და ნაცარი შეახუ, რომელნი მათ ესჯდენ,
და ესე შჯღათა შენთადა ამცენ. რამეთუ მე ვიცი იგი, რომელ კა-
კასიანთადა შინავე დაიღვივან, ხოლო შენ ამას შეუდეგ უფლითა
გულითა შენითა, და თაფი შენი შევედრე ძესა ღვთისსა და პირველ
უამთა შობილსა, განკაცებულსა³⁾ და ვნებულსა ხსნისა-თჳს ჩვენისა,
და წარდღუანებითა პატრიოსნისა ჯუარისათა სძლო მტერთა, ვითარცა
აქუს ჩუჭულება გულითა მისავთა მისთა: და პატრიარქიმდე სვეტსა-
მას ცხოველსა, ღვთივ-ადმართებულსა, და იუაფნ უფლითურთ სა-
სოებაჲ შენი მისა მიმართ, და იუაფნ მისლჳს შენი ძილად საუკუ-
ნოდ, სასრუმონობასა ზედა წმიდისა სამებისა.“

და მოაუჩანებია ჯუარი-იგი წმიდისა ნინოსი, რომელი პირვე-
ლით გან აქუნდა, და ჩამოჰკიდა გზგზნი სამეფო ჯუარსა-მას, და
მოიუჩანა ძე თჳსი ბაჰქარ, და თავსა მისსა გამოსახა სახე ჯუარისა,
და აღიღო გზგზნი ჯუარისა-გან, და დაადგა თავსა ზედა ძისა თჳსი-
სსა: და აღესრულა მირიან მეფე, და დაეფლა ზემოსა ეკეკლესიასა.
საშუაღსა სვეტსა, სამხრით კერძო, და მას სვეტსა შინა არს ნაწი-
ლი ღვთივ-ადმართებულისა სვეტისა: და მეორესა წელსა მოკუნდა

1) T განმანათლებელსა ჩვენსა.

2) Mon. M it aj. არა.

3) M-ss avant ce mot: უკანასკნელი ჩვენ-თჳს.

ნანა დედოფალი, და დაეფლა მასვე სვეტსა დასავალით, სადა მი-
ჩიან მეფე დამარხულ იყო.

კე. მეოცდახუთე მეფე, ბაქარ, ძე ძირიანისი,
ხოხროიოიანი.

და დასჯდა ძე მისი ბაქარ, და იყო მორწმუნე, ვითარცა მა-
მაძ მისი. და ამან მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანნი, რომელნი
ვერ მოექცივნეს მამას მისსა: ხოლო შთავარდა შორის მისსა და
სომეხთა მტერობაჲ, რამეთუ სომეხნი ბაქარის ძმის-წულსა ¹⁾. რე-
ვის ძისა, თრდატ მეფისა ასულის წულსა მეფობასა ლამოდეს
ქართლს: ხოლო ესე ბაქარ ეზრახა სპარსთა მეფესა, მამის ძმის-
წულსა მისსა, და დაემოუწრა და გაუცვალა ქვეყანაჲ, და სიძესა მის-
სა ფეროზს, რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდის მოცემულად
ძირიანისაგან, და მისცა მის წილ სამშვილდით-გან მიღმართ
ქვეყანაჲ ვიდრე თავადმდე აბოცისა: მაშინდა ნათელ-ილო ფე-
როზ და ერმან მის-მან, და მოირთეს ძალი ხვასროთა-გან,
და ეწეუნეს სომეხთა ჯავახეთს, სძლიეს და აატნეს სომეხნი:
მაშინ შეეე-მან ბაქარ, შუა-მდგომელობითა ბერძენთა მეფისა
და სპარსთა მეფისათა, დაწერა კელით-წერილი ძმის-წულთა მის-
თა, და დედისა მათისა სალომესი. „ვიდრემდის იყოს ნათესავი
ბაქარისი, რომელ ეძლეს ზერობაჲ მეფობისა, მათი იყოს მეფობაჲ,
არა-ოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რვეისთა:“ მაშინ მოიუჟანნა
ძმის-წულნი მისნი, და მისცა კუხეთი, და დასხნა რუს-თავს ერის-
თავად: ამან ბაქარ უფელნი დღენი ცხოვრებისა მისისანი დიდსა
სარწმუნოებასა შინა აღასრულნა, და განამრავლნა მღჳდელნი ²⁾ და
დაიკონნი უფელსა ქართლსა და რანსა შინა, ეკკლესიათა მსახურად:

¹⁾ M-ss ბაქარს ძმის-წულსა.

²⁾ T მღრღელნი; c'est l'orthographe ordinaire, mais vicieuse, du M-it R, qui ne peut être admise.

ამან აღაშენა ეკკლესია წილკნისა: მოკუდა და დაეფლა მამისავე.¹⁾
თხსსა თანა.

კვ. მეოცდაექუსე მეფე, მესამე მირდატ, ძე ბაქარისი,
ხოსროიანი.

და დასჯდა მეფედ ძე მისი: მირდატ და მეფობდა დიდსა სარწმუნოებას შინა. და მან აღაშენა ეკკლესიანი, თუხარისსა ციხესა შინა, რამეთუ ეკვს კლარჯეთისსა არა იყო ეკკლესია, და მუნ შინა დაადგინნა მღუღენი, მოძღურად კლარჯთა, და ჰმატა შენება და შემკობა ერუშეთისა და წუნდისა ეკკლესიათა: ხალხი ამის მირდატის მეფობასა იწიეს ქართველთა სვეტის ცხოველის-გან ნაწილისა გამოღებად და ქმნად ჯუარად, რამეთუ დიდნი სასწაულები და კურნებანი იქმნებოდეს, სადაცა იუვის ნაწილი სვეტის ცხოველისა. და არა აყენებდა მირდატ მეფე ნაწილისა გამოღებად, რამეთუ ებისკოპოს-მანცა ჭეშმარიტ-მან იაკობ ეგრეოვე ჯერ-იჩინა და თქვა: „მინიჭებულ არს უფლისა გან, და ჯერ არს სვეტის-მის ღვთიფადმართებულისა ქმნად სახედ ჯვარისა:“ და განეუინა უოველთა ადგილთა ქართლისათა ნაწილი სვეტის-მის ცხოველისა: და ამან მეფე-მან მირდატ მისვე სვეტის-გან შექმნა ჯუარნი, და ერთი წარგზავნა ერუშეთს, და რომელი დარჩა სვეტის-გან მის ცხოველისა მას გარემო ქმნა ქვით-კირითა, ზირველ სვეტისადენად, და თავსა ზედა მის სვეტისსა აღმართა იგი ძელი განმანათლებელი: და უოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი უშოროთველად აღასრულნა, სარწმუნოებასა შინა დიდსა: და მისსა-ზე მოკუდა იაკობ ესისკოპოსი, და დაჯდა იობ სომეხი, ნერსე კათალიკოზის დიაკონი, და მოკუდა მირდატ მეფე.

¹⁾ T ძმსა, „avec son frère.“ comme dans la Chron. arm.

კს. ოცდამეშვიდე მეფე, ვარაზ-ბაქარ, ძე ბირდატისი,
ხოხროიანი.

და დაჯდა ძე მისი ვარაზ-ბაქარ, და შეირთო ცოლი, ასული
თრდატისი, რვეის ძისა, მიხრანის ძის-წულისა, მორწმუნე და კე-
თილ-მოქმედი: ¹⁾ იყო ესე უშჯლო, რამეთუ არა ესვა ძე წული, და
ევედრებინა ღმერთსა მარხუთა და მხურვალედ ვედრებოთა, რათა ღირს
იქმნეს იგი მიცემად ძისა, რომლისცა მამთხვევად ღირს იქმნა: რა-
მეთუ ჟამსა რომელსამე მომავალი ქვეყანათა-გან სამეუფოდ მისდა,
მცხეთად, მწუხრი დაივანა კიდეს მის დიდისა მდინარისასა, რომელ-
სა მტკვარ ეწოდების: ვითარცა აღასრულა მწუხრისა ლოცვა, რათა
მიიძინოს, რამეთუ თხნიერ ლოცვისა არა-ოდეს ისერის არცა მიიძი-
ნის, ამას ლოცვასა შინა გამოუჩნდა ანგელოზი ნათლისა ბრწყინვა-
ლე, რომლისა ხილვასა შეშინდა მეფე: ხოლო მან თქვა: „ნუ გე-
შინებ, * მეფე, რამეთუ შეისმეს ვედრებანი შენნი წინაშე ღმრთისა,
და მოკეტეს ძე რომელი იყოს დიდ და სრულ წინაშე ღმრთისა და
კაცთა, და მრავალნი ერნი ღმრთისა მოაქცივნეს.“ და ვითარცა გა-
ნიღვიდა მეფე-მან, მხიარული სულითა აღიდებდა ღმერთსა. და შემ-
დგომად მცირედისა მიუდგა ცოლი მეფისა და უშვა მას ძე, დიდი
სიხარული ევეს მეფე-მან, ყოვლით სამეუფოთ მისითურთ, ჟამსა-
მას შობისა მისისასა. და ნათელ-სცეს სახელითა წმიდისა სამების-
სასა, და უწოდეს სახელად მჭრვანოს: ესრეთ ანგელოზისა ხარები-
თა იშუა წმიდა ესე, ვითარცა სამოელ და ერემია. და საშოთაგანვე
წმიდა იქმნა, ვითარცა დიდი წინა-მორბედი: და ვითარ მიეტა სას-
წავლოდ, მცირედთა ჟამთა დაისწავლა ყოველივე წერილი, და გუ-
ლის-კმის-ყოფით აღმორკითხავნ და იწვრთინ დღე და ღამე: რამეთუ
ფრთხილ იყო და მახულ გონებოთა, და მადლი ღვთისა იყო მას-
ზედა: ჟამთა მცირისა თეოდოსი, ბერძენთა მეფისათა, იქმნა მტე-

¹⁾ Ici le M-it T contenait 6 linges et demie du même texte que le M-it R, „ხოლო მას.....“ mais on a colle dessus une bande de papier, et inséré la variante qui se voit ici entre [].

რობა ბერძენთა შორის და სპარსთა, და მეფე-მან თეოდოსი, მ-
შიშ-მან, ნუ უკვე შეერთენ ქართველნი სპარსთა და იძლიენ ბერ-
ძენნი, ამის-თვსცა მოსთხოვა სიუვარული ქართველთ მეფეს, და უმე-
ტესისა სიმტკიცისა თვს მიუვალნიცა სთხოვნა, ხოლო რათა არა გა-
ნიცვალნეს ქართველნი ბერძენთა-გან: ყოველი სათხოველი ბერძენთა
მეფისა აღუსრულა მეფე-მან ქართველთა-მან, და წარმოავლინა ძე
თვსი მურვანოს, ათ-ათხ-მეტისა წლისა: მიუვლად, ქალაქად კოს-
ტანტინეპოლედ, სხვათა-თანა სეფე-წულთა, მრავლითა პატივითა და
დიდებითა: და ვითარცა მიიწივნეს და ცნა მეფე თეოდოსი, მრავლი-
თა მღევანებითა აღიუვანა სამეუფოდ პალატად, და ხილვასავე თანა,
ვითარცა ღვთივ მონიჭებული ძე მათი, ესრეთ სურვილით და სიუ-
ვარულით და ამბორის-ყოფით მოიკითხეს, მეფე-მან თეოდოსი და
მეუღლე-მან მის-მან ევდუკია, ყოვლისა თანა სამეუფოსა მათითა:
ვითარცა იხილა ურმამან მან მურვანოს მეფე და დედოფალი, და
ყოველი პალატი, რამეთუ იუჟნეს დიდსა შინა ღუთის მსახურებასა,
მარხთა, ლოცვთა, გლახაკთ მოწყალებითა, ამან უფროსად განამრავ-
ლა მოღვაწება, მარხვა ფრიადი, მღვდისრება უზომო, ლოცვა დაუ-
ცნრობელი, გლახაკთ მოწყალება, სიმშჯდე, სიუვარული, სახიერება,
მოთმინება და ყოველნივე ნაყოფნი სულისანი შეიტკებნა, რომელ-
არიან წმიდანი სათნოებანი, სიტყვსაებრ წმინდისა მოციქულისა:
ხოლო უმეტეს და უადრეს ყოვლისა მოიგო სიწმიდე სულისა და
კორცთა, ვითარცა დიდ-მან იოსებ: ხოლო მცირეთა ჟამთა ესწავა
ენა ბერძული, და ყოველივე სწავლულება საეკკლესიო და სათილას-
სოფოსო: ეგრეთვე, წარვიდა-რამდ იერუსალიმად, სათლავსა უფლი-
სასა მიიწია, და მუნ აკვეცილ იქმნა მონობობებად, და უწოდეს სა-
ხელით პეტრე: ესწავა ენა და სწავლულება ასურებრივი, ვიდ-
რემდის უკვრდა ყოველთა სიფრთხო და სიმსხვე გონებისა მისისა.
ხოლო დღითი-დღე პალატით მოცემულსა როჭიკსა გლახაკთა განუ-
ყოფდა, ემოსა ფლასი ფიცხელი და მქისე ქვეშე-კერძო სამეუფოთა
სამოსელთა: იმარხავნ იგი თრ-თრით, სამ-სამით, და უფროსდა უჯდეუ-
ულით: რამეთუ იყო დიდი და წმიდა წინაშე ღვთისა: და იქმნა
ჩვენებითა და ბრძანებითა ქრისტესითა ეპისკოპოსო მოჭამისა, რამე-

თუ არა-ვინ შემძლებელ იყო ქებად მისსა, გარსა გრიგელი დი-
ლელი ჰატრიაქი რომისა, რომელ აღეწერა ქება მისი წიგნსა შინა-
თსსა: ხალხ ამას ანგელოზისა ხარებითა მთენიჭა ძე, რომელსა
უწოდეს მურვანოს. ესე მურვანოს საშოთ-განვე დედისათ, დიდი
წმიდა იქმნა, ვითარცა წინა-მარბედი, და ყოველივე საღმრთო წე-
რილი დაისწავლა, და წარმეტყუებდა ჰსსაკითა და მადლითა, წინა-
შე ღუთისათა.

ვითარ იქმნა ათ-არ-მეტისა წლისა, მაშინ ბერძენთა მეტვე თე-
ოდოსი მცირე შეშხნებულ-იქმნა, რათა არა მიერთებენ ქართველნი
სხარსთა. და სთხოვა ვარს-ბაქარს მურვანოს მძევლად, და წარიუტა-
ნა კოსტანტინეპოლედ, და ვითარცა ძესა თსსა ზრდიდა, თუთუნე-
ბითა დიდითა: ხალხ მურვანოს არა-რას იურვებოდა სოფლისა ამის
დიდებისა-თჳს, არამედ შესძინა ლოცუასა და მარხუასა და სიწმიდით
ცხოვრებად. და შეიმოსა შინა-გან, კორცთა თჳსთა ზედა, ფლასი
თჳხის ბაღნისა, და მით აჭირვებდის კორცთა თჳსითა ზედა, და
მსწრათ ისწავა ენა ბერძული და ასურებრივი და ძილქოსოქოსობა
სრული, ვიდრე ყოველთა უკვრდა: ხალხ მიენიჭეს მას მადლნი,
ღუთისა მიერ, სნეულთა კურნებისანი, რომელი წერილ არს სრულსა
ცხოვრებასა მისსა: და ღამესა განცხადებისასა მდგომარე იყო უძი-
ლოდ, და ჰქრქუა მსახურსა თსსა, მთლებად ზეთი აღსანთებულად
კანდლისა: ხალხ მან შეურაცხ ყო მურვანოს: „რამეთუ მეფისა ძე
ხარ, და არა გსურის სამეფოთა-თჳს, და ვითარცა მონაზონი იყო-
ფები, მშიერი, კვრიაკედმდე.“ ხალხ მურვანოს აღანთო წყალი
კანდელთა შინა, თჳხიერ ზეთისა, და ილოცვდა ეგრე. ხალხ შვიდ-
ღამე ენთებოდა კანდელი წყალსა-მას შინა, და ეჩქნა უფალი იესო
ქრისტე, და აღუთქუა მის-თანა ყოფა მარადის, და მრავალი სასწაული
აღსრულა კანდლისა-მის მიერ, ცხებითა სნეულთათა ხალხ საჭურისი
ვინმე იყო მეფისა, რომელი-ესე ორნივე შეითქუნეს წარსლუად:
სცნა მეფე-მან თევდოსი და დაუდგინა მცველნი, არამედ წინამძღუ-
რებითა უფლისათა განვლეს ღამე და წარვიდეს: რამეთუ სვეტი
ნათლისა წინა-უძლოდა მათ, ვითარცა ისრაილთა, და ხმა ესმით
სვეტით გამო. „რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა:“

და ჰუმანებს ნაფი და ვლეს რადენიმე დღენი: ხოლო ქალაქსა ერთსა შინა შეპყრობილ იქმნეს ვის-განმე და შეიყენეს საპყრობილესა: ხოლო მას ღამესა იქმნა ძრვა და მუხის-ტეხა, და ელჩა ფრიადი, და მთავარსა მის ქალაქისასა დაადგა კაცი ვინმე საშინელებით ეტეოდა: „განუტევენ მონანი ღმთისანი. უკეთუ არა, დაიქცევის ქალაქი ესე.“ და ესრეთ შეძრწუნებულ-მან განუტევნა.

ამისა შემდგომად მოვიდენ იელუსადიმად, და მუნ იყო ვინმე მეფე, რომისა სამთავროთ მოსრული, სახელით შინინოს, და მეუღლე მისი, რომელთა დაეტევათ სოფლისა სიცბილი ღ მუნ იყოფოდენ. რამეთუ მონაზონ-იქმნეს და აღაშენეს ორნი მონასტერნი, სადა თვით ეულნი მუნ იყოფოდეს. და ამით მიერ შეწყურებულ იქმნეს: შემდგომად ამისა, საფლავსა უფლისასა მიიწივნეს და მუნ აღკვეცილ იქმნეს მონაზონებად, და უწოდეს მურვანოსს ზეტრე, ხოლო საჭურისსა იოანე, რომელთა ღმრწენი და შრომანი გამოუთქმელ არიან: და აღაშენეს მონასტერნი და ქსენონი: ამისა შემდგომად გამოსცადა ეშმაკ-მან ზეტრე და ზუვედრა მამულთა სამეფოთა დატეგება, და მონაზონებითა არა კეთილად ცხოვრება: ხოლო ამან შერისხნა და განაძო: ამისა შემდგომად გამოეცხადა კვალად ქრისტე, და აჩვენა ცათა შინა ეკკლესია და ერკასისნი კაცნი მგალობელნი, შვენიერნი ხილვითა, და აღუთქმეს ცხოვრება საუკუნო.

ხოლო ანასტასი ზატრიაქისა მიერ იძულებით მღრღლად კელდასხმულ იქმნა: შემდგომად განვიდა უდაბნოთა ღ აღაშენა მუნცა მონასტერნი. შირსა იორდანისასა, მჯდომი მძვინჯარე განჰკურნა: მოვლნა უოველნი უდაბნონი ეკვპტისა და სკვიტისანი და მრავალნი სასწაულნი აღასრულნა: კვალად მონასტერსა და ქსენონსა თვსსა მოიქცა, და სიუმილსა შინა სათქვილე, საცერცვე, საჭეთე და საღვინე, უოველნივე ჭურჭელნი ღოცვთა თვსითა აღავსნა: მას უამსა შინა აღესრულა ებისკოპოსი მარამისა, და შეჰკრბეს კაცნი მის ქალაქისანი და გამოითხოვეს ზეტრე ქართულად: ხოლო მან არა თავს-იდრე, რათამცა უსმანა ზატრიაქსა, და ენება თავისა გარდაგდება სიმაღლისაგან და ეგრეთ წარტოლჩა სხრათა ადგილთა. არამედ კვალად ქრისტე გამოეცხადა სამრავლესა თანა ანგელოზთასა, და სიტყვთა

უბისკობისობა-თავს-იდუა: მრავალ-გზის ესმა ხმს ზე-გარდამო ქა-
 ლაქსა-მას, რომელი ეტყოდა ზეტრე ქართულსა, და უწმინდობას
 წმინან ჭეოფდა, უშვილეთა შვილიერ, სხეულთა განჭკურნებდა, უნა-
 ეოფეთა ნაყოფიერ ჭეოფდა, მეთევზურთა განუმაჯგებდა: ხოლო
 მისცა ღმერთ-მან მადლი წინასწარმეტყველებისა და სულია-წმიდი-
 სს ხილვსა: რამეთუ სულს მამისა ესაიასი და მამისა ზენონ სკიტე-
 ლისა კარცთა-გან-რა განვიდოდეს, იხილნა ზე-ცად აღმავალნა: ამის-
 სა შემდგომად სცნა განსლქა თვის კარცთაგან, და უოველთა აუწვა:
 ხოლო მამა-მან ვინმე ათანასე იხილა ჩვენება ზეტრეს-თვს, რამეთუ
 წმიდანი ეკედრეს ღმერთსა. „ზეტრე ქართველისა ჭბრძანე მოუწა-
 ნებად ჩვენდა, რამეთუ ფრიად სტახუნა კარცნი თვისნი.“ და შემ-
 დგომად ათისა დღისა უბრძანა მოსულად მისსა: ამისსა შემდგომად
 ათ დღე აღოცდა სენაკსა თვისსა, და გამოვიდა მათესა დღესა და
 შესწირა წმიდა მსხუტრბლი, და ესიარა წმიდათა საიდუმლოთა, და
 სხუანიცა ასიარნა, და აჭურთნა და მშვიდობა მისცა: შევიდა სე-
 ნაკად, მიწვა და დაიძინა ძილი თვისი, თთვესა დეკემბერსა ორსა, და
 იხილეს წმიდათა კაცთა ვიეთმე წმიდა სული მისი, რომელ შეჭუქან-
 დათ სიძრავლესა წმიდათასა, კალაბითა და დიდებითა, რომელთა
 წინა-უბირობდა მღუდელ-მოწამე ზეტრე აღექსანდრიელი, და მრავალ-
 ნი სხეულნი განიკურნეს, რომელნი შეესნეს წმიდასა გუამსა მისსა,
 რომელი ცხოვრებასა შინა მისსა წერილ არს: ხოლო ამის ნეტარისა
 ფრიადი ქება აღეწერა გრიგოლ დიოკლოდოსსა, წმიდასა ზატრიასა
 რომისსა, წიგნსა შინა თვისსა.

ხოლო ჩვენ ზირველსავე სიტუქსა მოვიდეთ: ვინათ-გან ესე
 ვარზა-ბაქარ დაშთა უძეოდ. შეიუქარა სოფელი ესე, და მიდრკა კე-
 თილისა-გან და შეირთო სხუცა ცოლი, ძის-წული ფერდობისი, მი-
 რიანის ასულისა, და უშვა ფერდობის ძის-წულ-მან ძე, რომელსა
 ერქვა ფარმან: ხოლო რვეის ძის-წულ-მან, რომელსა ზირველ ვახ-
 სენე, ორნი ძენი, რომელთა ერქვა მიხდატ და თარდატ: ესე ვარ-
 ზა-ბაქარ შებე კაცი იყო უწმინდო და მოძულე სჯულისა, გარნა
 ვერ იკადრებდა ერისა-გან განცხადებად სჯულისა სიძულილისა. რა-
 მეთუ მოქცეულ იყო ქართლი, და დიდსა სარწმუნოებასა შინა იუქნეს

აზნაურნი და ყოველი ერი ქართლისაჲ, და ესე ვარზა-ბაქარ, შიშისა და მათისა-გან ვერ განაცხადებდა დატყვებასა სჯულისსა: არა-სადა დააშენა ეკლესია და არცა ჭმაცა აღშენებულსა: და ყოველითვე იქცეოდა უშეშლოდ.

ამისსა-ზე გამოგზავნა სპარსთა მეფე-მან ერის-თავი, სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ზარკისა დადებდა: მაშინ სომეხთა მოგზავნეს მოციქული ვარზა-ბაქარისსა და ჭრჭვეს, რათა შეჰკრებენ და მოიერთონ ძალი ბერძენთა-გან და განუხუშენ ვარნი კავკასიანთანი, გამოიუქანეს ოვსნი და ლეკნი, და წინა-აღუდგეს სპარსთა: და წარჩინებულნი თვისნიცა ეტყოდეს წინა-აღდგომასა სპარსთასა: არა ისმინა, არცა სომეხთა, არცა წარჩინებულთა თვსთა. რამეთუ იყო იგი ჩუკენი და მოშიშა: უკუ-ჴდა იგი კევისა კახეთისსა, და ადაშენა ციხე ხიდარს, და განამაგრნა ციხე ქალაქნი, და უბრძანა ყოველთა, რათა დამალნენ ჴუარნი: მოვიდეს სპარსნი ბირველად სომხითს და მოახრეს. შემოვიდეს ქართლს, ადაშენა ერის-თავ-მან სპარსთა-მან ტფილისი, კართა შოკის, ციხედ მცხეთისა: მაშინ ვარზა-ბაქარ ეზრახა შევრდომით და ითხოვა მშვიდობაჲ: ხოლო ერის-თავ-მან სპარსთა-მან ჭრჭვე მას. „ბირველად მომეც რანი და მოფაკანი. რამეთუ საზღუართა სპარსეთისა არს, და მათი არს რანი სუფიად. შეილნი არიან სპარსთა მეფეთანი და ხსენან საუდართა მათთა ¹⁾ მათასა, და თქვენდა კმა არს ქართლი, რომელნი ნაშობნი ხართ მხევლისანი, გაქუნდეს უკვე ქართლი და ხარკსა მისცემდით მეფეთა ხუასროვანთა:“ მაშინ ვარზა-ბაქარ ვედა-რა ზასუხ-უგო შიშისა-გან დიდისა, მისცა რანი და მოფაკანი, და განჭკუტათა ხარკი, ხოლო ერის-თავ-მან მან მისცა ციხე თტფილისისა და წარვიდა, მიერით-გან იქმნნეს მოხარკე.

ამისსა შემდგომად განუდგეს კლარჯნი ვარზა-ბაქარს და მიერთუნეს ბერძენთა, და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი, ზღუთ-გან არსიანთამდე: და დარჩა ვარზა-ბაქარს ქართლი, თვნიერ კლარჯეთისა, და ჭერეთი და ეგრისი: მანვე ერის-

¹⁾ Les trois M-ss portent მათთა.

თავ-მან სპარსთა-მან წარუჭინა ტუქსდ შვილნი ფეროზისნი, ასუ-
ლის-წულნი მირიანისნი, მორწმუნისა მეფისანი, და ქვეყანისა მათი-
სა საზღუარი ქართლისა, მოსცა ვარზა-ბაქარსვე: და მოკუდა ვარზა-
ბაქარ. და დაჩქეს ძენი მისნი სამნო წურილნი, რომელნი ვერ იბ-
ერობდეს მეფობასა.

კმ. მეოცდარვა მეფე, თარდატ, სიმამრი ვარზა-ბაქა-
რისა, ხოსროიანი,

მასინ წარჩინებულთა ქართლისთა ზრახუა ჭეჭეს და დასვეს
მეფედ სიმამრი ვარზა-ბაქარისი, ძე რევისა, ძის-წული მირიანისი,
კაცი მახუცებელი, სახელით თარდატ, და მისცნეს შვილნი ვარზა-
ბაქარისნი საზრდოდ ¹⁾, ასულის-წულნი მისნი: დ: მესამესა შვილსა,
მეორისა ცოლისასა ზრდიდა სამშვილდისა ერის-თავი, რომელსა
ერქვა სახელით ფარსმან: ხოლო მეფობდა ესე თარდატ მახუცებუ-
ლი კეთილად, და იყო კაცი მორწმუნე, ბრძენი და გონიერი, მან
სიბრძნითა თჳსითა დაამშვიდნა სპარსნი, გამაჩინნა ჭუარნი, და
შეჭკაზმნა ეკკლესიანი: ამის-ზე მოკუდა ებისკოპოზი რობ, და დასვა
მის-წილ ელია, დ, ხარკსა მისცემდა სპარსთა მეფეთა, და მან გა-
მითხრავა რუს-თავი და აღაშენა ეკკლესია, და მანვე აღაშენა ნეკ-
რესი, და მეფობდა უმეფოთველად, და მოკუდა სარწმუნოებასა შინა
დიდსა.

კთ. მეოცდაცხრე მეფე, და მეოთხე ფარსმან, ძე ვარზა-
ბაქარისი, ხოსროიანი.

და დაჯდა მეფედ ძე ვარზა-ბაქარისა, ძის წულის წულე ფე-
როზისი, რომელსა ერქვა ფარსმან, რომეთუ უხუცესი იყო ძმათა:

¹⁾ Mon M-it, აღზრდად.

და მოკუდა ელია ებისკოპოზი, და დასვეს სვიმონ: ესე ფარსმან იყო კაცი მორწმუნე, მკედარი, შემმართებელი: ეზრახა მეფეს ბერძენთასა, ითხოვა მის-გან შეწევნა. და აღუსრულა თხოვა მისი კეისარ-მან: მასინ განუდგა ¹⁾ სპარსთა, არღა რა მისცა ხარკი, და განამრავლნა ჯვარნი, და განაახლნა ეკკლესიანი უოველსა ქართლსა შინა: აღაშენა ეკკლესია ბოლნისისა და მცირედ-ჟამ მეფობდა, და მოკუდა.

ლ. მეოცდაათე მეფე, და მეოთხე მირდატ, ძმან ფარსმან ძეგისა, ხოსროიანი.

და დაჯდა ძმა მისი მირდატ მეფედ, ასულის-წული თარდატისი, ძე ვარაზ-ბაქარისი, მამულად ბაქარისი, დედულად რევიანი. ორთავე ²⁾ მირიანის ძეთა ნათესავი: და იყო ესე მირდატ კაცი ქველი, მკედარი და შემმართებელი, ურწმუნო და უშიში ღვთისა, ლადი და ამხარტავანი, და მინდობილი მკედრობასა თვისსა: და არა ჰმსახურა მან ღმერთსა, არღა აღაშენა ეკკლესია, არცა-რა ჰმეტა აღშენებულთა, და სილაღითა მისითა მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა, ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღუართა ქართლისათა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკსა: მასინ სპარსთა მეფე-მან გამოგზავნა ერის-თავი, რომელსა ერქვა უბარაბ ³⁾, სპითა ძლიერითა, მირდატს ზედა: მასინ მირდატ, სილაღითა თვისითა, არა ჰკრიდა სიმრავლესა სპარსთასა, და მცირედითა სპითა მიეგება კარდაბანს: ეწყო, არტეს და შეიზურეს იგი ⁴⁾ სპარსთა წყობასა შინა: შემოვიდეს ქართლს, დაიზურეს ქარ-

1) T გადდგა.
 2) Mon M-it, ორითავე.
 3) Mon M-it, აბრამ.
 4) Manque, T, R.

თელი სპარსთა, განრეუენეს ეკკლესიანი ¹⁾: ხოლო ნათესავნი ქართლისა მეფეთანი დარჩეს კეგსა კახეთისსა, და სუმნი ებისკოპოსნი მათ-თანაგე, ხოლო მირდატ წარიუენეს ბადდადს და მუნ მოკუდა ²⁾.

ამბავი ³⁾ ვასტანგ-გურგასლის მშობელთა, და შემდგომად თვით მისი, დიდისა-მისი და ღვთის მსახურისა მეფისა, რომელი უმეტესად კაცთაგან განთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართველთასა ⁴⁾.

ვითარ-იგი შეიპყრეს ქართულთა მეფე მირდატ სპარსთა, წყობასა შინა წარიუენეს ბადდადს და მუნ მოკუდა. და დაიპყრეს ქართლი სპარსთა, განრეუენეს ეკკლესიანი, დამალეს ჯუარები ქართულთა, და ყოველთა შინა ეკკლესიათა ქართლისთა ცეცხლის-მსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი: ხოლო ნათესავნი ქართლისა მეფეთანი დარჩეს კეგსა კახეთისსა, და შემდგომად სამისა წლისა უცალო იქმნა მეფე სპარსთა, რამეთუ აღუდგეს მტერი აღმოსავლით, მაშინ შეიპყრეს სპარსთანი ქართლისანი, მარიუენეს და დასვეს მეფედ მცხეთას ძე მირდატ მეფისა წარტყეუნილისა, სახელით არჩილ.

¹⁾ Ici le M-it T ajoute la phrase: დამალნეს... ცეცხლი, qui va se retrouver dans le § suivant.

²⁾ Le M-it T ajoute la phrase: და შემდგომად სამისა... არჩილ, qui va se lire dans le § suivant.

³⁾ M-ss ცხოვრება... გურგასლანისა.

⁴⁾ Ce titre, dans le M-it T. se trouve après le 31-e règne, peut-être mieux à sa place: mais comme j'ai l'autorité d'un bon M-it, je crois qu'il suffit d'en faire la remarque.

ლა. მეოცდანათერთმეტე მეფე, არჩილ, ძე მირდატ მეფისა, ხოსროიანი.

ამან არჩილ მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, ჩათესავი ივბიმიანოს¹⁾ მეფისა, სახელით მარიაჲ, და განაცხადა მტერობაჲ სპარსთაჲ, გამოაჩინნა ჯუარნი და შეამკურნა ეკკლესიანი, მოსრნა და განახსნა ყოველნი ცეცხლის-მსახურნი საზღუართა-გან ქართლისათა, შიორთა ძალი საბერძნეთით, წარძღვანებითა ჯუარისათა, იწყუა ბრძოლად სპარსთა: მაშინ ერის-თავი ძპარსთა მეფისა, რომელი ერისთავობდა რანს და მოვაკანს, ვიდრე არჩილის მეფობამდე მისივე განსაკებელი იყო ქართლი: ამან შეკრიბა სპაჲ რანისაჲ, და მოვაკანისაჲ, და ადარბადაგანისაჲ, და მომართა არჩილს: ხოლო არჩილ, სასრებითა და მინდობითჲ ღმერთისათა, მიეგება საზღუართა ზედა ქართლისათა და რანისათა, ეწყუა მუნ, მდინარესა ზედა ბერდუჯისსა, და ძალითა ჰატოისნისა ჯვარისათა მოსრნა და ტუჭტუჭუნა, და შევიდა რანს, და წარმოტყუენა, და მოვიდა შინა გამარჯვებული: განავლინა ქადაგი ყოველსა ქართლსა შინა, და ჰქრქუა ყოველთა: „არა ძალითა ჩვენითა, არცა სიმხნითა, არცა სიბრძნითა, არცა სიმრავლითა სპარსთა ვსძლეეთ მტერთა, არამედ ჯუარითჲ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს, ძისა ღვთისათა, რომელ-მან მოგეტა წინა-მძღურად და საჭურველად ჯვარი მისი ჰატოისანი: აწ ყოველთა ქართლთა ადიდეთ სამება ერთ-არსება, ღმერთი დაუხსებათ, დამბადებელი ყოველთაჲ. შეწირეთ მადლობა და მტკიცებთა არიან გულისი თქუჭნნი საწმუნებებსა ზედა სამებისა წმიდისა:“ და ყოველთა ქართლთა შეწირეს მადლობა ღვთისა მიმართ, და განახლნეს ეკკლესიანი: მაშინ არჩილ მეფე-მან აღაშენა ეკკლესია სტეფან-წმიდისა, მცხეთას¹⁾, კართა ზედა არაგვისათა, სადა იუწენეს კუბონი მტკიცენი

¹⁾ Mon M-it ივრიზიანოს.

²⁾ M-it T note, ფარსმან მეფემან ხოსროიან-მან ჰლაშენა ეკლესია ბოლნისის, და ძმა-მან მის-მან მირდატ არ აღაშენა: და მირდატისა ძე მან არჩილ აღაშენა ეკლესია სტეფან-წმიდისა მცხეთას. ეს გ მეფე ფარსმანითგან ხოსროიანი.

საბრძოლნი, რომელნი მასვე ადგეშენეს: ესვა არჩილს ძე, და მოუწოდა სასული მირდატ, და აღიზარდა ესე მირდატ, და დადგა ჭასაკის მამა კაცობისასა: იყო მორწმუნე და ღვთის მსახური, ვითარცა მამად მისი, და იყო იგი ქველურ და შემართებელი: ამან უმეტესად იწყო ბრძოლად სპარსთა, შესლვად და ტყვევნვად რანსა და მოვაკანსა რამეთუ მას უამსა შინა უცალო იყო მეტე სპარსთა, ჭბრძოდა იგი ჭინღათ და სინდთა, და აბაშთა, და ვერ შემდებელ იყო სპისა დიდისა ვამოგზაფნასა, და სპათა რანისა და მოვაკანისათა, და ადარბაღანისათა, უმძლავრებოდეს ქართულნი წინამძღუარ ექმნის მირდატ სპათ მადისა თვისისათა და მარადის სტყვენივიდა რანსა და მოვაკანსა.

მას უამსა შინა იყო ერის-თავად რანს ბარზაბოდ. ვერ-ოდეს წინა-ადუდგებოდა იგი, არამედ განამაგრნის ციხენი და ქალაქნი, და შესლვასა ქართულთასა რანს, სადაცა ეწევიან სპარსნი ნაწყველთა ლაშქრისათა, მტყვევნვალთა ქართულთა, მარადის სპარსნი იძლეოდინა: ხელად ბარზაბოდ ერის-თავსა რანისასა ესვა ასული ქმნული კეთილი, შეენიერა, რომელსა ერქვა საგდუხტ: უთხრეს მირდატს, ძესა არჩილისასა, სიშუბნიერკე მისი და სმენითა სიშენიერვსა მისისათა ტრფილ იქმნა მირდატ მის-ზედა: მოაკუნა მამასა მჯსა. ვევედრებთ მეუობასა თქვენსა, მომგუარე ცოლად ჩემდა საგდუხტ, ასული ბარზაბოდისი, და შეგქმნათ ჩვენ შორის მშვიდობაჲ: დაღათუ ძალითა ქრისტიანთა ჩვენ ვართ მძლავრნი, არამედ ვერ წავიხვამთ ჩვენ ციხეთა და ქალაქთა რანისათა: ნუ უკუტ იცალოს მეტე-მან, და იძიოს ჩვენ-ზედა შური და მოაკუნეს ეკლესიანი და საზღუარნი ჩვენნი: აწ ამითლა განქარდეს მტერობაჲ ჩენი, და ჩვენთაჲს რაცა მოაკუნოს მეტესა სპარსთასა უსმენს იგი, და ამით მტკიცეთ და შეურყეველად ვიზურნეთ საზღუარნი ქართლისანი, და განმტკიცნეს სჯული ქრისტიანი ქართლს, და არდა-რა შეიქმნას გულსა ქართულთასა რჭვი და გმობაჲ სჯულისა ქრისტიანისა. და მძლავრებისათ-ჯს სპარსთასა:“ ესე უოველი მირდატ, სიუჭარულისა-თჯს მის ქალისა თქუა.

მამინ არჩილ მეტე-მან აღუსრულა თხოვა მისი, წარგზაფნა მო-

ციქული ბარზაბუდისსა, და ითხოვა ასული მისი ცოლად ძის მი-
სისა. ხოლო ბარზაბუდ განიხარა სიხარულითა დიდითა, რამეთუ
მოკრებულ იყო ქვეყანაჲ მათი და შესჭირდებოდა: ითხოა თუცი და
აღთქმა მშვიდობისა-თჳს, და მისცეს თუცი მშვიდობისა-თჳს, და
მოსცა მან ასული თჳსი ზითვითა დიდითა, მოიუწანეს მცხეთას და
ქმნეს ქორწილი, შეებაჲ და განცხრომაჲ, დღეთა მრავალთა: და მის-
ცა მეფე-მან სამშვილდე ძესა თჳსსა საერისთავოთა მისითა, და მუნ
დასხნეს ¹⁾ მირდატ და საგდუხტ: ხოლო ამას საგდუხტ დედოფალ-
მან გამოიკითხა სჯული ქრისტესი. რამეთუ ქმარ-მან მის-მან მოჭ-
გვარნა კაცნი სჯულის მეცნიეკნი, და უთარგმნეს სხარებაჲ უფ-
ლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. და ამხილეს ვითარმედ ჭეშმარიტი
ქრისტე ღმერთი არს, რომელი განკაცნა კნისა-თჳს ჩვენისა: მა-
შინ საგდუხტ გულის-ხმა ჰყო და ცნა სჯული ჭეშმარიტი, დაუტე-
ვა ცეცხლისა-მსახურებაჲ, ნათელ-ბლო, და იქმნა მარწმუნე და მან
აღაშენა სიონი სამშვილდისა.

ამის არჩილისა-ზე გარდაცტყალნეს სამნი ებისკოპოსნი იოანე,
კრიგოლი და ბასილი. და ბასილისა შემდგომად ამანვე არჩილ დასვა
ებისკოპოსი რომელსა ერქუა მობიდან: ესე იყო ნათესავით სპარსი, ახვე-
ნებდა იგი მართლ-მადიდებლობასა. ხოლო იყო ვინმე მოკვი უსჯულო,
შემშლელი წესთა, და ვერ უგრძნა არჩილ მეფე-მან და ძემან მისმან
უსჯულოებაჲ მობიდანისი, არამედ ჰგონებდეს სარწმუნოდ: და ვერც
ნაკაცხადებდა მაშინ ქადაგებასა სჯულისა მისისა, შიშისა-გან მეფისა
და ერისა: არამედ ფარულად წერდა წიგნებსა ყოველისა საცთურები-
სასა, რომელი შემდგომად დაწვა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტ-
მან ებისკოპოს-მან მიქელ, რომელი განიკვეთა კადრებისა-თჳს ვახ-
ტანგ მეფისა: ხოლო მან არჩილ მეფე-მან ყოველნი დღენი ცხოვ-
რებისა მისიანი ადასრულნა სარწმუნოებასა შინა სამეობისა წმიდი-
სასა, ეკკლესიათა შენებასა, და ყოველსა ქართლსა შინა განამრავლნა
მღვდელნი და დიაკონნი, მსახურნი ეკკლესიათანი, და მოკვდა, და
მეფე იქმნა მის-წილ ძე მისი მირდატ.

¹⁾ Mon M-it დასხდეს.

ლბ. მეოცდამათორმეტე მეფე, მეხუთე შირდატ,
მე არჩილ მეფისა ხოსროიანი.

და მეუობდა იგი ფითარცა მამაჲ მისი, დიდსა სარწმუნოებასა-
შინა: მიუღკა დედოფალი საგდუხტ და შუა ასუელი, და უწოდეს სა-
ხელი ხვარანძე; კვალად ევედრებოდეს დმერთსა მეფე შირდატ და
დედოფალი საგდუხტ, რათა მისცეს ძე, შემდგომად ოთხის წლისა-
მიუღკა საგდუხტ და შუა ძე, და უწოდა სახელი სხარსულად ვარან-
ხვასრო-თანგ. ხოლო ქართულად ეწოდა ვახტანგ: აღივსნეს სიხარუ-
ლითა მშობელები მისნი, შობასა ერმისა ვახტანგისასა, და განაფ-
ლინეს მახარებელი უოველთა: ერის-თავთა და გამოიდეს ხვასტაგი-
დიდ-ძალი, ოქრო, და ვეცხელი, და განუევეს გლახაკთა; და შეწი-
რეს მადლობაჲ დუთისა მიმართ, ლოცვითა და ღამის-თევითა, დღე-
თა მრავალთა და შემდგომად ამისსა მოხადნა მეფე-მან უოველები
წარჩინებულნი ქალაქად და დღეთა მრავალთა უო ზურობაჲ და გან-
ცხრობაჲ, და ევედრებოდეს უოველები დმერთსა აღზრდისა-თჳს ერმი-
სა ვახტანგისასა: მოითხრა მეფისა-გან საზრდელად საურმაგ სჳს-
პეტ-მან ვახტანგ, დიდითა ვედრებითა. ხოლო მიანიჭა მეფე-მან,
და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგ სჳსპეტსა საზრდელად. რამე-
თუ წესი იყო რათა შვილები მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა აღი-
ზარდნენ: შემდგომად ამისსა, მეექვსესა წელსა, შუა საგდუხტ
ასუეს სხუა, და უწოდა სახელი მიჭრანდუხტ, და მოითხრა იგი სა-
ზრდელ სჳსსალარ-მან კასპისაჲმან, და მისცა იგი მეფემან, და
წარიუქანა ქალაქსა კასპისასა, და იზარდებოდა მუნ: შემდგომად
ამისსა, წელსა მეორესაჲ მოკუდა მეფე შირდატ. დარჩა ვახტანგ,
შვიდის წლისა, ერმაჲ.

და აღივსნეს სიხარულითა მისნი, შობასა ერმისა ვახტანგისასა, და განაფ-
ლინეს მახარებელი უოველთა: ერის-თავთა და გამოიდეს ხვასტაგი-
დიდ-ძალი, ოქრო, და ვეცხელი, და განუევეს გლახაკთა; და შეწი-
რეს მადლობაჲ დუთისა მიმართ, ლოცვითა და ღამის-თევითა, დღე-
თა მრავალთა და შემდგომად ამისსა მოხადნა მეფე-მან უოველები
წარჩინებულნი ქალაქად და დღეთა მრავალთა უო ზურობაჲ და გან-
ცხრობაჲ, და ევედრებოდეს უოველები დმერთსა აღზრდისა-თჳს ერმი-
სა ვახტანგისასა: მოითხრა მეფისა-გან საზრდელად საურმაგ სჳს-
პეტ-მან ვახტანგ, დიდითა ვედრებითა. ხოლო მიანიჭა მეფე-მან,
და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგ სჳსპეტსა საზრდელად. რამე-
თუ წესი იყო რათა შვილები მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა აღი-
ზარდნენ: შემდგომად ამისსა, მეექვსესა წელსა, შუა საგდუხტ
ასუეს სხუა, და უწოდა სახელი მიჭრანდუხტ, და მოითხრა იგი სა-
ზრდელ სჳსსალარ-მან კასპისაჲმან, და მისცა იგი მეფემან, და
წარიუქანა ქალაქსა კასპისასა, და იზარდებოდა მუნ: შემდგომად
ამისსა, წელსა მეორესაჲ მოკუდა მეფე შირდატ. დარჩა ვახტანგ,
შვიდის წლისა, ერმაჲ.

ლგ. ძეოცდაათსამეტე მეფე, ვახტანგ, ძე ძირდატისი,
ხოხროიანი.

§ 1.

მაშინ საგდუსტ დედოფალი შეძრწუნდა მამისა მისისა ბარზა-
ბუღისა-გან ნუ უკუტს შური-იგოს მამა-მან ნაქმრისა-თჳს მამამთი-
ლისა და ქმრისა ჩემისა, რომელ ეგ-ოდენნი ბოროტნი მოაწივნეს
მას-ზედა. ნუ-უკუტს შური-იგოს ჩემ-ზედა დატევეებისა-თჳს სჯულისა,
და წარწემიდოს შჯლი ჩემი, განრუვნეს ქართლი და სჯული ქრის-
ტესი წარწემიდოს: “ესე უოველი მოიგონა და შთავარდა მწუნარება-
სა შინა დიდსა ევედრებოდა ღმერთსა და განიზრახა წარსლგაჲ წი-
ნაშე მამისა მისისა, და შევრდომაჲ მისი: მოიუწინა უოველნი ერის-
თავნი სხასპეტისა თანა, და ცრემლითა მწარისთა შევედრა ძე მისი
სხასპეტსა და ერის-თავთა უოველთა. და წარჭიდა ბარდავს, მამისა
თჳსისა თანა: განიღო თავი და ამოუყარა ძუძუნი მისნი, დავარდა
პირსა ზედა, დასდვა პირი თჳსი ფერკთთა მისთა ზედა, და დააღ-
ტობდა ფერკთა მამისა თჳსისათა ცრემლითა და ითხოვდა მის-გან
შეწყალებასა, და არა ესენებას ნაქმართა ქმრისა თჳსისათა და შენ-
დობასა დატევეებისა-თჳს სჯულისა, და ევედრებოდა რათა არა
აძულდოს დატევებად ქრისტეს სჯულისა, რამეთუ იგი არს ღმერ-
თი ჭეშმარიტი და ევედრებოდა რათა იხურას შვილი მისი მა-
მულსა შინა თჳსსა, და მოურავ ექმნეს იგი სხარსთა მე-
ფისა წინაშე: მაშინ ბარზაბუღ, განმზადებულ-მან ბოროტის ყო-
ფად ქართლისა-თჳს, შეიწყადა ასული თჳსი არა აძულა დატე-
ვებოჲ სჯულისა, და აღსრულა უოველი თხოვაჲ მისი: ხოლო სჯუ-
ლისა-თჳს ესრეთ თქვა: “იძულებით არცა-ვის სხვასა ქართველსა და-
გატეობებ¹⁾ სჯულსა ქრისტესსა, არამედ მივგზავნენ: ცეცხლის-მის-
ხურნი ქალაქსა თქვენსა, და იუწენ მუნ მათ-ზედა ებისკობოსი
სჯულისა ჩვენისაჲ. და ვინცა ქართველი ნებითა თჳსითა აღიჩევ-
დეს სჯულსა ჩვენსა, ნუ აუენებთ:“ მაშინ საგდუსტ ერჩა მამასა

¹⁾ R დაგატეობებ; mon M-lt დაგატეობინებ.

თხსს, შიშას-გან დიდის, და წღუთქვა მინდობითა ღვთისათა, და წარმოებდა ქართლად.

მაშინ ბარზაბუდ წარმოგზავნა ცეცხლის-მსახურნი მცხეთას, და მათ-ზედა ებისკოპოსად ბინქარ, და დასწდეს მოკვთასა ხალხ საგდუხტ დედოფალი განაკუბდა მეუბოსა, ძალითა და შეწევნითა მამისა ფჳსისათჳს და მოკუდა ბარზაბუდ, მამა საგდუხტისი. და მარწილ დაადგინნა სპარსთა მეუე-მან, ადგილსა მისსა, ძეგე მისი ვარს-ბაბაკურ, მამა საგდუხტ დედოფლისა. მოკუდა საუკმაგ სპასუჳ-ტი, მამა-მხოჳე ვახტანგისი, მაშინ მეუე მან დაადგინა სხუ სპასუჳ-ტი, რომელსა ერქჳს ჯუანშერ¹⁾. ხალხ ბინქარიან ეპიკოსოპოსი მცხეთელთა, რომელი იყო სპარსი, ცეცხლის-მსახური, ასწავებდა ქართულთა სჯულსა თხსს. არამედ არა-ვინ ერჩდა წარჩინებულთა-განი, გარნა წვრილისა ერისკანი შიქცია მრავალა ცეცხლის-მსახურებასა.

და შეერია ქართლსა შინა წვრილსა უკსა ზედა ცეცხლის-მსახურებასა. ამის-თჳს მწუხარე იყო დიდად საგდუხტ დედოფალი, არამედ მძლავრებისა-გან სპარსთასა ვერა-რამ იკადრებდა: მაშინ მოა-გუნა მღუდელთა ჭეშმარიტი საბერძნეთითა სახელით მიქელ, და დაადგინა ებისკოპოსად, ზემოსა ეკკლესიასა. რამეთუ მობიდან ებისკოპოსი გარდაცვალებულ იყო: და ესე მიქელ ებისკოპოსი წინა-ადუდა ბინქარს მაცთურსა: რამეთუ ასწავებდა უფულთა სჯულსა ჭეშმარიტსა: ამან იპყრნა საწმუნობასა ზედა უფულნი წარჩინებულნი ქართლისანი და ერცა უმრავლესა, არამედ მცირედი ვინმე წვრილისა ერისკანი მიიქცეს ცეცხლის-მსახურებასა.

მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა გარდამოვიდეს ოვსნი, სპანი ურიცხუნნი, და მოტევენეს ქართლი, თავით-გან მტევრისით ვიდრე ხუნანამდე. და მოაკერეს ვულნი, არამედ ციხე ქალაქნი დაურჩეს, თჳნიერ კასპისა: ხალხ კასპისა ქალაქნი შემუსრნეს და ტევე ევენეს, და წარიგუნეს ვახტანგის დაი მიჭრანდუხტ, სპის წლისა ქალი: რომელ დაურჩეს წარუტევენელად კევი ქართლისანი, კახეთი

1) T ჯუანბერ.

და კლარჯეთი, და ეგრისი, ჩავლეს რანსა და მოვაკანს და მოტუქსნეს. იგიცა, და განვლეს კარი დარუბანდისაჲ, რამეთუ თჳთ გზა სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოფსეთს გამარჯვებულნი.

მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრის-წყალს ქემდით კერძი უოველი, დაიხურეს ქრესტოთ ეგრის-წყლით-გან ვიდრე ციხე-გოჯადმდე. მაშინ იქმნა გლოფაჲ და წუხილი უოველთა ზედა ქართლელთა, და იტყოდეს. „განვამრავლეთ ცოდნა წინაშე ღვთისა, და არცა კეთილად ვიზუართ სჯული ქრისტესი და წესი იოანეს მცნებისაჲ, და სამართლად მოაწია ღმერთმან ჩვენ-ზედა ესე რისხნა, რამეთუ მიგვცნა ჩვენ წარტუგებვად უცხოთა ნათესაფთა, მიგველო ჩვენ საზღურად ბერძენთაგან, ვითარცა მიელო ვარზა-ბაქარ მეუფეს ბერძენთა-გან კლარჯეთი-იგი: ცოდვითა ვარზა-ბაქარისითა მოაწია, რამეთუ ვერ კეთილად ეხურა სჯული ქრისტესი. ხოლო ესე არა მეუფეთა ჩვენთა ცოდვისა-გან იქმნა, არამედ ერისა ცოდნათა-გან: აწ მეფე ჩვენი ერმაჲ არს, და არა გვივის ჩვენ წინა-მძღურადი, რომელიმცა სასკობითა ქრისტესითა და წინა-მძღურობითა ჯუარისათა წარგვიძღუა ჩვენ, და ვიძიეთ ჩვენ შური პირველ ოფსთა ზედა, და შემდგომადმცა ვძებნეთ საზღურადნი ქართლისა ბერძენთა-გან:“ ამას იტყოდეს უოველნი ქართლელნი, და იუწენეს მწუხარებასა შინა დიდსა.

მაშინ ვახტანგ იზარდებოდა და ისწავლიდა, მიქელ ებისკოპოსისა-გან, უოველსა მცნებასა უფლისა და სიურმისავე ჰასაკსა შეიუვარა სჯული ქრისტესი უფროს უოველთა მეუფეთა, და მწუხარე იყო იგი ამის-თჳს, რამეთუ შემოხრედა ქართლს ცეცხლის-მასხრებაჲ, ტყვეებისა და საზღურადი მიხრემისა-გან და უმეტეს იურვოდან სჯულისა-თჳს გონებასა შინა, არამედ ძლიერებისა-გან სზარსათსა ვერ იკადრებდა გამოცხადებად: მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა თხუთმეტისა, მოუწოდა უოველთა წარჩინებულთა ქართლისათა, და შემოგრიბნა უოველნი ქალაქნი. და განმზადა მეფე-მან სახლი ერთი და დასჯდა საუღართა ზედ მაღალთა: ხოლო ჯუანშერ¹⁾ სზასპეტო

1) T ჯუანშერ.

და ორნივე ებისკოპოსნი დასხდეს საედართავე, და სხუანი უოველნი ერის-თავნი დასხდეს სელებითა, და ათასის თავნი და ასის თავნი, და უოველი ერი წარმოდგეს ზე: მაშინ მეფე-მან ვითარცა მოხუცებულ-მან და ბრძენ-მან, და ვითარცა აღზრდილ-მან თვალსაფოცითა თანა, იწყო ზრახვად კმითა მალლითა, და თქუა:

„მეფეთა და ერთა ზედა მოიწივის განსაცდელი და ჭირი ღვთისა მიერ, ცოდნათა მათთა-გან. ოდეს მოწმუნეთა აკლან მსახურებაჲ ღვთისა და გარდაკდენ მცნებათა, მოაწივეს ჭირთა ესე-ვითართა ზედა, რომელ აწ ეს მოიწია ჩვენ-ზედა, ვითარცა რაჲ მამა კეთილი სწვრთინ მჯლასა კეთილად საქმეთა ზედა კეთილითა, და უკეთუ არა კეთილად აღასრულებდეს სწავლას მამისა თვისისისა, გვექმეს მამაჲ-იგი გვემითა და სწავლითა, რათა ასწავლას უოველი კეთილი, და იქმნას საკმარ კეთილისა: ეგრეთ გვწვართნა ჩვენ ღმერთ-მან დამბადებულ-მან ცისა და ქვეყნისა-მან: ამის-თჳს გვიქმს ჩვენ რათა ვმადლობდეთ ¹⁾ მოწყალებათა მისთაჲ: მაშინ ამათ უოველთა მისცეს ღმერთსა მადლობაჲ ტირილითა: ვგაჯად იწყო ზრახვად მეფემან ვახტანგ, და თქუა უოველთა წარჩინებულთა. „ისმინეთ კმისა ჩემისა: დადაცათუ ერმა ვარ და არა გინახავსთ ჩემ-გან კეთილი, მამათა კვლავ ჩვენთა-გან გინახვან დიდნი კეთილნი და დიდებანი, რომელნი დადგინებულ ხართ მთავრობასა ზედა: აწ უკეთუ გვაცოცხლებს ღმერთი, მოგხვდენ ჩემ-გან კეთილნი და დიდებანი, რომელნი არა გეხილენ მამათა ჩვენთა-გან: აწ რომელსა გეტუვი თქვენ დადაცათუ ჩემ-ზედა და თქვენ-ზედა სწორედ მოწივენულ არს განსაცდელი ესე, არამედ ესრეთ იხუბრთ თავით თქვენით ვითარცა არს მოწივენულ არს თქვენ-ზედა, არამედ ჩემ-ზედა ოდენ. და არა იყოს გულსა ჩემსა სიტუჳა, თუ რომელ მოიწინეს მათ-ზედა განსაცდელნი, თვისისა შუკრის-კებისა-თჳს ჰყოფუნ ამას. არამედ უოველი ჩემ და სამსახურად დავითვალთ, უოვლისა-თჳს კეთილი მოგაკო: არა დავითმინო კიცხვაჲ ოვსთა, არამედ სასოებითა სამებისა ერთ-არსებისა, დამბადებლისა ღვთისა დაუსაბამოსთა, და წარძვანებითა

1) T ჰმადლობდეთ.

ჯუარისა-მის ჰატისნისათა, რომელი მოცემულ არს წინა-მძღურად
 საჭურველად გულითა მისათა. და ვიძიეთ შური მათ-ზედა:
 უკეთუმცა წაგვიღებოდა ესე სპასითა მეფისა-გან, ანუ ბერძენთა მე-
 ფისა-გან, მომცავითმინეთ. არამედ რად მოწევნულ არს ჩვენ-ზედა
 ოფსთა კიცხთა-გან, არა კამს მისი დათმენად, და სიკუდილი სჯობს
 თანთა ჩვენთა-თვს.“

მაშინ ადგა ჯუანშერ სპასპეტი და თქვა: „ცხონდინ, მეუფე,
 უკუნისამდე, დიდებით და მტერთა შენთა ზედა ნება-აღსრულებით
 ჭეშმარიტი ბრძანე, ცოდუთა ჩვენთა მიერ მოიწია ესე განსაცდელ-
 ლი ჩვენ-ზედა, და სამართლად გვსაჯნა ღმერთ-მან: რამეთუ განვა-
 მრავლეთ ცოდუთა, წინაშე მისსა, და გვიღირს მადლობად ღმთისა,
 რამეთუ დიდსა ჰატოჯსა¹⁾ ღირს ვიუვენით, და არა ეზომისა, რომელ
 მოიწია ჩვენ-ზედა: არამედ მრავალ-მოწყალე-მან ღმერთ-მან, არცა
 შეცდებათა ჩვენთაადენი ჰატოჯი²⁾ მოგვაცო, და ამით კინიობს
 ჰატოჟითა გვწვართნა, და ჩვენ მკვიდრთა ქართლისათა, ამის-თვის
 დიდი მადლობად გვიღირს ღმთისა მიმართ: რამეთუ შენ უმჯობესი
 უფელთა მეუფთა ქართლისათა და მამათა შენთა უფროსი, უფლი-
 თა სრული, მსგავსი ნებროთ გმირისა, გამოგაჩინა ღმერთ-მან: წინა-
 მძღურად ჩვენდა მოცემულ ხარ შენ ღმთისა-მიერ, განმაქარვებელი
 ჭირთა ჩვენთა ძველთა და ახალთასა: და უკეთუ ცოდუანი ჩვენნი
 არა დასძლევენ, შენ-მიერ მოველოთ განქარვებასა უფელთა ჭირთა
 ჩვენთასა, უმეტეს წარმატებასა საზღურთა ჩვენთასა უფლისა უა-
 მისსა, რათა³⁾ არა-ვინ მამათა შენთა-განი უფელი არს მსგავს შენდა:
 ცხონდინ, მეუფე, უკუნისამდე. რადგან⁴⁾ მოწევნულ არს ოფსთაგან სუთსა
 ამას წელსა შინა, ვეოფილ-ვართ ჩვენ მწუხარებასა შინა დიდსა. ამის-თვის
 რამეთუ ურმად იყავ, და არა ძალ-გედვა მკედრობად და წურობათა წინა-
 მძღრობად, და არცა შინა მეუფობისა განგებად: აწ, მეუფე, დაღაცათუ

1) M-ss ჰატოჯსა.
 2) M-ss ჰატოჟი.
 3) Il faudrait ici რამეთუ.
 4) T რამთ-გან.

სრულ ხარ სიბრძნითა და ძალითა, სიძინითა და ჰესასკითა, არამედ
გაკლს სისრულე დღეთა მკედრობისათჳს. ხოლო ვხედავ სიბრძნესა
შენსა, დადაცათუ ერმაჲ ხარ, არამედ ძალ-გიცს განგებაჲ შეუობი-
სა, მკედრობისა და წუობათა წინა-განწუობისა შენისა არა არს უამი-
ესე არს განზრახვაჲ ჩემი, რათა სიბრძნითა შენითა და კითხვითა
დედისა შენისათა გამოარჩინე ერთი ვინ ჩვენგანი წინა-მძღვრად
სძისა ჩვენისა, და მიგცენ ჩვენ უოველნი მას, და ვიუვნეთ მორჩილ
ვითარცა მამისა შენისა, და ძალითა საშუებისა, დვთისა ერთ-არსები-
სათა, წარვიდეთ და ვიძიოთ შური. ხოლო შენ იყავ შინა და გა-
ნაკებდე შეუობასა: უკეთუ ცოდნათა ჩვენთა-გან ვიდლივნეთ ღვსთა-
გან, შეუობაჲ შენი უვნებელად დარჩეს. უკეთუ კვლა თავითა შენი-
თა ცოდნათა ჩვენთა-გან იძლიო სულიად წარწემდეს ქვეყანაჲ ჩვე-
ნი, რამეთუ ნაცვალჲ შენი არა არს ქუჭყანასა ზედა: “ ესე თქვა
ჯვანშერ სპასპეტმან, და დაემოწმეს უოველნი წარჩინებულნი და
ეკის-თავნი ზრახუნასა მისსა: ”

მამინ თქვა შეუემან. „ვითარ ზედების სრულსა სიბრძნესა და
ერთგულობასა შენსა, უკრეთ წარმოსთქვი უოველი, ჯვანშერ. ხოლო
მე არა ვარ მორჩილ ზრახვისა მაგის შენისა, რამეთუ რად-გან ¹⁾
მოწვევულ არს განსაცდელი იგი ჩვენ-ზედა, უოველნი დღენი ცხო-
ვრებისა ჩემისანი მწუხარებასა შინა დამიუოფიან, ვითარცა მუოფსა-
ბნელისასა: და სიწყალუელი დისა ჩემისა განლევს გულსა ჩემსა ვი-
თარცა მახვილი ცეცხლისა, და სიკუდილი მიჩვენია ²⁾ თავისა ჩე-
მისა, ვიდრედა სიციცხლე: მიხდობითა დვთისა და წინა-მძღვრობი-
თა ჯუარისათა-მის ზატოოსნისა, თავით ჩემით წარვალ, დავესავ
მრავალ-მოწყალებათა მისთა, რათა არ განმწიროს, და მომცეს ძლე-
ვა:“ მამინ ვითარ ჯერღარა დაუშლიდეს, მიემოწმეს უოველნი-იგი
წარჩინებულნი და თქვეს. „ცხონდინ შეუე ³⁾ უკუნისამდე. იქმნეს

¹⁾ T რაჲთ-გან.

²⁾ T მიჩვენია.

³⁾ M-ss მეფეო.

განზრახვად შენი, ღმერთ.მს დაზადებულ მან მთავლინეს ანგელ-
ში მისი *) ძალად შენდა და დასტენ ყოველნი მტერნი შენნი.“

§ 2.

ლ ა შ ქ რ ო ბ ი ს გ ა ზ ი რ ვ ა დ ო ვ ს ე თ - შ ე დ .

და დაამტკიცეს ლაშქრობად ოვსეთისა, და განიყარეს ყოველნი
სახლად თვსად, კაზმვად: ხოლო ვახტანგ წარავლინა მცხეთელი წი-
ნაშე დედის ძმისა მისისა ვარაზ-აკურისა, რანისა ერის-თვსა, აუწყა
ლაშქრობად ოვსეთისა და ითხრა მის-გან შეწყევნაჲ: ხოლო მან სი-
ხარულითა აღუთქვა, რამეთუ ქვეყანად მისიცა ტუვეე ქმნილ იყო ოვ-
სთა-გან: ხოლო ვახტანგ მოუწოდა ყოველთა სპათა ქართლისათა, და
შემოკრბეს ყოველნი, და დაიბანაკეს მუხნაწს და ხერკს, იმიერ და
ამიერ არაგვსა. და იყო ასე ათ-ასი, მკედარი, და სამ ცდი ათ-ასი
ქვეითი, და მოგზავნა ვარაზ-ბაკურ სპანი თვსნი თორმეტი ათ-ასი
მკედარი: და ვახტანგ მეფე განვიდა ქაჯაქით მცხეთით, და განასხ-
ნა სპანი მისნი, მოეწონეს სიმრავლითა, ცხენ-კეთილეებითა და მო-
კაზმულებითა, და იხილნა ყოველნი-იგი მხიარულად და აღძვრით,
რამეთუ სავსე იუწენეს შურიითა ოვსთათა: აღივსო სიხარულითა და
მადლობდა ღმერთსა, შემოვიდა ქაჯაქად, და აღასრულა შეიდეული
ერთი ლოცვითა და მარხვითა, და ღამის-თევითა, და განუყო ხვას-
ტაგი დიდ-ძალი გლასაკთა: დაუტევნა განმგებულად სამეფოსა მისი-
სა დედაჲ მისი სავდუხტ. და დაჲ მისი ხვარანძე, და დაწერა ან-
დერძი ესრეთ „უკეთუ არდა-რა შემოვიქცე ცოცხალი დაჲ ჩემი
ხვარანძე შეირთოს მიჭრან, (რომელი ეუვოდა ვახტანგს მამის ძმის-
წულად, ნათესავისა-გან რევისა, მირიანის ძისა, რომელი სიძე იყო
თრდატ სომეხთა მეფისა), მან შეირთოს დაჲ ჩემი, და მან დაიპყ-

*) M-ss ანგელოზნი მისნი.

დღეობი T (

მეფენ 22-M (

რას მეუბნება: “ და ესე დაწერებოდა დედასა მისსა მისცა, და სხვასა არავის აუწერა და იგი მიგზრან მამისა ძმის-წუდი მისი დაუტევა მცხეთას.”

წარვიდა ვახტანგ და დადგა თანჯის, და მიერთნეს ქვეყლნი მეფენი კავკასიანნი, რამეოც და ათი ათასი მკვდარნი, და წარმართა სახელსა ზედა ღვთისასა; განვლო კარი დარიალისა¹⁾ შესვლასა მისსა ოსეთს იყო ვახტანგ წლისა თექვსმეტისა: მაშინ მეფეთა ოსეთისათა შეკრბეს სპანი მათნი და მოირთეს მადრი ხასარეთით და მთეგებნეს შდინჯრქსა ზედა, რამეული განვლის დარიალისა²⁾ და ჩავლის ველსა ოსეთისსა; და მასცა შდინარესა არაგვი ქვიანს, რამეთუ ერთისა შთისა-გან გამოფალს თავი ორთავე, ქართლისა არაგვისა და ოსეთისა არაგვისა.

და დაიბნაკეს ორთავე სპათა ამიერ და იმიერ, რამეთუ შდინარისა-მის შირსა ორგნითვე ქარაფნი იუენეს კლდისანი, ჭაღაკნი და ველთანნი შირთა შდინარისათა, და განეკრძალნეს ერთმანერთისა-გან, და დაიცვნეს გზანი ქარაფთანი, და დადგეს ეკრე შვიდ დღე: ამას შვიდსა დღესა ბრძოლად იყო ბუმბერაზთა შდინარესამას ზედა; რამელ ჭეჭეს ნიჯადნი ხასართანნი ოსთა მათ-თანა ერთი ერთი კაცი გოლიათი, სახელით თარკან: გამოვიდა ესე თარკან ხაზარდ, ხმა-ჭეო კმითა მადლითა და თქვა: “გეტყველ თქვენ უფველთა სპათა ვახტანგისათა, ვინცა არს თქვენ შორის უძლიერესი გამოვიდეს ჩემს-ზედა:“ ხოლო ვახტანგ მეფესა, რამელ ჭევა სპანი სპარსთა ნიჯადნი, მათთანა ერთი ერთი კაცი, რამელსა ერქვა ფარსმან-ფარუხ, ამისდა ვერა-ვის დაედგეს ბრძოლასა შინა, მრავალი ლომი კეჭრთა შეეპურა: ესე განვიდა ბრძოლად თარხანისა, და აღიზახნეს ორთავე, და მიეტევენეს ურთიერთსა, და შირველსავე

1) M. R. portait დარღზისა, qui a été corrigé entre lignes, en დარიელისა; T დარღალისა, lis. დარიალისა.

2) M. R. portait დარღალასა, qui à été corrigé entre ligne, დარიელისა; T დარღალასა; toutefois dans ces deux endroits on peut aussi bien lire დარიალისა. დარიალასა, à cause des abréviations de l'écriture ecclésiastique.

შეკრებას უხეტქნა კრძლითა ფარსმან-ფარუხს ჩაბაღასსა ზედა, და განუზო თავი ბეჭთამდე: მაშინ დაჭმუნდა ვახტანგ და სპანი მისნი, რამეთუ არა-ვინ დარჩა მათ შორის მსგავსი ფარსმან-ფარუხისი: შეძრწუნდეს ყოფილნი-იგი სპანი და აღივსნეს მწუხარებითა.

და დაღძმა დღე იგი: ვახტანგ შევიდა კარვად თქსად და დაღდა ლოცვად, და ცრემლით ევედრებოდა ღმერთსა, და ვიდრე გათენებამდე არა დაჯდა ქუშ ლოცვისა-გან: ითხოვდა ღვთისა-გან შეწევნას, და მინდობითა ღვთისათა ეკუთლებოდა თვთ ბრძოლასა თარხანისი. რამეთუ უშიში იყო ვითარცა უგორცო: და იმედი ჰქონდა ღვთისა-გან, და ძალისა თქსისაგან: ვითარ გათენდა, კვალად შთამოვიდა თარხან კიდესა მდინარისასა, ავედრებდა და კვალად ითხოვდა მუქარასა, და არა-ვინ იპოვა სპათა შორის ვახტანგისათა მბრძოლი მისი: მაშინ ვახტანგ ჰქრქვა სპათა თქსთა. „არა მინდობილ ვარ მე ძალისა ჩემისა და სიმკნისა¹⁾, არამედ მინდობილ ვარ ღვთისა და უსაბამოსა, სამებისა ერთ-არსებისა, უფლისა დამბადებელისათა: განვალ თვთ ბრძოლად თარხანისა:“ მაშინ განკვირდეს წარჩინებულნი-იგი და ავედრებდეს²⁾ ვახტანგს, და მრავალ-ღმინედ ზრახვიდეს რათამცა დააყენეს ბრძოლისა-გან, რამეთუ ყრმა იყო ვახტანგ, და არა იცოდეს გამოცდილებად მისი.

არა უჩნდა ვახტანგ არამედ დაამტკიცა ბრძოლად მისი, კარდავდა ცხენისა-გან და დავარდა ქვეყანასა ზედა, თაუჭანის-ცა ღმერთსა, აღიპურნა კეღნი თქსნი და ზქუა, „უფალა, დამბადებელა ყოვლისა და შემმატებელა კეთილთა, აღმამაღლებელა მოსავთა შენთა, შენ იყავ მწე ჩემდა, და მოავლინე ანგელისი ძალად ჩემდა. დაეც უსჯულო ისა, და არცხვინე მემობართა შენთა, რამეთუ არა ძალისად ჩემისა მინდობილ ვარ, არამედ მოწყალებისა შენისად:“ მოიქცა ვახტანგ და აღჯდა ტაიჭსა თქსსა, და ჰქრქვა სპათა თქსთა. „ევედრებოდეთ ღმერთსა და ნუ შეძრწუნდებით:“ წარვიდა ვახტანგ

1) T ძალსა ჩემსა და სიმკნესა.

2) Ce mot a été corrigé dans R, et remplacé par აყენებდეს, qui me parait plus juste.

და დადგეს სპანი მისნი ზურგიით მისსა, შეძრწუნებულნი და სავსე-
ნი მწუხარებითა თვის-თვსსა სჯულსა ზედა ეგვდრებოდეს ღმერთსა.

§ 3.

1) აქ ვახტანგისი და თარჯანის ოძი, და მოკლუა
თარჯანისი ვახტანგის-გან.

მაშინ ჩავლო გვერდი ვახტანგ, და ჩავიდა მდინარისა ზირსა.
აქუნდეს ორდღი: მოხედა თარჯან და თქვა. „მე გოლიათთა და
გმიერთა გამოცდილთა მბრძოლი ვარ, არა უმაწვილთა. განა შენ-
ზედა დავიმდაბლო თავი ჩემი:“ აღიზახნეს და მიეტევინეს ურთი-
ერთსა, და ზირველსავე შეკრებასა სცა ვახტანგ ორდღი სარტყელ-
სა ზედა, და ვერა უფარა სიმაგრე-მან საჭურველისა-მან. და გან-
ვლო ზურგიით და მოკლა: ხოლო ქართუშლთა ნუ-გეშინის-ცემულთა
და სავსეთა სიხარულითა აღიზახნეს კმითა სსშინელითა, და შეწი-
რეს ღვთისა მიმართ მადლობად: ხოლო ვახტანგ მასვე ადგილსა
გარდახდა ცხენისა-გან, და დაუარდა მიწასა ზედა, თაუჟანის-ცა ღმერ-
სა და თქვა. „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელ-მან მოაუღინე
ანგელოზი შენი, და დაეც მტერი ჩემი: შენ ხარ აღმმართებელი
მოსაგათა შენთა, შენ ხარ, რომელ-მან აღადგინე ქვეყანის-გან გლა-
ხაკი, და სკორეთა-გან აღამაღლე დაგრდომილი:“ მოჭკვეთა, თავი
თარჯანს, ადჯდა და წარვიდა ლაშქართა თვსთა თანა, და უოველთა
მათ სპათა კმითა აღწევნითა²⁾ შეასხეს ქებად ვახტანგს, და ჭმად-
ლობდეს ღმერთსა.

¹⁾ Les M-ss portent ici N 1, ce qui indique qu'autrefois il existait une division normale

²⁾ Leg: აღწევნულითა, comme plus bas p. 94 dernière ligne.

§ 4.

აქა ვახტანგისი და ბაყათარ ოვისი ომი, და მოკლეა
ბაყათარისა ვახტანგის-გან.

და მეორესა დღესა სსუა გამოვიდა ბუმბერაზი ოვსთა-გან, რა-
მელსა ერქვა ბაყათარ, იგი იყო გოლიათი, და რამთ-გან დაწყო
მკედრობად, ვერ-ვის დაედგნეს მისდა, და მოესრა ყოველი მბრძო-
სრულად სიტყუაჲ შენი, და არა იუოს ცეცხლი ღმერთად შენდა, და იუოს ღმერთად შენდა ქრისტე, მამად და უფლად გხადო შენ: და-დაცათუ ჩვენ ზირ-მშობნი ვართ, არამედ თქვენ სხდეთ საყდართა ზე-და მამისა ჩვენისათა:“ ვითარცა უთხრეს სიტყუაჲ ვახტანგისი, შეიწყინარა და წარსცა ძღვენი გორგასალსა ძლიერად, და მის-თანა გვრგვნი ანთაკოანი, და ყამი დაღვეს შეკრებისა: აიყარა მეფე სპარსთა განთიად, და დაღვეს ველსა კალისსა: ხოლო ტფილისი სოფელი და კალა ცა მოახრებული იყო მაშინ; ხოლო მეფე ვახტანგ დადგა ჯაჭვს, და შეკრბეს მასვე ველსა ორნივე მეფენი, და მოი-კითხეს ურთიერთად, და უფვეს აღთქმად თავის-თავისა სჯულსა ზე-და გარდაუგაჲ: და მოჭხადა მას დღესა სპარსთა მეფე გორგასალ-მან ლაშქრით თხსით ტფილისად, და უძღვნა გორგასალ-მან მკეკვა-ლი ათ-ასი, მონად ხუთ-ასი, სტავრად სკარამანგი ხუთ ასი, ბი-ზიონი რუზმა ¹⁾ ხუთ ასი. კდალი ცხენი ათი ათ-ასი, ცხენი ბარ-გისა ხუთ ასი, ჯორი სამ ასი, ზროხა ²⁾ ოთხ ასი, ცხვარი ათი ათ-ასი: და დღესა მესამესა, მივიდა გორგასალი მის-თანა, და თანა წარიტანა ლეონ, ანთიპატრიკი კეისრისა, და უფვეს განზრახვა- და აზრახა ანთიპატრიკ-მან გორგასალსა, რათა უოს მშვიდობაჲ შორის კეისრისა და ხვასროსა, რამეთუ ეშინოდა ბერძენთა, ნუ-უკრებ შე-ვიდნენ საბერძენეთად სპარსნი, და მოაოკრონ იგი, რამეთუ სპანი სა-ბერძენეთისანი ყოველნი იუჟნეს ხაზარეთს და ჭრქჳ ხვასრო გორ-გასალსა. „ითხოუ ჩემ-გან რაცა გნებავს თავისა შენისა-თხს, და სხვისა ვის-თხსცა გნებავს:“ ხოლო გორგასალ-მან ჭრქჳ. „მნებავს რათა იუოს მშვიდობაჲ შენ შორის და კეისრისა:“ ჭრქჳ ხოსრო. „დაამძიმე თხოვაჲ შენი ჩვენ-ზედა: არა უვიან წყალობა. ამის-თხს ვუავ სიყუარული შენ-ზედა, რათა შევიდე საბერძენეთად და შური ვი-ძიო მათ-გან, და აჭა მოციქული ხაზართა მეფისა მეათე დღე არს რაჭთ-გან მოსრულ არს. და შენ არა უწევი მიზეზი მტერობისა ჩვე-ნისა: ხოლო აწ მიგითხრა სილაღე მათი ჩვენ-ზედა, და მერმე

1) R ზუზმა.

2) T ძროხა.

ვჭეო ნებაჲ შენი ვინათ-გან აღგიტქუ ფიცითა ძლიერითა, ვითარ-
მედ არა ვუო უნებული შენი:“ და თქჳს, ვითარმედ „შენ უწეი რა-
მეთუ ზღვასა მოღმართ ჩვენი არს საზღვარი, განუოფილი ნოესით-
გან, და აწ იგი მბრძავს ჩვენ ჯაზირსა და შამსა, და მოცკრებულ
არიან ქალაქნი-იგი. ხოლო შამი სამეთო ჩვენი არს: არამედ ჯაზი-
რისა ნახევარი განწვალებულ არს მამათა ჩვენთა, შენი არს ხვედ-
რად, და მიუღებეს იგი ბერძენთა, და მე ესე-რა შევიდოდე უკ-
მოღებად მისა: აწ რომელი ნაწილი მამათა შენთა არს, შენ განუავ,
შენ იცი და ბერძენთა. ხოლო სხვა ჯარისაჲ მომცენ მე ბერძენ-
თა, და რომელი ვითხოე მე შენ-გან“.

ხოლო ვითარცა ესა ესე ლეონ ანთიპატრიკსა, განიხარა ფრიად
და თაუჳნის-ცა ორთავე მეუეთა, და თქჳს. „ხუთნი ქალაქნი ჯაზი-
რისანი შენდავე იუჳნენ, შენნი კერძნი რამეთუ ნახევარი სიკილიისა,
რომელი მოგვედო შენ-გან, უკუზ-გცეთ¹⁾), და დღეთა ჩვენთა იყავნ
მშვიდობა შორის შენსა და მისსა:“ და თქჳს მეუე-მან. „ვინაჲ
უწეის, თუ დასჯერდეს ბერძენთა მეუე, ქმნულსა ჩვენსა:“ და თქჳს
ლეონ. „რა-ჟამს წარმომაფუნდა მე, ძალად ამის მეუისა, ჰრქჳს მე-
ფესა ჩვენსა მონოზონ-მან ვინმე ღვთის მეცნიერ-მან, ვითარმედ
სთნავს ღმერთსა მშვიდობაჲ სამთავე ამათ მეუეთა: და იქმნაცა ეკ-
რე; ხოლო კეისარ-მან უბრძანა მწიგნობარსა და დაწერა წიგნი ზა-
ვისაჲ. აჰა აქა არს აღწერილი წიგნი მისი, ვითარცა ესე ვთქუ:“
წარიკითხეს წიგნი-იგი, დაწერილი იყო ფიცით, „თხნიერ მისა რა-
მელი მოსცა სზარსთა მეუე-მან ივბიმიანოზს. არა ვებნო თქვენ-
ზედა:“ და მოუწოდა მეუე-მან სზარსთა-მან ხაზართა მეუისა მო-
ციქულს, და უთხრა მან აღზრზენაჲ სზარსთა ბერძენთა ზედა; მა-
შინ მოიღო სზარსთა მეუე-მან ქარტაჲ და დაწერა კელითა თხსითა
წიგნი ბერძენთა მეუისა სიუჳარულისაჲ და ჩინებაჲ საზღუართაჲ.
და სიკილიის უკუცემისა-თხს, მისცა ფილისტიმი საზღვრითა იერუ-
სალიმისათა: და თქჳს, ვითარმედ „ქალაქი სჯულისა თქჳსნისა არს
იერუსალიმი:“ და მისცა გორგასალსა ნიჭი, აღვაჲ ლიტრა სამ ათ-

¹⁾ R უაზგეთ; Mon M-it უაზგეთ.

ასი, ამბარი ლიტრა ხუთ ასი, მუშკი ლიტრა ხუთ ასი, სამოსელი ხვასროანი ათ-ასი, და ხაზდი სამი ათ-ასი.

და წარვიდა ვახტანგ მეფე შინა ხვადისა-დღე, მთავლინს ვახტანგისსა ბარზაბან. ხაკუთარი, და მობიდან, და ჭრქუა ესრეთ გორგასალსა: „რომელი გინდა ჩემ-გან და ვქმნე აწ იგი. და განაგენ საბრძანებელნი შენნი, ვითარცა გნებავს: მთავლინენ დასტურნი და ითვალე ქალაქი შენი, რომელნი მიგცენ შენა. ხოლო ბარზაბანისდა მიბრძანებია მისლვამ კეისრისა, მითვალვად ქვეყანათა და ქალაქთა თქვენთა: ხოლო შენ უწეი, რამეთუ საქმესა ამას ჩემსა ზედა განრისხნენ სპასხნი მოხუცებულნი, რამეთუ მათ ბრძანა ჩემ-მიერ შემუსრვა საბრძანეთისა. ხოლო მე დღეს საზღვართი ჩემით რაი სა-მეფო მივანიჭე: აწ ესე არს სათხოველი ჩემი, რათა დაჲ შენი მომცე მე ცოლად, და შენ წარმოხვიდე ჩემ-თანა ქვეყანასა მამისა ჩვენისა, რათა ჭნახე ნათესავნი შენნი და მენ შემწე მეფო მე თავითა შენითა, მტერთა ჩემთა ზედა, აბაშთა და ელამთა, ჭინდლთა და სინდლთა, რამეთუ უძვირესი ბოროტი და დამდაბლებამ მეფობისა ჩემისაჲ მათ ჭეუკს: აწ რღეს მოხვიდე ჩემ-თანა, ესრეთ ვრქვა მოხუცებულთა და მარზაპანთა ჩემთა, რამეთუ სიყურადღებო ვყავ ჩემი და მოყურათა ჩემთა, რამეთუ ესრეთ ინებს ძმა-მან ჩემ-მან ვახტანგ მეფე-მან: რომელნი ქვეყანანი მივსცენით მათითვე შემწეობითა მარხაკე ვუწნეთ მტერნი ჩვენნი, და ამითა დავაცხროთ გულის-წყრომამ მათი ბერძენთა ზედა: ხოლო შენ თავითა შენითა მინებ ძალად ჩემდა, არამედ სპანი შენნი ადგილსავე იუწენ.“

მაშინ ვახტანგ მოუწოდა თანა-მზრახველთა თჯსთა და კზრახსა ლეონ ანთიპატრიკსა ¹⁾ ესრეთ, ვითარმედ „დიდ არს კეთილი შენი ბერძენთა ზედა უფროს მეფეთა-მათ რომელნი ხსენან საყდართა მათთა, რამეთუ შენ დასცევ ქალაქი ზონტოსა შემუსრვისა-გან, და შენ მიანიჭე შვიდ ას ოთხ-მოცი ათ-ასი სული, და დღეს შენ-მიერ მიეცემის ჯაზირამ და თილისტიმი, რომელ მშვიდობით არა-რომელსა მეფესა ბერძენთასა შეუპურია: და მართლ არს ხვასრო. უკეთუ არა

¹⁾ T ანთიპატი.

ჰეო მის-თანა ს:თნობაჲ, უკმრად შეურაცხ-ჰეოს იგი ერ-მან მის-
მან. დადაცათუმცა მან არა გვითხრა, მიღმართ ვაძლიერთ, რამეთუ
ესე არს სრული სიუწარული. მიგცე ლაშქრისა ჩემისა-გან ათი ათ-
ასი ჭურვილი, და მე წარვეყვე მცდიქულთა შენთა თანა, წინაჲ კე-
ისრისა, და მუნით გამოგერთო ჯაზირასს, სპითა ძლიერთა:“ ესე
განაზრასა ჯეონ ანთიპატრან¹⁾, და სთნდა მეფეს ვახტანგს და
უფელთა წარჩინებულთა მისთა განზრახვაჲ მისი, და მისცა სპარს-
თა მეფეს ვახტანგ დაჲ მისი ცოლად, რომელსა ერქუა მიჭრანდუხტ,
რომელი წარტყეპნილ იყო ოვსთა-გან, და გამოეკსნა ვახტანგს:
ხვარანძე ამის-თჳს არა მისცა, რამეთუ დაწინდებულ იყო იგი სო-
მესთა პატრიარქისა: და მოიფანა ვახტანგ ძე მისი, რომელსა ერქუა
სპარსულად დარზილ, ხალხ ქართულად დანი: მასინ იყო ხუთისა
წლისა, და დადგა გვრგვნი, და დაუტევა მეფედ, და დაუტევნა მის-
თანა შვიდნი წარჩინებულნი მისნი. პირველად ჯვანშერ სპასპეტი,
მზერობელი შიდა-ქართლისა და მფლობელი უფელთა ერის-თავთა.
და დემეტრე, ერის-თავი კახეთისა და კუხეთისა. გრიგოლი, ერის-
თავი ჰერეთისა, ნერსარან, ერის-თავი ხუნანისა. და ადარნასე, ერის-
თავი სამშვილდისა. და სამანდიკ, ერის-თავი შიდა ეგრისისა და
სვანეთისა. და ბაკურ, ერის-თავი მარგუისა და თაკვერისა: და ამათ
შევედრა ძე თჳსი დანი, და უბრძანა აღშენება უჯარმისა, და მუნ
შინა ზრდაჲ დანი მეფისა, რამეთუ სიმაღლეჲდ გამონასა იგი ნა-
დირთა და საცხფართა-თჳს: და წარიტანნა თანა ოთხნი²⁾ წარჩინე-
ბულნი მისნი. არტვან, ერის-თავი კლარჯეთისა, და ნასარ, ერის-
თავი წუნდისა, და ბიფრიტიანი, ერის-თავი ოძრკისა, და საურმაგ,
ეჯიბი მისი დიდი, და მათ-თანა ათი ათ-ასი მკედარი ლაშქრისა მი-
სისა დარჩეული: და ჯეონ ანთიპატრიკ-მან ლაშქრისა მისისა-გან
დაუტევნა ათი ათ-ასი ბერძენი, და თჳთ წარვიდა წინაჲ კეისრისა,
და ვახტანგ მეფე-მან წარატანა თანა დესპანად არტვან ერის-თავი,

¹⁾ Précédemment on voit ანთიპატრიკი, plus habituellement; mais c'est ici la vraie orthographe, du grec ἀνθιατρός.

²⁾ T ხუთნი.

კლარჯეთისა თავი. და წარსცა უოველი ნიჭი წინაშე კეისრისა, რამელი მიენიჭა მეფესა ხვასროს: გარნა სტაფრები და ტაიჭები დაიჭირა თავისა თვისისა-თჳს, და სხჳა უოველი წარსცა და უბრძანა არტვანს, რათა ჯაზირას მთერთოს ლეონ ანთიპატრიკსა თანა: ხოლო ვახტანგს ეგედრნეს დედაჲ და დაჲ მისი ხვანანძე, რათა წარიტანნეს თან და ილოცონ იერუსალიმს: წარიტანნა, და წარვიდეს ვახტანგ მეფე და ხვასრო გზას ადარბადაგანისასა, და მუნით წარვიდეს ვახტანგ, და დედაჲ და დაჲ მისი, იერუსალიმს, და ხვასრო ელოდა ანტიოქს: შევიდეს და ილოცეს წმიდასა ადღკომასა, და მოილოცნეს უოველი ადგილნი წმიდანი, შეკედრნეს წმიდასა ადღკომასა, და შესწირეს შესწირავი დიდი, და წარმოვიდეს ანტიოქს.

ხოლო ლეონ, ანთიპატრიკი კეისრისა, და არტვან, ერის-თავი ვახტანგისი, მოვიდეს ოცი ათ-ასითა მკედრითა და რჩეულითა, და მოართვეს ხვასროს კეისრისა-გან ძღვენი მიუწდომელი, და ვახტანგს ნიჭი მიუწდომელი, და მოემცნო კეისარსა მოციქულთა სიხარული და მადლისა მიცემაჲ ღვთისა, და ვახტანგის ქებაჲ და მადლი მიუწდომელი: და მოემცნო ვახტანგისად: „მიბრძანებია ლეონისდა ესრეთ, რათა იუოს შიშსა და ბრძანებასა შენსა ქვეშე ვითარცა ჩემსა:“ და შეკრბა ვახტანგის საბრძანებულს ქრისტე ბერძენნი, და ქართულებნი და სომეხნი, ორ-მოც და ათი ათ-ასი მკედარი, რჩეული. მაშინ უბრძანა სპარსთა მეფე-მან ვახტანგს: „ოდეს დედაჲ და დაჲ შენი აქამომდის დამაშვრალ არიან, მოვიდენ იგინიცა სამეუფოდ ჩემდა, რათა ერთობით ადვასრულეთ სიხარული ჩვენი: მერმე თუ ინებონ წარსვლა ქართლს, წარვიდენ იგინი გზასა რანისას: ხოლო თუ ინებონ ლოდინებაჲ შენი, გელოდიან ურახვას ქალაქსა შინა:“ სთნდა უკვე ვახტანგს ბრძანებაჲ ხვასროსი, და წარიტანნეს თანა და წარემართნეს: და წარგზავნნა სპარსთა მეფე-მან მოციქული წინაშე უოველთა წარჩინებულთა სპარსეთისათა, და მიუთხრა ესრეთ უოველი: ხოლო მათ განიხარეს სიხარულითა დიდითა, რამეთუ ცეცხლ-ებრ გზნებოდეს ბრძოლისა-თჳს ინდოთა, სინდელთა და აბაშთა, და ჯორჯანთა-თვის, და მოვიდეს ბადდადს, და მოეკებნეს უოველი წარჩინებულნი სპარსთანი, სიხარულითა დიდითა.

და აღსრულებს ქორწილი სამეუფო, ექვს თვე განცხრობითა და განსვენებითა მიუწდომელათა: და შემდგომად ქორწილისა მისცა ნიჭი დიდ-ძალი დედასა და დასა ვახტანგისასა, და წარმოვიდეს ურახვას, პატივ-სცემდა ვახტანგს ყოველი ერი სპარსთა, ვითარცა ხვასროს, მეფესა მათსა, და მერმე წარემართნეს მტერთა ზედა.

§ 8.

აქა ვახტანგ გორგასლისა-გან სპარსთ მეფისა შველა ჰინდოთა, სინდელთა, აბაშთა და ჯორჯანთა ზედა, და ყოველთა-ზე გამარჯვება ვახტანგისა-გან.

შირუჭლად მივიდეს ჯორჯანეთს და წარმოტყუენეს ჯორჯანეთი, ყოვლად უმკვდრო ეგეს, და დასხნეს ადგილსა მათსა ნათესაჲნი სპარსთანი, და ელამნი: და მიერთ-გან იქმნეს ჯორჯანნი გლეხად, რომელნი აწ არიან მუბეგრენი სპარსთანი.

§ 9.

შესლვა ჰინდიეთს ვახტანგ გორგასლისა-გან და ვახტანგის-გან გამარჯულება მათ-ზედა.

და მუნით შვეიდეს ინდოეთად, და მუნ იქმნეს წყობანი ძლიერნი ბუმბეკაზთანი, თითო-თითოთანი, და იყო მუნ წესად, რომელმანცა მათგან მან სძლის ბუმბეკაზთა, ივლტინ მის წინაშე ბანაკი მისი: ხოლო ვახტანგ მეფე-მან, მოკლა ბუმბეკაზი თხუთმეტი მუნ შინა, რომელთა დაეცნეს მრავალნი გოლიათნი სპარსთანი-დაუეეს ბრძოლასა შინა ჰინდოეთისასა სამი წელი. და წარმოტყუე-

ნეს უმრავლესნი ქვეყანანი ჰინდოეთისანი, არამედ მტკიცენი ციხე-ქალაქნი ვერ განტენეს, რამეთუ ზღვათა შინა იუვნეს, და წარმოიღეს ხარკი ჰინდოთა მეფისა-გან: მუშკი, ლიტრა ათ-ასი. ამბარი, ეგ-ზომივე. ალვად, ნავი ათი, თვალეები, იაკინთი და ზურმუხტი, ნავი ერთი, და მასთანა საფირფხი თუთა სხე, ოქრო, აქლემი ასი, ვერცხლი, აქლემი ხუთასი.

§ 10.

შესლვა სინდეთს ვანტანგ გორგასლისა-გან, და გამარჯვება ვანტანგისა-გან.

და მუნით შევიდეს სინდეთს¹⁾: მაშინ სინდთა მეფე-მან განუყო ერის-თავნი ციხეთა და ქალაქთა შინა, და რომელსაცა კერძსა განვიდიან სზარსნი მტუვენაფნი, გამოუკდიან ლაშქარნი სინდელნი, ციხეთა და ქალაქთა-გან და დასდვიან ვნებაჲ დიდი სზარსთა ზედა: და მოსწუდა ურიცხვი ერი სზარსთაგანი, ხოლო ძაღითა ქრისტესითა არა-სადა იძლივნეს ვანტანგის სზათაგანნი, და ყოვლადვე მძლეად გამოჩნდეს მტერთა ზედა: და მკნედ მბრძოლად გამოჩნდეს ოთხნი-იგი წარჩინებულნი ვანტანგისნი, და ლეონ ბერძენი. რამეთუ მათ დასცნეს მრავალნი მებრძოლნი, სინდელნი ბუმბერაზნი: ხოლო სინდთა მეფე იყო ქალაქსა შინა სინდიას. მაშინ ყოვლითა ძაღითა მათითა მივიდეს სინდიას, და მუნ მიხვდეს ბრძოლანი ძლიერნი, და დღეთა ყოველთა გამოვიდის თუთ სინდთა მეფე, რამეთუ იყო იგი მკნე გოლიათი, და შემმარტებელი, და გამოიტანნის მკედარნი სინდეეთისანი, და იუვის ბრძოლა ბუმბერაზთა, რომელსამე დღესა მათ სძლიან, და რომელსამე მათ. და სინდთა მეფე-მან სძლო, თავის-თავითა, ყოველთა ბუმბერაზთა²⁾ მბრძოლთა მისთა, და არა მიხვდეს

1) T, R, სინდეხ.

2) Sic T.

იგი ვახტანგ ბრძოლას შინა, ღღეთა მრავალთა. მაშინ სინდთა მე-
ფე-მან ველსა-მას-ზედა, კართა ქალაქისათა, ღამე თხარა მთხრებლი
დიდი, და სამალაფები შიგან მთხრებლსა მკედართად, და სიმარჯვით
ღაუტეგნა გზანი გამოსვალნი, და ჩაადგინნის მუნ შიგან მკედარნი
ათნი რჩეულნი. და დილას ადრე გამოგზავნა ბუმბურეზი ერთი. მას
ღღესა ხვედრი იყო ვახტანგისი, კართა ცვისა-თჳს, და მიდგა ესე
ბუმბურეზი, და სთხარა ბრძოლად ვახტანგს თავის-თავ, რათამცა წა-
რიტეუა, და შეჭკადა მათ მკედართა ზედა, მაშინ საურმაგ, ეჭი-
ბი ვახტანგისი, განვიდა და ჰქრქჳ: „არა ხარ შენ კადნიერ ბრძო-
ლად მეთვის, არამედ მე გებრძოლო, მონად მონას.“ და მიეტევა.
ხოლო სინდელი-იგი გაიქცა, და მისდევდა საურმაგ, ჩუჭულეებისა-
ებრ, რამეთუ მრავალ-გზის ბრძოლილ იყო ველსა-მას-ზედა: და ვი-
თარ წარჰკადა, დამალულთა-მათ მკედართა გამოუკდეს ზურგით მის-
სა, და იგი მეოტი შემოიქცა. ხოლო საურმაგ სცა ოროლნი წინა-
სა-მას და მოკლა. ხოლო ათთა-მათ მოკლეს საურმაგ. მაშინ მიე-
ტევა თჳთ მეფე ვახტანგ, და მას-თანა სამნი-იგი წარჩინებულნი
მისნი: არტვაზ, ბიფრიტიან და ნახარ, და მათ-თანა ლეონ ბერძენი:
ხოლო სინდელნი-იგი იფლტოდეს, და მისდევდა ვახტანგ მოფესე-
თურო, ვიდრე კართამდე ქალაქისათა, და სინდნი-იგი შეიფლტოდეს
ქალაქსა შინა: მაშინ ვახტანგ მწუნხარებითა შეიქცა, და იგლოვდა
გვამსა ზედა საურმაგისსა, ვითარცა ძმისა საყვარლისსა, რამეთუ
თანა-ზრდილ იყო მისი, ძმის-წული მამა-მძუძისა მისისა, არტვა-
ზის მამისად ერთ-გული მინდობილი და ქველი.

ა რ ა კ ი.

მაშინ სინდთა მეფე გამოდგა კართა ქალაქისითა, და კმა ყო-
კითა მადლითა, და თქვა: „ვახტანგ მეფეო, მსგავსი ხარ შენ უვა-
ვისა-მის უგუნურისა, რომელ-მან ზოა ქორი მოწულული და გაკლე-
ჯილი არწივისა-გან, რომელსა ვერ ეძლო აფრენად, და მიახლებულ
იყო სიკუდილსა: და არა ქმნა უვაგ-მან, მან ვითარცა წესი არს უვა-
ვისად. რამეთუ სხვა-მან უვაგ-მან, ოდეს იხილოს ქორი, იწყის კმა-

მადლად უივილი, და ისმინის სსვათაცა, და დაესხის სიმრავლე უვაგ-
თა ქორსა, რათამცა განიოტეს საყოფელთა-გან მისთა, და უშიშად-
მცა დაუფნეს დღენი მათნი: რამეთუ ზირუტეფთამცა იციან სარკებე-
ლი თავისაჲ; არა ქმნა უვაგ-მან მან ესე-ვითარი, არამედ შეიწყალა
ქორი-იგი, ვითარცა კეთილის მეოფელი მისი, უწყო ზრდაჲ მართ-
ვთა თჳსთა თანა, მარადის უკრებნ მკალსა და გველსა, რამეთუ
სხვისა შეზერობაჲ არა-რასა ძალ-უც უვაგსა, და მით ზრდიდა ქორ-
სა: ვითარცა მოეზარდნეს ქორსა-მას ფრთენი, თქვა გონებასა თჳს-
სა: „ესე-რა დღეთა მრავალთა განზრდილ ვარ მკალითა და გველი-
თა, და არა მომტეშია მე ძალი მამა-დედათა ჩემთაჲ, რამეთუ მკა-
ლითა ვერ განვძლიერდები: თუმცა ძალ-მედვა მიწევნაჲ მფრინველ-
თა, და მით გამოზრდა თავისა ჩემისა, არამედ შევიზურა უვაგი ესე,
მზრდელი ჩემი, და შევჭამო და გავისვენო ორ დღე: მომტეგეს ძა-
ლი, და ვიწყო წესისა-ებრ ნადირობად, მამათა ჩემთა-ერ:“ რამ-
ლისა-თჳსცა აღასრულა ესე, შეიზურა უვაგი-იგი და შეჭამა, მიერთ-
გან იწყო ნადირობად დიდთა და მალეთა მფრინველთა: არა მიეტა
უვაგსა-მას ქებაჲ მოწყალებისა, არამედ უკუნურად და თავისა მკვლე-
ლად ითქმის: არცა მიეტა ქორსა-მას უგედრებაჲ უწყალობისა და კე-
თილის უკსენებლობისა: და იგი არს გვარი და წესი ქორისა. გა-
ნილოდა და მოკვდებოდა მკალითა, და ქმნა წესისა-ებრ, და განერა
სიკრდილისა-გან. ხოლო უვაგ-მან მან არა წესისა-ებრ თჳსისა ქმნა,
და მითცა მოკვდა: აწ სზარსნი ზირველით მოაქამომდე და წაღმართ,
მიუკუნისამდე მტერნი არიან ¹⁾ ჯვარის-მსახურთანი, უამსა შინა,
უღონობითა, ლიქნით უვიან სიუწარული, და ოდეს ეცის უამი არა
უვიან წყალობაჲ და და კეთილის-კსენება: ესე ბევრის-ბევრეულ-ჯერ
ქმნილ არს, რამელი გვასმია წიგნთა-გან: და ოდეს იხილენ სზარს-
ნი ჩემ-მიერ შეკნინებულნი, არა ჭყავ იგი, რამელი ჯერ იყო შენდა
საქმედ, სიხარული და მადლის შეწირვაჲ ღვთისა შენისა, და ზრ-
ხებაჲ სხრათაცა ნათესავთა, და მტერად აღზრდენაჲ სზარსთა ზედა,
და შეწევნაჲ მტერთა სზარსეთისათა: არა ჭყავ ესე-ვითარი, არამედ

¹⁾ T, R, მტერნი.

დაგიტეობია საყოფელი მამათა შენთა, და წინა-მძღუარ-ქმნილ ხარ სხასა დიდსა საქრისტიანოსა საბერძნეთისასა, და მოგივლია ორის წელიწადისა გზად, და მოსრულ ხარ ძალად სხარსთა, რათა განძლიერდენ და მოიწევეს და წარგწეშიდებს შენ და ქვეყანად შენი, და იხურეს წარსაწეშედეჲად ყოველი ჯვარის-მსახური: ჭეშმარიტად ამას იმზადებ თავისა შენისა-თჳს, და ყოველთა ჯვარის-მსახურთა-თჳს: რად ვთქუ მე შენ-თანა ყვავის იგავი. რამეთუ მეფე ხარ თვთ მზერობელი, ახოვანი, და ნებითა შენითა მიგიცემია თავი შენი მონად მტერთა შენთა, ვითარ არა უგუნურად ვთქუა თავი შენი.

ა რ ა კ ი .

მაშინ ვახტანგ ჰქრქვა: „გეგონა შენ ვითარმედ სიბრძნითა გამონახულად იზრახე, არამედ ცრუ არიან სიტუჟანი-ეგე შენნი. მე კითხრა, და გაუწეო ჭეშმარიტი: უგუნურო, მსგავს ხარ შენ თავვისა-მის მთხუნველისა, რომელსა არა ასხენ თჳაღნი, და საყოფელი მისი არს მიწასა ქრსტე, და არა უწეინ ბრწეინვალებაჲ მზისა და მშვენიერებაჲ ველთა და დაჯერებულ არს იგი ცხოვრებასა თჳსსა, რამეთუ ეგე ოდეს ჰკონიეს მას ცხოვრებაჲ ყოველთა ოძრვისთა, ვითარსა ცხოვრებასა თჳსსა არს. და არა სურვიელ არს ხილვად ნათლისა, და მშვენიერებასა ცისა და ქრსტეანისასა. ეგრეთვე შენ ბრძად ხარ გონებისა თჳაღითა, და ყრუ ხარ გონებისა ყურითა, და არა ხედავ, და გესმის, და არცა უწეი ცხოვრებაჲ სრული, და არცა სურვიელ ხარ შენ მისლვად ცხოვრებას-მას საუკუნესა, ნათელსა მას დაუსრულებელსა: არა იცნობ შენ ღმერთსა შემოქმედსა ყოვლისასა, რომლისა მიერ შეიქმნა ყოველივე: არა მიქმნისა მოსლვა ამას ქვეყანასა დიდებისა-თჳს სოფლისა, არცა მსახურებისა-თჳს სხარსთა მეფისა, არამედ მსახურებისათვის ღვთისა დაუსაბამოსა, სამებისა ერთ-არსებისა, დამბადებელისა ყოველთასა, და დიდებისა-თჳს მერმისა საუკუნოსა დაუსრულებელისა: რამეთუ ჩემითა აქა მოსლვითა ზირველად გამომიკნისა იერუსალიმი, წმიდა ქალაქი, სადა დადგეს ფერკნი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესნი, და მუნ აღსრულა ყოველივე კნისა-თჳს სულთა ჩვენთასა. და შემდგომად ყოველი სა-

ქრისტიანთა დამიკნისთა მოთქმებისა-გან, რამეთუ მისცემდა უამი სხარ-
სთა მეფესა მოტუევენვად უოფლისა საქრისტიანოსა: დადაცათუმცა
ქვეყანაჲ ჩემი დაცულ იყო ძალითა ქრისტესითა და სიმკნითა სხათა
ჩემთათა, არამედ უცალო იუჟნეს ბერძენნი, და ვერ წინა აღუდგე-
ბოდეს: და ესრეთ ჯერ არს ჩვენდა ქრისტეს მოსლფით-გან, რათა
ერთისა მოუჟისისა ჩვენისა-თჳს დავდრათ სული ჩვენი: ხოლო ბევრისა
ბევრეული სული დაკსნილ არს ჩემისა აქა მოსლფითა, და ამის-თჳს
მიქმნიეს ესე, რათა ღმერთ-მან დამბადებულ-მან ჩემ-მან შეიწირკს
მსახურებაჲ ესე ჩემი, და აღმისუბუქნეს ცოდრანი ჩემნი: და რომელ
სთქუ შენ, თუ მოიწოენ-რად სხარსთა, მტერ ექმნებიან ქრისტესე-
თა, მე ძალითა და შეწევნითა ქრისტესითა, უამსა ამას დამიკნისთა
ქრისტესიანი ჭირისა-გან დიდისა, და უკანის ღმერთ-მან დამბადე-
ბულ-მან წყალობაჲ უოს კვალად მოსავთა მისთა-ზედა: დადაცათუმცა
არა იყო მიზეზი, ქრისტესითა კსნისა-თჳს ძალად სხარსთა მოს-
რულ ვიუავ აქა: ჯერ იყო ესეცა პირველად ნათესაობისა-თჳს და შე-
მდგომად ამის-თჳს, დადაცათუ არა ჭეშმარიტსა სჯულსა ზედა არინ
სხარსნი, არამედ მეცნიერნი არიან ღვთისა დამბადებულისანი, და
ურწამს ცხოვრებაჲ სულიერი. ხოლო თქუწნ სულიად უმეცარნი ხართ
ღვთისანი, ჳ უგულის-ხმო ვითარცა ცხენი ჳ ჯარი: ვითარ უკუწ არამცა
მსახურებად შეიწირა ღმერთ-მან დამბადებულ-მან უოფლისამან; და სა-
წუთროსაცა ამის საქმეთა-გან საძაგელ არს გონებაჲ შენი: რამეთუ ქორ-
მან დადარ-მან რომელ-მან შეჭამა უვაფი-იგი, მიზრდელი მისი, აქებ
ნაქმარსა მისსა. ხოლო ბუნებაჲ ჩვენი ესე არს, რათა კეთილის
მყოფელისა ჩვენისა-თჳს დავიდვათ სული ჩვენი, და მოვიგოთ მად-
ლი ღვთისა-გან, და ვზოთ ცხოვრებაჲ საუკუნო, და სოფელსა ამას
მოვიგოთ ქებაჲ კაცთა-გან: და სახელსა ზედა ღვთისასა, და მცნე-
ბათა მისთა-თჳს თუ მოგუქდეთ, უკუდავნივე ვართ, და სიკუდილისა-
გან ცხოვრებად მივიცრფლებით.“

მამინ ჭრქუა სინდთა მეფე-მან: „ცუდ არს სიგრძე ზრახვისა
ჩვენ შორის: არამედ რომელი სთქუ შენ, თუ სახელისა-თჳს ღვთისა
ჩემისა მოგუქდე, სიკუდილისა-გან ცხოვრებად მივიცრფლები. მამინ
უპეთუ კაც-მან უწყოლის მის-ზედა მომავალი დიდებაჲ და კეთილი,

ვერ არს ესრეთ, რათა ისწრაფოს მიმთხვევად სუფევის-მის: აწ უკუტე
ტეშმარტად უწი სუფევად მისლგა შენი, გამოვედ ბრძოლად ჩემ-
და, რათა ჩემ-მიერ მიიცვალა დღეს სიკუდილის-გან ცხოვრებად,
რამეთუ წარჩინებულნიცა შენი წარმივლენია წინა-მორბედად შენდა,
რათა განვიმზადოს სადგური შენი:“ ჰრქჳა ვახტანგ: „მე აწინდე-
ლი არა მიჩნს სიხარულად, რამეთუ ცოდვილი ვარ, და არა
სულად აღმისრულებია მცნებაჲ მღვთისაჲ და არა სრულიად აღმი-
კოცნიან ცოდვანი ჩემნი სინანულითა, არამედ ძალითა ქრისტე-
სითა, არა მეშინიან შენ-გან სიკუდილისა. რამეთუ იგი არს მფარ-
ველი ჩემი, რომლისა მიერ დაცულ ვარ ყოვლადგე. და მრავალ-
მოწყალე-მან ღმერთ-მან, მრავლითა მისმიერთა ძალითა, ჩემ მო-
ნისა მისისა-გან მოგკლას, მემობარი მისი, და სული შენი წარვი-
დეს ბნელსა-მან კარესკნელსა, ცეცხლსა უშრეტსა.“

მაშინ განვიდა სინდთა მეფე, და ვახტანგ ჰრქჳა მოყუასთა
თჳსთა: „ღმერთსა ევედრებით, და ზურგიით კერძი ჩემი განმიმაგ-
რეთ.“ და განვიდა ვახტანგ, და ორთავე აქჳნდა ჰროლოები: მაშინ
იწიეს რბევად მრგვლივ ნაფარდსა, და ღონესა ეძიებდეს ორნივე,
რათამცა შეჭევეს წვერსა ჰროლისსა: მაშინ დაიჳსმა სინდთა მეფე-
მან შეუოლად ვახტანგის ჰროლისა წვერისა, და შეუტევნა რათამ-
ცა სცნა ჰროლნი, ხოლო სიმეჩნითა და სიკისკასითა ტანისა მისი-
სათა წარიკადნა და მიუდრკა ჰროლსა და შემოუმრგჳლა¹⁾ ვითარ-
ცა გრივალ-მან, და სცა ჰროლი სინდთა მეფეს ბეჭსა მარცხენა-
სა. ვერ უფარა სიმაგრემან საჭურველისა-მან, დაწულა წულულებითა
დიდითა, რამეთუ წინათ განვლო²⁾ წყრთად: და ჩამოიჭრა სინდთა
მეფე, და მივიდა ზედა ვახტანგ, ჩაჭყო კელი და უზურა ფერკი მი-
სი, და თრევით მოიღო წინაშე სპარსთა მეფისა: მაშინ ყოველ-მან
სპარსან კმითა მადლითა შეასხა ქება ვახტანგს, და აღივსო სიხარუ-
ლითა სპარსთა მეფე და ყოველი ბანაკი მისი: და მოვიდოდეს ყო-
ველნი წარჩინებულნი წინაშე ვახტანგ მეფისა, ძღვნითა, და შეს-
წირვიდეს ძღვენთა: მაშინ სპარსთა მეფე-მან მოიყუანა მკურნალი

¹⁾ შემოუმრგვალა, dans mon M-it.

²⁾ T, R, გავლო.

კელფანი და დაადგინა ზედა სინდთა მეფეს, რათა განკურნოს წყლულებისა-გან, და მის-მიერ წარიღოს უოველი სინდეთი: ხელთ სინდთა დაიჭირეს, ნაცვლად მეფისა მათისა, ძე მისი: მაშინ მეფე-მან ვასტანგ აზრასა სპარსთა მეფესა განტეკებად სინდთა მეფისა, ადებად ხარკისა და მძევალთად, რამეთუ ვერ წაიღებდეს სინდეს: არამედ სთნდა მეფესა სპარსთასა განზრახვად ვასტანგისი. განუტევა მეფე სინდთა, აიღო მის-გან ხარკი ორი ეკ-ზომი, რომელი ჰინდოთა-გან, და ორნი შვილნი მძევლად, და ესე ხარკი სინდთა მაშინ სპარსთა მეფე-მან უოველივე მიანიჭა ვასტანგს. მაშინ მეფე-იგი სინდთა დაემოყურა ვასტანგს სიუჟარულითა დიდითა. შირველად ამის-თჳს რომელ, ოდეს შევარდა კელსა ვასტანგისსა, არა მოკლა და ცოცხლებით მიჰყვანა წინაშე სპარსთა მეფისა, და შემდგომად ამის-თჳს რამეთუ ვასტანგისვე მიერ განთავისუფლდა ტყვეობისა-გან, და უძღვანა ვასტანგს ძღვენი მიუწოდებლად დიდ-ძალი, და წარმოვიდეს სინდეთით წელსა მეოთხესა სინდეთს შესლვისსა. და დარჩომოდეს ქალაქნი სინდეთისანი მოუოკრებულად, სინდად, თოფოკრი, კირმა.

§ 11.

აქა სპარსთა მეფისა და ვასტანგ გორგასლისა-გან შესვლა აბაშეთს და დაჭირვა აბაშეთისა მათ-გან.

და მოვიდეს მუნით. ხელთ აბაშნი მსხდომარე იუჟნეს ქვეყანასა, რომელსა მოსდგმიდა წყალი და ლერწამიანი, რომელსა ვერ იარებოდა ნაფი, და ვერცა ოთხ-ფერკი, არამედ საზღუარსა ზედა არს სპარსთასა, და სულ-გრძელად ბრძოდეს. რამეთუ წყალი-იგი რომელი შესდომდა გარდაუგდეს, და ლერწამიანი-იგი დაწვეს ცეცხლითა: და წარმოტყვევნეს აბაშეთი უოველი, და განუყვანა მეფე-მან სპარსთა-მან აბაშეთი ორად, და ნახევარნი დაუტევნა ადგილსავე ზედა, და ნახე-

ვარნი წარმოიყვანნა, ვითარ სახლი ათ-ასი, და განუგნა იგი ადგი-
ლითი-ადგილად: ესე არიან ქურდნი, ნათესავნი იგი, რომელ წარმო-
ტევენა აბაშთა-გან.

და ვითარ მოვიდა ვახტანგ მეფე, წელსა მერვესა შესლვით
მისით-გან სპარსეთადგე, ანტიოქიამდე, და მოვიდა ურაჭად: ხოლო
სპარსთა მეფე აძლედა ვახტანგს ცოლად თვსთა-გან მეფეთასა. ხო-
ლო ვახტანგ ჰქჳა: „არა ჯერ არს ჩემ-გან ორთა ცოლთა ზურობაჲ,
ხოლო მივის ცოლი ასული კეისრისა:“ დაუძიძიდა ესე მეფესა ხვა-
სრის, არამედ ვერა-რამ ჰქჳა: ხოლო ვახტანგ მშვიდობით ჰპოვნა
დედაჲ და დაჲ მისი, წა წარმოვიდეს ვიდრე განსაყოფელსა ბერ-
ძენტასა და სომეხთასა: და წარვიდა ლეონ ბერძენი და სპაჲ მისი
შიშპატად, ხოლო ვახტანგ წარაფლინნა მოციქული ¹⁾, წარმოიყვანე-
ბად ცოლისა მისისა და ზეტრეს-თვს კათალიკოზისა, და სამოელ
ეპისკოპოზისა: წარმოვიდა ვახტანგ ქართლად. და მიეგება ძე მისი
დაჩი, და ყოველნი სპარსლარნი, და მათ-თანა ეპისკოპოზნი, და ვი-
თარცა ცნა ეპისკოპოზ-მან ვითარმედ წარაფლინა მეფე-მან მოყუანე-
ბად კათალიკოზისა და ეპისკოპოზთა, დაუძიძიდა მას-ზედა: იწყო
რცა ამბობებად და მიზეზობად. და მიუფლინა მეფესა, ვითარმედ.
„შენ დაგიტეობია ქრისტე და ცეცხლსა ესაჲ!“ ხოლო ვახტანგ მო-
უფლინა, ვითარმედ „ძალითა ქრისტესითა შევედ და სიმრთელით
გამოვედ, ძალითა ქრისტესითა უბრალო ვარ, იცის ღმერთ-მან,
მაგრა წარმიფლინეს მოყუანებად კათალიკოზისა და ეპისკოპოზთა.“

და ვითარცა ესა ესე ეპისკოპოზსა, დაიდასტურა, და ჰგო-
ნებდა რომელ შოფოთითა დაცადოს საქმე იგი, და მოსლვად მათი,
და კრულ ჰყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი: ხოლო მეფე-მან
რქჳა: „დაღაცათუ უბრალო ვარ, სიძდაბლე ჯერ არს ჩემ-გან:“ და
მივიდა მეფე, და გარდაცა საკედარსა, რათამცა შეემთხვია ფერკთა
ეპისკოპოზისათა, და განხდა ²⁾ მან ფერკი, და მიათხვია ზირსა

¹⁾ Mon M it მოციქული.

²⁾ R, T, განხარა; mon M-it განიხარა; ces deux Leçons me pa-
raissent fantives.

მეფისსა, თანდაკითა შემუსრა კბილი მისი: ხოლო მეფე-მან თქვა. „სილალე ესე ამბარტავანებისა არს საცთური ეშმაკისა. უკეთუ სი-მრავლე-მან ცოდნათა ჩემთა-მან აღგძრა, არა გაქნეს კელმწიფებაჲ ბოროტისა, არამედ შენდობისა, ვითარცა იტუვის სახარებაჲ. „არა დაშრიტო ჰატრუქი ¹⁾ გაბნდვინვარე, არცა გასტეხო ლელწამი და-ჩეჩქული ²⁾“: ხოლო შენ ჰგონებ ვითარმედ შენითა სივერაგითა ჩვენ დაგვაცადენ სიუწარულსა ქრისტესსა: მაშინ გამოგაჩნდა ცხადად რა-ჟამს გესმა უმთავრესისა შენისა ქართლად მოუწანებაჲ, და აღეკზნენ შურითა ბოროტად, ვითარცა იუდა ჰეტრესითა, რამეთუ შენ ხარ ვითარცა იუდა, და ეკლესია ვითარცა ჰეტრე: ვეცხლის მოუწარე ხარ, რამეთუ შენცა მეგვადრუცე ხარ ქრისტესი: აწ მიგავლინო შენ ჰატ-რიაქისა, კოსტანტინებოლედ. და ვითარცა ჯერ იუოს განგიკითხოს: „და წარსცა იგი დესპანთა ³⁾“, და მის-თანა კბილი მისი, და შეუთვა-ლა რათა კათალიკოზი და თორმეტნი ეპისკოპოსნი სწრაფით წარ-მოაგვლინენ: მათ შორისმცა არს ჰეტრე კათალიკოზი და სამოელ ეპისკოპოსად, და სხუანი ვინცა ⁴⁾ სთნდენ: და ვითარ მიაწიეს მი-ქელ ეპისკოპოზი, ჰტრქვა მას ჰატრიაქ-მან: „ვინათ-გან დაითხია სი-სხლი შენ-მიერ ქვეყანასა ზედა, არდა-რა ხარ შენ დირს ეპისკოპო-სად, და კადნიერებისა-თჳს მეფისა თანა-გაც შენ სიკუდილი, ვი-თარცა იტუვს „დაემოწინილენით თქვენ მეფეთა; რამეთუ არა ცუ-დად კრძალი აბიეს, რამეთუ ღვთისა მიერ მთავრობს, ვითარცა ლო-მი შორის ცხოვართა:“ და ექსორონა უგეს მიქელ ეპისკოპოსი მო-ნასტერსა მღვიძარეთასა, და წარაგვლინეს ჰეტრე მღვდელი და სა-მოელ მონაზონი ანტიოქიას: და მიუწერა ანტიოქიისა ჰატრიაქსა მეფე-მან და ჰატრიაქ-მან კოსტანტინებოლელ-მან. „ზირველად, და-საბამსა ქართლისა მოქცევისსა, დედა-კაცისა ჰრომაელისა ნინოს მი-

1) R, T ჰატრუქი; ce mot dérive de l'arménien, *պատրիկ*, et devrait s'écrire ჰატრუგი.

2) Ou დაჩეჩქული.

3) T დიასპანთა.

4) Mon M-it სხვანიცა ვინმეცა.

ერ, განაფლინა აქა ებისკოპოსი, რამეთუ შორის სზარსთა და ბერძენთა შოთი იყო, და მით ვერ მოაწიეს საქმე ესე ჯერისა-ებრ სჯულისა, რამეთუ ჩვენ ვუწუით ვითარმედ ქართლი, აღმოსავლეთი და ჩრდილო, მაგის წმიდისა საუდრისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარებასა შინა, რომელ არს უწინარესობა: “ და მიუწერეს უოველი საქმე დიდისა ვახტანგ მეფისა, ვითარ ებისკოპოსი-იგი. რომელი მათ-მიერ დადგინებულ იყო უკუვადგინეთ, და დღეს იცოდეთ ახალ ნერგად ჭეშმარიტად ქართლი: აწ ესე ორნი მათგანი თხოილნი აკურთხენ, და ათ-ერთ-მეტნი ვინ შენ გნებავს აკურთხენ: ხოლო ჩვენდა მოვიდენ, რათა ჩვენ ნიჭითა და საკმრითა უოველითა განუტევენთ. “

ხოლო ანტიოქელ-მან ჰატრიაქ-მან ჰეო. ეგრე, ვითარცა მიუმცნეს ჰატრიაქ-მან და კეისარ-მან, აკურთხნა თორმეტნი ებისკოპოსნი, და ჰეტრე კათალიკოზად: და მოვიდეს კოსტანტინებოლედ, და მეფე-მან მისცა ნიჭი დიდ-ძალი, და მისცა ასული თჳსი, სახელით ელენე, მეფესა ვახტანგს: და გამოაფლინა იგი სპითა დიდითა, ვიდრე საზღუართამდე სომხითისათა, და მოეგება ვახტანგ მეფე, და შეიქცეს სპანი ბერძენთანი, და წარმოვიდეს მცხეთად ¹⁾: ხოლო მცხეთას მეფე-მან ვახტანგ აღაშენა საკათალიკოზოდ დიდი ესე კათალიკე ²⁾ ეკკლესია მოციქულთა, სვეტი-ცხოველი ³⁾, და უზურა სვეტსა შინა, სამხრით, ადგილსა-მას სადა-იგი დაცემულ იყო ეკკლესია, რომელ არს სიონი დიდი: მუნ შინა დასვეს ჰეტრე კათალიკოზად და განაწესეს მწყემსთ მთავრად და მამად მთავრად, და მთავრად უოველთა ეკკლესიათა და მღვდელთ-მთავართა, ებისკოპოს-

¹⁾ ქართლისა მოქცევით-გან სვეტის-ცხოვლის აღშენებამდე, კათალიკოზის განწესებამდე, გარდაცდეს წელი რ. მ. მეფენი გარდაცხალებულ იყვნეს ათნი, მთავარ-ებისკოპოსნი. იგ: Note de mon M-it; v. la Traduction, p. 193, n. 2.

²⁾ Les quatre mots précédents ne se trouvent que dans le M-it T.

³⁾ რამეთუ პირველ მცირე იყო მირიანის-გან აღშენებული; note moderne.

თა და უოველთა ერთა მორწმუნეთა ზედა. ხოლო ¹⁾ სამთელ ეპისკოპოსად, მცხეთასავე, ზენა ²⁾ საქვისკოპოსოსა: და დახვდა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკკლესიასა სიზისსა. ერთი, არტაანს, ერუშეთს. მესამე, ჯავახეთს, წუნდას. მეოთხე, მანგლისს. მეხუთე ბოლნისს. მეექვსე, რუს-თავს. მეშვიდე, ნინო-წმიდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღაშენა. მერვე, ჭერამს, მისსავე აღშენებულსა და მუნ ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკკლესიათა, რომელი იგი მანვე აღაშენა. მეცხრე, ჩელეთს, რომელი სოფელსა შუა აღაშენა. მეათე, ხორნაბუჯს. მეათერთმეტე, აგარაკსა, რომელი არს სუნანს გამართებით ³⁾: შემდგომად მისსა, აღაშენა ეკკლესია ნიქოზისა, საგზებელსა თანა ცეცხლისსა, და დახვდა ეპისკოპოსი, სადა იგი ეფლა გვამი წმიდისა რაჟდენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ, წყობასა ვახტანგისსა: ესე იყო რაჟდენ მამა-მძუძე ვახტანგის ცოლისა, რომელი იგი პირველ მოიუწანა სპარსთა მეფისა ასული, და მოიქცა იგი ქრისტიანად, და იქმნა დიდად მორწმუნედ, და იყო ბრძოლასა-მას შინა ძლიერ, და შეიპყრეს იგი სპარსთა, და აძულებდეს რათამცა უარ-ჰყო ქრისტი: ხოლო მან წმიდა-მან აღიარია წარუადი იგი დიდება და იწამა ქრისტეს-თჳს.

და ესსნეს ვახტანგს, ბერძენისა ცოლისა-გან, სამ ძე და ორ ასულ: ხოლო ძესა მისსა პირ-მშოსა პირველისა ცოლისსა, დაჩის, მისცა ქალაქი ჭერამისა და ნეკრესისაჲ, და ქალაქი კამბეჩისა, რომელ არს ხორნაბუჯი. და უოველი ქვეყანა მტკვარსა აღმოსავალით, და თჳთ ვახტანგ დაჟდა უჯარმოს, და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა, და დაჲ მისი ხვარანძე მისცა ბაკურს, ჰატიახშს სომხითისსა, ცრქლად.

¹⁾ Tout ce qui précède, depuis და განაწესეს, est une addition du M-it T.

²⁾ Addit. du M-it T.

³⁾ Note T. ამ ვახტანგისა-გან აღშენებულა პირველად მცხეთა, და ნინო-წმიდაც, და ჭერამის ეკლესია, და ჩელეთიც. და შემდგომად მათსა ნიქოზი ამის გან აღშენებულად იცხადების. Note moderne, du M-it T.

და ვითარცა წარვიდეს ამას შინა უამნი რა-ოდენნიმე, მოკუდა ხვასრო მეფე, და დაჯდა მის წილ ძე მისი ხვასრო, და განძლიერებულ იუწენეს სპასნი, რამეთუ ეოველნი მტერნი მათნი დაემორჩილნეს შესლვითა ვახტანგისათა, და წარმოემართა იგი ბრძოლად ბერძენთა, და მოუფლინა კორკასალსა მოციქული და ჭრქუა: „მოკუდა მამა ჩემი, და მეფედ მეო მე ერ-მან მის-მან საყდართა მისთა ზედა, და ესრეთ მიბრძანეს მოხუცებულთა ჩემთა, რათა მოგიდე წინაშე შენსა ღ ვერჩდე ბრძანებასა შენსა: შენ წარმიძღვე ჩვენ, მეფეო, წინა-მძღვრად ჩვენდა, შესლვასა ამას ჩვენსა საბერძნეთს, და მომეც ასული შენი ცოლად, რათა ვიყო მე ვითარცა ერთი შვილთა თქვენთაგანი:“ და ვითარცა მოვიდა მოციქული ვახტანგ მეფის და ქალაქსა ტფილისისა, და საფუძველი ოდენ დაედვა: და ვითარცა უთხრა მოციქულ-მან შეთვალულობა ხვასრო მეფისა, ჭრქუა მეფემან: „ამისი თქვიან. მჭედელო, განმხვე მახვილი შენი, რათა სწრაფელ განეწონოს ასოთა შენთა:“ დღეთა მიწევნილ იყო ვითარსამეოცისა წლისა, და თქუა: „ესრეთ უთხართ მეფესა ხვასროს, ზირველად განემზადე ბრძოლად ჩემდა, და ეგრე შეგედ საბერძნეთად, რამეთუ ძალნი რამელნი იქმნეს ძალითა ჯუარისითა იქმნეს: აწ ცხოვრებაჲ ჩვენი იუაგნ სსოებითა ჯუარ-ცმულისათა:“ და წარავლინა ქადაგი, რათა დაუტეონ სოფლები და ქალაქები, რამელი იყო არა ძლიერი, და შეიფლტოდინა კავკასიანთა და კახეთად, რამეთუ კახეთი ტყე იყო შეუალი მტრისა მიერ: ხოლო დაბი მეფე და დისწული მისი კარდავიდეს კახეთად, და შევიდეს კეგსა ლაზარისსა, ქვეუანასა-მას კლდითა მოზღუდვილსა, და იუწენეს სოფლისა-მის კაცნი ცეცხლისა და წყლისა მსახურნი, და სავსე იყო კეგი-იგი სიმრავლითა კაცთათა, ვიდრე ნოსორამდე: ხოლო კორკასალი, ცოლი და შვილნი მისნი, უჯარმის კეგსა, და წინა-ცისესა თვთ შედგა, და მის-თანა ჯუანშერ, და ადარნესე. ხოლო მცხეთად დემეტრე, და ნერსე, და ბივრიტიანი დაუტეგნა, წარავლინა მოციქული და მიაბნობ კეისარსა.

§ 12.

აქა სწარსთა მოსლჳა ქართლს, ვახტანგს გორგასალ-
სე, საომრად, და ვახტანგის-გან სწარსთა მეფისა
ძულის ბარტაძის მოკლჳა.

და მოვიდა ხვასრო მეფე, და შემუსრნა ქალაქნი კამბეჩისანი,
და ჭერამის ციხე, და ველისა ციხე. და ვითარცა მოიწივნეს კანკ-
თად, დაიბანაკეს იორსა ზედა: ხოლო სწანი ვახტანგისანი დადგეს
ველსა ზედა, კარემოს ციხესა ქალაქსა, სადა ჭჭვიან დართაკა: და
შეიპურეს იორსა ზედა, და სამ დღე, უოველთა დღეთა, იბრძოდეს,
და დაეცემოდა ორთავე სწათა-გან ურიცხვი: და ვახტანგ მოუწოდა
პეტრეს კათალიკოზსა, და ჭრქვა: „უწოდე რამეთუ არა ხარკისა
მიღებისა-თჳს გვბრძანან, არამედ ქრისტეს დატეობისა-თჳს, აწ მე
ესე განმიზრახავს, რამეთუ ცხოვრებას ჩვენსა სიკჳდილი უმჯობეს
არს, სახელსა ზედა ქრისტესსა, რათა სასუფეველი გვაქნდეს, აღ-
თქმული მათ-თანა, რომელთა ეტევინ: „რომელ-მან წარიწემიდოს თა-
ვი თჳსი სოფლისა ამის¹⁾ ჩემ-თჳს, მან ჭბოოს იგი:“ ჭრქვა მას
პეტრე კათალიკოზ-მან: „გიბილვან საქმენი რომელნი არა-ვინ ნა-
თესავთა შენთაგან-მან იხილნა, შეწევნანი ქრისტესმიერნი: რამეთუ
უწვის სიბრძნე-მან შენ-მან ვითარმედ მტერი-იგი გამომტდელი ჩვე-
ნი აცილობს ჩვენ-თჳს დმერთსა, ვითარცა იობის-თჳს. რამეთუ დმერ-
თი მიუშვებს მოძულეებულთა-მათ²⁾ თჳსთა წარწემედად, ხოლო შე-
უწარებულთა თჳსთა განდობად: იუავ³⁾ (შენ ვითარცა გაზრახოს
დმერთ-მან. დადაცათუ არა მოგკჳდეთ⁴⁾), მოგკვდეთ:“ და ამით სი-
ტუგითა ამხილა, ვითარმედ წუობასა-მას არა დარჩეს, და ჭრქვა:“

1) Mieux: სოფელსა ამას.

2) Mienx: მოძულეთა ou მოძულილთა; mon M-it: მაიძულებულთა.

3) Mieux ჰეავ.

4) Le Ieçon de mon M-it, მოგკჳდეთ, me paraît meilleure que celle მოჰკჳდეთ, la première fois, comme porte le M-it T.

არა-მხოლოდ-თუ ქართლი მიეცეს განსარეგნელად, არამედ იმწრელუსადი-
მიცა, რომელ არს მშობელი უოველთა შვილთა ნათლისათა:“ და
ჭრქვა მეფე-მან: „დადეკ ეკვლესიასა შინა რაუდენ წმიდისასა, რა-
მელ ჰალატსა შინა უჯარმოსასა ამიშენებიეს, და ვეკ ვითარმედ უო-
ველნი ქალაქნი გარემოს უჯარმოსა იძლივნენ, რამეთუ მტკიცენი
ზღუდენი და ძლიერნი აქა დავსხენით:“ და უო ეგრეთ კათალიკოზ-
მან: ხოლო ებისკოპოსნი უოველნი წმიდანი მას შინა შეკრბეს. და
იყო ლაშქარი ვახტანგისი ას ორ მონი ათ-ასი, ხოლო სზარსთა იყო
შვიდ ას ორ-მონი ათ-ასი: და განყო ვახტანგ ლაშქარი მისი სამად,
და კლდით კერძო მიაგლინა ქვეითი, და ერთ-კერძო მიაგლინა ზა-
ტიანშნი და სზარსეტნი, და სადათ სზარსთა მეფე იყო მუნით თვთ
მივიდა ვახტანგ, ვითარ ასი ათ-ასითა კაციითა.

ღამესა ნისლსა, განცისკრებულ-ოდენ, დაესხა ვახტანგ სზარს-
თა ზედა და ჭრქვა უოველსა ექსა მისსა: „უოველი კაცი, რომელი
დარჩეს სიკუდილისა-გან, და მტერთა ჩვენთაგანისა თავი ანუ კელი
არა გამოიტანოს, სიკუდილითა მოკუდეს იგი ჩვენ-მიერ.“ და ცის-
კარი რა აელეობდა, დაესხა და შევლო ვიდრე ზალატამდე მეფისასა:
და მეფე შეესწრა ცხენსა ზედა, და ძე მისი ბარტამ მოკლა და მო-
ჭკვეთა თავი. და მუნ შინა სზარს-მან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახ-
ტანგისსა, და იყო ბრძოლაჲ შუა-დღემდე: სძლო ვახტანგ სზარსთა-
მათ: და მოკლა მათ-გან ვითარ ას ოც და ათი ათ-ასი, ხოლო სზა-
თაგან ვახტანგისთა მოკუდა ვითარ ოც და რვაჲ ათ-ასი. და წარ-
მოიღეს ნატუვენავი, ცხენი ვითარ ასი ათ-ასი, და სულთად ვერ
იოტნეს სიმრავლისა-გან: და აიყარა მუნით სზარსთა მეფე, და
ჩადგა რუს-თავსა: და დამძიმდა წულულება ვახტანგისი, რამეთუ შე-
წუელ იყო ისარი ფილტვად¹⁾): და წარვიდა უჯარმოს, და უბრძანა
სზარსლართა ქართლისათა, რათა ადგილსავე თხსთა დადგენ: სცნეს
სზარსთა, ვითარმედ დამძიმდა ვახტანგ წულულებისა-გან, მოაოკრეს
ტფილისი და არმაზი ქალაქი: ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს, გარნა
რომელი ზღუდესა გარეგნით იყო მოაოკრეს, რომელი-იგი მუნხა-
რით და არავსა ხერთვისსა იყო.

1) T ფირტვად.

ხოლო ბერძენთა მეფე, სიმამრი ვახტანგისი, მოკუდა¹⁾, და დაჯდა ზენონ, ძე მისი, მეფედ. და გამოვიდა სპერად, გამოსდგად ქართლად: და ვითარ სცნეს სიმძიმე გორგასალისა, დაადგრა კარნუ-ქალაქს. და მივიდა მუნ ზვასრო. შეიბნეს ზვასრო და კეისარი, კარნიფორას, და დაიკოცა ორთა-განვე სპათა, რომელი იქმნა ორთა-განვე სისხლისა მდინარე, და მის-მიერ ეწოდა კარნიფორას, რეცა სისხლსა. ცხენი მუცლით აზობდა სისხლსა: და ვერ სძლო ერთ-მანცა, რამეთუ სპანივე ორთანივე დაიკოცნენ: და შეიქცა ზვასრო გზასა ქართლისსა.

ხოლო ვახტანგ შეიტყო სიკუდილი თავისა თვისისა, მოუწოდა კათალიკოსსა ჰეტრეს და ცოლსა თვისსა ელენეს, და ძეთა, და ყოველთა წარჩინებულთა, და თქვა: „მე ესე-რამე წარვალ წინაშე ღვთისა ჩემისა, და ვმადლობ სახელსა მისსა, რომელ-მან არა დამაკლო გამორჩეულთა მისთა წმიდათა: აწ გამცნებ თქვენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ და ეძიებდეთ ქრისტეს-თვს საკუდილსა სახელსა მისსა ზედა. რათა წარუალი დიდებაჲ მოიგოთ:“ და ჰქრქვა ყოველთა წარჩინებულთა: „თქვენ, მკვიდრო, ქართლისნო, მოიკუნენით კეთილნი ჩემნი, რამეთუ ზირველად სახლისა ჩვენისა მიერ მთადეთ ნათელი საუკუნო, და მე კორციელებრითა დიდებითა გადიდე თქვენ ნათესავთა ჩემთა: და სასახლსა ჩემსა ნუ შეურაცხ ჰყოფთ თქვენ, და სიუწარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ“. და ჰქრქვა ძესა თვისსა დაჩის: „შენ ხარ ზირ-მშობე შვილი ჩემი, შენდა მიმიცემია გვირგვინი მეფობისა ჩემისა და ნაწილად ძმათა შენთადა²⁾ მიმიცემია, ტასის კარით-გან და წუნდით-გან ვიდრე სომხითამდე და საბერძენთამდე საზღვარი აფსაზეთისა, რომელ მოცემულ არს ეგრის-წყალსა და კლისურას შუა. იგი თვთ ძმათა შენთა და დედისა მათისა არს, იგი აქვნიდეს მათ, და იყუნეს შენდა ერის-თავად, მორჩილებასა ქვე-

1) ვახტანგის სიმამრი ლეონ მაკელი. ლეონი დამ ავ ქს. ტე-ამდინ არის წელიწადი ათას ას ოთხ-მოც და რვა: Note du M-it R, expliquée dans les remarques de la Traduction.

2) R, la finale და, a été effacée: c'est une forme antique.

შე ნათესავისა შენისასა:“ და მოუწოდა ნასაკს, ერის-თავსა წუნ-
დისასა, და არტვასს, ერის-თავსა კლარჯეთისასა, და ბივრიტიან,
ერის-თავსა. აძრკისასა, და მათ მიუთვალა ცოლი თვისი ელენე და
შვილნი მისნი, რომელთა ერქვა ლეონ და მირდატ, და შევედრნა
მათ სამთა ერის-თავთა, ცრემლითა და შეხედვებითა ღვთისათა.

მაშინ წარჩინებულთა და უოველსა ერსა ზედა დღე იყო სარ-
ჯელისა, და იტუებდენ უოველნი თავთა თვისთა, ისწმიდეს უოველნი
ნაცარსა, და უოველნი ინატრიდეს სიკრძდილსა თავისა თვისისასა, და
კმისა-გან გოდებისა იძრვოდა ქვეყანამ. და მოწმუნე ერი ჭნატ-
რიდა შეთვისა, რამეთუ ქრისტესათს მოიკლა, და მოკრდა ვახტანგ,
და დაეულა მცხეთას, საკათალიკოზოსს სვეტსა თანა, რომელსა შინა
არს ღვთივ-ადმარტებულისა-გან სვეტისა, და ზედა საფლავსა მისსა
წერილ არს ხატი მისი, სწორი ¹⁾ ასაკისა მისისა: აწ რომელ არს
ახჯარი და სამოსელნი მისნი მის-გან უფრო საცნაურ არს.

¹⁾ Mon M-it სწორივ.

ქართლის ცხოვრება

ძველი დროის „ქართლის ცხოვრების“ მასალები შეკრიბა და შეკაზმა ვახტანგ მეფემ და მის დროის ბრძენ ქართველთა: ეს კრებული ჩვენის ისტორიისა, ეს საუნჯე განხილულ იქმნა ამ საუკუნის ნახევარს და დაბეჭდილ 1849 წ. ბრასეს და დ. ჩუბინაშვილის ზედამხედველობით, გამოცემა მეტათ ქვირათ ღირდა, 12—15 მ. ხან მეტათაც.

ბეგრმა ვერ შესძლო ამ წიგნის შექენა, აი თვით მე, ვერ მოვახერხე და 15 მ. ვერ მივეცი, საკუთრათ ვერ შევიძინე, თუმცა ნატვრას კი დიდი მქონდა. მინდოდა, რომ ეს საუნჯე ჩვენის ისტორიისა თვით მე წამეკითხა, მეც მღირსებოდ ამისი გაცნობა. ამ ისტორიის მოთხრობილება ჩემს გარდა სხვათაც აქვდათ და აქვთ კიდევაც.

„ქართლის ცხოვრების“ უქონლობა დღეს ცხადათ ემჩნევათ თვით ისეთ პირთაც, რომელნიც საქართველოს ისტორიის შესახებ წერილებსაც სწერენ და ხშირათაც ბეჭდავენ. მაგრამ წიგნის სიძვირის ღ იშვიათობის გამო მოკლებულნი არიან მის საკუთრათ შექენას.

უმთავრესი „ქართლის ცხოვრება“ არის პირველი ტომი, რომლის წელნიც საქართველოს დაარსებიდგან 1469 წლებამდის შეეხება, მეორე ტომი კი „ქართლის ცხოვრება“ არ არის, იგი დამატება, გარგძელებაა პირველის ტომისა. ამიტომ მე ვარჩიე ჯერ-ჯერობით თვით „ქართლის ცხოვრების“ გამოცემა. ჩემი განძრახვა გასეთებშიაც გამოვაცხადე: მე მსურს, რომ დაბეჭდო მხოლოთ ძველი დედანი „ქართლის ცხოვრებისა“ ისე, როგორც იგი ჩვენს ძველებს დაუტოვებიათ, სხვა რამ ცნობებს და სხოლიობებს ჩვენ არ ვსაჭიროებთ, ჩვენ გვიღა მარტოთ დედნის გამრავლება და გაცნობა.

რადგანაც მე გარემოება ნებას არ მაძლევდა, რომ ეს ისტორია ჩემის შრომით ღ ფულოთ გამომეცა, ამიტომ გავმართე ხელის მოწერას და იმედი მქონდა, რომ ასეთის დონისძიებით ადვილათ გამოვცემდი. ამ საქმეში ხელის მოწერის აღმოჩენით სრული იმედი და თანა-

გრძნობა განაცხადეს ბ. სოლომონ დოლიძემ განჯიდგან, ლავრენტი ბერძენიშვილმა ბათუმიდგან და ვლადიმერ ყიფიანმა ბორჯომიდგან.

ჩემი შრომა და „ქართლის ცხოვრების“ ბეჭდვა სოციალურ ზი-
რებმა შეიშურეს და ამით „ცნობის ფურცელში“ კიცხვა და გმობა
დამიწიეს, მალე გამოაცხადეს, რომ „ქართლის ცხოვრების“ გამო-
ცემაზე ხელი აწავინ მთუწეროთო, თორემ „წმინდა საქმის გმობათ
ჩაითვლება უფიცი, უნიჭო და გაუნათლებელი გამომცემელის ხელშია“.
კიცხვა უმნიშვნელოთ არ დაშთა, ხელი აღწავინ მომიწერა, სადაც
გი იყო ხელის მოწერა გამართული, უველგან შეაჩერეს, ამიტომ მე
„ქართლის ცხოვრების“ გამომცემაც გამიძნელდა.

რადგანაც „ქართლის ცხოვრების“ გამომცემა დაწეებული მქონ-
და, ამიტომ გამომცემა ვეღარ შევასრულე, მხოლოდ გამომცემის სახე გი
შევსცვალე, ახლა რვეულებათ ვბეჭდავ, რომ სარჯის გამო არ გა-
მიძნელდეს და სარგობებისთვისაც იაფათ იქმნეს. მთელი „ქართლის
ცხოვრება“ გაყავს სამ რვეულათ. ახლა დაიბეჭდა პირველი რვეული,
რომელიც საქართველოს დაარსებიდგან ვახტანგ გორგასალის შიგნითა.

მეორე რვეული ვახტანგიდგან თამარ მეფის კარდაცვალებამდის
იქმნება.

და მესამე რვეული თამარ მეფის მიცვალებიდან 1469 წლამდე.
თითო რვეულს 200 გვერდზედ მეტი ექმნება. თითო წიგნი ელი-
რება 40 კაპ. ე. ი. ის, რაც აქამდის 7 მან. იყო, დღეს ელირება
ექვსი აბაზი.

ხელის მომწერი თუ გამოჩნდება ვინმე და სურვილი ექმნებათ
შეძენის და ხელს მომიწერენ, მე იმათ სურვილს უარს არ ვყოფ,
მივიღებ და დაბეჭდვის შემდეგ მესამე წიგნში მათ გვარსა და სა-
ხელებსაც დავბეჭდავ. თუ გარემოებამ ხელი არ შემიშალა, ვეცდები,
რომ „ქართლის ცხოვრების“ დაბეჭდვის შემდეგ მისი დამატებაც
დავბეჭდო ცალკე-ცალკე წიგნებათ. მაგალითებრ ვახუშტის ისტორიას
ცალკე დავბეჭდავ, ასევე შაჰნუხა ორბელიანის, ფარსადას გორგიჯა-
ნიძის, სენია ჩხეიძის და შარიფის ქრონიკას.

